33.1.8	ვალდებულებების კლება - საშინაო - სხვა კრედიტორული დავალიანებები	3 683,33	3 683,33
06 02 18 16	**სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში**		
33.1.8	ვალდებულებების კლება - საშინაო - სხვა კრედიტორული დავალიანებები	759,00	759,00
08 07	**ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის სალიკვიდაციო ღონისძიებები**		
33.1.8	ვალდებულებების კლება - საშინაო - სხვა კრედიტორული დავალიანებები	332 100,00	269 185,44
08 08 01	**ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა**		
33.1.8	ვალდებულებების კლება - საშინაო - სხვა კრედიტორული დავალიანებები	79 529,86	79 529,77
10 01	**ქ.თბილისის საკრებულო**		
33.1.8	ვალდებულებების კლება - საშინაო - სხვა კრედიტორული დავალიანებები	6 295,00	6 293,75
10 02	**მერიის ადმინისტრაცია**		
33.1.8	ვალდებულებების კლება - საშინაო - სხვა კრედიტორული დავალიანებები	296,00	296,00
10 21	**ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო**		
33.1.8	ვალდებულებების კლება - საშინაო - სხვა კრედიტორული დავალიანებები	2 740,00	200,00
10 27	**გლდანის რაიონის გამგეობა**		
33.1.8	ვალდებულებების კლება - საშინაო - სხვა კრედიტორული დავალიანებები	689,52	689,52
10 30	**ჩუღურეთის რაიონის გამგეობა**		
33.1.8	ვალდებულებების კლება - საშინაო - სხვა კრედიტორული დავალიანებები	1 657,14	1 657,14
10 31	**ვაკის რაიონის გამგეობა**		
33.1.8	ვალდებულებების კლება - საშინაო - სხვა კრედიტორული დავალიანებები	2 699,00	2 698,88
10 32	**საბურთალოს რაიონის გამგეობა**		
33.1.8	ვალდებულებების კლება - საშინაო - სხვა კრედიტორული დავალიანებები	4 152,91	3 900,00
10 33	**ისნის რაიონის გამგეობა**		
33.1.8	ვალდებულებების კლება - საშინაო - სხვა კრედიტორული დავალიანებები	175,00	175,00
10 34	**სამგორის რაიონის გამგეობა**		
33.1.8	ვალდებულებების კლება - საშინაო - სხვა კრედიტორული დავალიანებები	175,00	175,00
10 35	**კრწანისის რაიონის გამგეობა**		
33.1.8	ვალდებულებების კლება - საშინაო - სხვა კრედიტორული დავალიანებები	3 175,35	3 123,35
10 36	**მთაწმინდის რაიონის გამგეობა**		
33.1.8	ვალდებულებების კლება - საშინაო - სხვა კრედიტორული დავალიანებები	4 208,38	3 829,28

წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გამოყოფილი და გადარიცხული თანხები

(ლარებში)

N	განკარგულების ნომერი და თარიღი	ორგ. კოდი	ორგ. დასახელება	2016 წელს გამოყოფილი თანხა	2016 წელს გადარიცხული	გადახრა
1	N44.06.930_განკ._16/11/2016_მიმდინარე	01 01 12	გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში	102 914,71	102 914,71	0,00
2	N38.02.819_განკ._28/09/2016_მიმდინარე	02 01	საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია	15 209,15	15 209,15	0,00
3	N04.07.78_განკ._27/01/2016_მიმდინარე	02 11 02	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	91 029,97	91 029,97	0,00
4	N38.02.819-1_განკ._28/09/2016_მიმდინარე	05 01 12	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში	13 149,78	13 149,78	0,00
5	N10-ბ_ბრძ._15/01/2016_მიმდინარე	06 02 06 02	უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში	1 800,00	1 800,00	0,00
6	N39.09.842_განკ._12/10/2016_მიმდინარე	06 02 13	მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა	303,44	303,44	0,00
7	N10-ბ-1_ბრძ._15/01/2016_მიმდინარე	08 09	კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა	4 301,00	4 301,00	0,00
8	N46.02.958_განკ._30/11/2016_მიმდინარე	10 03	საფინანსო საქალაქო სამსახური	40 319,91	40 319,91	0,00
9	N49.05.1010_განკ._21/12/2016_მიმდინარე	10 03	საფინანსო საქალაქო სამსახური	83 878,17	83 263,69	614,48
10	N01.03.03_განკ._06/01/2016_მიმდინარე	10 03	საფინანსო საქალაქო სამსახური	1 250,00	1 250,00	0,00
11	N03.14.64_განკ._20/01/2016_მიმდინარე	10 03	საფინანსო საქალაქო სამსახური	8 325,00	8 325,00	0,00
12	N131-ბ_ბრძ._15/03/2016_მიმდინარე	10 03	საფინანსო საქალაქო სამსახური	50,00	50,00	0,00
13	N132-ბ_ბრძ._15/03/2016_მიმდინარე	10 03	საფინანსო საქალაქო სამსახური	125,00	125,00	0,00
14	N18.02.410_განკ._11/05/2016_მიმდინარე	10 03	საფინანსო საქალაქო სამსახური	0,00	0,00	0,00
15	N202-ბ_ბრძ._15/04/2016_მიმდინარე	10 03	საფინანსო საქალაქო სამსახური	50,00	50,00	0,00
16	N208-ბ_ბრძ._18/04/2016_მიმდინარე	10 03	საფინანსო საქალაქო სამსახური	50,00	50,00	0,00
17	N209-ბ_ბრძ._18/04/2016_მიმდინარე	10 03	საფინანსო საქალაქო სამსახური	50,00	50,00	0,00
18	N218-ბ_ბრძ._21/04/2016_მიმდინარე	10 03	საფინანსო საქალაქო სამსახური	50,00	50,00	0,00
19	N224-ბ_ბრძ._22/04/2016_მიმდინარე	10 03	საფინანსო საქალაქო სამსახური	100,00	100,00	0,00
20	N29.03.630_განკ._27/07/2016_მიმდინარე	10 03	საფინანსო საქალაქო სამსახური	52 859,00	52 405,00	454,00
21	N376-ბ_ბრძ._26/07/2016_მიმდინარე	10 03	საფინანსო საქალაქო სამსახური	100,00	100,00	0,00
22	N377-ბ_ბრძ._27/07/2016_მიმდინარე	10 03	საფინანსო საქალაქო სამსახური	50,00	50,00	0,00
23	N413-ბ_ბრძ._11/08/2016_მიმდინარე	10 03	საფინანსო საქალაქო სამსახური	50,00	50,00	0,00
24	N438-ბ_ბრძ._08/09/2016_მიმდინარე	10 03	საფინანსო საქალაქო სამსახური	50,00	50,00	0,00
25	N446-ბ_ბრძ._13/09/2016_მიმდინარე	10 03	საფინანსო საქალაქო სამსახური	2 142,90	2 142,90	0,00
26	N45-ბ_ბრძ._29/01/2016_მიმდინარე	10 03	საფინანსო საქალაქო სამსახური	125,00	125,00	0,00
27	N534-ბ_ბრძ._25/11/2016_მიმდინარე	10 03	საფინანსო საქალაქო სამსახური	100,00	100,00	0,00
28	N542-ბ_ბრძ._29/11/2016_მიმდინარე	10 03	საფინანსო საქალაქო სამსახური	50,00	50,00	0,00
29	N563-ბ_ბრძ._13/12/2016_მიმდინარე	10 03	საფინანსო საქალაქო სამსახური	125,00	125,00	0,00
30	N564-ბ_ბრძ._13/12/2016_მიმდინარე	10 03	საფინანსო საქალაქო სამსახური	100,00	0,00	100,00
31	N57-ბ_ბრძ._05/02/2016_მიმდინარე	10 03	საფინანსო საქალაქო სამსახური	50,00	50,00	0,00

N	განკარგულების ნომერი და თარიღი	ორგ. კოდი	ორგ. დასახელება	2016 წელს გამოყოფილი თანხა	2016 წელს გადარიცხული	გადახრა
32	N586-ბ_ბრძ._20/12/2016_მიმდინარე	10 03	საფინანსო საქალაქო სამსახური	250,00	0,00	250,00
33	N604-ბ_ბრძ._22/12/2016_მიმდინარე	10 03	საფინანსო საქალაქო სამსახური	250,00	250,00	0,00
34	N93-ბ_ბრძ._24/02/2016_მიმდინარე	10 03	საფინანსო საქალაქო სამსახური	50,00	50,00	0,00
35	N94-ბ_ბრძ._24/02/2016_მიმდინარე	10 03	საფინანსო საქალაქო სამსახური	50,00	50,00	0,00
36	N95-ბ_ბრძ._24/02/2016_მიმდინარე	10 03	საფინანსო საქალაქო სამსახური	250,00	250,00	0,00
37	N21-ბ_ბრძ._22/01/2016_მიმდინარე	10 03	საფინანსო საქალაქო სამსახური	262,00	262,00	0,00
38	N06.10.122_განკ._10/02/2016_მიმდინარე	10 31	ვაკის რაიონის გამგეობა	4 391,89	4 391,89	0,00
სულ ჯამი				**424 261,92**	**422 843,44**	**1 418,48**

სესხების მომსახურება და დაფარვა

სესხების მომსახურებისა და დაფარვისათვის საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 9,237.6 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (9,237.8 ათასი ლარი) 100%-ია. აქედან, ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 1,893.0 ათასი ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის - 7,344.6 ათასი ლარი.

სესხების დაფარვისათვის გაწეული ხარჯები კრედიტორების მიხედვით შემდეგია:

მსოფლიო ბანკის მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტის სესხის მომსახურება - 97.1 ათასი ლარი (სესხი გამოყენებული იყო შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად: ჭოპორტის წყალმიმღებისა და დამცავი დამბის აღდგენა, საგურამოს წყალსაცავის დამცავი დამბის აღდგენა, ნატახტარის წყალსადენში შემოვლითი მილსადენის და სადრენაჟო კოლექტორების რეაბილიტაცია და სხვა. სესხის დაფარვა დამთავრდა 2016 წლის 5 მაისს);

იაპონური არასაპროექტო გრანტის მომსახურება - 629.2 ათასი ლარი (სესხი გამოყენებული იყო ფირმა Schafer-ის 4191 ცალი 1110 ლიტრიანი საყოფაცხოვრებო ნარჩენის მოთუთიებული კონტეინერის შესაძენად. სესხის დაფარვა დამთავრდება 2017 წელს);

კუვეიტის ფონდიდან აღებული სესხის მომსახურება - 1,202.4 ათასი ლარი (სესხის ფარგლებში განხორციელდა თბილისის გზების რეაბილიტაციის პროექტი. სესხის დაფარვა დამთავრდა 2016 წლის 5 იანვარს);

მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხის მომსახურება - 7,308.9 ათასი ლარი (სესხის ფარგლებში განხორციელდა კაპიტალური ინვესტიციები (საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. სესხის დაფარვა დამთავრდება 2020 წელს).


(ათას ლარებში)

კრედიტორები	ვალების დაფარვა	პროცენტი	2016 წელი
მსოფლიო ბანკის მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტის სესხის მომსახურება	95,1	2,0	97,1
იაპონური არასაპროექტო გრანტის მომსახურება	562,4	66,8	629,2
კუვეიტის ფონდიდან აღებული სესხის მომსახურება	1 184,6	17,8	1 202,4
მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხის მომსახურება	5 502,5	1 806,4	7 308,9


ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 117,659.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (119,116.5 ათასი ლარი) 98.8%-ია;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 169,305.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (173,382.4 ათასი ლარი) 97.6%-ია;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 84,289.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (85,420.1 ათასი ლარი) 98.7%-ია;
- ეკონომიკის განვითარებისა ხელშეწყობა - 3,820.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (3,916.4 ათასი ლარი) 97.6%-ია;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 29,339.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (29,595.9 ათასი ლარი) 99.1%-ია;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 208,503.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (209,221.7 ათასი ლარი) 99.7%-ია;
- განათლება - 108,297.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (108,657.6 ათასი ლარი) 99.7%-ია;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 27,705.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (29,025.7 ათასი ლარი) 95.4%-ია;

- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 3,698.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (3,700.0 ათასი ლარი) 99.9%-ია;
- ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 79,790.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (80,930.0 ათასი ლარი) 98.6%-ია;.



ათას ლარებში




	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და განვითარება	განათლება	ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება	ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები	კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება
2014 წლის ფაქტი	184 120,6	87 687,3	72 382,6	78 611,1	67 266,5	82 198,4	49 623,2	37 064,4	5 566,0	22 587,1
2015 წლის ფაქტი	211 269,7	175 950,7	103 718,3	93 359,8	72 118,8	76 270,7	138 818,8	30 325,9	8 929,1	25 019,0
2016 წლის ფაქტი	208 503,8	169 305,1	117 659,3	108 297,0	84 289,3	79 790,8	27 705,3	29 339,5	3 820,9	3 698,5


ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები

❖ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა


ათასი ლარი



ათასი ლარი



	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთება	საქალაქო ტრანსპორტის მომრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები	სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდია	ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირება	მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა	საბაგირო ტრანსპორტის განვითარება	დიღმის ჭალების ინფრასტრუქტურის მოწყობა
2014 წლის ფაქტი	48 629,6	400,0	6 741,0	8 420,5	2 382,2	790,0	0,0	5 019,2
2015 წლის ფაქტი	78 153,5	0,0	12 280,0	1 616,3	3 053,4	0,0	0,0	8 615,1
2016 წლის ფაქტი	83 535,9	7 500,0	10 898,1	8 955,7	3 735,6	2 000,0	1 034,1	0,0



01 01 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთება დაფინანსებულია 83,535.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 84,598.0 ათასი ლარის 99%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

01 01 01 გზების მშენებლობა და აღდგენა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 43,639.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 42,674.4 ათასი ლარით. რაც გეგმის 98%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ქუჩებისა და მაგისტრალების განტვირთვა ჭარბი სატრანსპორტო ნაკადისაგან; ავტოსაგზაო შემთხვევების შემცირება; თბილისის სატრანსპორტო და სატრანზიტო გამტარიანობის გაზრდა; საწვავის ეკონომია, სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის ვადის გახანგრძლივება; გზების გაუმჯობესების შედეგად მიღებული ეკოლოგიური და ეკონომიკური შედეგები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: სანგარიშო პერიოდში კაპიტალურად შეკეთდა გზის საფარი შემდეგ მისამართებზე: სამგორის N18 მისასვლელი გზის და ეზოს რეაბილიტაცია; ცესკოსა და დაცვის პოლიციის შორის მისასვლელი გზა; აგლაძის ქუჩა; დაბა წავკისი; ლ. ღოღობერიძის ქუჩა; ალ. მანაგაძის (ყოფილი ჩიქვანაია) ქუჩის მონაკვეთი და გრიგოლ ხანძთელის ქუჩა; ფერმწერთა ქუჩიდან სტუდენტთა საერთო საცხოვრებლამდე მისასვლელი გზა; ჯიქიას სასაფლაოს შიდა გზა; ჟვანიას

მოედანი; ზ.გამსახურდიას სახ სანაპიროდან თამარ მეფის ხიდამდე მონაკვეთი; თინათინის ქუჩა; დავით აღმაშენებლის ხეივნის და სოფ. დიღომში ვაჟა-ფშაველას ქ.-ის დამაკავშირებელი გზა; ბაგები-წყნეთის გზის მონაკვეთი; თევდორე მღვდლის ქუჩა; დაბა წყნეთში არსენას ქუჩა; დაბა წყნეთში გორგასლის ქუჩა; ყაზბეგის ქუჩა; ი. ჯავახიშვილის ქუჩა; ჩიტაიას ქუჩა; ფიროსმანის ქუჩა; პატარა ლილოსთან მისასვლელი გზა; აღმაშენებლის ხეივანი (მირიან მეფის ქუჩის მიმდებარედ); კრწანისის რაიონისა და "პრიმერა გოლფი"-ს კორტების დამაკავშირებელი გზა; ო. ჩეჩელაშვილის ქუჩა; წყნეთში კოსტავას ქუჩა; წყნეთში ტაბიძის ქუჩა; წყნეთში სააკაძის ქუჩა; ნუცუბიძის ქუჩა; თბილისი-კოჯორი-მანგლისის გზა; კოჯორი-სამადლოს დამაკავშირებელი გზა; კოსტავას ქუჩა; დაბა წყნეთში თამარ მეფის ქუჩა; თბილისი-კოჯორი-წალკა-ნინოწმინდის გზა, კიკეთის გადასახვევიდან თბილისის საზღვრამდე; თბილისი-წყნეთის დამაკავშირებელი გზა; მცხეთის ქუჩა; წინამძღვრიშვილის ქუჩა; კრწანისი-შინდისის დამაკავშირებელი გზა; ვასილ ბარნოვის ქუჩა; ჩარგლის ქუჩა; ჩეჩელაშვილის ქუჩის N121-ის მიმდებარე მონაკვეთი; ჩეჩელაშვილის ჩიხი (მნათობის ჩიხი); მდ. მტკვრის უბეზე მეტეხის ხიდთან მდებარე აივნის რეკონსტრუქციის დროს დაზიანებული გზა; მებაღიშვილის ქუჩა; მელიქ სურხავის ქუჩა; ვ. გოძიაშვილის პირველი შესახვევი; სამების ეკლესიისა და მახათას ეკლესიის დამაკავშირებელი გზა; 13 ასურელი მამის ქუჩის მონაკვეთი (ტოიოტას ცენტრთან აღმაშენებლის ხეივნიდან როსტევანის ქუჩამდე); შერმადინის ქუჩის მონაკვეთი (თინათინის ქუჩიდან ავთანდილის ქუჩამდე); შეყლაშვილის ქუჩა; სუვოროვის ქუჩა; სარაჯიშვილის გამზირის მე-8 კორპუსთან მისასვლელი გზა; წყნეთში თბილისის ქუჩა.

გზების მიმდინარე (ორმოული) შეკეთების სამუშაოები ჩატარდა შემდეგ რაიონებში:

გლდანის რაიონში შეკეთდა 10 317.6 კვ.მ ფართის ქუჩები: ანდრონიკაშვილის ქუჩა; სარაჯიშვილის გამზირი; მინდელის ხიდი; ხიზანიშვილის ქუჩა; შეშელიძის ქუჩა; ლიბანის ქუჩა; გლდანულას გზა; ჯანჯღავას ქუჩა; სარაჯიშვილის გამზირიდან სასაფლაოსკენ მიმავალი გზა (ბაგრატიონის შამპანიურის ქარხნის მიმდებარედ); თიანეთის გზატკეცილისა და კულა გლდანელის ქუჩის კვეთაზე

არსებული მოედანი; გობრონიძის ქუჩა; დავით სარაჯიშვილის ქუჩაზე გამყოფ ზოლში ავტოსატრანსპორტო შემოსაბრუნებელი მოედნები; თბილისის შემოვლითი გზისა და ს. ბაღაშვილის ქუჩის კვეთა; შეშელიძის ქუჩიდან სარაჯიშვილის ხიდზე ამსვლელი ხიდი; ქერჩის ქუჩა; შემოსავლების სამსახურის მიმდებარედ ქუჩის ორმოული და პერიოდული შეკეთება; შეშელიძისა და შენგელიას ქუჩების კვეთა.

ნაძალადევის რაიონში შეკეთდა 31 103 კვ.მ ფართის ქუჩები: ე. მანჯგალაძის ქუჩა; ურეკის ქუჩა; ურიდიას ქუჩა; ვ. მესხიშვილის ქუჩა; ზაქარაიას ქუჩა; ზესტაფონის ქუჩა; მექანიზაციის ქუჩა; ხევძმარის ქუჩა; სამღერეთის ქუჩა; წეროწისის ქუჩა; ერისთავის ქუჩა; ბარამიძის ქუჩა; რომელაშვილის ქუჩა; ბენდელიანის ქუჩა; მესხის ქუჩა; N31 ბაღის ეზოს ტრანშეა; ცოტნე დადიანის ქუჩა; სიხარულიძის ქუჩა; გურამიშვილის ქუჩა; დადიანის გამზირის N90-ის მიმდებარედ; დადიანის გამზირის N319 და N321-ის მიმდებარედ (ტროტუარი); ცოტნე დადიანის გამზირის და რკინიგზის ქუჩის მიმდებარედ ჯიბის მოწყობა; ნუშის ქუჩა.

დიდუბის რაიონში შეკეთდა 28 832 კვ.მ ფართის ქუჩები: წერეთლის გამზირი; ვ. ბაგრატიონის ქუჩაზე შემსვლელი და ხიდიდან სანაპიროზე ჩამომსვლელი პანდუსი; ჯანდაცვის სამინისტროსთან; პაიჭაძის ქუჩა; ბელიაშვილის ქუჩა; მარცხენა სანაპიროს და მირცხულავას ქუჩის მიერთება; აბასთუმნის ქუჩა; ბელიაშვილის ქუჩისა და იუნკერ შალვა ერისთავის ქუჩის მიერთება; მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპირო; სამტრედიის ქუჩა; ლუბლიანას ქუჩა; ბოხუას ქუჩა; ბაქრაძის ქუჩა; ჩაჩავას ქუჩა; ოკრიბას პანდუსიდან თამარ მეფის ხიდამდე; მეგალაინის მიმდებარედ; პაიჭაძის მოედნის მიმდებარედ; დიღმის მასივი მე-3 კვარტალი, დიღმულას სანაპირო; წერეთლის გამზირძე, სადგურ ოკრიბას მიმდებარედ არსებული უსაფრთხოების კუნძული; ბელიაშვილის ქუჩა (გალფის ბ/გ სადგურის მიმდებარედ); ბელიაშვილის ქუჩის და ახმეტელის ქუჩის კვეთა; ბელიაშვილის ქუჩა „პლაზა ჰოლის“ წინ; გოგიბერიძის ქუჩა; მარცხენა სანაპირო ლუკოილის მიმდებარედ; ბელიაშვილის ქუჩა რესტორან ფაეტონთან; აღმაშენებლის ხეივნის და ახმეტელის ქუჩის კვეთა; მარცხენა სანაპირო რესტორან აფხაზეთთან; მარცხენა სანაპიროს და სამტრედიის ქუჩის კვეთა.

ჩოღურეთის რაიონში შეკეთდა 11 890 კვ.მ ფართის ქუჩები: გოგოლის ქუჩა; გ. დოლიძის ქუჩა; სამრეკლოს ქუჩა; ტ. გრანელის ქუჩა; ასხინის ქუჩა; მამარდაშვილის ქუჩა; ლამის ქუჩა; ჩიქობავას ქუჩა; უზნაძის ქუჩა; ცაიშის ქუჩა; მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპირო (თამარ მეფის ხიდიდან-წმინდა ნიკოლოზის ეკლესიამდე); გარემოს ეროვნული სააგენტოს მიმდებარედ; ხეთაგუროვის ქუჩა; მარცხენა სანაპიროდან ზაარბრუკენის მოედანზე ასასვლელი პანდუსი; მარჯანიშვილის ქუჩა; ბარათაშვილის ხიდის მიმდებარედ (ვისოლის ბ/გ სადგურთან); ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორია; სანაპიროზე თავდაცვის სამინისტროსთან; აღმაშენებლის გამზირი ძველი ფოსტის შიდა ეზო; მარცხენა სანაპირო თავდაცვის სამინისტროსთან ასასვლელის მიმდებარედ; აღმაშენებლის გამზირის მიერთებები.

ვაკის რაიონში შეკეთდა 16 232 კვ.მ ფართის ქუჩები: მარუხის ქუჩა; აბაშიძის ქუჩა; ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი; ნუცუბიძის მე-3 მ/რ მაჭავარიანის ქუჩის ასასვლელთან; ქავთარაძის და ვაჟა ფშაველას ქუჩების დამაკავშირებალი გზა (მე-7 კვარტალი 22 კორპ. მიმდებარედ); ნუცუბიძის მე-2 და მე-4 მ/რ ამსვლელი გზა; ქავთარაძის ქუჩა; ატენის ქუჩა; უნივერსიტეტის ქუჩა; ჭავჭავაძის ქუჩა; მოსაშვილის ქუჩა; ბერძენიშვილისა და ფალიაშვილის ქუჩების კვეთა; ვაჟა-ფშაველას მე-2 კვარტალი; შატბერაშვილის ქუჩა; რაზმაძის ქუჩა; რამიშვილის ქუჩა; მინდელის ქუჩა; არაყიშვილის ქუჩა; მრგვალი ბაღის მიმდებარედ; წყნეთი, კაბელების დასახლება; ვაჟა-ფშაველას გამზირი (ძეგლის მიმდებარედ); ნუცუბიძის პლატო, მე-3 მ/რ; ჭავჭავაძის გამზირი; მზიურის ბაღის მიმდებარე ტერიტორია; წყნეთის გზატკეცილის მიერთება; პედაგოგთა გადამზადების ცენტრის ეზო; ქავთარაძის ქუჩა; ვაჟა ფშაველას გამზირი 55-ა (ტროტუარი); ვაჟა ფშაველას გამზირი "დონ ჩიჩო"-ს მიმდებარედ; ჟღენტის ქუჩა.

საბურთალოს რაიონში შეკეთდა 13 945 კვ.მ ფართის ქუჩები: საირმის ქუჩა; აღმაშენებლის ხეივანი; ბალანჩივაძის ქუჩა; ვაშლიჯვარი, გოძიაშვილის ქუჩა; თამარაშვილის ქუჩა; შარტავას ქუჩა; გოთუას ქუჩა; დიმიტრი თავდადებულის N45-ის მიმდებარედ; მაჭავარიანის და გოძიაშვილის ქუჩების კვეთა; ვარაზის ხევზე ამსვლელი ესტაკადის პანდუსის ქვეშ; იოსებიძის ქუჩა; პეკინის ქუჩა; დ. გამრეკელისა და ბახტრიონის ქუჩების კვეთა; ვაჟა-ფშაველას გამზირი; ცინცაძის

ქუჩა; ცინცაძის ქუჩიდან ბახტრიონზე ამსვლელი გზა; ცინცაძის და დ. გამრეკელის ქუჩების კვეთა; ჩიქოვანის ქუჩა; კოსტავას ქუჩა; ვ. დოლიძის ქუჩა; ჭაბუკიანის ქუჩა; სააკაძის მოედნის მიმდებარედ; ალექსიძის ქუჩა; ასათიანის ქუჩა; ბულაჩაურის ქუჩა; სააკაძის მოედანი; ზოოპარკის მიმდებარედ, ესტაკადის ქვეშ; დოლიძის ქუჩა; 112-ის მიმდებარედ; ზოოპარკის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ; ვერეს ხეობა მიწისქვეშა გადასასვლელის მიმდებარედ; პეკინის გამზირი; საირმის ქუჩის N82-ის მიმდებარედ; ბუდაპეშტის და ტაშკენტის ქუჩების კვეთა; ფარნავაზ მეფის გამზირი; ცესკოს შენობის მიმდებარე ტერიტორია; აღმაშენებლის ხეივანი ,,ბელუქსი“-ს მიმდებარედ.

ისნის რაიონში შეკეთდა 17 071 კვ.მ ფართის ქუჩები: ავლაბრის ქუჩა; სამების ტაძრის მიმდებარედ მისასვლელი გზა და ავტოსადგომი; მესხიშვილის ქუჩა; მეველეს ქუჩა; დავითაიას ქუჩა; წურწუმიას და თელავის ქუჩების კვეთის მიმდებარედ; ს. ყაუხჩიშვილის ქუჩა; სამგორის ქუჩისა და ქეთევან დედოფლის გამზირის კვეთა; გაბრიელ სალოსის ქუჩა; ევროპის მოედანი; ბოგდან ხმელინცკის ქუჩა; მეტეხის გვირაბი; ქეთევან დედოფლის გამზირი; მთისძირის ქუჩა; მოსკოვის გამზირი; მეტეხის ქუჩისა და ფერიცვალების ქუჩის მონაკვეთი; ყვარლის ქუჩა; გონაშვილის ქუჩა; ავლაბრის მეტროს მიმდებარედ საფეხმავლო ხიდთან; ვაზისუბნის მე-2 მიკრო რაიონი, კორპუსი N9-ის მიმდებარედ; ნავთლუხის დასახლების მე-7 ქუჩა; პეტრე-პავლეს სასაფლაოსთან მისასვლელი გზა; იალბუზის ქუჩა სოკარის ოფისის მიმდებარედ; მეტეხის გვირაბის მიმდებარედ ბორდიურების მოწყობა; ავლაბარში ერისთავის ქუჩა N3-ის მიმდებარედ; ავლაბარში ერისთავის ქუჩა N19-ის მიმდებარედ (ტროტუარი); ქეთევან წამებულის გამზირი N77-ის მიმდებარედ; ირბახის ქუჩა N51-ის მიმდებარედ; გაბრიელ სალოსის გამზირი N75-ის მიმდებარედ; იალბუზის ქუჩა N9-ის მიმდებარედ; მიქელაძის ქუჩა; წურწუმიას ქუჩა N51-ის მიმდებარედ; დავითაიას ქუჩა; ვაზისუბნის მე-2 მიკრო რაიონი, 11 კორპუსის მიმდებარედ; მუჯირიშვილის ქუჩა.

სამგორის რაიონში შეკეთდა 27 855 42 კვ.მ ფართის ქუჩები: ფანასკერტელ ციციშვილის ქუჩა; ჩანტლაძის ქუჩა; თრიალეთის ქუჩა; კახეთის გზატკეცილი; სამგორის 28ა კორპუსი (შსს ახალი კორპუსების მიმდებარედ); კაიროს ქუჩა;

მოსკოვის გამზირის და ჯავახეთის ქუჩის კვეთა; ისთ ფოინთის მიმდებარედ; ქინძმარაულის II შესახვევის მონაკვეთი; ვარკეთილის ხიდის პანდუსის მიმდებარდ; ვარკეთილის (დამპალოს) ხიდი; ქართველიშვილის ქუჩა; ვარკეთილის ხიდზე კახეთიდან თბილისის მიმართულებით (დამპალოს ხიდი); სოფელ დიდ ლილოში არსებულ მიუსაფართა თავშესაფართან მისასვლელი გზა; რაჭის ქუჩის მონაკვეთზე (თბილისის ზღვის შემოვლითი გზიდან მეგობრობის I შესახვევამდე); ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა; ქინძმარაულის შესახვევი; კახეთის გზატკეცილი დამხმარე ზოლი, ბ/გ სადგურ ლუკოილის მიმდებარედ; თვალჭრელიძის ქუჩის ქვედა ნაწილი (კახეთის გზატკეცილიდან ქიზიყის ქუჩამდე); შსს-ს მიმდებარე ტერიტორია; კახეთის გზატკეცილი, PSP-ს სააფთიაქო ქსელის სასაწყობო ბაზის მიმდებარედ; ქ. თბილისში, შპს ,,თბილსერვის ჯგუფი“-ს ოფისის შესასვლელის მიმდებარედ; გახოკიძის ქუჩის N115-ის მიმდებარედ; მამისაშვილის ქუჩის N41-ის მიმდებარედ; გახოკიძის ქუჩა (ტრანშეა); ჯავახეთის ქუჩა (ხიდების მიმდებარე ტერიტორია); ჭიჭინაძის ქუჩა; კახეთის გზატკეცილი (საქართველოს გაზის და ნავთობის კორპორაციის მიმდებარედ).

კრწანისის რაიონში შეკეთდა 7 855 კვ.მ ფართის ქუჩები: ქვემო ფონიჭალა გიგანტის გადასახვევთან; გრიშაშვილის ქუჩა; გულუას ქუჩა; გორგასლის ქუჩა; მარჯვენა სანაპირო მშვიდობის ხიდის მიმდებარედ; დაბა წყნეთის და მარნეულის ქუჩების შემაერთებელი გზა; მარჯვენა სანაპირო ბარათაშვილის ხიდის მიმდებარედ.

მთაწმინდის რაიონში შეკეთდა 14 064 კვ.მ ფართის ქუჩები: რ. ლაღიძის ქუჩა; გ. ტაბიძის ქუჩა; ბარნოვის ქუჩა; მშრალი ხიდის ტროტუარი; სანაპირო მშრალი ხიდის მიმდებარედ; ბელინსკის ქუჩა; ორბელიანის მოედანი; გმირთა მოედანი (მატრიოშკას მიმდებარედ); იუსტიციის სახლთან; რუსთაველის გამზირი; პეტრიაშვილი-გოგებაშვილის კვეთა; რჩეულიშვილის ქუჩა; ინგოროყვას ქუჩა; თბილისიდან სოფ. კოჯრის ცენტრამდე მონაკვეთი; ჩაიაკოვსკის ქუჩა; სოფელ შინდისში ჯავახიშვილის ქუჩა; მაყაშვილის აღმართი და ამაღლების ქუჩა; რუსთაველის გამზირი (საბაგიროს ასასვლელის მიმდებარედ გაჩერებასთან).

ბაზალტის წვრილმარცვლოვანი ფრაქციის ნარევის წნევით დამუშავების მეთოდით გზებისა და ქუჩების მიმდინარე შეკეთება ჩატარდა შემდეგ ქუჩებზე, მათ შორის: ალ. ყაზბეგის გამზირი; მარჯანიშვილის ქუჩა; მარნეულის გზატკეცილი; მინდელის ქუჩა; ძოწენიძის ქუჩა; ნუცუბიძის ქუჩა; ორთაჭალჰესის ხიდი; რუსთავის გზატკეცილი; შარტავას ქუჩა; ტეხურას ქუჩა; ვაჟა-ფშაველას გამზირი; ფარნავაზ მეფის ქუჩა; ლეონიძის ქუჩა; მაჩაბელის ქუჩა; ასათიანის ქუჩა; თუმანიანის ქუჩა; პეტრე იბერის ქუჩა; პეტრიწის ქუჩა; შავნაბადას ტერიტორია; არჩილ მეფის ქუჩა; დემეტრე თავდადებულის გამზირი; გორგასლის ქუჩა; გოძიაშვილის ქუჩა; მუხადგვერდის სასაფლაოსთან მისასვლელი გზა; რობაქიძის გამზირი; სარაჯიშვილის ქუჩა; სოფელი დიღომი - დიდგორის ქუჩა; გლდანულასთან მისასვლელი გზა; ცაიშის ქუჩა; თიანეთის გზატკეცილი; მანჯგალაძის ქუჩა; ლიკანის ქუჩა; ლადო ალექსი-მესხიშვილის ქუჩა; ზაქარიას ქუჩა; პეკინის გამზირი; ქერჩის ქუჩა; ურიდიას ქუჩა; გობრონიძის ქუჩა; შეშელიძის ქუჩა; როსტოვის ქუჩა; უზნაძის ქუჩა; ხიზანიშვილის ქუჩა; ისაკიანის ქუჩა; სარაჯიშვილის გამზირი და ხიდის პანდუსები; ლიბანის ქუჩა; ანდრონიკაშვილის ქუჩა; ახვლედიანის ხევი; გუმათის ქუჩა; ცხრა ძმის ქუჩა; დამპალოს სასაფლაოსთან მისასვლელი გზა; საბურთალოს სასაფლაოსთან მისასვლელი გზა; ქვლივიძის ქუჩა; ლებარდეს ქუჩა; სალხინოს ქუჩა; ბოდავის ქუჩა; ართვინის ქუჩა; მამარდაშვილის ქუჩა; სენაკის ქუჩა; ასხინის ქუჩა; სამურზაყანოს ქუჩა; ქვალონის ქუჩა; ამაღლების ქუჩა; წავკისი-აღმაშენებლის და რუსთაველის ქუჩები; შინდისი, ბარათაშვილის ქუჩა; ტაბახმელა, თამარ მეფის ქუჩა; კოჯორი, ორბელიანის ქუჩა; კუს ტბასთან მისასვლელი გზა; გმირ კურსანტთა ქუჩა; ფარნავაზ მეფის გამზირი (ახლად გაჩენილი ორმოები); მ. კოსტავას ქუჩის მონაკვეთი 26 მაისის მოედნის მიმდებარედ; ყირიმის ქუჩა; თეკლათის ქუჩა; კონსტიტუციის ქუჩა; კლდიაშვილის ქუჩა; ნორიოს აღმართი; გარდაბნის გზატკეცილი; მოსკოვის გამზირი; ტოლსტონოგოვის ქუჩა; ასპინძის შესახვევი; აწყურის ქუჩა; კასპის ქუჩა; გახოკიძის ქუჩა; ვაჟა ივერიელის ქუჩა; აფხაზეთის I შესახვევი; ჩეჩელაშვილის I ჩიხი; თამარაშენის ქუჩა; ასპინძის ქუჩა; ფალიაშვილის ქუჩა; ი. აბაშიძის ქუჩა; ალექსიძის ქუჩა; ჯავახეთის ქუჩა და ჯავახეთის ხიდის პანდუსები; ს. თაყაიშვილის ქუჩა; ერთიანობისთვის მებრძოლთა

ქუჩა; ბარნოვის ქუჩა; კახეთის გზატკეცილი; ჭავჭავაძის გამზირი; შროშის ქუჩა; ქიქოძის ქუჩა; მაყაშვილის ქუჩა; ტატიშვილის ქუჩა; თარხნიშვილის ქუჩა; წერეთლის ქუჩა; ქეთევან წამებულის გამზირი; აბასთუმანის ქუჩა; გვეტაძის ქუჩა; ფეიქრების ქუჩა; ზურაბიშვილის ქუჩა; წურწუმიას ქუჩა; ირბახის ქუჩა; რადიანის ქუჩა; 26 მაისის მოედანი; წინამძღვრიშვილის ქუჩა; ნონეშვილის ქუჩა; დუმბაძის ქუჩა; მაზნიაშვილის ქუჩა; ბოჭორმის ქუჩა; სამგორის რაიონის გამგეობის ეზო; მირიან მეფის გამზირი; ჯავახიშვილის ქუჩა; ლ. ელიავას ქუჩა; ხიზანიშვილის ქუჩა; შეშელიძის ქუჩა; ურეკის ქუჩა; თელავის ქუჩა; წინანდლის ქუჩა; სამგორის ქუჩა; კახეთის გზატკეცილი დამხმარე ზოლი; კავსაძის ქუჩა; ბერძენიშვილის ქუჩა; უნივერსიტეტის ქუჩა; საბურთალოს სასაფლაოსთან მისასვლელი გზა; სანდრო ეულის ქუჩა; ჭიჭინაძის ქუჩა; ქინძმარაულის ქუჩა; ზღვა-ვარკეთილის მეურნეობასთან დამაკავშირებელი გზა; იუმაშევის ქუჩა; საექიმოს ქუჩა; მეფრინველეთა ქუჩა; წყნეთის ქუჩა; კეკელიძის ქუჩა; ჟვანიას ქუჩა; მანჯგალაძის ქუჩა; ზესტაფონის ქუჩა; ბეჟანიშვილის ქუჩა; ლერმონტოვის ქუჩა; ბაქრაძის ქუჩა; საჯაიას ქუჩა; სულიკო ხაბეიშვილის ქუჩა; ლიახვის ქუჩა; პეტრე იბერის ქუჩა; ფარნავაზ მეფის გამზირი; ვაჟა ფშაველას III შესახვევი; ბაგები დოლიძის ქუჩა; წმინდა ვახტანგ III ქ; ორთაჭალჰესის ხიდი; დიდი ლილოს გზა; ჩიქობავას ქუჩა; ივ. ჯავახიშვილის ქუჩა; ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩა; ქერჩის ქუჩა; თიანეთის გზატკეცილი; ჩუბინაშვილის ქუჩა; ნინოშვილის ქუჩა (ფოცხვერიშვილი-კონსტიტუცია); გოგოლის ქუჩა; გ. დოლიძის ქუჩა; ქვლივიძის შესახვევი; მარნეულის გზატკეცილი; წყნეთი ამილახვრის ქუჩა; ბუაჩიძის ქუჩა; ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორია; წინანდლის ქუჩა საავადმყოფოების მიმდებარე ტერიტორიები; მახათას აღმართი; ქიზიყის ქუჩა; ენუქიძის ქუჩა; "თბილსერვისი" "პეპელა"-ს დამაკავშირებელი გზის მონაკვეთი; მხატვრის ქუჩა; მუხადგვერდის სასაფლაოსთან მისასვლელი გზა; ქუთათელაძის ქუჩა; ნორიოს აღმართი; სოფელი კიკეთის გზა; ჭიჭინაძის ქუჩა (ლუბლიანა-ბელიაშვილი); ათონელის ქუჩა; ქართველიშვილის ქუჩა; ანდრონიკაშვილის ქუჩა; გლდანის ხევის ქ (გლდანულა); ლიბანის ქუჩა; მოსულიშვილის ქუჩა; თავაძის ქუჩა; ჩანტლაძის ქუჩა; სარაჯიშვილის ქუჩა; მიჩურინის ქუჩა; უფლისციხის ქუჩა; სოფელი დიღომი-

გიორგი ბრწყინვალეს (ვაშაძის) ქუჩა; ლილოს დასახლება ჭირნახულის ქუჩა; მეფრინველეობის I,II,III,IV ჩიხი და ქუჩა; სტურუას ქუჩა; აფხაზავას ჩიხი და ქუჩა; ნამორაძის შესახვევი და ქუჩა; გოკიელის ქუჩა; სოფელი ნასაგური; ავტოსადგურ "ოკრიბას" მიმდებარე ტერიტორია; ბალანჩივაძის ქუჩა; კრწანისის ქუჩა; ფშავის ქუჩა; სამრეკლოს ქუჩა; ახალუბნის ქუჩა; ცაიშის ქუჩა; აბასთუმნის ქუჩა; წერეთლის გამზირი; რუსთავის გზატკეცილი; დოლიძის ქუჩა; ელდარის ქუჩა; იოსელიანის ქუჩა; ჯავახეთის ქუჩა; კალოუბნის ქუჩა; საცხენისის ქუჩა; შუამთის ქუჩა; კაკაბეთის ქუჩა; დურმიშიძის ქუჩა; წალენჯიხის ქუჩა; მიქელიძის ქუჩა; მელაანის 5 ჩიხი; ბელიაშვილის ქუჩა; ლესელიძის ქუჩა; მიქატაძის ქუჩა; ჩკალოვის ქუჩა; ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩა 147 მიმდებარედ და V შესახვევი; რთველაძის ქუჩა; გ. ნადარეიშვილის ქუჩა; დავითაიას ქუჩა; ვაზისუბნის Iმ/რ; IIმ/რ; IIIმ/რ; კვაჭანტირაძის ქუჩა; წულუკიძის ქუჩა; ორბელების ქუჩა; დ. უზნაძის ქუჩა; ანთიმოზ ივერიელის ქუჩა; კახეთის გზატკეცილი N 17 და 36ა კორპუსების მიმდებარედ; ონაშვილის ქუჩა; წულუკიძის N4 შესახვევი 3-5-7 კორპუსების მიმდებარედ; ზანდუკელის ქუჩა; გულიას ქუჩა; გულიას ქუჩა დამატებითი ზოლი; III ხეივნის ქუჩა; რუსთავის გზატკეცილი N19; N42; N44-ის მიმდებარედ; ც. დადიანის გამზირი; ლუბოვსკაის ქუჩა; ახტალას ქუჩა; ამირეჯიბის ქუჩა; რატილის ქუჩა; ფეიქრების ქუჩა; სარაჯიშვილის გამზირი; კობცოვის ქუჩა; უშაკოვის ქუჩა; შირაქის ქუჩა; გარე კახეთის ქუჩა; აწყურის ქუჩა; ზურაბიშვილის ქუჩა; კოშკოვანის ქუჩა; ცუცხვათის ქუჩა; გურჯაანის ქუჩა და I ჩიხი; ფაღავას ქუჩა; არმაზის ქუჩა; დუშეთის ქუჩა; მთავარანგელოზის ქუჩა; საინგილოს მე-5 ჩიხი; ქურხულის ქუჩა; ფოსტის ქუჩა; გუთნის ქუჩა და I ჩიხი; ჟორდანიას ქუჩა N21 და N29 მიმდებარედ გზაზე გასასვლელი; ფონიჭალა 3 (ზემო ფონიჭალა) N14; N19; N22; N23 კორპუსების მიმდებარედ; ვარკეთილის დასახლება (სკოლასთან, ბაღთან, საარჩევნო უბნებთან); ალექსეევკის დასახლება-ხვედელიანის ქუჩა, ვარკეთილის მეურნეობა გუდამაყრის ქუჩა; ვაჟა-ფშაველას ქუჩა; ი. ჭავჭავაძის ქუჩა; ა. წერეთლის ქუჩა; აეროპორტის დასახლება; თამარაშენის ქუჩა; ჩეჩელაშვილის ქუჩა; ვ. ბერიძის ქუჩა; ვარკეთილი IV, მე2 რიგი, N163-ე ბაგა ბაღთან; ორხევის დასახლება ზემო ალექსეევკა; კოსტავას ქუჩა; პეკინის გამზირი; ჭავჭავაძის გამზირი N 11-ის მიმდებარედ; ქავთარაძის ქუჩა;

ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩა; იყალთოს მთა; სოფ. პატარა ლილო, დავით აღმაშენებლის ქუჩა; კახეთის გზატკეცილი; მარცხენა სანაპირო; ისაკაძის ქუჩა; ქეთევან წამებულის გამზირი; ბარათაშვილის ქუჩა; ბალანჩივაძეების ქუჩა; დავით აღმაშენებლის ხეივანი; მესხიას ქუჩა; ა. წერეთლის გამზირი N 110-ის მიმდებარედ; წინამძღვრიშვილის და ბორჯომის ქუჩის მიმდებარედ; ლ. ასათიანის ქუჩა; ა. მიცკევიჩის ქუჩა; ი. ჭავჭავაძის გამზირი; მ. კოსტავას N45 და N47; გოძიაშვილის და სარაჯიშვილის ქუჩების კვეთა; ფარნავაზ მეფის გამზირის, დემეტრე თავდადებულის ქუჩების და მუხათგვერდის სასაფლაოს გზის მიმდებარე მოედანი.

გზებზე ქვაფენილის მოწყობის სამუშაოები განხორციელდა შემდეგ ქუჩებზე: ვარაზისხევის ქუჩა; მუხრანის ქუჩა; აწყურის ქუჩა; დავით აღმაშენებლის გამზირი; თ. რაზიკაშვილის ქუჩა; დოლიძის ქუჩა; ღრმაღელეს ქუჩა; მირცხულავას ქუჩა; ვეშაპურის ქუჩა; მიჩურინის ქუჩა; ბეჟანიშვილის ქუჩა; ჟღენტის ქუჩა; ლოტკინის მთის ქუჩა; მესხის ქუჩა; მელაანის N3 ჩიხის მონაკვეთი; ვარდების რევოლუციის მოედანი; ალ. ჭავჭავაძის ქუჩა; ჩიტაძის ქუჩა; ინგოროყვა-ლეონიძის ქუჩების კვეთა.

ტროტუარი მოეწყო შემდეგ ქუჩებზე: ფოცხვერაშვილის ქუჩა; მესხიშვილის ქუჩა; ბაგები; მარშალ გელოვანის და სარაჯიშვილის კვეთა; მარატ ნოზაძეს ქუჩა; ასათიანის ქუჩა; წერნაკის ქუჩა; ს. ჩიქოვანის ქუჩა; იუსტიციის სახლიდან მშრალ ხიდზე ამსვლელი პანდუსი; თამარ მეფის გამზირი.

გზის მოხრეშვის სამუშაოები ჩატარდა შემდეგ ქუჩებზე: წყნეთი-ახალდაბის გზა; 26 მაისის ქუჩისა და ზნაკვის ქუჩის მონაკვეთი; დუმბაძის ქუჩა; ავშნის ქუჩა; ბანძელაძის ქუჩა; გულანშაროს ქუჩა; შეყელაშვილის ქუჩა; რენე შმერლინგის და ლევან რჩეულიშვილის ქუჩები; სარგის კაკაბაძის ქუჩა; შკოდას ცენტრის უკან არსებული გზა; ივერთუბანში ცენტრალური ქუჩა; მუხიანის აგარაკებზე, საზანოს ქუჩა; სოფელ ძველ ვეძისთან მისასვლელი გზა; კოჯრის საავტომობილო გზიდან ჩერონის გზის (გადასახვევი) მოწყობა; სოფ. წავკისში, ამაღლების ქუჩის მიერთებაზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ახალი და რეაბილიტირებული გზების რაოდენობა და ფართობი - 52 ქუჩაზე გზების კაპიტალური შეკეთება 530 451 კვ.მ, 244 ქუჩაზე გზების მიმდინარე (ორმოული

შეკეთება 179 166 კვ.მ; 19 ქუჩაზე ქვაფენილით მოწყობის სამუშაოები 1 908 კვ.მ; 311 ქუჩაზე ბაზალტის წვრილმარცვლოვანი ფრაქციის ნარევის წნევით დამუშავების მეთოდით გზებისა და ქუჩების მიმდინარე შეკეთება 50 000 კვ.მ; 15 ქუჩზე გზების მოხრეშვის სამუშაოები 70 181 კვ.მ; 10 ქუჩაზე მოწყობილი ტროტუარი 5 760 კვ.მ; დედაქალაქის I, II და III კატეგორიის გზების ტექნიკური პარამეტრების (სიმტკიცე, სისწორე, ცვეთა, ხორკლიანობა, სანიაღვრეები) 95%-მდე დაკმაყოფილება.

01 01 08 გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა - 4,920.0 ათასი ლარი დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი რაიონის შიდა საუბნო ქუჩები და მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის ეზოები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში თანხები გადარიცხულია სარეაბილიტაციო ობიექტების ეტაპების (გრუნტის მოჭრა-მოსწორება, ბორდიურების, ბეტონის საფარის მოწყობა და სხვა) ღირებულების ასანაზღაურებლად. დასრულებული ობიექტებია: ანდრონიკაშვილის ქუჩის მონაკვეთი (სხვიტორის ქ. N5-7–ის მიმდებარედ), ზაჰესი, ავჭალის გზატკეცილი, ავჭალის ქ.N1–ის მიმდებარედ გზის მონაკვეთი, ქერჩის ქუჩის მონაკვეთი და ქერჩის ქუჩა N1- N2-ის შესასვლელთან; ვასაძის ქუჩის მონაკვეთი, გლდანის ა მ/რ კორპ. N53-ის და კორპ. N1-2-ის შესასვლელთან; გლდანის 3 მ/რ კორპ. N79-N85-ის შორის გზის მონაკვეთი. გლდანის 3 მ/რ კორპ N3ა–N3ბ–ს მიმდებარედ გზის მონაკვეთი (N39 ს/სკოლის ზედა მხარეს), გლდანის ხევი -2-2ა; წითელი გაჩერება; გლდანის I მ/რ კორპუსი N2ბ; N2- N3ა; N20ა; N22- N22ა; N23; გლდანის მე-I-ე მ/რ ნოზაძის ქუჩა; გლდანის მე-II-ე მ/რ კორპუსი N28; N32; N39; N43; N45-ის მიმდებარედ; N32-33-ს; N37-38-ს შორის; გლდანის მე-III-ე მ/რ კორპუსი N79-N85-ის შორის გზის მონაკვეთი, გლდანის მე-III-ე მ/რ კორპ. N72; N73-ის მიმდებარედ; გლდანის მე-III-ე მ/რ კორპ. N10; გლდანის მე-III-ე მ/რ კორპ. N1-ის ეზო; გლდანის მე-III-ე მ/რ კორპ. N68-68-ბ; N3ა დან-N15მდე; გლდანის მე-III-ე მ/რ კორპ. N85-76; გლდანის 3ა მ/რ კორპ. N21;

N22; N23; N24-ის მიმდებარედ; გლდანის მე-IV მ/რ კორპ. N96ბ დან N101 კორპუსამდე; გლდანის მე-IV მ/რ N92ბ; N93ა; N96ა; N97; N113; გლდანის მე- IV-VI-ე მ/რ-ების დამაკავშირებელი გზის მონაკვეთი კორპ. N92-დან N105-მდე, გლდანის მე-V მ/რ კორპ. N3- N4; N6; N9ა; N10; N11; N14; N18-ის მიმდებარედ; გლდანის მე-VI-ე მ/რ კორპ. N23-ის წინა ეზო; გლდანის მე-VI-ე მ/რ კორპ. N3; N22; N23; N26;-უკან; გლდანის VI მ/რ კორპ. N29- N30 შორის გზის მონაკვეთი; N9-დან- N14-მდე; გლდანის მე-VII მ/რ კორპ. N9ა-ს მიმდებარედ (ე.წ. ბროწეულის სკვერში; ბროწეულის სკვერის მიმდებარედ); გლდანის მე-VII მ/რ N2; N4ა; N12; N18; N20-ის მიმდებარედ; გლდანის მე-VII მ/რ კორპუსი N19-ის მისასვლელი გზა; გლდანის VIII მ/რ კორპ. N7; N23; N27-23; მუხიანი I მ/რ 174-ე საჯარო სკოლასთან; მუხიანი I მ/რ კორპუსი N2- N3; N10- N13; მუხიანი მე-II მ/რ კორპუსი N5; N10; N5- N8-ს შორის; N16- N17; მუხიანი მე-II მ/რ კორპუსი N22 თან; მუხიანი მე-II მ/რ კორპუსი N8 დან N18-მდე (ნონეშვილიდან დუმბაძემდე); მუხიანი მე-III მ/რ კორპუსი N5- 6- 7; N10; N15; N16; N15- N16; N19- N17; N20- N21; N1- N2- N5; N10; N7- N11. მუხიანი მე-IVა მ/რ კორპუსი N1-2; N3; მუხიანი მე-IVა მ/რ კორპუსი N5-8-9-10-11; N16; N16ა; N17; N18; მუხიანი მე-IVბ მ/რ კორპ. N29; N35; N39- N40- N41 მისასვლელი გზა და ეზო; მუხიანი მე-IVბ მ/რ კორპუსი N34; N33- N34; N37; N42; N42- N44-ს შორის; მუხიანი მე-IVბ N27- 28- 40; N33- 36; ილორის ქ. N3- N5; N14; ილორის N20- N22; ილორის ქ. N9-11-ის წინ; ზარზმის ქ. N5-დან N9-მდე გზის მონაკვეთი; ზარზმის ქ. N3 და კორპ. N11 წინ; წყალსადენის ქუჩა N1ა- N2ბ- N4; წყალსადენის ქუჩა N7; 26 მაისის ქუჩის მონაკვეთი; 26 მაისის ქუჩა გზაჯვარედინი 47; თიანეთის გზატკეცილიდან გლდანის ხევამდე საგზაო მონაკვეთი; მაისურაძის ქუჩა; ენერგეტიკოსების N7-8-9; მშვიდობის ქუჩის I შესახვევი; კანდელაკის ქუჩა; სარაჯიშვილის ქ. N8 წინა და უკანა ეზოები; სარაჯიშვილის ქ. N11; ქერჩის ქ. N12; მორეტის II შესახვევი.

ჩატარდა გზის საფარის მოხრეშვის სამუშაოები შემდეგ მისამართებზე: ხორავას; სვანეთის; მონასტრის ქუჩა; ტაძრის ქუჩა; ტაბიძის ქუჩა; ავჭალა-2, ბორის პაიჭაძის ქუჩის მონაკვეთი; ავჭალა -2 ბორის პაიჭაძის ქუჩიდან; ც. დადიანის და ვ. დარასელიას მონაკვეთი და ავჭალა-2 სვანეთის ქუჩიდან ერეკლე მე-2 შესახვევამდე გზის მონაკვეთი. ჩატარდა ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები: გაზების

დასახლება - გუდიაშვილის; ჯავახეთის; ც. დადიანის და ვარდისუბნის ქუჩები და ხარჯი გაწეულია გზების დეფექტური აქტების შესყიდვაზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: დაიგო 110309კვ.მ. ასფალტის საფარი; ჩატარდა 14036,53კვ.მ გზების მოხრეშვის სამუშაოები; მოეწყო 5757კვ.მ ბეტონის საფარი.

01 01 09 გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 3,477.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი რაიონის შიდა საუბნო ქუჩები და მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სამუშაოები შესრულდა შემდეგ მისამართებზე: უიარაღოს I, II, III ქუჩაზე; ბუგეულის ქუჩა; მანჯგალაძის ქ. I-შესახვევი; ლოტკინის მთის ქუჩა; ინანიშვილის ქუჩა; ცქიტიშვილის ქუჩა; დაისის I და II-შესახვევი; ღრმაღელის I-შესახვევი; გვაზაურის ქ. I-ჩიხი; გვაზაურის II-ჩიხი; არბოს ქ. N2 (კორპუსების შიგნით); გუდამაყრის ქუჩა; ბოგვის ქუჩა; გზის სავალ ნაწილზე ჩატარდა 26722.76 კვ.მ ასფალტის საფარის დაზიანებული ნაწილის ფრაგმენტული შეკეთების სამუშაოები; შეკეთდა: 1619.4 კვ.მ ტროტუარი; 2553 გრძივი მეტრი ბორდიური. სამუშაოები შესრულდა შემდეგ მისამართებზე: ზღვის უბნის მე-11მ/რ, 1 კვ. მე-2 და მე-3 კორპ. ეზო; მე-2კვ. კორპ. 22ა-ს ეზო; ზღვის უბნის მე-3მ/რ, მე-3 კვ.კორპ. 43-ს მიმდებარე ტერირორია; თემქის მე-11მ/რ 1კვ N7ა,N10 და N11-N13 კორპუსებს შორის გამავალი გზა; ბოგვის ქუჩის (ზედა ნაწილი); ხევძმარის ქ.N32; სანზონა მე-10 კორპუსსა და 32-ე სკოლას შორის; სანზონა მე-12,13,14 კორპუსების მიმდებარედ და ღრმაღელის N88-სთან; იმერეთის ქ. მონაკვეთის ასფალტ-ბეტონის მოწყობის სამუშაოები; ვასილ თამარაშვილის ქუჩის მონაკვეთი; დ. გურამიშვილის გამზირი N70 მიმდებარედ; ისაკიანის და გობრონიძის ქუჩების კვეთა; იმერეთის ქ.N56-ის და ჯანელიძის ქუჩების ორმოულები; მანჯგალაძის ქ. ფრაგმენტული (ორმოული) შეკეთება; ც. დადიანის

მე-2მ/რ კორპ. N2 დაN3 შორის (სკვერის მიმდებარედ) ტროტუარი; ც. დადიანის კორპ. N34 კორპუსის ეზო; ა. ქართველიშვილის ქ. (მონაკვეთი); ზედამზის 1 შესახვევი - ტროტუარები; თემქა მე-4 მ/რ, მე-2 კორპუსი; გურამიშვილის N17 (საქ.ტექნიკური უნივერსიტეტის წინ); დადიანის ქ. N134-ის მიმდებარედ (ტროტუარი); დადიანის ქ. N141 (სვანეთისა და დადიანის ქუჩების გადაკვეთა); დადიანის ქ. N34, მე-15 ეზო; ზედამზის 1 შესახვევი; ლეჩხუმისა და მანჯგალაძის ქ. კვეთაზე ტროტუარი; თემქა მე-4მ/რ, 3გ კორპუსის ეზო; სანზონა N20ა კორპუსთან გამავალი გზა; სვანეთის ქუჩა; ჭოპორტის ქუჩა; სააკაძის ქუჩა; თემქა მე-4 მ/რ, N5ა კორპუსის მიმდებარედ; ვარდისუბნის ქ. N20-თან; მეტრო ღრმაღელის მ/ტ; ზღვის უბნის მე-3 მ/რ. 10-16კორპ. მ/ტ; რომელაშვილის ქუჩა; ზღვის უბნის მე-11კვ. N46 მ/ტ; რჩეულიშვილის ქ. N10 მ/ტ; ერისთავის ჩიხი; შატილის ქ. N7 მ/ტ; ზღვის უბნის მე-11მ/რ, 1 კვ. 7კ. მ/ტ; ზღვის უბნის მე-11მ/რ, 5 კვ. 14-16 კ. მ/ტ; ერწოს ქ. N10 მ/ტ; დეპოს ქუჩა; ზედაზენის ქ. N4 მ/ტ; ქვიშხეთის ქ. N4 და N14 მ/ტ; ზღვის უბნის მე-4მ/რ. N8 კორპ. მ/ტ; ზღვის უბნის მე-11მ/რ, 2 კვ. N26-27-34კ. მ/ტ; სააკაძის ქუჩა (სკოლასთან, N98-121; სვანეთის ქუჩის გადაკვეთა); ზღვის უბნის მე-11მ/რ, 3 კვ. N50-56კ. მ/ტ; წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის შესასვლელი; ცოდნისკარის ქუჩა; მანჯგალაძის ქუჩა და მანჯგალაძის მე-2 შესახვევი; ზღვის უბნის მე-4მ/რ. N2კორპ. ეზოს უკანა ნაწილი; ზღვის უბნის მე-4მ/რ. N1კორპ. ეზო; სააკაძის ქუჩა N25 მ/ტ ტროტუარი; ზღვის უბნის მე-11მ/რ, 3 კვ. N50; მანჯგალაძის ქუჩა N80-88 ტროტუარი; გვაზაურის ქუჩის. ფრაგმენტული (ორმოული) შეკეთება. შესრულდა ასფალტისა და ქვაფენილის საფარიანი გზების შეკეთებისა და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტებისა (59 ობიექტი) და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (22 ობიექტი) შედგენის მომსახურება;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარდა 13 ქუჩაზე გზის სავალი ნაწილის, ასფალტის საფარის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები 35944 კვ.მ; 26723 კვ.მ გზის მიმდინარე (ორმოული) შეკეთების სამუშაოები 56 ქუჩაზე; 20 ქუჩაზე რეაბილიტირებული 9287,5 კვ.მ ტროტუარი; 28 ქუჩაზე რეაბილიტირებული 6980 გრძივი მეტრი ბორდიური; კაპიტალურად შეკეთებული 943,5 გრძივი მეტრი სანიაღვრე ქსელი.

01 01 10 გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 4,034.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ქუჩები, შიდა კვარტალური გზები და შიდა ეზოები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შიდაკვარტალური გზებისა და საცხოვრებელი სახლის ეზოებში ასფალტის საფარის დაგების სამუშაოები: დ/მ 4 კვ. გოგიბერიძის ქუჩა; გორის ქუჩა N4; 15; 28; 30; 32; ბათუმის ქუჩა N2, N12-ის წინ; დ/მ 3 კვ. კორპ. N 11-12; დ/მ 5კვ. კორპ. N2 და N17 კორპუსის ეზო; აკ.წერეთლის გამზ. კორპ. N9, 58, 77ა, 77ბ, 128, დ/მ ახმეტელის ქუჩა; დ/მ 6 კვარტალი კორპ. N14; მეტრეველის ქ.N11; მაიაკოვკის ქუჩა; დ/მ I კვარტალი N1ა; N2ა; N6; N11; კორპუსები; დ/მ I კვ. N 2ა და N2ბ კორპ. ეზო; დ/მ II კვარტალი N2; N91 კორპუსები და დ/მ II კვარტალი N8-10 კორპუსების ეზო; დ/მ III კვარტალი N26-დან N32 კორპუსამდე; წინამძღვრიშვილის ქ. N137ა; დ/მ VI კვარტალი N21-ე კორპუსი; დ/მ IV კვ. N15 კორპუსის ეზო; დ/მ V კვარტალი N24 კორპ. და N140-ე სკოლის მიმდებარე ეზო; შალიკაშვილის სახელობის ხიდის მიმდებარედ მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს პანდუსზე შესასვლელ ტერიტორიაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა; დ/მ III კვ. N30-ე კორპუსი; წყალტუბოს ქ.N15; N13-ის ეზო; ლუბლიანას ქ.N34; თამარ მეფის გამზ. N22 ეზო; ვ. ბაგრატონის ქ.N5 ეზო; ცემის ქუჩა; ჩალაძის ქუჩა; დ/მ V კვ. კორპ. N2; N3; N4; N5; N15; N17; N20; N 21; N23; N23ბ; N24; N25ა ეზო; სამტრედიის ქ. N3ა, N51, N140-ე სკოლის მიმდებარედ ეზო; დ/მ III კვ. კორპ. N30, N20; დ/მ III კვ. N13-14-ე კორპ. ეზო; ქურდიანის ქუჩა N2; მირცხულავას ქ. N3ა და N3ბ; მირცხულავას ქ. N16; ლუბლიანას ქ N42, N34; აგლაძის ქ.N67; ხოშარაულის ქ.N29; წერეთლის გამზ. N2, N8, N13, N49, N51 და 51ა, N55-55ა, N63ა, N101; აკ.წერეთლის გამზ. N95; N99 ეზო; დ/მ II კვ. კორპ. N11, N9-9ა; დ/მ II კვ. კორპ. N5ა-5ბ; დ/მ IV კვ. კორპ. N4-5 მისასვლელი გზა; დ/მ IV კვ. კორპ N14 ეზო; ბაგრატიონის ქ. N67; თ. მღვდლის ქ. N32; ბათუმის ქუჩა; დ/მ VI კვ. კორპ N12 ეზო; დ/მ 2 კვ. კორპ. N2, N6ა-6ბ, N13, N15-16 ეზო; მაიაკოვკის ქუჩა N7; დ/მ III კვ. კორპ

N33 ეზო; აღმაშენებლის ქ. N195; ვანის ქ. კორპ. N4 ეზო; დ/მ VI კვ. კორპ N5ა. ეზო; თ. მღვდლის ქ. N5 ეზო; ლუბლიანას ქ.N11 და N11ა ეზო; ლუბლიანას N2 ჩიხი; აგლაძის ქ.N39ა ეზო; დ/მ I კვ. კორპ. N14ა ეზო; დ/მ VI კვ. კორპ. N7, N11, N12, N23ბ, N22ბ, N19, N18, N21 ეზო; ფიფიას ქუჩა; ფიფიების ქუჩა N15 ეზო; ბელიაშვილის ქ N 12ა; ქუთაისის ჩიხი; ქუთაისის ქუჩა N22 ეზო; ყიფიანის ქუჩა N20; ზუგდიდის ქუჩა; სამტრედიის ქ.N2, N4ა კორპუსის ეზო; მიქელაძის ქუჩა; იუნკერ მიხეილ იოსელიანის ქუჩა; პაიჭაძის ქუჩა N1. დაფინანსდა ფოთის, ევდოშვილის, იამანიძის, დ/მ III კვ. N39-ე კორპუსიდან N33 კორპუსამდე, ქუჩების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; დაფინანსდა დიდუბის რაიონის ტერიტორიაზე ჩასატარებელი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციისა და დეფექტური აქტების ანალიზის, ტექნიკური ზედამხედველობი და ხარჯი გაიწია დიდუბის რაიონის ტერიტორიაზე (გორის შესახ. და იამანიძის ქუჩა) ქუჩის კაპიტალურად შეკეთების სამუშაოების, პროექტებისა და ხარჯთააღრიცხვების შედგენაზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარდა 107745 კვ.მ ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოები 118 მისამართზე.

01 01 11 გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გაგეობა

2016 წლის გეგმა 3,015.0 ათასი ლარი დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონის ტერიტორიაზე ტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილება; რაიონში არსებული გზების საფარის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში შენარჩუნება-გაუმჯობესება; მოწესრიგებული ქუჩები, მოედნები და ეზოები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში შეკეთდა ეზოები და შიდაკვარტალური გზები შემდეგ მისამართებზე: ნინოშვილის ქ; მამარდაშვილის ქ; ჯაბაურის ქ; ბენაშვილის ქ; თეთნულდის ქ; ზაზიაშვილის მე-3 შეს; 9 ძმის ქ; ტყეკულტურის ქ; არგვეთის ქ; ჩუბინაშვილის ქ; ფოცხვერაშვილის ქ; ახვლედიანის ხევი; ზაზიაშვილის ქ; გედევანიშვილის ქ; მარუაშვილის ქ; ს. ქურდიანის ქ; ს.

ქურდიანის ჩიხი; ახვლედიანის ჩიხი; ტოვსტონოგოვის ქ; უ.ჩხეიძის ქ; ციმაკურიძის ქ; სულიაშვილის ქ; დიდხევის დაღმართი; ოსიაურის ჩიხი; მაზნიაშვილის ქ; კონსტიტუციის ქ; მამრაძის ქ; მეუნარგიას ქ; გაბისკირიას ქ; სამრეკლოს მე-2 შესახ; აჭარის ქ; ვერხანის ქ; ვერხანის შესახ; ბუხაიძის 1 შესახ; არაგვისპირელის ქ; არაგვისპირელის შესახ; ქვლივიძის ქ; გოცირიძის ქ; ტ.გრანელის ქ; დავითაშვილის ქ; ბენაშვილის ჩიხი; პ.სააკაძის ქ; ძეგამის ქ.; ძეგამის ჩიხი; გუმათის ქ; სალიას ქ; ბერიაშვილის ქ; ახალციხის ქ; მარჯანიშვილის ქ; მარჯანიშვილის შესახ;გ.დოლიძის ქ; კლდიაშვილის ქ; აჯამეთის ქ; ანაკლიის ქ; კუმისის ქ; კ. აბაშიძის ქ; კანკავას ქ; ჩაისუბნის ჩიხი;ბერიაშვილის ქ; მ.ჯავახიშვილის ქ.N64ა, 69, 71ა; თოიძის ქ.N41; გ.დოლიძის ქ.N5, 21,27,29, 38; დ.აღმაშენებლის გამზ. N65, 72, 78, 121, 138; ხეთაგუროვის ქ.N4, 6; უ.ჩხეიძის ქ.N33; კარგარეთელის ქ.N3ბ, 10; ნინოშვილის ქ.N28, 41, 56; ზ.ჭავჭავაძის ქ.N6; ჩიქობავას ქ.N28, 30; მამრაძის ქ.N18; ჯ.კახიძის ქ.N1, 6; უზნაძის ქ.N80, 91ა; აჭარის ქ.N10; თამარ მეფის გამზ. N5, 23; მეუნარგიის ქ. N58, 68, 69, 71, 72, 73; მარუაშვილის ქ.N50, 58, ბაქოს ქ.N1; ანაკლიის ქ.N8; დგებუაძის ქ.N1; ახალციხის ქ.N4,15; მარჯანიშვილის ქ. N16,35,52; წინამძღვრიშვილის ქ. N18, 41, 50, 63, 65ა, 118; ჩუბინაშვილის ქ.N10, 23; ტ.გრანელის ქ.N8; ზ.ქვლივიძის შეს. N14, 44; სამრეკლოს მე-2 შესახ. N12; 9 ძმის ქ.N75; ჩიტაიას ქ.N15,27; სუნდუკიანის ქ.N22; გორკის ქ.N34;გოგოლის ქN5; ასპინძის I ქ.N24; რომის ქ.N16; ივერთუბანში: შერვაშიძის ქ; ჯორჯაძის ქ; პაპავების ქ; ადამიას ქ; ბეციაშვილის ქ; და კუბანეიშვილის ქუჩა. ქვაფენილი დაიგო 5264 კვ.მ შემდეგ მისამართებზე: მეუნარგიას; ვერხანის ქ; ნინოშვილის ქ; მიჩურინის ქ; ლამის ქ; კუმისის ქ; სენაკის ქ; საქარის ქ; ვეშაპურის შესახ; ბაგრატიონის მე-2 შესახ, ხიმშიაშვილის ქ; ახალციხის ქ. და დავითაშვილის ქუჩაზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარდა 70264 კვ.მ. გზის საფარი მოწყობისა და 5264კვ.მ ქვაფენილის დაგების სამუშაოები.

01 01 12 გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 4,445.9 ათასი ლარი დაფინანსდა 4,408.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, გაუმჯობესებული ეკოლოგიური პირობები, ადგილობრივი მოსახლეობისა და სტუმრების საზოგადოებრივი ტრანსპორტით უსაფრთხო მიმოსვლა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში შეკეთდა გზის საფარი შემდეგ მისამართებზე: ნუცუბიძის პლატო 4მ/რ, N10 კორპუსის ეზო და ეზოსთან მისასვლელი გზა; ვ.ფშაველას 1კვ 21 კორპ ეზო; ვ.ფშაველას 1კვ 21,24,25,26 კორპუსებს შორის გზა; ნუცუბიძის 3მ/რ მე-3კვ კორპ 6,7,8; ნუცუბიძის 4მ/რ კორპ.N36; ნუცუბიძის 4მ/რ კორპ. N14–15; ქუთათელაძის N17 ეზო; შავიშვილის ქუჩიდან ბარნაბიშვილის ქუჩამდე; ნუცუბიძის 2მ/რ 3კვ. კორპ N9; აბაშიძის N35 ეზო; კეკელიძის N19; ნაფარეულის ქ.N4; თაყაიშვილის ქ.N5; წყნეთის გზატკეცილი N24-36; სვანიძის ქუჩიდან თამარაშვილის ქუჩამდე; ჭავჭავაძის N75ა და N75ბ; პოლიტკოვსკაის N18; შატბერაშვილის ჩიხი N2; ვ.ფშაველას 2კვ. კორპ. N29,30,32,33,34,71; ვ.ფშაველას 7კვ. კორპ. 2,3,4; ვ.ფშაველას 2კვ. კორპ.2-11ბ; ნუცუბიძის პლატო 2მ/რ კორპ.1; ნუცუბიძის პლატო 2მ/რ 1კვ. კორპ.N8-8ა; ნუცუბიძის 2მ/რ 4კვ. კორპ.6; ნუცუბიძის 2მ/რ 1კვ. კორპ. 8(ჩასასვლელი); სანდრო ეულის 5ა; ნუცუბიძის 2მ/რ ეკლესიის მიმდებარედ; ნუცუბიძის 4მ/რ კორპ.42-43; ვ.ფშაველას 2კვ. კორპ.3-11ბ; მ.შავიშვილის ქუჩიდან გ.ბარნაბიშვილის ქუჩამდე; ჟღენტის ქ.N5; ვ.ფშაველას 3კვ. კორპ.10-16; ნუცუბიძის ქ. N179; ვ.ფშაველას 1კვ. კორპ. 5-7; ნუცუბიძის 221 კორპ 1,2,3; ნუცუბიძის 4მ/რ ფერმწერთა ქუჩა 109; ნუცუბიძის 2მ/რ 4კვ. კორპ.3; თამარაშვილის ქ. N10ა; ნუცუბიძის 4მ/რ 102 სკოლიდან კორპ. 29 მდე; ყიფშიძის N3ბ; წყნეთის გზადკეცილი N14-16; ატენის ქ.N3; ცხვედაძის 26-დან ცხვედაძის 1 ჩიხი 40; უჩანეიშვილი ქ. N5; ცხვედაძის 40-დან 58ბ-მდე; ცხვედაძის 60-დან დიდების მემორიალამდე; კავსაძის ქუჩა; ნაფარეულის ქ.; მოსაშვილის ქ. N8; ფალიაშვილი N59-61. ნუცუბიძის 4მ/რ 102 სკოლის შესასვლელთან; ნუცუბიძის 3 მ/რ 4კვ. კორპ.1; ვ.ფშაველას 7კვ. კორპ:5,6,7,16 და 25; თამარაშვილის 10ა; ნუცუბიძის 4მ/რ კორპ.7-8; ნუცუბიძის 3მ/რ 2კვ. კორპ.8; ნუცუბიძის 3მ/რ 1კვ. კორპ.7; ნუცუბიძის 3მ/რ 2კვ. კორპ.9; ნუცუბიძის პლატო 1 მრ.

კორპ.14; ნუცუბიძის პლატო 1 მრ. კორპ. 12ა-13; ნუცუბიძის პლატო 3მ/რ 1კვ. კორპ.N13; ბერძენიშვილის ქ.(ორმოული); თამარაშვილის ქ. N7; შავიშვილის ქ. 35 სკოლის მიმდ. ტერიტორია; ვ.ფშაველას 3კვ. კორპ.18-26; ვ.ფშაველას 2კვ. კორპ.14,15,16,17; თავხელიძის ქ; წყნეთის ქ. 1ა; მარგიანის ქუჩა; კეკელიძის N25; ბაგები წყნეთის გზადკ. N2-3; ნუცუბიძის პლატო 4მ/რ კორპN55; ვ.ფშაველას 2კვ. კორპ.14, 15, 16,17; მინდელის ქ. N8; ვ.ფშაველას 3კვ. კორპ.27; პოლიტკოვსკაიას N8ა; უნივერსიტეტის 3; ნუცუბიძის პლატო 2მ/რ 3კვ. კორპN7 ლორთქიფანიძის ქ. N34 და სხვა (გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები(ორმოული). ასევე დაფინანსებულია საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და სასამართლო ორგანოების მიერ დაკისრებული ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარდა 117853.1 კვ.მ გზის საფარის მოწყობის სამუშაოები.

01 01 13 გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 4,570.8 ათასი ლარი დაფინანსდა 4,515.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოწესრიგებული შიდა კვარტალური გზები და ეზოები; რაიონის ტერიტორიაზე ტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები: **შიდა კვარტალური გზების და ეზოების ორმული შეკეთება** შემდეგ მისამართებზე: ბახტრიონის ქ. 4,6-ს მიმდებარედ და ხვიჩიას და ბახტრიონის ქუჩების კვეთა; კოსტავას ქ-დან ბენდელიანის ქ-ის შესასვლელამდე, ბენდელიანის ქ; ცინცაძის ქ.54-ის მიმდებარედ; ლიხაურის ქ. (საელჩოსთან); ბალანჩივაძის ქ.22 კორპუსის მიმდებარედ; ბოჭორიშვილის ქუჩა „საქართველოს უნივერსიტეტის“-ს მიმდებარედ; შევარდენიძის და ცინცაძის ქ-ის კვეთაზე; ტაშკენტის ქ.31-ის მიმდებარედ; ონიაშვილის ქ.2-დან 20-ის ჩათვლით; ონიაშვილის ქ. 61-89; მგალობლიშვილის ქ.; პეკინის ქ.17ა-ს მიმდ; ლვოვის ქ; ს. სხირტლაძის ქ; ბურძგლას ქ; საირმის ქ; ტაშკენტის ქ (მიცკევიჩის და ბურძგლას ქ-ს შორის); ზაქარიაძის და

კორპუსის გამოკვლევის და ტექნიკური ექსპერტიზის საპროექტო მომსახურება; დიდი დიღმის IV-მრ, კორპუსი 6-ის მიმდებარედ დაზიანებული კოლექტორის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო მომსახურება; რუსთავის გზატკეცილი №12 ვგ-ში მდებარე კორპუსის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ვარკეთილი, III მასივი, X კვარტალი, კორპუსი N17 საპროექტო მომსახურება; მ. მამარდაშვილის ქუჩაზე N 67-ის მიმდებარედ არსებული დაზიანებული საყრდენი კედლის გამაგრების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ვარკეთილი ზემო პლატო კორპ. N43-ის აღდგენა-გამაგრების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ავლაბრის მოედნიდან ჯორჯ ბუშის ქუჩამდე (ნიკიფორე ირბახის ქ, ალექსანდრე წურწუმიას ქ, თელავის ქ. (მონაკვეთი), ავლიპ ზურაბაშვილის ქ. (მთლიანად) გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ვასილ ბარნოვის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; სამგორის რაიონში, მოსკოვის გამზ. IV კვ. კორპ. №6-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ვაკის რაიონში, ჭავჭავაძის გამზ. №83 - ის მიმდებარედ გამოფიტული და დაშლილი კლდოვანი ქანების ჩამოშლის პროცესების აღსაკვეთად ჩასატარებელი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; საბურთალოს რაიონში, იპ. ხვიჩიას ქ. №36/40-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ვაზისუბნის IV მ/რ. I კვ. კორპ. №8 საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; საბურთალოს რაიონში, მუხათგვერდის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ჩიქოვანის ქუჩაზე N30-სა და N34-ის მიმდებარედ არსებული დაზიანებული საყრდენი კედლის დემონტაჟისა და ახალი საყრდენი კედლის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ნაძალადევის რაიონში, დავით გურამიშვილის გამზ. №50-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; მირიან მეფის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; მდ. ვერეს კალაპოტის ფორმირების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; კრწანისის რაიონში, გორგასლის შესახვევი III, №1-ში მდებარე მშენებარე კორპუსის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო

შესყიდვა; მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ვაკის რაიონში, ბაგების დასახლება კორპ №2-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მე-2 სადარბაზოს აღდგენა-გამაგრების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; კახეთის გზატკეცილზე, აეროპორტის კვანძიდან ლოჭინის ხიდამდე საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ვარკეთილი 3, IIIა მ/რ.-ში კორპ. №344-ის აღდგენა-გამაგრების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; გლდანის რაიონში, ფეიქრების ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; მდ. ვერეზე (ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან მდებარე) საქვეითო ხიდის რეაბილითაცია-რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; სამგორის რაიონში, გარდაბნის გზადკეცილის (მონაკვეთის) სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; საბურთალოს რაიონში, მარშალ გელოვანის ქუჩისა და პ. სარაჯიშვილის ქუჩის გადაკვეთაზე, ორდონიანი კვანძის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; გ. გულუას ქუჩაზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ მიწისქვეშა გადასასვლელისა და მასთან დამაკავშირებელი კიბეების რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; სოფ. დიდ ლილოში არსებული მიუსაფართა თავშესაფარის მიმდებარედ ახალი მიუსაფართა თავშესაფარის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; სამთავრობო აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე შადრევნის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; საბურთალოს რაიონში, ფარნავაზ მეფის გამზირისა და პეტრიწის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მომზადდა 67 ობიექტის საპროექტო დოკუმენტაცია.

02 03 02 სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, პროექტების ექსპერტიზა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია

2016 წლის გეგმა 5,244.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 5,199.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თბილისის მერიის მიერ განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებების უზრუნველყოფა ლაბორატორიული კვლევებით, ტექნიკური ზედამხედველობითა და საექსპერტო მომსახურებებით.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის ფუნქციონირების (შრომის ანაზღაურება, კომუნალური ხარჯები, ოფისის ხარჯები და სხვა) ხარჯები. ასევე, ლაბორატორიის მიერ განხორციელდა ზედამხედველობა შემდეგი მიმართულებებით:

საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობის და ლაბორატორიული სამუშაოები: ზედამხედველობა განხორციელდა 1640 ობიექტზე. აქედან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 527, გამგეობების ობიექტი – 1113;

ლაბორატორიამ განახორციელა: ასფალტ–ბეტონის ნარევის კვლევა – 773, საკონტროლო კერნის ამოჭრა ლაბორატორიული კვლევისათვის – 8415 კერნი.

წყალსადენ–კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების მოწყობის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ დასრულებულია სამუშაოები 246 ობიექტზე, აქედან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 40, გამგეობების ობიექტი – 206;

ხელოვნური და სამოქალაქო ნაგებობების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ შესრულდა საზედამხედველო სამუშაოები 1014 ობიექტზე, აქედან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 91, გამგეობების ობიექტი – 214, ინფრასტრუქტურის ობიექტი – 709;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ ჩატარებულია შემდეგი სამუშაოები გამგეობების 3096 ობიექტზე, აქედან: სამშენებლო ობიექტების ტექზედამხედველობის შემოწმება – 2641, ლიფტების ტექზედამხედველობის შემოწმება – 455;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საპროექტო დოკუმენტაციის, ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზისა და შესრულებული სამუშაოების აქტების ანალიზის განყოფილებაში შემოსულია 5440 ხარჯთაღრიცხვებისა და საპროექტო დოკუმენტაცია.

საპროექტო დოკუმენტაციის ანალიზისა და ავარიული შენობების ტექნიკური მდგომარეობის განყოფილების მიერ მომზადებულია 1947 დასკვნა, ასევე ჩატარებულია ტექნიკური დოკუმენტაციის (პროექტების) ანალიზი შემდეგი მიმართულებებით: საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილება – 660 პროექტის ანალიზი; წყალსადენ–კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების მოწყობა - 223 პროექტის ანალიზი; ხელოვნური ნაგებობები - 438 პროექტის ანალიზი; დასკვნები ავარიული შენობების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ – 626 პროექტის ანალიზი.

02 05 გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 22,601.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 22,537.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: განათებული ქალაქი და ობიექტების მინათებით მხატვრული ეფექტის გაზრდა, განათებულ ქუჩებში მოსახლეობის და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება; კრიმინოგენული ფაქტორების შემცირება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში შპს „სინათლის ქალაქი” მომსახურეობას (ექსპლოატაციას) უწევს დედაქალაქის მასშტაბით არსებულ გარე განათების და მხატვრული მინათების სანათებს, ახორციელებს საყრდენი ბოძებისა და სანათების მონტაჟის სამუშაოებს. მიმდინარე პერიოდში ექსპლოატაცია გაეწია 126 151 სანათს, მათ შორის: გარე განათება – 103 762 სანათი, მხატვრული მინათება – 22 389 სანათი. მიმდინარე პერიოდში დამონტაჟდა 526 განათების ბოძი და 1322 ახალი სანათი. გარდა ამისა, შპს „სინათლის ქალაქის“ მიერ განხორციელდა ბაზრის კვლევა კომპანიის საკუთრებაში რიცხული მოძველებული სპეცტექნიკის თანამედროვე ანალოგებით ჩანაცვლების მიზნით და შემუშავდა სპეცტექნიკის

ეტაპობრივი განახლების გეგმა 5,800.0 ათასი ლარის ოდენობით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 20 ოქტომბერის N42.02.1206 და 23 დეკემბრის N51.20.1462 განკარგულებების საფუძველზე, აღნიშნული თანხის ნაწილი 2,100.0 ათასი ლარი გახარჯული იქნა 2015 წლის ბიუჯეტიდან, ხოლო დარჩენილი 3,700.0 ათასი ლარი გადაირიცხა 2016 წლის პირველ კვარტალში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მიმდინარე პერიოდში მოეწყო 526 ცალი განათების ბოძი და შეიცვალა 1322 ცალი სანათი; განათებული ქუჩების რაოდენობა და განათების ინტენსიობა.

02 06 სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 2,200.0 ათასი ლარი დაფინანსდა 2,142.9 ათასი ლარით. გეგმის 97.4%.

დასახული შუალედური შედეგები: სანიაღვრე ქსელის გამართული ფუნქციონირება ქალაქის კომუნალური მეურნეობის მოწესრიგება, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა; ქალაქში დატბორილი ადგილების აღმოფხვრა, ტრანსპორტის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში შპს "თბილსერვის ჯგუფი" ატარებს სანიაღვრე ქსელების საექსპლუატაციო და პროფილაქტიკურ სამუშაოებს. 2016 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები: სანიაღვრე კოლექტორების, სათავე ნაგებობების შემოწმება (ზედაპირულად და სანიაღვრე კოლექტორში გავლით) – 200 კმ; სათავე ნაგებობების, სანიაღვრე წვიმმიმღებების, სანიაღვრე ჭების, გვერდმიმღებების და არასტანდარტული ჭების გაწმენდა – 26 000 ც; კიუვეტების გაწმენდა – 23 000 გრძ.მ; სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების გარეცხვა სპეც.ტექნიკის გამოყენებით – 95 780 გრძ.მ; დაზიანებული ცხაურების, გვერდმიმღებების ხუფების და ყრუ ხუფების შეცვლა – 480 ც.; სადრენაჟე და სანიაღვრე სისტემების აღდგენა, მოწყობა (სანიაღვრე ჭების შეკეთება, თუჯის ოთხკუთხა ჩარჩო, გვერდმიმღების ჩარჩო, რ/ბ ჭის რგოლი დ=1000მმ, რ/ბ

ფილა (თუჯის ჩარჩო ხუფით), ახალი ჭების მოწყობა (თუჯის ჩარჩო-ხუფით ან ცხაურით) - 666 ც.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სანიაღვრე ქსელის გამართული ფუნქციონირება.

02 07 ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მერიის ადმინისტრაცია

2016 წლის გეგმა 4,703.1 ათასი ლარი დაფინანსდა 4,473.5 ათასი ლარით. რაც გეგმის 95%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დედაქალაქის მაღალმხატვრულ დონეზე გაფორმება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: საახალწლო ილუმინაციების ექსპლუატაცია და დემონტაჟი; ნაძვის ხის კონსტრუქციის დემონტაჟი (ტრანსპორტირება); საკონცერტო და ღონისძიებებისათვის საჭირო მონიტორებით მომსახურება; სადღესასწაულო, სარიტუალო ყვავილებითა და თაიგულებით მომსახურება; სასცენო-საკონცერტო განათება-მინათების აპარატურით მომსახურება; გახმოვანების საკონცერტო აპარატურით მომსახურება; სხვადასხვა სცენებით, სასცენო კონსტრუქციებით, პლატფორმებით, საგრიმიოროებით და ბეგ-რაუნდის კონსტრუქციებით მომსახურება; ღონისძიებების ელექტროფიცირება; მარი ფელისიტე ბროსეს ბიუსტის დამზადებისა და დედაენის ბაღში განთავსების სამუშაოები; მემორიალური დაფების დამზადება-მონტაჟი; სახელმწიფო დროშების განთავსება, შეცვლა და ჩამოხსნა; ბიოტუალეტებით მომსახურება; სპეცეფექტებითა და მხარვრული ფოიერვერკებით მომსახურება; ძეგლების მშენებლობისა და აღდგენის ღონისძიებების განსახორციელებელი სამუშაოები; მერის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრებით, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 2015 წ. 13-14 ივნისის სტიქიის წლისთავთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიების ჩატარება; ''თბილისი ფოტო ფესტივალი-2016''; გახმოვანების საკონცერტო აპარატურით მომსახურება; კულინარიის ფესტივალისათვის განხორციელდა წყალგაყვანილობის

სისტემის მოწყობის სამუშაოები; მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში საფლავების მოწყობა; 2016 წლის მაისში ევროპის კვირეულისა და ფოტოფესტივალის ჩატარებისათვის საჭირო ჩანთების და მაისურების დამზადება-მიწოდება; „თბილისობა 2016'' ღონისძიებისათვის დეკორაციების შეძენა, ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი ორმხრივი სანათი ყუთების, პროექტორის, მონიტორის ეკრანის და პროექტორის სადგამის ტრანსპორტირების, მონტაჟის და დემონტაჟის მომსახურება, ასევე მდ.მტკვარზე ტივით გასეირნებისათვის გასაშვები ადგილის მოწესრიგება და ტივის აღდგენითი სამუშაოები; 2017 წლის შობა-ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით: საახალწლო ილუმინაციების აღდგენა, დეკორაციული ნაძვის ხეების კონსტრუქციების, მანათობელი სათამაშოების, მოსართავი აქსესუარების, ელექტრო სასცენო-გამათბობელის და სხვადასხვა სახის მასალების შეძენა.

მიღწეული შეუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: კულტურული და გასართობი ღონისძიებების გაფორმებითი სამუშაოები; დედაქალაქის ესთეტიური იერსახის უზრუნველყოფა; განხორციელებული ღონისძიებებზე მრავალრიცხოვანი დამსწრე საზოგადოება.

02 09 კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსებულია 36,707.8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 37,043.4 ათასი ლარის 99%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 09 01 კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 4,330.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,136.8 ათასი ლარით. რაც გეგმის 95.5%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა; მოსახლეობის დაცვა გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან; ქალაქის იერსახის გალამაზება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა სახის მომსახურება და სამუშაოები: დაზიანებული ინფრასტრუქტურის ობიექტების

(მარჯვენა და მარცხენა სანაპიროები) აღდგენა-შეკეთების სამუშაოები; შადრევან-აუზების რეაბილიტაცია; თბილისის მასშტაბით დაზიანებული ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა; ვაზიანის ქიმიურ ნივთიერებათა სამარხის მოვლა-პატრონობის მომსახურება; ახალი მოაჯირების მოწყობის სამუშაოები; თბილისის ტერიტორიაზე არსებული კლდეებიდან ავარიული კლდოვანი ფენის მოხსნის და ჩამოშლილი კლდოვანი გრუნტის მასის გასუფთავება-გატანის სამუშაოები; თბილისის მასშტაბით დაზიანებული ფასადებისა და სავალი ნაწილის ზედაპირის მოწესრიგება-შეღებვის სამუშაოები; რეაბილიტირებულ უბნებში დაზიანებული ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენის სამუშაოები; ქ. თბილისის მასშტაბით გზის სავალი ნაწილის გამყოფი „კუნძულების“ სარეაბილიტაციო სამუშაოები; საზეიმო ღონისძიებებისათვის მოწყობილი „ხის სახლების“ ტრანსპორტირება - დასაწყობება; აღმაშენებლის გამზირის საფეხმავლო მონაკვეთზე, საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში დეკორატიული საახალწლო მატარებლის კონსტრუქციების და თაღების შესყიდვის თანმდევი მომსახურება (ადგილზე ტრანსპორტირება-მონტაჟი); გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობა; ,,მშვიდობის ხიდის“ მოვლა-პატრონობის მომსახურება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: განხორციელდა სხვადასხვა სახის კეთილმოწყობის 13 ღონისძიება.

02 09 08 ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების ხელშეწყობისა და მოძრავი ქონების აღრიცხვა-რეგულირება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მერიის ადმინისტრაცია

2016 წლის გეგმა 178.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 175.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 98%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სხვადასხვა ღონისძიებების უზრუნველყოფა კარვებით და ჯებირებით; მოწესრიგებული სასაწყობო მეურნეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რკინის შემზღუდავი ჯებირების მოწყობა და ალაგება; ყინულის მოედნის ექსპლუატაციის მომსახურება; პროფესიონალური

აპარატურით გახმოვანება; სხვადასხვა ღონისძიების დროს ქ.თბილისში ტვირთების გადაზიდვის მომსახურება; რკინის დამცავი (შემზღუდავი) მარტივი და მკაცრი ტიპის ჯებირების აღდგენა; კარვების, ტენდების გაწმენდა-გარეცხვა, გაშრობა, დაკეცვა, შეფუთვა, დასაწყობება; ქ.თბილისის ტერიტორიაზე სხვადასხვა ღონისძიებების უზრუნველსაყოფად კარვების მოწყობის მომსახურება და სხვა.

02 09 09 უკანონო ნაგებობების დემონტაჟი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 102.3 ათასი ლარი დაფინანსდა 77.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 76%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ლიკვიდირებული უკანონო მშენებლობები; ქალაქის გაუმჯობესებული იერსახე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: კაპიტალური შენობა-ნაგებობების დემონტაჟი (მონოლითური გადახურვით) – 766 კვ.მ; კაპიტალური გადაუხურავი ან არამონოლითურად გადახურული შენობა-ნაგებობების და კაპიტალური ღობეების დემონტაჟი - 1041 კვ.მ; მსუბუქი კონსტრუქციის დემონტაჟი - 1055 კვ.მ; მარტივი ტიპის ღობეების მოხსნა - 3901 კვ.მ; 776 კუბ.მ - ნარჩენების ან დემონტაჟის შედეგად ნარჩენი კონსტრუქციების დატვირთვა ავტომანქანებზე და ტრანსპორტირება ნაგავსაყრელზე ან სათანადოდ შერჩეულ დროებით დისლოკაციის ადგილზე; თვითნებურად გაჩეხილი მწვანე ნარგავების დამუშავება და გატანა - 33,7 კუბ.მ;

02 09 10 კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 3,060.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: კეთილმოწყობილი და რეაბილიტირებული რაიონის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: გლდანის VII მ/რ კორპუსი N19ა-ში და ლიბანის ქუჩის

N33-ში არსებულ შენობებში განხორციელდა ელექტროენერგიის საბალანსო მრიცხველების მონტაჟი, 128 სოციალურად დაუცველ პირს დაუფინანსდა, საცხოვრებელი ბინების გაზიფიცირების ღირებულება; მოეწყო 2 ახალი გაზგამანაწილებელი ქსელი; სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა 7 სპორტულ მოედანს; რაიონის ტერიტორიაზე მოეწყო და კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა 27 ხელოვნურსაფარიან სპორტულ მოედანს: გლდანის III მ/რ კორპ. N2, N3, N4-ის მიმდებარედ, გლდანის IIIა მ/რ კორპუსი N20, გლდანის „ა" მ/რ კორპ. N53-ის მიმდებარედ, გლდანის IV მ/რ კორპუსი N92-ის მიმდებარედ, გლდანის IV მ/რ კორპ. N112; N113-ის მიმდებარედ, გლდანის V მ/რ კორპ. N6, N7, N10, N15; N21-ის მიმდებარედ, გლდანის VI მ/რ კორპ. N1, N15-ის მიმდებარედ, გლდანის VII მ/რ კორპ. N19; N24-ის მიმდებარედ, გლდანის ხევის კორპ. N1-ის მიმდებარედ, გლდანის ხევის კორპ. N6ა; მუხიანის II მ/რ კორპ. N3-4, N8; მუხიანის II მ/რ კორპ. N11-12, მუხიანის III მ/რ კორპ. N1-2-ის მიმდებარედ, მუხიანის IVბ მ/რ კორპ. N39-ის მიმდებარედ, მუხიანის 4ა მ/რ კორპ. N3, N4, N6-ის მიმდებარედ. ავჭალის დასახლებაში კაჭარავას N39-ის მიმდებარედ, ენერგეტიკოსების ქ. N7-ის მიმდებარედ, ილორის ქ. N15; ლიბანის ქ. N5; გაისხლა, გადაიბელა და მოიჭრა გამხმარი და ავრიული ხეები - 1679 ცალი; ხარჯი გაიწია რაიონის ტერიტორიის გამწვანების და გათიბვის მომსახურეობაზე; მოპირკეთდა მ. ნოზაძის ქუჩაზე ყოფილი პედაგოგიური კოლეჯის ეზო; საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები ჩატარდა - 6 მისამართზე; საცხოვრებელ კორპუსებს ჩაუტარდა ავარიული ელემენტების სარეაბილიტაციო სამუშაოები - 7 მისამართზე; დაფინანსდა ილორის N14-ში კომპაქტურად ჩასახლებული მოსახლეობის საცხოვრებელი კორპუსის წყალმომარაგების ქსელზე მიერთების სამუშაოები; აღნიშნულ პერიოდში დაფინანსდა რაიონის ტერიტორიაზე მიმდინარე სკვერების მოწყობის სამუშაოები; ხარჯი გაწეულია 19 ინფრასტრუქტურული ობიექტის საპროექტო სამუშაოების მომსახურეობაზე; 34 მისამართზე ჩატარდა კიბეების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; ხარჯი გაიწია 31 ცალი დასასვენებელი პავილიონის (ფანჩატურის) მონტაჟზე, რაიონის ტერიტორიაზე 200 ცალი საპარკე სკამის შეძენა-მონტაჟზე და მუხიანის მე-3 მ/რაიონის მე-20 კორპუსის დაზიანებული სახურავის ფილის

აღდგენის სამუშაოებზე; ასევე, ხარჯები გაწეულია 10 ცალი ფიტნეს ტრენაჟორის მონტაჟზე; სარინელის მოწყობაზე; ფინანსური დახმარება გაეწია 10 ეკლესიას.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორი: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - 48 მისამართზე ავარიული ელემენტების გამაგრების, საყრდენი კედლების და ქუჩის კიბეების მოწყობა; სპორტული მოედნის, სკვერის და ფიტნეს ტრენაჟორების მოწყობა, რეაბილიტაცია 55 მისამართზე; გამწვანების ღონისძიებები 261000 კვ.მ. ფართობზე; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - 128 მოქალაქის ინდივიდუალური გაზიფიცირების სამუშაოები; 2 ახალი გაზგამანაწილებელი ქსელის მოწყობა; 10 ეკლესიის ფინანსური დახმარება.

02 09 11 კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 3,023.2ათასი ლარი, დაფინანსდა 2,983.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონის ტერიტორიის გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა; მოსახლეობისათვის შექმნილი მშვიდი გარემო

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: ფინანსური დახმარება გაეწია - რაიონის ტერიტორიაზე მდებარე 10 ეკლესიას; საყრდენი კედლების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები ჩატარდა 10 ობიექტზე; 37 ობიექტზე შესრულდა გზის დამჭერი საყრდენი კედლის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება; 8 ობიექტზე დაზიანებული სახურავების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; განხორციელდა 350 ცალი საბაღე სკამის დამზადება-მონტაჟის სამუშაოები; შესრულდა 8 მისამართზე მიმდებარე ქუჩების ტერიტორიაზე არსებული სკვერების, გაზონების, ფერდობებისა და შიდაკვარტალური ტერიტორიების გამწვანების სამუშაოები; ერთ ობიექტზე ჩატარდა ქუჩების გზაგამყოფი მწვანე ზოლის რეაბილიტაცია; შესრულდა ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრა-გადაბელვის სამუშაოები მათ შორის სხვლა-ფორმირება ჩაუტარდა 1052 ხეს, მოიჭრა 333 ხე,

ამოიძირკვა 36 კუნძი, დამუშავებული და გატანილი იქნა 13 ძირი მოტეხილი და მოთხრილი ხე; 2 მისამართზე მომზადდა საინჟინრო გეოლოგიური და ჰიდროლოგიური დასკვნა; დაფინანსებულია 8 ობიექტზე საკანალიზაციო ქსელების მიმდინარე შეკეთების სამუშაოების დეფექტური აქტებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენის მომსახურება; 5 მისამართზე შესრულებულია სანიაღვრე ქსელების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები; 1 მისამართზე შესრულებულია სანიაღვრე ქსელების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები, დაფინანსდა 6 მისამართზე საკანალიზაციო ქსელების მოწყობის სამუშაოები და ხარჯი გაიწია 2 მისამართზე საკანალიზაციო ქსელების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებაზე; დაფინანსებულია 3 ობიექტზე სანიაღვრე ქსელის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები, კორპუსებიდან სატრანსპორტო კვანძზე ჩამოსასვლელად 3 ობიექტზე შესრულებულია კიბეების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; ასევე, ხარჯები გაიწია რაიონის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის მათ შორის: დაზიანებული და აყრილი დეკორატიული ფილების დაგება, გზის სამაგრი ბეტონის ჯებირების მოწყობა/შეკეთება, დაზიანებული კიბეებისა და მისი ელემენტების აღდგენა, ჩამონგრეული აივნის შეკეთება, სანიაღვრე ცხაურის მომზადება, 3 სკვერში პანდუსების მოწყობა, სპორტული ტრენაჟორების დემონტაჟის, კოჯრიდან მისი თბილისში ტრანსპორიტებისა და ზღვის უბნის ტერიტორიაზე მონტაჟის სამუშაოები; სკვერების მოწყობა - რეაბილიტაციის სამუშაოები შესრულდა 6 ობიექტზე; სპორტული მოედნის რეაბილიტაციისჩატარდა 13 ობიექტზე; სპორტული მოედნების რეაბილიტაცია ჩატარდა 20 ობიექტზე; 10 ობიექტზე განთავსდა საბავშვო ატრაქციონები; რაიონში მცხოვრებ 41 ოჯახს დაუფინანსდა გაზიფიცირების სამუშაოები და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - გრუნტის დამჭერი კედლების აღდგენა-მშენებლობის სამუშაოები (2248 კუბ.მ) ჩატარდა 10 მისამართზე; მოეწყო 4300 გრძ.მ საკანალიზაციო, სანიაღვრე და წყალსადენის ქსელი; 10 ობიექტზე მოეწყო ბავშვთა გასართობი ატრაქციონები; გამწვანების ღონისძიებები ჩატარდა 132192 კვ.მ.

ფართობზე; რეაბილიტაცია ჩაუტარდა 20 სპორტულ მოედანს (8000 კვ.მ); დამზადდა და დამონტაჟდა 350 ერთეული საბაღე სკამი; 13806 კვ.მ ფართობზე შესრულდა სკვერების რეაბილიტაციის სამუშაოები; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - ჩატარდა 41 ოჯახის გაზიფიცირების სამუშაოები; ფინანსური დახმარება გაეწია 10 ეკლესიას.

02 09 12 კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 4,398.8 ათასი ლარი დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონის ტერიტორიაზე გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: მოეწყო ავტოსადგურ "დიდუბე"-ს მიმდებარედ ბეტონის საფეხმავლო ბილიკი და შესრულდა არსებული საფეხმავლო კიბეების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები; მოეწყო ახალი სპორტული მოედანი - 2 მისამართზე (ლუბლიანას ქ.N11; თ. მღვდლის ქ.N51) და ჩატარდა არსებული სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები: დ/მ II კვ. კორპ. N8, წერეთლის N78, გოგოლაურის ქ.N18, თ. მღვდლის ქ.N10, N48, აკ.წერეთლის გამზ. N55, N87ა (უკან), აკ. წერეთლის გამზ. N128, N77, დ/მ IV კვ. კორპ. N2, დ/მ V კვ. კორპ. N6, სამტრედიის ქ.N13, დ/მ VI კვ. N22, N15 კორპუსები, სტანისლავსკის ქ.N12ა, გვეტაძის ქ.N4, აგლაძის ქ.N34, თ. მღვდლის ქუჩა N48, გვეტაძის ქ.N6; სამტრედიის ქ.N3, დ/მ Vკვ. კორპ. N6, აგლაძის ქ. N38, წყალტუბოს ქ. N1,2,3,4 კორპუსებთან, ტერევენკოს ქ. N36, დ/მ Vკვ. კორპ. N20, N14-15, დ/მ VI კვ. კორპ. N20, დ/მ II კვ. კორპ. N10, წერეთლის ქ.N55ა, წერეთლის ქ.N55 კორპ. N2-ის მიმდებარედ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მოეწყო პანდუსი აკ.ბელიაშვილის ქ. N12ა-ში. დაფინანსდა დ. აღმაშენებლის სახელობის ხეივნის და ს.ახმეტელის ქუჩის კუთხეში არსებული ნაგებობისთვის საჭირო ელ.ენერგიის ხარჯი და არსებული ნაგებობისათვის შეძენილი იქნა 8 ცალი საქართველოს სახელმწიფო დროშა; საცხოვრებელი სახლების ეზოებში მოხდა წყალსადენ-კანალიზაციისა და

სანიაღვრე ქსელის აღდგენა–შეკეთება: თ. მღვდლის ქუჩა N22, N24, N26, წყალტუბოს ქუჩა N13, N15, ბელიაშვილის ქუჩა N12ა, დ/მ V კვ. კორპ. N4-5, ხოშარაულის ქუჩა N29, ფოთის ქუჩა N8, დ/მ IV კვ. კორპ. N4-5, ხოშარაულის ქ. N29, აღმაშენებლის გამზ. N189 (კანალიზაცია), თ.მეფის გამზ.N22 (კანალიზაცია), კერესელიძის შესახ. კორპ. N2 (კანალიზაცია), დ/მ VI კვ. კორპ. N22 (კანალიზაცია), ქურდიანის ქ.კორპ.N2 (კანალიზაცია), დ/მ V კვ. N4 კორპ. (სანიაღვრე), დ. აღმაშენებლის გამზ. N195 (კანალიზაცია), ხოშარაულის ქN29 (სანიაღვრე); აკ.წერეთლის გამზ. კორპ. N13 (კანალიზაცია), დ. ყიფიანის ქ.N20 (კანალიზაცია), წერეთლის გამზ. N63 (კანალიზაცია), ე და ვ. ფიფიების ქ. N15 (კანალიზაცია), დ/მ I კვ. კორპ. 2ა-2ბ ეზო (კანალიზაცია), აგლაძის ქ. 39ა-39ბ ეზო (კანალიზაცია). სამტრედიის ქ. N1, N2, N5, N4ა (კანალიზაცია), თ. მღვდლის ქ. N35, N13 საცხ. სახლი (კანალიზაცია), კერესელიძის ქ. N1 საცხოვრებელი სახლი (კანალიზაცია), წერეთლის გამზ. N2, N3, N91, N105, N 111-113 (კანალიზაცია), წერეთლის გამზ. N111-113 (სანიაღვრე),ბელიაშვილის ქ. N40 (კანალიზაცია), დ/მ V კვ. კორპ. N9, თ.მღვდლის ქ. N2 შესახვევი N2 (კანალიზაცია), აგლაძის ქ.N37 (კანალიზაცია), თ. მღვდლის ქ.N2 (კანალიზაცია), ხოშარაულის ქ. N25 (კანალიზაცია), მიქელაძის ქ. N11-ში (კანალიზაცია). წყალსადენ-კანალიზაციის და სანიაღვრე ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაობის დეფექტური აქტების შედგენა შესაბამისი ტექნიკური დავალებით და ესკიზით. მოეწყო ახალი უსაფრთხოების მოაჯირები - შემდეგ მისამართებზე: ცაბაძის ქ. კორპ. N1 მიმდებარედ, დ/მ ახმეტელის ქ. მე- N7 და მე- N12 კორპ. მიმდებარედ, დ/მ III კვ. N7 კორპ; ევდოშვილილს ქ. 2/10 N5 კორპ. და 2/8 კორპ. მიმდებარედ; დ/მ V კვ. N10 კორპ. მიმდებარედ, წერეთლის N69 მიმდებარედ, დ/მ V კვ. N2 კორპ, დ/მ V კვ. N10 კორპ. უკან, დ/მ VI კვ. კორპ. N5 წინ, დ/მ II კვ. N19 კორპ. უკან, დ/მ III კვ. კორპ.N1 წინ, ტერევენკოს N36 წინ, წერეთლის N74 წინ, დ/მ I კვ. N3ბ კორპ. წერეთლის N7 კორპ. წინ, დ/მ III კვ. N1 კორპ. წინ, რობაქიძის გამზ. N7 კორპ. 2 წინ, დ/მ II კვ. N5ა კორპ. წინ, დ/მ III კვ. კორპ. N7 წინ, აკ წერეთლის გამზ. N71 წინ, წერეთლისა და ქუთაისის ქუჩის კვეთა, დ/მ V კვ. N14 კორპ. გვერდით, წერეთლის N10, N11 კორპუსები (155-ე სკოლის მიმდებარედ),დიდუბე, შალიკაშვილის სახ. ხიდის მიმდებარედ), დ/მ I კვ. კორპ. N12წინ, დ/მ II კვ. კორპ.

N6ა გვერდით, დ/მ II კვ. კორპ. N5ა წინ, დ/მ რობაქიძის N7 და არსებული უსაფრთხოების მოაჯირების შეკეთება მოხდა: ბელიაშვილის ქუჩაზე (დ/მ IIIკვ. N6ა, N6ბ, N6გ კორპ.წინ), დ/მ II კვ. მე-7 კორპ. მიმდებარედ, დ/მ III კვ. მე-11 და 13 კორპ. შორის, დ/მ III კვ. N19, N20 კორპ. შორის, ახმეტელის N10-თან. დ/მ IV კვ. N21 კორპ. ახმეტელის ქ N6 და N8 კორპ.შორის. ახმეტელის ქ. N4 და N6 კორპ. შორის, ახმეტელის ქ. N2-თან. დ/მ V კვ. N9 კორპუსთან, დ/მ V კვ. N25ა და N25ბ კორპუსთან, ახმეტელის N10-სა და N12-ს შორის, წყალტუბოს ქ. N1, N2, N3, N4 კორპ. აგლაძის ქ. N37-ის მიმდებარედ; დ/მ I კვ. N14ა კორპ, დ/მ VI კვ. N12 კორპ. დ/მ V კვ. N1 კორპ. აკ. წერეთლის გამზ. N12, N7 და აკ. წერეთლის გამზირი (აკაკის ძეგლთან).ფინანსური დახმარება გაეწია რაიონის ტერიტორიაზე მდებარე 8 ეკლესიას; შესრულდა ბუნებრივი გაზის ინდივიდუალური შეყვანის სამუშაოები11 მისამართი; ახალი სკვერი მოწყო 7 მისამართებზე: დ/მ V კვ. კორპ. N20, დ/მ IV კვ. კორპ. N14, ახმეტელის N6, ლუბლიანას ქ.N11, გოგოლაურის ქ.N18, აღმაშენებლის გამზ. N181, აკ. წერეთლის გამზ. N87. განხორციელდა არსებული სკვერების შეკეთების სამუშაოები: რობაქიძის გამზ. N7, დ/მ III კვ. N6(ა,ბ,გ), ახმეტელის ქ. კორპ. N8, ახმეტელის ქ. N10-12, დ/მ I კვ. N6, N8, N10, N11 კორპუსები, დ/მ II კვ. N2, N4, N7, N8, N11, N10 კორპუსები, ქურდიანის ქ.N2, სტანისლავსკის ქ.N12, მირცხულავას და სანაპიროს გადაკვეთა. აკ.წერეთლის გამზ. N128, წყალტუბოს ქ. N9, დ/მ III კვ. N3, N8, N34, N35, N37 კორპუსები, დ/მ VI კვ. N1, N15 კორპუსები, დ/მ V კვ. N5ა, N8, N16, N14, N15, N22 კორპუსები; წყალტუბოს ქ.N1, N2, N3, N4 კორპუსებთან, თ.მღვდლის I-ლი შესახვევი, თ.ფიფიების და თ. მღვდლის ქუჩების გადაკვეთა, აკ.წერეთლის გამზ. N55 უკან, ბაქრაძის ქ.N4, ევდოშვილის ქ.N2/10. აკ.წერეთლის გამზ. N87ა, N1; თ.მღვდლის ქ.N10, გ.ცაბაძის ქ.N4, დ. აღმაშენებლის გამზ. N185, ბელიაშვილის ქ. N12, მირცხულავას ქ.N10, N12, N14, თ.მღვდლის ქ.N25, N28, N30, დ/მ II კვ. კორპ. N5ა, N7ა, ევდოშვილის ქ. N2/10 წინ, სოხუმის ქ. N7, ბორჯომის ქ. N6-ში, დ.ყიფიანის ქ.N24-26, დ/მ VI კვ. N13 კორპ.წინ, ბათუმის ქ.N2, N6, N8, ყიფიანის ქ.N20 წინ, წერეთლის გამზ. N140 წინ, წერეთლის გამზ. კორპ. N55 წინ, დ/მ V კვ. N2 კორპ. წინ, ზუგდიდის ქ.N12 კორპ. წინ, წერეთლის გამზ. N73 წინ, დ/მ II კვ. N7ა კორპ. წინ, თ. მღვდლის ქ.N 30, N 34, N35, N36, N37 წინ, დ/მ III კვ. N10, N13, N14, N15, N 16

კორპუსები, დ/მ IV კვ. N22 კორპ, დ/მ V კვ. N22-23 კორპ, დ/მ VI კვ. N14 კორპ. მიქელაძის ქ. N11, N13, ბელიაშვილის ქ. N40 მე-2-2ა კორპ. დ/მ I კვ. N12 კორპ. წინ, დ/მ I კვ. N11 კორპ. უკან, დ/მ III კვ. N17 კორპ. წინ, დ/მ III კვ. N11-12 კორპ. წინ, წერეთლის N7 კორპ. წინ. ი.ევდოშვილის 2/10 მე-6 კორპ.წინ, დ/მ I კვ. N6, N8 კორპუსების წინ, დ/მ II კვ. კორპ. N17 წინ, დ/მ III კვ. N6 ა, ბ, გ, კორპ. მიმდებარედ, დ/მ III კვ. N1, N26 კორპ. წინ, დ/მ IV კვ. N6, N19 კორპუსების წინ, ახმეტელის ქ. N8 უკან, ახმეტელის ქ. N8 წინ, დ/მ V კვ. N22 კორპ. მიმდებარედ, N25 კორპ. წინ, დ/მ VI კვ. N1 კორპ. მიმდებარედ, N14, N15კორპ. წინ, სამტრედიის ქ. N2, წერეთლის გამზ. N63 მიმდებარედ, მირცხულავას ქ. N14, თ.მღვდლის ქ. N5, წერეთლის გამზ. N67-ში, ცაბაძის ქ. კორპ. N1 წინ, ყიფიანის ქ. N2/4, ბელიაშვილის ქ. N40, დ/მ I კვ. N1ა კორპ. წინ, წერეთლის გამზ. კორპ. N11 წინ, დ/მ II კვ. N5ა კორპ. წინ, დ/მ VI კვ. N21 კორპ. წინ, ქურდიანის ქ. N4 წინ, აღმაშენებლის გამზ. N191-193 კორპ. შორის, დ/მ IV კვ. N21 კორპ. წინ, წერეთლის N55-ში თაღთან, წერეთლის გამზ. N87, N105 წინ, დ/მ VI კვ. N7 კორპ. წინ. ხარჯი გაწეულია არსებული სკვერების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებაზე; ასევე ხარჯი გაწულა სკვერების მოვლა-პატრონობაზე და არსებული სკვერების მოწყობის დოკუმენტაციის მომზადებაზე; დაფინანსდა რაიონის ტერიტორიაზე ხმელი, ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრა, სხვლა-ფორმირების, კუნძების ამოძირკვისა და დამუშავება-გატანის მომსახურება და ასევე ხარჯი გაწეულია დაზიანებული შენობა-ნაგებობების ნაწილობრივი დემონტაჟის და მონტაჟის, დროებითი გამაგრების ღონისძიებებზე. საბავშვო სათამაშოების (ატრაქციონების) შეძენა-მონტაჟის და სათამაშო მოედნის მოწყობა მოხდა შემდეგ მისამართებზე: აკ. წერეთლის გამზ. N87ა, N128, N67, ევდოშვილის ქ. N2/10, ლუბლიანას ქ. N44, თ.მღვდლის N10 კორპუსის მიმდებარედ, დ/მ II კვ. N10 კორპ. ახმეტელის N14 კორპ. მიმდებარედ, დ/მ IV კვ. N17 კორპ. დ/მ Vკვ. N25, N3-6გ კორპ. მიმდებარედ; ხარჯი გაიწია, ფიტნესის ტრენაჟორების შესყიდვის და ტრენაჟორებისთვის საჩრდილობელი ფანჩანტურისა და კაუჩუკის რბილსაფარიანი მოედნების მოწყობაზე: დ/მ II კვ. N1, N2, N10 კორპ, დ/მ III კვ. N1, N13 კორპ, დ/მ V კვ. N7, N14, N20 კორპ, დ/მ VI კვ. N1, N6ა, N22 კორპ, ვანის ქ. N4, აკ. წერეთლის გამზ.N78, ლუბლიანას N11ა, ტერევენკოს N36, მაიაკოვსკის ქ. N2, მაიაკოვსკის

ძეგლის უკან, სამტრედიის ქ. N4ა, წერეთლილს გამზ. 87ა, ქურდიანის ქ. N2, დ/მ III კვ. კორპ. N6 მიმდებარედ, წერეთლის გამზ.N1-2 კორპ.შორის, წერეთლის გამზ. N6 მიმდებარედ, თ.ფიფიების და თ. მღვდლის ქუჩების გადაკვეთა, დ/მ II კვ. N12 კორპ მიმდებარედ, წყალტუბოს ქ. N1,2,3,4 მიმდებარედ, მირცხულავას ქ. კორპ. N3ა მიმდებარედ.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - არსებული სკერის აღდგენა-რეაბილიტაცია 132 მისამართზე; 7 მისამართზე ახალი სკვერის მოწყობა; საბავშვო სათამაშოების (ატრაქციონების) შეძენა-მონტაჟი 11 მისამართზე; 44 მისამართზე წყალსადენ - კანალიზაციის და სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია - 3352 გრძ/მ; ახალი სპორტული მოედნის მოწყობა 2 მისამართზე; 8 ეკლესიის ფინანსური დახმარება.

02 09 13 კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 2,650.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - ქუჩები, ეზოები, სათამაშო მოედნები, დასასვენებელი სკვერები, პარკები; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: საცხოვრებელი სახლების ეზოებში 1411 გრძ/მ **წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია** 22 მისამართზე (ჯავახიშვილის ქ.N69, ხეთაგუროვის ქ.N6, გოგოლის ქ.N28, წინამძღვრიშვილის ქ.N65, მარუაშვილის ქ.N50, გორკის ქ.N34, ჩიტაიას ქ.N15, ბაქოს ქ. N1; ვერხანის ქ; ვეძათხევის შესახ. N5-ში, ბუხაიძის ქ.N7-9-ში, N13-ში, აღმაშენებლის გამზ. N65-ში, ჩეჩელაშვილის ქ.N87-ში, ტ.გრანელის ქ.N17-ში, გამცემლიძის ქ.N18-ში, გედევანიშვილის ქ.N27-ში, უზნაძის ქN2-ში, მარჯანიშვილის ქN16-ში, არაგვისპირელის შესახ. N13-ში და დიღომბარის შესახვევში); რაიონის ტერიტორიაზე სტიქიისა და სიძველისაგან დაზიანებული შენობა-ნაგებობების ნანგრევებისგან გაწმენდა, სამშენებლო ნაგვისა და ჩამოშლილი გრუნტის გატანა -

110 მისამართზე; **რაიონის ტერიტორიაზე ავარიული საცხოვრებელი სახლების სახურავებისა და სხვა ელემენტების აღდგენა-რეაბილიტაცია 18 მისამართზე** (ჯავახიშვილის ქ.N26-28, თამარ მეფის გამზ. N17, უზნაძის ქ.N12,14, დ.აბაშიძის ქ.N9, წინამძღვრიშვილის ქ.N31, 44-46, ჩიტაიას ქ. N38, თოიძის ქ. N50-52 და თეთნულდის ქ. N26; ახვლედიანის ქ. N5, ფიროსმანის ქ. N7, N23, ჩუბინაშვილის ქ. N7/44-ში, ბუხაიძის ქN32-ში, დავითაშვილის ქN12-ში და სხვა); **საყრდენი კედლის მოწყობა 43** მისამართზე (ართვინის I ჩიხი N6, დოქის შეს. N9, მნათობის ქ.N25ა,27,31; მნათობის ჩიხი N44, დავითაშვილის ქ.N40ა,61; ჩეჩელაშვილის ქ.N18-20,50-51,81-82,86,116; ქინქლაძის ქN39ა-ში; მამარდაშვილის ქ. N68-70 და N19-19ა; კაპანაძის ქ.N6; ბოდავის ქ. N6-ში; ბაგრატიონის ქ. N8,9-11, N41, N56; თეთნულდის ქ. N5; გამცემლიძის ქ. N21; თეთნულდის ჩიხი. N5; ართვინის ქ.N2; კიკვიძის ქ.N4,9; 9 ძმის ქN61; თოიძის ქN32; ყირიმის ქN22; ბუხაიძის ქN5,22,23-25; ჩაისუბნის ქ.6; მიჩურინის ქN32; თამარაშენის ქN17; ქურდიანის ქN1; ზაზიაშვილის მე-3 შესახ.N20 და სხვა); **სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია 20 მისამართზე** (დგებუაძის ქ.N1, აჭარის ქ.N10, ნორიოს აღმ. N54, დავითაშვილის ქ.N48, უზნაძის ქ.N4-ში, დ.აღმაშენებლის გამზ. N147-ში ლებარდეს ქ-ზე, ართვინის ქ. N2-ში, საქარის ქ. N7-9-ში, ჩიტაიას მე-2 ჩიხში, მნათობის ქ. N80-ში, პ.სააკაძის ქ. N19-ში, რომის ქ. N4-ში და სხვა), ხოლო მარუაშვილის ქ.N50-ში მოეწყო ახალი სპორტული მოედანი; **არსებული სკვერების მოვლა- პატრონობა 30 მისამართზე და ახალი სკვერების მოწყობა 6 მისამართზე** (მაზნიაშვილის ქ. N33, მაზნიაშვილისა და კიევის ქუჩების კვეთაზე, ტოლსტოის და ხეთაგუროვის ქუჩის კვეთა, გორკის ქ. N28-ში, სპარტაკისა და კალატოზის ქუჩებს შორის და ვეშაპურის ქუჩის მიმდებარედ), ჩოღურეთის რაიონის ტერიტორიაზე **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის 117 პანდუსის** მოწყობა, სასმელი წყლის ნიჟარების მოვლა-პატრონობა, ქუჩების დამაკავშირებელი კიბეების და მოაჯირების აღდგენა-რეაბილიტაცია და ეზოების მობეტონების სამუშაოები 45 მისამართზე, 85 ცალი მცირეფასიანი თუჯის ბარიერის შეძენა-მონტაჟი; ხეების გასხვლა, ფორმირება, მოჭრა, დამუშავება და გატანა; რაიონის **ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა** და სხვადასხვა ჯიშის ჩითილების (10500 ძირი) და ბუჩქების (440 ძირი) დარგვა, 129

მისამართზე არსებული 197 მოჭრილი ხის კუნძების ამოღება-გატანა; რაიონის ტერიტორიაზე სათამაშო ატრაქციონების, ფიტნეს ტრენაჟორების, საჩრდილობებისა და ქუჩის ავეჯის შესყიდვა-მონტაჟი, 82 ოჯახის გაზიფიკაციისათვის (ინდივიდუალური გამრიცხველიანება). ასევე, დახმარება გაეწია რაიონის ტერიტორიაზე მდებარე 9 ეკლესიას და დაფინანსებულია სხვადასხვა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - საყრდენი კედელის მოწყობა - 43 მისამართი; სკვერის და სპორტული მოედნების მოწყობა, აღდგენა-რეაბილიტაცია - 57 მისამართი; რ/ბეტონის კიბეებისა და მოაჯირეების მოწყობა - 45 მისამართი; წყალსადენ-კანალიზაციის, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელის რეაბილიტაცია - 1411 გრძ/მ; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - გაზიფიცირებით უზრუნველყოფილი სოციალურად დაუცველი 82 ოჯახი; შშმპ-თვის პანდუსების მოწყობა - 117 მისამართი; 9 ეკლესიის ფინანსური დახმარება.

02 09 14 კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 2,977.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,971.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობისთვის გაუმჯობესებული ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები, სათამაშო მოედნების, დასასვენებელი სკვერების და პარკების რაოდენობრივი ზრდა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: ხეების გასხვლა-გადაბელვა და მოჭრა (1594 ძირი); მყარი ურბანული ნარჩენების გატანა; მცირეფასიანი საპარკე სკამების შეძენა-მონტაჟი (200 სკამი); ტროტუარის ბაზალტის ფილებით მოპირკეთება; რაიონის ტერიტორიაზე არსებული გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა; 150 სანაგავე ურნის შესყიდვა-მონტაჟი; საყრდენი კედლის მოწყობა (11 მისამართი); სპორტული მოედნების (28 მისამართი) და სკვერების აღდგენა-რეაბილიტაცია (30

მისამართზე); მათ შორის: ჭავჭავაძის გამზ 80-ში ახალი სპორტული მოედნის მოწყობა და ვ. ფშაველას მე-4 კვარტალის კორპუსი 5-თან ახალი სკვერის მოწყობა; კიბეების, საფეხმავლო ბილიკების, პანდუსების მოწყობა; საცხოვრებელი ფართის გაზიფიკაციის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზის მომსახურება, სანიაღვრე სისტემის მოწყობა (12 მისამართზე), 10 ოჯახის გაზიფიკაციისათვის (ინდივიდუალური გამრიცხველიანება) და გაზგამანაწილებელი ქსელის მოწყობა; რაიონის ტერიტორიაზე მდებარე დაზიანებული შენობა-ნაგებობებისა და აივნების ფასადური რეაბილიტაციის, პარაპეტების მონტაჟისა და ავარიული შენობების დროებით გამაგრების სამუშაოები (32 მისამართზე); ლითონის მოაჯირეების მოწყობისა და აღდგენის სამუშაოები (2100 გრძ.მ). ასევე დაფინანსებულია კიბეების, საფეხმავლო ბილიკების, პანდუსების, სკვერების, საყრდენი კედლის, სპორტული მოედნებისა და წყალსადენ-კანალიზაციის და სანიაღვრე ქსელების შეკეთების, მოწყობისა და აღდგენა-რეკონსტრუქციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ხარჯები. დახმარება გაეწია რაიონის ტერიტორიაზე მდებარე 24 ეკლესიას.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - სკვერების მოწყობა და აღდენა რეაბილიტაცია 31 მისამართზე; ლითონის მოაჯირეების მოწყობა 2100 გრძ.მ, სპორტული მოედნების მოწყობა და აღდენა რეაბილიტაცია - 28 მისამართზე, საყრდენი კედლების მოწყობა - 11 მისამართი, სანიაღვრე და წყალ-კანალიზაციის ქსელის სისტემების მოწყობა 12 მისამართი; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - გაზიფიცირებით უზრუნველყოფილი 10 ოჯახი; 24 ეკლესიის ფინანსური დახმარება.

02 09 15 კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 3,859.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,806.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონის ტერიტორიის გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - გამაგრებული საყრდენი კედლები, განახლებული სკვერები და

პარკები, შეკეთებული სანიაღვრე ქსელი; მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: ინდივიდუალური გაზაფიცირების სამუშაოები სოფელ დიღომში მცხოვრებ 14 ოჯახზე; სოფელ დიღომში ამხანაგობების „თელასა“ და „დიდგორის“ გაზიფიცირების სამუშაოები, საყრდენი კედლების მოწყობა 13 მისამართზე (მათ შორის: ჩიქოვანის ქ 30, ბახტრიონის ქ.22; 28, ბალანჩივაძის ქ.8, ცინცაძის ქ.79 და 83, ლიხაურის ქ.15ა და 45ა-ს და 35ბ-ს მიმდებარედ; ჩიქოვანის და ნასიძის ქ-ის კვეთაზე; ფანასკერტელის ქ.20ა-ს მიმდებარედ; ნუცუბიძის ქ.14ბ-ს მიმდებარედ და სხვა); სკვერების აღდგენა-მოწყობა შემდეგ მისამართებზე: ნუცუბიძის ქ.14ბ-ის მიმდებარედ, დ.დ. მე-3 მ.რ. კ. 3-ის მიმდებარედ, ნუცუბიძის ქ.46-ის მიმდებარედ, 12 მისამართზე დამონტაჟდა 70 ცალი საპარკე სკამი; ფანჯიკიძის ქ. და პეკინის გამზირის კვეთაზე (რკინის თეატრი); კარტოზიას ქ-ის და ყაზბეგის გამზირის კვეთაზე; 11 მისამართზე მოეწყო ფანჩატურები; სპორტული მოედნების აღდგენა-მოწყობა შემდეგ მისამართებზე: ბალანჩივაძის ქ.5-ის მიმდებარედ, ბენდელიანის ქ.2-ის მიმდებარედ, პეკინის მე-2კვ.კორპ 8-ის მიმდებარედ, ფანასკერტელის ქ. 6-ს მიმდებარედ, ნუცუბიძის ქ. 46-ს მიმდებარედ, გაზაფხულის ქ. 24-ს მიმდებარედ, მიცკევიჩის ქ.6-ის და 25-25ა-ს მიმდებარედ, ცინცაძის ქ. 50-ს მიმდებარედ, ანტონოვსკაიას ქ. 9-ს მიმდებარედ, ბუდაპეშტის ქ. 9-ს მიმდებარედ, საირმის ქ.5, ალექსიძის ქ. 1, ვაშლიჯვარი 4ა-ს და 4ბ-ს კორპუსების მიმდებარედ; დ.დ მე-3მ/რ, კორპ 19-ის მიმდებარედ; ჩიქოვანის ქ.18-ის მიმდებარედ; სანიაღვრე-საკანალიზაციო ქსელის აღდგენა-მოწყობა შემდეგ მისამართებზე: პეკინის ქ.17, ცინცაძის 83-ის კორპუსის ეზო, ცინცაძის 56, სოფელ დიღომში რუსთაველის ქ, ასათიანის ქ.12, ვაშლიჯვარში-კვანტალიანის ჩიხი 75, ჩიქოვანის ქ34-36, დ.დ პირველი მ/რ (ეკლესიის მიმდებარედ), გოძიაშვილის პირველი ჩიხი, გიორგი ბრწყინვალეს 35-39, პეკინის ქ. 8, ბუდაპეშტის ქ. 3ა-3ბ, სოფელ დიღომში დიდგორის ქუჩიდან სონღულაშვილის ქუჩამდე, ვაშლიჯვარში, კვანტალიანის ჩიხი 75-დან ზედა მიმართულებით; ხეების გასხვლა-გადაბელვა; გამწვანებული

ტერიტორიების მოვლა-პატრონობა; მწვანე გაზონის, მარადმწვანე ტუიას და კვიპაროსის ნერგების შესყიდვა; რაიონის ტერიტორიაზე არსებული მყარი ურბანული ნარჩენების გატანა; ფინანსური დახმარება გაეწია 18 ეკლესია-მონასტერს და ერთ მუსლიმანთა სამლოცველო სახლს; ასევე დაფინანსებულია ექსპერტიზისა და შემოწმების მომსახურების ხარჯები; 13 მისამართზე საყრდენი კედლების, 20 მისამართზე სკვერების და 10 მისამართზე კიბეების მოწყობა-რეაბილიტაციისათვის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ხარჯები; სანაგვე ურნების(მონტაჟით)შესყიდვა; ა/თვითმცლელის და ამწის მომსახურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - 13 მისამართზე საყრდენი კედლის აღდგენა-მოწყობა; სკვერის მოწყობა - 5 მისამართზე; სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელის აღდგენა-მოწყობა 14 მისამართზე; სპორტული მოედნების აღდგენა-მოწყობა 16 მისამართზე; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - გაზიფიცირებით უზრუნველყოფილი სოციალურად დაუცველი 14 ოჯახი; 19 ეკლესია-მონასტრის (მათ შორის ერთი მუსლიმანთა სამლოცველო სახლი) ფინანსური დახმარება.

02 09 16 კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 2,139.8 ათასი ლარი დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონის ტერიტორიის გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა, გამაგრებული საყრდენი კედლები, განახლებული სკვერები და პარკები, შეკეთებული სანიაღვრე ქსელი; მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: გადაიბელა-გაისხვლა და მოიჭრა 2 482 ავარიული ხე, 3 მისამართზე განხორციელდა გრუნტის დამჭერი რ/ბეტონის კედლის და ჯებირის გამაგრება, 22 მისამართზე ავარიული საცხოვრებელი სახლების დემონტაჟის, დამზღვევი ღონისძიებების და სამშენებლო ნაგვის გატანის

სამუშაოები; განხორციელდა 12 სკვერის, 18 სპორტული მოედნის და 7 მისამართზე დაზიანებული კიბე-პანდუსის მოწყობა-რეაბილიტაცია; 35 მისამართზე დაიდგა 36 ერთეული ფანჩატური, 72 მისამართზე დაიდგა 185 ცალი საბაღე სკამი, რაიონის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებში დაიდგა 40 ერთეული საბაღე ურნა; 8 მისამართზე განხორციელდა საკანალიზაციო, სანიაღვრე და წყალსადენი ქსელების რეაბილიტაცია; განხორციელდა სოციალურად დაუცველი 63 ოჯახის საცხოვრებლის გაზიფიცირება, 14 ეკლესიას გაეწია ფინანსური დახმარება, გაწეულია გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობის, სკვერებსა და სპორტულ მოედნებზე დაზიანებული ფრაგმენტების აღდგენა-შეკეთების, საყრდენი კედლების, კიბე-პანდუსების, ლითონის სხვადასხვა კონსტრუქციების, სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობა-მშენებლობის საინჟინრო-საპროექტო მომსახურების და დეფექტური აქტების შედგენის ხარჯები. ასევე, დაფარულია 2015 წელს მომზადებული არმაზის სარაგბო ბაზის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულება - 21 957 ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - გრუნტის დამჭერი რ/ბეტონის კედლის და ჯებირის გამაგრება - 3 მისამართი, ავარიული საცხოვრებელი სახლების დემონტაჟის, დამზღვევი ღონისძიებების და სამშენებლო ნაგვის გატანის სამუშაოები - 22 მისამართი, სკვერის, ფანჩტურის და სპორტული მოედნის მოწყობა-რეაბილიტაცია - 65 მისამართი, რ/ბეტონის კიბე-პანდუსის მოწყობა - 7 მისამართი, საყრდენი კედლის მოწყობა - 3 მისამართი, საბაღე სკამის და საბაღე ურნის დამზადება-მონტაჟი - 225 ერთეული; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - სოციალურად დაუცველი 63 ოჯახის გაზიფიცირების სამუშაოები; 14 ეკლესიის ფინანსური დახმარება.

02 09 17 კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 4,445.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - ქუჩები, ეზოები, სათამაშო მოედნები, დასასვენებელი სკვერები, პარკები; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: სოციალურად დაუცველი 150 ოჯახის საცხოვრებლის გაზიფიცირება, მოხდა ავარიული ხეების მოჭრა და ფორმირება, 6 მისამართზე განხორციელდა საყრდენი კედლების მოწყობა, 7 მისამართზე სანიაღვრე ქსელების შეკეთება, 63 მისამართზე საკანალიზაციო ქსელების შეკეთება-მოწყობა, 19 სპორტული მოედნის და 17 სკვერის მოწყობა, 20 ეკლესიას გაეწია ფინანსური დახმარება, 13 მისამართზე ჩატარდა წყალსადენის ქსელზე მიერთების სამუშაოები, არხის გასწვრივ მოეწყო რკინა-ბეტონის მოაჯირები, დამონტაჟდა 20 ფანჩატური და 200 საბაღე სკამი, გაწეულია სკვერების მოვლის, ბალახის თიბვის, საინჟინრო-საპროექტო მომსახურების და დეფექტური აქტების შედგენისხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - საყრდენი კედლების მოწყობა - 6 მისამართი, სკვერის, ფანჩატურის და სპორტული მოედნის მოწყობა - 56 მისამართი, საბაღე სკამის დამზადება-მონტაჟი - 200 ერთეული, სანიაღვრე, საკანალიზაციო და წყალსადენი ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია - 83 მისამართზე; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - სოციალურად დაუცველი 150 ოჯახის გაზიფიცირების სამუშაოები; 20 ეკლესიის ფინანსური დახმარება.

02 09 18 კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 2,949.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - ქუჩები, ეზოები, სათამაშო მოედნები, დასასვენებელი სკვერები, პარკები; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: რაიონის ტერიტორიაზე მიტოვებული სამშენებლო ნარჩენების, მიწის და ფერდობებიდან ჩამონაშალი გრუნტის მოგროვება და სანქცირებულ ნაგავსაყრელზე გადაყრა; აბესაძის ქ. N20-21-ში

მდებარე საცხოვრებელი სახლების სახურავების მიმდინარე შეკეთება; 11 მისამართზე დაზიანებული მზიდი კონსტრუქციების წინმსწრები დამზღვევი საავარიო გამაგრების, დემონტაჟის და სხვა თანმდები სამუშაოები; კრწანისის ქ. N2-6-ის მიმდებარედ ტროტუარის შემომზღუდავი მოაჯირის მოწყობა; ბ.ახოსპირელის III ჩიხი, N8-ში ავარიული სახლის (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი) პრევენციული კონსერვაციის სამუშაოები; ზემო ფონიჭალაში, ანდრო ჟორდანიას ქუჩიდან და ქვემო ფონიჭალაში მდინარე მტკვრამდე სანიაღვრე კოლექტორის მოწყობა; სკვერი მოეწყო 2 მისამართზე: ფონიჭალა 3. N12-სა და N13-ს კორპუსებს შორის და 300 არაგველის სკვერი (ნაწილობრივ); რაიონის ტერიტორიაზე შეკეთდა დასასვენებელი და საბავშვო კუთხეები; 16 ცალი საქანელა-სასრიალოს შეძენა; რაიონის ტერიტორიაზე 3 ცალი საზოგადოებრივი ტუალეტის მოვლა-პატრონობა; გ.აბესაძის ქ. N20-ში მდებარე საცხ. სახლის (კულტ. მემკვიდრეობის ძეგლი) ხანძრის შედეგად დაზიანებული ფასადის აღდგენითი სამუშაოები; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების, არქეოლოგიური სამუშაოებისა და საქართველოს კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანის ნებართვაზე რკინიგზის ტერიტორიაზე განხორციელებული სამუშაოების სანებართვო მოსაკრებელი; 300 არაგველის სკვერში მარადიული ცეცხლის ბუნებრივი აირის ხარჯები; 7ოჯახზე ინდივიდუალური გაზიფიცირების სამუშაოები; ალექსანდრე ბერიძის ქუჩაზე და თელეთის ქუჩაზე გაზგამანაწილებელი ქსელის მოწყობა; ერეკლე II ქ.N21-ში და კოტე აფხაზის ქ.N32-ში ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების მიმდინარე შეკეთება; იეთიმ გურჯის ქ. N4/9-ში ხანძრის შედეგად დაზიანებული სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები; რაიონის ტერიტორიაზე მწვანე ნარგაობის მოვლის, ხეების ფორმირება, გადაბელვა, მოჭრა და კუნძების ამოძირკვა-გატანა; საყრდენი კედლის დამჭერი კონსტრუქციები მოეწყო 6 მისამართზე: ფაბრიკის შესახვევი N6-ის მიმდებარედ გრუნტის დამჭერი კედლის, კრწანისის I ჩიხი N13-ის მიმდებარედ გზის დამჭერი კედლის, ფონიჭალაში გოგებაშვილის ქუჩაზე გზის საყრდენი კედლის მოწყობა; კრწანისის ქ. N1-ის მიმდებარედ გზის საყრდენი კედლის რეაბილიტაცია; სოფელ ფონიჭალაში, აზერბაიჯანული სასაფლაოს მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა;

ჟ.კალანდაძის ქ N4, კორპ N1-ის მიმდებარედ გრუნტის დამჭერი რკინა ბეტონის კედლების მოწყობა; რაიონის ტერიტორიაზე პარკებში და სკვერებში სკამების, ბორდიურების, კედლების მცირე დაზიანებების მიმდინარე შეკეთება; გორგასლის ქ.N111ა-ს მიმდებარედ, წინანურის ქ.N90ა, რუსთავის გზატკეცილი N19, კორპ N1, რუსთავის გზატკეცილი N267, კორპ.N7/2-ის და რუსთავის გზატკეცილი N269, კორპ.N8-ის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნების მიმდინარე შეკეთება (5 მისამართი); გრიგორ ხანძთელის II ჩიხი N5-ში მდებარე შენობის ავარიული ფრაგმენტის მიმდინარე შეკეთება; გ. აბესაძის ქუჩა N4/6 მდებარე საცხოვრებელი სახლის დაზიანებული გარე კედლის პრევენციული კონსერვაციის სამუშაოები; ბეთლემის აღმართზე N8-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის პრევენციული კონსერვაციის მოწყობის სამუშაოები; 915კვ.მ დეკორატიული და დამცავი ღობეების შეძენა-მონტაჟი; მცირე საზოგადოებრივი სივრცის, სკვერების, ეზოების მიმდინარე შეკეთების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ვარდების, მიხაკების და ყვავილოვანი ბუჩქებისა და მოვლის სამუშაოები; რაიონის ტეროტორიაზე ვანდალიზმის შედეგად დაზიანებული ადგილების მიმდინარე შეკეთება; მოძრაობიოს შემზღუდავი ბარიერების მიმდინარე შეკეთება; ორპირის ჩიხი N30-ს და სალმის ქ.N10-ს შორის არსებულ კლდეზე წყალამრიდის მოწყობის სამუშაოები; სოფელ ფონიჭალაში, თავისუფლების ქუჩა N1-დან N30-მდე საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები; 10 ცალი სავაჭრო-საგამოფენო დახლის დამზადება; სკვერებისა და მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა; რაიონის ტერიტორიაზე მდებარე 7 ტაძრის და ერთი მუსლიმანთა საზოგადოების-მეჩეთის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები; 100 ცალი სანაგვე ურნისა და სხვა მცირეფასიანი საქონლის შეძენა (კვადრატული მილის და ზოლოვანა, წყლის მრიცხველი, ჭის თავსახური; 3 ც წყლის დასალევი ნიჟარა და სხვა); 6ცალი პანდუსის მოწყობა:კოტე აფხაზის ქუჩაზე ლესელიძის სახელობის სკვერში, ს.ჭიაურელის სახ.სკვერში, ალიევის სკევრის მიმდებარედ, რუსთავის გზატკეცილზე N3 პოლიცის შენობის წინ, N42 სამუსიკო სკოლის წინ და ფონიჭალაში N20 პოლიკლინიკის მიმდებარედ; კრწანისის ქ. N3-ის მიმდებარედ

არსებული ხევის გაწმენდა; 30ც. გარე განათების დეკორატიული სანათისა და 60ც ლამპიონის შეძენა; 2 ცალი ბენზო ცელის შეძენა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა -6 მისამართზე საყრდენი კედლის დამჭერი კონსტრუქციების მოწყობა, ავარიული საცხოვრებელი სახლების გამაგრება 9 მისამართზე, სკვერის და სპორტული მოედნის მოწყობა 7 მისამართზე, სანიაღვრე ქსელის მოწყობა 1 მისამართზე, გაზგამანაწილებელი ქსელის მოწყობა - 2 მისამართზე; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - გაზიფიცირებით უზრუნველყოფილი სოციალურად დაუცველი 7 ოჯახი; 7 ეკლესიის და ერთი მუსლიმანთა მეჩეთის ფინანსური დახმარება.

02 09 19 კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 2,927.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - ქუჩები, ეზოები, სათამაშო მოედნები, დასასვენებელი სკვერები, პარკები; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: რაიონის ტერიტორიაზე განთავსებული წყლის დასალევი ნიჟარების ექსპლუატაციის (მოვლა-შეკეთების) სამუშაოები; სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ კოჯორში, ოდიშელიძის პირველი ჩიხი N5-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ხანძრის შედეგად წარმოქმნილი დაზიანებების საორიენტაციო ღირებულების დადგენა; ლ.ქიაჩელის ქ.N13-ში საცხოვრებელი სახლის ეზოში მდებარე ხე-მცენარის გრუნტის დამჭერ კედელზე გავლენის შესახებ დასკვნის მომზადება, რაიონის ტერიტორიაზე გამავალი ნარიყალა-მთაწმინდის ტურისტული ბილიკის მოვლის და მიმდინარე შეკეთების სამუშაოები; ქვეითად მოსიარულეთა ზონების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები; დაზიანებული მოაჯირებისა და ბარიერის ბოძების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები; დაზიანებული შენობა-ნაგებობების ნანგრევებისაგან ტერიტორიის გაწმენდის, სამშენებლო ნაგვისა და გრუნტის

გატანის სამუშაოები; ქ. თბილისში, ს. ჯანაშიას ქ. N22, გ. რჩეულიშვილის ქ. N6 IVკორპუსის და ვ. ბარნოვის ქ.N42-ის წინ ბაღების მოწყობის სამუშაოები; მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე I, II, III, IV კატეგორიის ხმელი, ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრის და მათი დამუშავება-გატანის, ხეების სანიტარულ-ფორმირებადი მოჭრის და მათი დამუშავება-გატანის, ასევე მოტეხილი და მოთხრილი ხეების დამუშავება-გატანის, კუნძების ამოძირკვა-გატანის, ტერიტორიის გათიბვის, ა/ტრანსპორტზე დატვირთვის და გატანის და ხეების ამოძირკვის შედეგად დარჩენილი ორმოების მიწით ამოვსების მომსახურების გაწევა; საინჟინრო ნაგებობების (საყრდენი კედლები), სკვერების შეკეთება-ახლის მოწყობის და ფეხით მოსიარულეთა სავალი ნაწილის აღდგენის ან ახლის მოწყობის, წყალ-კანალიზაციის, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების სარეაბილიტაციო და ავარიული სახოვრებელი სახლების გამაგრების (წინმსწრებ-დამზღვევი ღონისძიებები) სამუშაოებისათვის დეფექტური აქტების და ტექნიკური დავალებების შედგენა, საინჟინრო–გეოლოგიური და ჰიდრო-გეოლოგიური კვლევის ჩატარება და დასკვნის მომზადება. ქ. თბილისში, ვ. ბარნოვის ქ.N35-ში რკინაბეტონის კედლისა და ღობის, გ. რჩეულიშვილის ქ. N1-ში გრუნტის დამჭერი რკინაბეტონის კედლისა და მოაჯირის, მ. ზანდუკელის ქ. N3-ში აგურის ღობის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები, ქ. ბილისში, კიკეთში, კოჯორში, ტაბახმელაში, შინდისში და ოქროყანაში სპორტული მოედნების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; გრიბოედოვის ქ. 20-ში და კიკეთში, დიდების ქ.N15-ში ავარიული საცხოვრებელი სახლის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; მ. თუმანიშვილის ქ.N8-ში მდებარე სახლის გამაგრების სამუშაოები; ლ.ასათიანის ქ.N64-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ხანძრის შედეგად დაზიანებული სახურავის შეკეთების სამუშაოები; რაიონში გამწვანებული ტერიტორიების მოვლის სამუშაოები; კ. მესხის ქ. N14-ში, დ. ყიფიანის ქ. N3-ში და დ. ყიფიანის ქ. N5-ში მდებარე საცხოვრებელ სახლებში ხანძრის შედეგად დაზიანებული ნაწილების კაპიტალური შეკეთების სამშენებლო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ვ. სარაჯიშვილის მე-3 შესახვევი N7 და პოლ. კაკაბაძის ქუჩაზე საყრდენი კედლების მოწყობის და გ. რჩეულიშვილის N7კორპუსთან საყრდენი კედლის შეკეთების სამუშაოების

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; ოქროყანაში, პირველი მაისის II ჩიხი N6-ში გრუნტის დამჭერი რკინაბეტონის კედლისა და მოაჯირების, კოჯორში, სკოლის ქ.N18-ში გრუნტის დამჭერი რკინაბეტონისა და აგურის კედლი, ქ. თბილისში, გუნიასა და მაყაშვილის ქუჩების კვეთაზე გრუნტის დამჭერი რკინაბეტონის კედლისა და ღობის და ვ. ბერიძის ქ. N2-ში მდებარე ავარიული სახლის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; წავკისში, ვაჟა-ფშაველას ქუჩის ბოლოში მილხიდის მოწყობის და ოქროყანაში, ექვთიმე თაყაიშვილის ქ.N19-თან სასაფლაოს საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; წავკისში, აკ. წერეთლის ქ.N2-ის მიმდებარედ და ტაბახმელაში N9 კორპუსთან საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; ქ. თბილისში, რჩეულიშვილის კორპ. N8-თან, კოჯორში და ტაბახმელაში სპორტული მოედნების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; ქ.თბილისში, მელიქიშვილის ქ. N13-ში და რუსთაველის გამზირი N20-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების აგურის კედლების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; კ. მესხის ქ.N14-ში, დ. ყიფიანის ქ.N3, N5-ში მდებარე საცხოვრებელ სახლებში ხანძრის შედეგად დაზიანებული ნაწილების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; სანიაღვრე კიუვეტის ცხაურების მოწყობა; 300 ცალი ძელსკამი მოწყობა; კოჯორში არსებული შადრევნის მოვლა-პატრონობა; 300 ცალი ქუჩაში დასადგამი ლითონისა და ხის მასალისგან დამზადებული კომბინირებული ნაგვის ურნა; ქ.თბილისში, გ.ლეონიძის ქ.N2-ის და მ.კოსტავას ქ.N24-ის წინ ტროტუარის კაპიტალური კეთილმოწყობის სამუშაოები; ქ.თბილისში შ. დადიანის ქ.N7-ში მდებარე დაზიანებული კიბის, გ. რჩეულიშვილის N7 კორპუსთან საყრდენი კედლის კაპიტალური შეკეთების, პ. კაკაბაძის ქუჩაზე საყრდენი კედლის და ტაბახმელაში N9 კორპუსის მიმდებარედ საყრდენი კედლის, კიბისა და პანდუსის მოწყობის სამუშაოები; ქ. თბილისში სანაპიროს ქ. N4-ის, წავკისში, რუსთაველის ქ. N1-ის მიმდებარედ და რუსთაველის ქ.N51-ის მოპირდაპირედ არსებული სპორტული მოედნების მიმდინარე კეთილმოწყობის სამუშაოები; ოქროყანაში, ექვთიმე თაყაიშვილის ქ.N19-ში, სასაფლაოსთან არსებული საყრდენი კედლის კაპიტალური

შეკეთების სამუშაოები; ქ. თბილისში, ლ. ასათიანის ქ.N60, ნ. ბარათაშვილის ქ.N4, სანაპიროს ქ.N8-ში, მაჩაბლის ქ.N4 და მთაწმინდის ქ.N2-ის მიმდებარედ არსებული ბაღების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები; წავკისში, აკ. წერეთლის ქ.N2-ში საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები; კოჯორში, ალ. ჩხეიძის, ამაღლების, იუნკერების, კაჭახიძის ქუჩებზე, დამოუკიდებელობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა მემორიალთან, იუნკერების ქ. N2-ში დევნილების დასახლებასთან, კოჯრის შესასვლელთან და ოქროყანაში „ა“ ზონაში არსებული ბაღების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები; ქ.თბილისში, რ.თაბუკაშვილის ქ.N40-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის კაპიტალური შეკეთების (წინმსწრებ-დამზღვევი ღონისძიებები) სამუშაოები; ქ. თბილისში, ბელინსკის ქ.N61-ში გრუნტის დამჭერი რკინაბეტონის კედლისა და ღობის, ზანდუკელის ქ.N26-ში გრუნტის დამჭერი რკინაბეტონის კედლისა და კიბის, ბოლო აღმართის ქ.N19-ში დამწვარი სახურავის, შინდისში, ლორთქიფანიძის ჩიხი N4-ში რკინაბეტონის კედლისა და ღობის და წავკისში, ვაჟა-ფშაველას ქუჩის მიმდებარედ მილხიდის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე ფანჩატურების მოწყობის სამუშაოები; 7 ოჯახის გაზიფიცირების სამონტაჟო სამუშაოები; 17 ეკლესიას გაეწია დახმარება; ასევე ქ. თბილისში - ბოცვაძის ქ. №14-ს მიმდებარედ, კოჯორში - ქოროღლის უბანში ბაღების, ქოროღლის ციხესთან კიბის აღდგენა-შეკეთების, შინდისში - ჭავჭავაძისა და ლორთქიფანიძის ქუჩების კვეთაზე, წავკისში - რუსთაველის ქ. N51-ს მოპირდაპირედ ბაღების მოწყობის სამუშაოები, კიკეთში, მაჟალო მიწების მიმდებარედ გრუნტის დამჭერი რკინაბეტონის კედლის, ქ. თბილისში, ამაღლების ქუჩა N8-ში გრუნტის დამჭერი რკინაბეტონის კედლის, რჩეულიშვილის ქ.N10-ში მდებარე დაზიანებული კედლის და რჩეულიშვილის ქ. N4-ში ღობის, ლითონის მოაჯირისა და კიბის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; კიკეთში, კოჯორში, ოქროყანაში, ტაბახმელაში, შინდისში და წავკისში მოსაცდელების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები; თბილისში, მაჩაბლის ქ.18-ში ხანძრისაგან დაზიანებული სახლის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; გალაქტიონის ქუჩაზე საზოგადოებრივ ადგილებში არსებული გასანათებელი მოწყობილობების შეკეთების სამუშაოები; ნ. ნიკოლაძის ქ.N2-ში მდებარე ავარიული

სახლის კაპიტალური შეკეთების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოები; ლ. ქიაჩელის ქ. N13-ის ეზოს დამჭერი კედლით გამაგრების სამუშაოები; ვ. სარაჯიშვილის ქ.N21-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის კაპიტალური შეკეთების (წინმსწრებ-დამზღვევი ღონისძიებები) სამუშაოები; ნ. ბაშალეიშვილის I ჩიხი N10-ში ხანძრისაგან დაზიანებული სახლის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; ბელინსკის ქ.N35-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები (წინმსწრებ-დამზღვევი ღონისძიებები); ვ. ანჯაფარიძის ქ.N16-ში არსებული შენობის და გ. ქიქოძის ქ. N13-ში რკინაბეტონის საჰაეროს კაპიტალური შეკეთების, კოჯორში - გ. ტაბიძის ქ. I ჩიხი N2-ში პანდუსის მოწყობის და ტაბახმელაში, თბილისი-კოჯრის გზატკ. N25-ში კიბის და პანდუსის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; თანხა გადაირიცხა ბელინსკის ქ.N35-ში და თაბუკაშვილის ქ.N40-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების კაპიტალური გამაგრების სამუშაოების ჩაასატარებლად საჭირო სანებართვო მოსაკრებელზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - შენობების გამაგრების სამუშაოები 13 მისამართზე, გრუნტის დამჭერი კედლების აღდგენა-მშენებლობის სამუშაოები 28 მისამართზე, გამწვანების ღონისძიებები 25000 კვ.მ ფართობზე, წყლის დასალევი ნიჟარების მოვლა-ექსპლუატაციის სამუშაოები 14 მისამართზე, მოსაცდელების რეაბილიტაციის სამუშაოები 9 მისამართზე; მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები - გაზიფიცირებით უზრუნველყოფილი სოციალურად დაუცველი 7 ოჯახი; 17 ეკლესიის ფინანსური დახმარება.

02 10 ქალაქის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი

2016 წლის გეგმა 42,656.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 42,390.1 ათასი ლარით. რაც გეგმის 99%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: შენარჩუნებული თბილისის კულტურული მემკვიდრეობა, რესტავრირებული არქიტექტურული ძეგლები, აღდგენილი და რეაბილიტირებული შენობები, მოსახლეობის გაუმჯობესებული საყოფაცხორებო პირობები, კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ინფრასტრუფტურა, ქალაქის

ინოვაციური განვითარება, ქალაქგანვითარების კონცეფციების მეთოდური უზრუნველყოფა, ქალაქგანვითარებაში ჩართული ინვესტორები და დონორები; ქონების რეალიზაციით მიღებული დამატებითი შემოსავლები, ფონდის მიერ განხორციელებული ღონისძიებების ამაღლებული ხარჯთეფექტიანობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თბილისის განვითარების ფონდის ფუნქციონირების ხარჯები (შრომის ანაზღაურება, კომუნალური ხარჯები, ოფისის ხარჯები და სხვა). გარდა ამისა, სამუშაოები მიმდინარეობდა შემდეგ მიმართულებებზე:

ბინებიდან გამოყვანილი მოსახლეობის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის (ქირის) და მასთან დაკავშირებული თანმდევი ხარჯები; ქალაქის ეკონომიკური, ტურისტული და სოციალური პოტენციალის გაუმჯობესების შესაძლებლობების ძიების ხარჯები;

მსხვილი არეალების პროექტირების ფარგლებში განხორციელდა - აღმაშენებლის N22, N60-60ა, N38, N54, N40-44, აღმაშენებლის საკომუნიკაციო-საინჟინრო ქსელების და მშრალი ხიდის და მიმდებარე არეალის პროექტირება; ლ. გუდიაშვილის მოედნის და მიმდებარე არეალში მდებარე 14 მისამართის რეაბილიტაციის პროექტირება; ორბელიანის მოედანზე სარეაბილიტაციო მისამართების და საინჟინრო-საკომუნიკაციო ქსელების პროექტირება.

ისტორიულ-კულტურული ძეგლების და მუზეუმების პროექტირების ფარგლებში განხორციელდა - ყავლაშვილის N7-5-ში საცხოვრებელი სახლის, რუსთაველის 14-ში საცხოვრებელი სახლის (ძეგლის), რუსთაველის 16-ში საცხოვრებელი სახლის (ძეგლის), ინგოროყვას N14-ში საცხოვრებელი სახლის (ძეგლის), ჭონქაძის 12-ში საცხოვრებელი სახლის(ძეგლის) პროექტირება.

მსხვილი არეალების რეაბილიტაციის მიმართულებით, პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში, რომლის მიზანი იყო დიდი ტურისტული მარშრუტის განვითარება მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე განთავსებული ორი ღერძის მიხედვით, სადაც რეალურად არსებული ყველაზე დიდი შესაძლებლობების ტურიზმის განვითარების ხელშეწყობით მოხდეს ეკონომიკის

სტიმულირება, განხორციელდა დავით აღმაშენებლის გამზირის ვარდების ბაღიდან და დ. აბაშიძის ქუჩიდან ზაარბრიუკენის მოედნამდე მონაკვეთის და მშრალი ხიდის მიმდებარე არეალის სარეაბილიტაციო სამუშაოები, წყალსადენ-კანალიზაციის, სანიაღვრე ქსელის, ელ. მომარაგების, გაზგამანაწილებელი ქსელის რეკონსტრუქციის, საფეხმავლო და სამანქანე ზოლის კეთილმოწყობის სამუშაოები; ლ.გუდიაშვილის მოედნის (ხიმინჯები, კანალიზაცია) და მიმდებარე არეალში N34 საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ქვემო კალის რეაბილიტაციის ფარგლებში განხორციელდა: ბეთლემის ზედა ნაწილის, ბეთლემის N10 საცხოვრებელი სახლის და თუმანიანის მე-2 ჩიხის N3-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ღვინის აღმართის რეაბილიტაციის ფარგლებში განხორციელდა: ღვინის აღმართი N1, N3 და N5-ში არსებული საცხოვრებელი სახლების და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია, ღვინის აღმართი N7 საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია.

ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების რეაბილიტაციის ფარგლებში განხორციელდა: ყავლაშვილის N9-ის, კოსტა ხეთაგუროვის N7-ის, უზნაძის N4-ის, დადიანის N34-36-ის (ნაწილობრივ), გალის N19-ში კოლხური კოშკის, მარჯანიშვილის N16-ის, შოთა რუსთაველის გამზირის N14-16-ის ფასადების და ნარიყალას ციხის (ნაწილობრივ) სარეაბილიტაციო სამუშაოები, მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის მონასტრისა და ერეკლე მეორეს მეუღლე დარეჯან დედოფლის სასახლის „საჩინოს“ გალავნის დაზიანებული ფრაგმენტის აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები.

მუზეუმების რეაბილიტაციის ფარგლებში განხორციელდა მედიცინის მუზეუმის რეაბილიტაციის სამუშაოები (თანადაფინანსებით);

სარეკრეაციო ზონების რეაბილიტაციის ფარგლებში განხორციელდა ლისის ტბის შემოვლითი გზის მოწყობის სამუშაოები (ნაწილობრივ).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: აღდგენილი და გამაგრებული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და სხვა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რაოდენობა. საინჟინრო -

სარეაბილიტაციო პროექტების რაოდენობა. ქალაქანვითარებითი პოტენციალის გამოსავლენად ჩატარებული კვლევების რაოდენობა. ოჯახების რაოდენობა, რომელთაც გაუუმჯობესდათ საცხოვრებელი და საბინაო პირობები. დასაქმებული მოქალაქეების რაოდენობა, რომლებიც ჩაერთვებიან სამშენებლო, ტურისტულ და კომერციულ დარგებში.

02 11 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური; საფინანსო საქალაქო სამსახური; ზედამხედველობის საქალაქო სამსახური; ვაკის რაიონის გამგეობა; საბურთალოს რაიონის გამგეობა;

2016 წლის გეგმა 15,125.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 12,972.1 ათასი ლარით. რაც გეგმის 86%-ია.

დასახული საბოლოო შედეგები: სტიქიისაგან დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა; მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები; დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციის და სხვა სახის ფულადი დახმარებები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული საბოლოო შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია 2015 წლის 13-14 ივნისს თბილისში მოხდარი ძლიერი წვიმით გამოწვეული სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება, მათ შორის:

საფინანსო სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა და დაფინანსდა შემდეგი სახის ღონისძიებები: სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებისაგან გამოსყიდული იქნა მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება და გაიცა ფულადი სახსრები მათი საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით. 2015-2016 წლებში დაკმაყოფილდა 60 ოჯახი (მათ შორის: 2015 – 51 ოჯახი, 2016 – 9 ოჯახი), რისთვისაც გადარიცხულია 17,383.7 ათასი ლარი, მათ შორის 2015 წელს - 14,529.6 ათასი ლარი, ხოლო 2016 წელს - 2,854.0 ათასი ლარი.

გარდა ამისა, 2016 წელს გაწეულია სტიქიის შედეგად დაზიანებული ავტომობილების მესაკუთრეებისათვის (152 ავტომანქანა) მიყენებული ზიანის ანაზღაურების ხარჯები - 1,088.6 ათასი ლარი.

კეთილმოწყობის სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა და დაფინანსდა შემდეგი სახის ღონისძიებები: მდ. ვერეს ხეობაში, მზიურის მიმდებარედ დეკორატიული კედლის მშენებლობა; წყნეთში, გრიშაშვილის ქუჩაზე, სანიაღვრე კოლექტორის აღდგენა; ზემო ვეძისის 43ბ-ს მიმდებარედ სანიაღვრე ქსელის მოწყობა; წყნეთი-ახალდაბის გზის მე-3 კმ-ზე დამეწყრილ ტერიტორიაზე ხეების მოჭრის სამუშაოები; მდ ვერეს ხეობაში ცხაურის ტიპის ნატანდამჭერი ჰიდროტექნიკური ნაგებობების პროექტირება; წყნეთში, მასწავლებელთა გადამზადების ცენტრის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა; კოჯორი-სამადლოს დამაკავშირებელი გზის 6.34 კმ. სიგრძის მონაკვეთის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; მდ. ვერეს ხეობაში სტიქიის შედეგად დაზიანებული არსებული გოფრირებული ფოლადის კონსტრუქციის N5 და N6 გვირაბის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები და დამაკავშირებელი საყრდენი კედლის მშენებლობის სამუშაოები; მდ. ვერეს ხეობაში სტიქიის შედეგად დაზიანებული არსებული გოფრირებული ფოლადის კონსტრუქციის №7 და №3 გვირაბის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები; ახალდაბის გზის გაწმენდის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; მდ. ვერეს ხეობაში სტიქიის შედეგად დაზიანებული არსებული გოფრირებული კონსტრუქციის (№4 და №6) გვირაბების და მათი სათავისების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები. მიმდინარეობს წყნეთი-ახალდაბის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის (კმ 2 + 400) დაზიანებული მონაკვეთის აღდგენის სამუშაოები.

ზედამხედველობის სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა და დაფინანსდა შემდეგი სახის ღონისძიებები: 232 კვ.მ. კაპიტალური შენობა-ნაგებობის დემონტაჟი (მონოლითური გადახურვით), 436 კვ.მ კაპიტალური გადაუხურავი ან არამონოლითურად გადახურული შენობა-ნაგებობების და კაპიტალური ღობეების დემონტაჟი, 843 კვ.მ მსუბუქი კონსტრუქციის დემონტაჟი, 1047,5 გრძ.მ. მარტივი ტიპის ღობეების მოხსნა, 460 კუბ. მ. ნარჩენების დატვირთვა

მის სარგებლობაში არსებულ ავტომანქანებზე და ტრანსპირტირება ნაგავსაყრელზე.


ვაკის რაიონის გამგეობის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა და დაფინანსდა შემდეგი სახის ღონისძიებები: 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ 76 ოჯახზე საოჯახო ნივთების შესაძენად ფინანსური დახმარება - 553.5 ათასი ლარი; სტიქიის შედეგად დაზარალებული 3 მოქალაქისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით ფინანსური დახმარება - 105.0 ათასი ლარი; სტიქიით დაზიანებული სახლების სარემონტო სამუშაოები - 1,370.7 ათასი ლარი (სამუშაოები დასრულდა 72 მისამართზე, სამუშაოები მიმდინარეობს 6 მისამართზე).

საბურთალოს რაიონის გამგეობის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა და დაფინანსდა შემდეგი სახის ღონისძიებები: მათ შორის ჩიქოვანის ქ.30 კორპუსის საძირკველიდან შლამის გატანის მომსახურება; გოძიაშვილის ქ. 1 შესახვ. 38-ში და ლიხაურის ჩიხი 2-ში საცხოვრებელი სახლების გამაგრების სამუშაოები, ჩიქოვანის ქ.38-ში მდებარე კორპუსის და 195 საჯარო სკოლის მიმდებარედ ფერდობის გამაგრების სამუშაოებისთვის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ჩიქოვანის ქ.30-სა და 34-ს შორის ფერდის დამჭერი კედლის მოწყობა; კოსტავას ქ. 63-ის ეზოში (თერთმეტსართულიანი სახლი) სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები; ჩიქოვანის ქ.30-34-36-ს შორის (სპორტული მოედნის მიმდებარედ) საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები; ჩიქოვანის ქ.34-სა და 36 კორპუსებს შორის სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები; თამარ ლომსაძის 1 წევრიანი ოჯახისათვის საოჯახო ნივთების შესაძენად გაცემულია ერთჯერადი ფულადი დახმარება; ნათია ომანიძის 4 წვრიანი ოჯახისათვის, როგორც საოჯახო ნივთების შესაძენად ერთჯერადი ფულადი დახმარება, ასევე ბინის რეაბილიტაციის სამუშაოები; ამასთან, გადარიცხულია 8.3 ათასი ლარი, კოსტავას ქ. 63-ში, ჩიქოვანის ქ. 30-ში, 34-ში, 36-ში სკვერების მოწყობის სამუშაოები, რომელიც წარმოადგენს 2015 წელს შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან ხარისხის გარანტიის მიზნით დაკავებულ 2,5%-ს.


მიღწეული შედეგების შეფასების ინდიკატორები: სტიქიის შედეგად დაზარალებულ 9 ოჯახთან გაფორმებულია ხელშეკრულება მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დათმობის შესახებ და საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით ფულადი თანხის გადაცემის შესახებ; სტიქიის შედეგად დაზარალებულ 152 ავტომანქანის მესაკუთრეს გადაეცა ფულადი დახმარება; აღდგენილი ინფრასტრუქტურული ობიექტები.

❖ ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება


ათასი ლარი



ათასი ლარი



	დასუფთავების ღონისძიებები	გამწვანების ღონისძიებები	თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა
2014 წლის ფაქტი	51 166,7	12 599,8	3 500,0
2015 წლის ფაქტი	55 900,0	12 372,1	3 846,7
2016 წლის ფაქტი	67 803,9	12 358,2	4 127,2



03 01 გამწვანების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 13,449.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 12,358.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 92%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის და მოსახლეობის დასვენების პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სისტემატიურად ხორციელდებოდა სხვადასხვა ღონისძიეები, მათ შორის: გამწვანების ღონისძიებების ფარგლებში არსებული მწვანე ზოლების, ბაღ-პარკების მოვლა-პატრონობა (აგრო-ტექნიკური ღონისძიებები), ხე-ბუჩქების ფორმირება, გამწვანებული ტერიტორიების შევსება ნერგებით.

სხვადასხვა სკვერების და გამწვანებული ტერიტორიების აღდგენითი სამუშაოები: სამაიას სკვერის რეაბილიტაცია, მარცხენა სანაპიროსა და ხეთაგუროვის ქუჩის მიმდებარედ არსებული სკვერი (ნაწილობრივი აღდგენა), ნიკოლოზ ბარათაშვილის სახეხობის სკვერი (აღდგენა), ფარნავაზ მეფის სახელობის სკვერი (აღდგენა), ავლაბრის მოედანზე არსებული სკვერი (აღდგენა), ვაზისუბნის დას. N1-ლი კორპ. მიმდებარედ არსებული სკვერი (აღდგენა), ისნის რაიონში

მეგობრობის ქუჩის მიმდებარედ გამწვანებული ტერიტორია (მოწყობა), ლევან გოთუას ქუჩაზე არსებული სკვერისა და გამწვანებული ტერიტორიის მოწყობის სამუშაოები, ბ. პაიჭაძის ქუჩაზე მაიაკოვსკის ძეგლის მიმდებარედ არსებული სკვერისა და გამწვანებული ტერიტორიების აღდგენა-მოწყობის სამუშაოები; გრ. რობაქიძის გამზირზე არსებული გამწვანებული ტერიტორიების (თარგების) აღდგენა-მოწყობის სამუშაოები, თამარაშვილის ქუჩაზე ალეას ღდგენა-მოწყობის სამუშაოები, რუსთაველის გამზირი N10-ის (I გიმნაზია) მიმდებრედ არსებული სკვერის აღდგენა-მოწყობის სამუშაოები.

ქ. თბილისში განხორციელდა სხვადასხვა სახეობის თბილი და ცივი სეზონის ყვავილების შესყიდვა და დარგვა, სხვადასხვა სახეობის დეკორატიული ბუჩქოვანი მცენარეების შესყიდვა-დარგვა, სხვადასხვა სახეობის ხე–მცენარეების რგვების ღონისძიებები. ახალ დარგული ნერგების მოვლა-პატრონობა. ვერეს ხეობაში სარეკრიაციო ზონის მოწყობისთვის მცენარეების შეძენა - დარგვა.

ქ.თბილისში და მის შემოგარენში განხორციელდა არსებული ნარგავების ფიტოსანიტარული გამოკვლევა, მავნებელ დაავადებათა შესწავლა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება, მავნებელ დაავადებათა წინაღმდეგ ბრძოლის პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება.

ქ.თბილისის ტერიტორიაზე განხორციელდა ხეების სხვლა-ფორმირება, ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრა-დამუშავება და გატანა, მოჭრილი ხის კუნძების ამოღება და გატანა.

სხვადასხვა ტერიტორიაზე განხორციელდა მწვანე თარგებიდან სტრუქტურა დარღვეული ნიადაგის ფენის მოშორება და მისი ნოყიერი და ყამირი ფენით შევსება, ტოპო გადაღებების ჩატარების საშუალებით სხვადასხვა ობიექტებზე სტრუქტურა დარღვეული ნიადაგის გატანის რაოდენობის დადგენა, მიწოდებული ნოყიერი და ყამირი ნიადაგის რაოდენობების (მ3–ში) დადგენა; ქალაქის გამწვანებულ ტერიტორიაზე მწვანე გაზონის (რულონი) მოწყობის მომსახურება. საბაღე ფურნიტურის შეძენა. დეკორატიული ღობეების აღდგენა-მოწყობა. გამწვანებული ზოლების სარწყავი სისტემის აღდგენა რეკონსტრუქცია. ქ.თბილისის

ტერიტორიაზე სხვადასხვა ბაღის, ალეის, თარგების და გამწვანებული ტერიტორიის მოწყობის საპროექტო სამუშაოები.

განხორციელდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში, ყვავილების ფესტივალის ორგანიზება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: დარგული სხვადახვა ჯიშის ხე–მცენარეების რაოდენობა - 148416 ც. ნერგი; დროულად ჩატარებული, მავნებელ დაავადებათა გამოკვლევა და შემდგომ მათი პროფილაქტიკური წამლობა; აღდგენილი და მოწყობილია სარეკრეაციო ზონა (მოეწყო 30 ახალი სკვერი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 249-ს).

03 02 დასუფთავების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 67,803.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: დედაქალაქში სანიტარული წესრიგის შენარჩუნება, ეპიდემიური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება, ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენებისაგან გაწმენდა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები: მყარი და დიდი ზომის ნარჩენების გაუვნებელყოფისა და უტილიზაციის სამუშაოები; ქუჩების დაგვა-დასუფთავების სამუშაოები; დაგვა - დასუფთავებისას შეგროვებული ნარჩენების ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირების ღონისძიებები; ნაგავსაყრელ პოლიგონზე ნარჩენების განთავსების სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა 12 156 833 კვ.მ ქუჩების და მოედნების ყოველთვიური დაგვა დასუფთავების სამუშაოები; 5 231 924 კვ.მ შიდა კვარტალური ქუჩებისა და ეზოების დასუფთავების სამუშაოები; 3 601 896 კვ.მ სკვერების ტერიტორიის დასუფთავება; 2 001 200 კვ.მ ხევებისა და ფერდობების დასუფთავება.

2016 წელს „შპს თბილსერვის ჯგუფმა“ 2800 ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერი, 30 ერთეული თანამედროვე დამხმარე საშუალება და 5 ერთეული სპეციალური ტექნიკა შეიძინა. საერთო ჯამში, დედაქალაქს 291 ერთეული სპეციალური ტექნიკა ემსახურება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: დასუფთავებულ იქნა 22 991 853 კვ.მ ტერიტორიის ფართობი.

03 03 თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 4,127.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 4,166.7 ათასი ლარის 99%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

03 03 01 თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თბილისის ზოოლოგიური პარკი

2016 წლის გეგმა 2,782.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,744.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.6%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ვიზიტორების უსაფრთხოება, კომფორტული დასვენებისა და გართობის ადგილი; ცხოველების არსებობის პირობების გაუმჯობესება; საერთაშორისო სტანდარტის ზოოპარკის შექმნა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულ იქნა ზოოლოგიური პარკის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, ექსპონატების (ცხოველების) კვების, კომუნალური გადასახადების, მედიკამენტების შეძენის, სამედიცინო-ვეტერინარული მომსახურების, საკანცელარიო და სამეურნეო საქონელის შეძენის, საოფისე ტექნიკისა და კომპიუტერის საჭირო აქსესუარების შეძენის, ტორფის შეძენის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის და მიმდინარე შეკეთების, სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის, აუდიტორული მომსახურების, შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯები (ზოოპარკის ტერიტორიაზე არსებული შენობების ფასადების მოხატვა და მაღალი ძაბვის კაბელის აღდგენა), სხვა შენობა-ნაგებობების ხარჯები (მაიმუნების ვოლიერის მშენებლობა), მიწის გადასახადი, კულტურული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები, ევროპული ზოოპარკებისა და აკვარიუმების ასოციაციის საწევრო გადასახადი და სხვა ხარჯები.

გარდა ამისა, საკუთარი სახსრებიდან გაწეული იქნა შემდეგი ხარჯები: თანამშრომელთა პრემია, შენობა-ნაგებობების დაცვა, მობილური ტელეფონის ხარჯი, ინტერნეტმომსახურეობა, ზოოლოგიურ პარკში დაცული ცხოველების უზრუნველყოფა კვებით, დღგ-ს გადასახადი, ქონების გადასახადი, იმპორტირებულ საქონელზე გადასახდელი დღგ, მივლინება, ზოოპარკის ბალანსზე არსებული ა/მანქანების საწვავის და სათადარიგო ნაწილების შეძენა, ა/მანქანების მიმდინარე რემონტი, სამეურნეო საქონელი, წარმომადგენლობითი ხარჯი, საოფისე ტექნიკის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის ხარჯები, სხვა შენობა-ნაგებობები (ვოლიერების მშენებლობა), შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯი (ზოოპარკის ტერიტორიაზე არსებული შენობების ფასადების მოხატვა და ნაფრეზი ასფალტის გაშლა), კულტურული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები, სხვა მანქანა დანადგარები და ინვენტარის შეძენის და სხვადასხვა ხარჯები.

შეფასების ინდიკატორები: ზოოლოგიურ პარკში ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 181678;

03 03 02 ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი

2016 წლის გეგმა 1,384.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,382.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ვიზიტორების უსაფრთხოება, კომფორტული და შინაარსიანი დასვენება; საერთაშორისო ბოტანიკური ბაღის შექმნა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: ბოტანიკური ბაღის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, კომუნალური მომსახურების (ელ. ენერგია, ბუნებრივი აირი, წყალი, დასუფთავება) და კავშირგაბმულობის ხარჯები (სატელეფონო, ინტერნეტმომსახურება), შეძენილია ბაღის ავტო სატრანსპორტო საშუალებებისთვის საწვავ-საპოხი მასალები, რომელიც

გამოიყენება ბაღის ადმინისტრაციული, შიდა სამეურნეო და სხვა საჭირო ღონისძიებებისთვის, მცირეფასიანი საოფისე ავეჯი, საკანცელარიო და სამეურნეო საქონელი მიმდინარე საჭიროებებიდან გამომდინარე, შეძენილია მცენარეების მოვლა-პატრონობისთვის საწამლი საშუალებები, საბაღე ინვენტარი და ტექნიკა როგორც მცირეფასიანი ასევე 500 ლარზე მეტი ღირებულების (ერთი ხელით სამართავი ტრაქტორის მისაბმელი და სხვა მცირეფასიანი ინვენტარი), ნოყიერი ნიადაგი და მცენარეები ტერიტორიზე გასაშენებლად, კომპიტერული ტექნიკა, საბუღალტრო და საბიბლიოთეკო პროგრამა, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიების ფარგლებში საჩუქრად გადასაცემად პლანშეტური კომპიუტერი. ასევე, გაწეულია სხვადასხვა სააგენტოს საიტებზე ინფორმაციის განთავსების ხარჯები (დასაქმების სააგენტოს და საინფორმაციო სააგენტოს ,,კვირა‘‘), სალარო აპარატების მომსახურების ხარჯები, საფოსტო/საკურიერო და საბაჟო მომსახურების ხარჯები, სატრანსპორტო საშუალების მიმდინარე შეკეთების ხარჯები, საარქივო მომსახურების ხარჯები, დაცვის სისტემის მომსახურების ხარჯები, ბაღის სანასოსე შენობის მიმდინარე რემონტის ხარჯები, სამივლინებო ხარჯები, მოწვეული სტუმრების გამასპინძლების ხარჯები, ბაღის ტერიტორიაზე საფეხმავლო ბილიკის მიმდინარე რემონტის ხარჯები, გადახდილია საბიუჯეტო გადასახადი (ქონება მიწაზე), იაპონური ბაღის მოსაწყობად შეძენილია იაპონიიდან სტრუქტურული მასალები, საყოფაცხოვრებო ტექნიკის (კონდიციონერები) მიმდინარე რემონტის ხარჯი, ოფისის მიმდინარე რემონტებისთვის საჭირო ხარჯები, წარმომადგენლობითი (უცხოელი სტუმრის მიღებასთან დაკავშირებით საკონფერენციო დარბაზის დაქირავების ხარჯი) ხარჯი, საიუბილეო წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით გაწეულია დაკაბადონების ხარჯი, იაპონური ბაღის მოსაწყობად ადგილობრივი კომპანიისგან შესყიდულია მატერიალური ფასეულობა და მომსახურება, შეძენილია თანამშრომლებისთვის სპეციალური სამუშაო ტანსაცმელი, სხვადასხვა სახის სასუქები ბაღის საჭიროებიდან გამომდინარე და სხვა.

გარდა ამისა, საკუთარი სახსრებიდან გაცემულია ბოტანიკური ბაღის თანამშრომელთა ხელფასები, გადახდილია სატრანსპორტო საშუალებებისათვის


დაზღვევის და პარკირების საფასური, კომუნალური ხარჯები, შეძენილია საწვავ-საპოხი მასალები, გაწეულია ინტერნეტმომსახურების ხარჯი, სანოტარო და სათარჯიმნო მომსახურების ხარჯი, საიჯარო ქირის განსასაზღვრად და მცენარეების სარეალიზაციო ფასის განსაზღვრისთვის საშემფასებლო მომსახურების ხარჯი, გადახდილია ელ. ენერგიის 2015 წლის დეკემბრის დავალიანება, საბაჟო მომსახურების ხარჯი, მივლინების ხარჯი, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯები, ფიტოსანიტარული სერთიფიკატების ხარჯი, ბაღის საჭიროებიდან გამომდინარე შეძენილია კომპიუტერები და კომპიუტერული ტექნიკა, გაწეულია საკანცელარიო, სამეურნეო და მსგავსი დანიშნულების ხარჯი, შეძენილია ნოყიერი ნიდაგი და ნიადაგის გასანოყიერებელი საშუალებები, სანავიგაციო მოწყობილობა (GPS map 64), მცენარეები და მცენარის თესლები, მცირეფასიანი საოფისე ავეჯი და ინვენტარი, გაწეულია სტუმრების მიღება-დახვედრის ხარჯი, ბეჭდვასთან და ჟურნალ-გაზეთების შეძენის ხარჯი, ბაღის ტერიტორიის დასუფთავებისთვის და საფეხმავლო ბილიკების მიმდინარე რემონტის ხარჯი, ბაღისთვის შეძენილია მცირეფასიანი საბაღე ინვენტარი, საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტისთვის გადახდილია, შეძენილია მცენარეთა დაცვის საშუალებები, ბოტანიკური ბაღების კონსერვაციის საერთაშორისო საბჭო''-ში (BGCI) გაწევრიანების ხარჯი, გადახდილია საბიუჯეტო გადასახდი (დღგ და ქონების გადასახადი), ბაღის თემატიკიდან გამომდინარე დამატებითი მომსახურების ხარჯი (თესლების შეგროვება), ბაღის ლოგოს დიზაინის ხარჯი, მინი ტრაქტორის შეძენის ხარჯი, მოვალეზე ყადაღის დადების მომსახურება აღსრულების ბიუროს მიერ, შეძენილია მცირეფასიანი გენერატორები, მცირეფასიანი ფირნიშები, აბრები, სტიკერებისდა სხვა მსგავსი საქონელი, ოფისის მიმდინარე რემონტების ხარჯი, სალარო აპარატების მომსახურების ხარჯი, სატელეფონო ხარჯები, ბაღის საჭიროებიდან გამომდინარე საყინულე დანადგარის შეძენის ხარჯი, საყოფაცხოვრებო ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯი, ტენდერში მონაწილეობის ხარჯი, ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი (ევაკუატორი), უცხოურ ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების ხარჯი, შეძენილია ფოტოაპარატი, მცენარეთა კონსერვაციის განყოფილებისთვის წყლის გამოსახდელი აპარატი

(აკვადისტილატორი), გაწეულია ბაღის გათბობის სისტემის ზედამხედველობის ხარჯი, მცენარეთა კონსერვაციის განყოფილებისთვის მცენარეთა თესლების შეგროვების მომსახურების ხარჯი, კაპიტალური რემონტისთვის შეძენილია საამშენებლო მასალა, ლაბორატორიისთვის მიკროსკოპი, საბაღე ინვენტარი და ტექნიკა, ბაღის თანამშრომლებისთვის სპეც ტანსაცმელი, გაწეულია სხვადასხვა მიმდინარე რემონტის ხარჯი, შეძენილია სამედიცინო ყუთები და მედიკამენტები და სხვა.


შეფასების ინდიკატორები: ვიზიტორთა რაოდენობამ ბოტანიკურ ბაღში შეადგინა 196 432.


- **ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა**

ათასი ლარი



ათასი ლარი





04 01 ბიზნესის სტიმულირება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 12.7 ათასი ლარი დაფინანდა 7.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 60.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ბიზნესისა და მეწარმეობის (მ.შ. სოციალური მეწარმეობის) ეფექტურად წარმართვისათვის ხელსაყრელი გარემოს

ჩამოყალიბება; დარგის მოთამაშეებთან მჭიდრო კომუნიკაცია, საჭიროებების დროული იდენტიფიკაციის და მათზე რეაგირების სისტემის შექმნა; კონკურენტუნარიანი სამეწარმეო დარგების გამოვლენა და ხელის შეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა პროექტის - „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ამაღლება“ ფარგლებში შშმ პირების დასაქმების შესაძლებლობების თაობაზე; ასევე, გაწეულ იქნა ევროკავშირის-აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურისა და კრეატიულობის პროგრამის ფარგლებში მერიის თანამშრომლების პოლონეთის რესპუბლიკაში მივლინების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გამოიკვეთა მიმართულებები სოციალური მეწარმეების მხრიდან დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინიციატივის წარმოდგენის თაობაზე; დაიგეგმა კრეატიული ინდუსტრიის სფეროს 40 წარმომადგენელის გადამზადების სამუშაო შეხვედრის ორგანიზება თბილისში „შემოქმედებითი საქმიანობის ბიზნესად ქცევის“ შესახებ.

04 03 თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 31.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 17.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 56%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თბილისის სტრატეგიების და კვლევების კოორდინირებული განახლება და შემუშავება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა სატაქსო გადაზიდვების სფეროს მოწესრიგების მიზნით; თბილისის მერიის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს მდგრადი განვითარების გზამკვლევის დოკუმენტის შემუშავების სამუშაო შეხვედრაში და მდგრადი განვითარების პროფილის მომზადების შესახებ გამართულ კონფერენციაში, ასევე

ეკონომიკისა და ურბანული ტურიზმის, „ჭკვიანი ქალაქის“ ურბანული ინფრასტრუქტურის, გარემოსა და ჰაერის დაბინძურების თემებზე, ურბანული ეკონომიკის პირველ საერთაშორისო კონფერენციაში - გაწეულ იქნა გერმანიის და ირანის ისლამურ რესპუბლიკაში მივლინების ხარჯები. ასევე, გაწეულია დოკუმენტაციის ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნის მომსახურების ხარჯები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაგრძელდება ეფექტური და კოორდინირებული მუშაობა დაინტერესებულ მხარეებს შორის; შემცირდება შესრულებული და დაგეგმილი სამუშაოების დუბლირების ფაქტები; დაიწყება მუშაობა იმ სამოქმედო არიალში, რომელზეც არცერთი მხარე არ მუშაობდა შეხვედრებამდე; ნათარგმნი 28 დოკუმენტი, ჯამში 425 გვერდი.

04 04 თბილისი – საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 435.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 420.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თბილისის პარტნიორ მხარეებთან თანამშრომლობის გაღრმავება; ქალაქის საერთაშორისო რეპუტაციის გაზრდა; თბილისისათვის სასურველი საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო ფორუმი; "მერების შეთანხმების" ფარგლებში, ევროკავშირის მიერ დადგენილ ვადებში ჩატარებული ენერგეტიკის დღეები, განხორციელებული ენერგოეფექტური პროექტები და მერების შეთანხმების ყოველწლიურ კონფერენციაში ქ. თბილისის წარმოჩენა და შესაბამისი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გადახდილი იქნა „ევროპის მთავარი ქალაქთა ქსელის“ და „ენერგოქალაქების ასოციაციაში“ გაწევრიანების საწევრო გადასახადი; საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში ქ. თბილისის მერიის ორგანიზებით ჩატარდა

შემდეგი ღონისძიებები: საქართველო-ყაზახეთის საინვესტიციო ბიზნეს ფორუმი; ბიზნეს შეხვედრა "creative Business Workshop"; კონფერენცია "ქალი და ხელოვნება ეკონომიკის განვითარებისათვის"; მდგრადი ენერგეტიკის დღეები 2016; წლის ადამიანისა და კომპანიის დაჯილდოების ღონისძიება „ოქროს პერგამენტი-2016“; ფორუმი „კულტურა და შემოქმედებითობა ინოვაციისა და განვითარებისათვის შემოქმედებითი საქართველოს გზამკვლევი“; მოეწყო შეხვედრა აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლებთან; ტრადიციული რეწვის ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის მიზნით ჩატარდა „ტრადიციული რეწვის სამიტი“. თბილისის მერიის ორგანიზებით ჩატარდა „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-9 საერთაშორისო ფორუმი“; შეძენილ იქნა ფლეშ-მეხსიერებები, მუყაოს ჩანთები, ბლოკნოტები და საწერი კალმები. პარტნიორებთან თანამშრომლობით ჩატარდა ერთობლივი აქტივობები: თბილისის მერიის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს: ევროკავშირის პროგრამის INOGATE-ის ორგანიზებით ენერგო ეფექტურობის გამოცდილების გაზიარების და მომსახურების მიმწოდებელი ერთეულის (Energy Services Company-ESCO) მუშაობის პრინციპების გაცნობის მიზნით, ასევე „მდგრადი ენერგეტიკის საინფორმაციო ცენტრის“ შექმნასთან დაკავშირებულ საკითხებზე გამართულ სამუშაო შეხვედრებში; გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის (GIZ) ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ენერგოეფექტურობის დაგეგმვის კუთხით მუნიციპალიტეტის აქტივობების გასაცნობად და საარბრუკენის ენერგო ეფექტურობის ცენტრში მისი სტრუქტურისა და მუშაობის პრინციპების გაცნობის მიზნით გამართულ სამუშაო შეხვედრებში და ბიბერახში საერთაშორისო კონფერენციაში; ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჰენანის პროვინციის მთავრობის ინიციატივით გამართულ „მერების საერთაშორისო ტურისტულ ფორუმზე“და ქ. იუში ,,აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის ქალაქების მეორე საერთაშორისო ფორუმის“ მუშაობაში; უკრაინაში EUROSITIES ქალაქთა ქსელის წევრი ქალაქების მორიგ შეხვედრაში; იტალიის რესპუბლიკაში EUROSITIES ყოველწლიურ კონფერენციასა და გენერალურ შეხვედრაში; საფრანგეთში „სტრასბურგის კლუბის“ ყოველწლიურ შეხვედრასა და ევროსაბჭოში დემოკრატიის მსოფლიო ფორუმის

მუშაობაში; იაპონიაში შეხვედრაში “World Bank Group Technical Deep Dive on Compact Cities”, სამიტში “100 RESILIENT CITY” და ოფიციალურ შეხვედრაში; ესპანეთის სამეფოში EUROSITIES ქალაქთა ქსელის წევრი ქალაქების შეხვედრაში დასაქმების პრობლემებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობების განსახილველად; გაწეული იქნა მერიის თანამშრომლების ბელგიის სამეფოში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, მოლდოვის რესპუბლიკაში, შვედეთში, საფრანგეთში, იაპონიაში, უკრაინაში, იტალიის რესპუბლიკაში და ესპანეთის სამეფოში მივლინების ხარჯები..

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: თბილისის საინვესტიციო პოტენციალით დაინტერესებული ყაზახი ინვესტორები, რომელთა მეშვეობით მოხდება ინფორმაციის ფართოდ გავრცელება, როგორც ყაზახეთში, ისე მეზობელ სხვა ქვეყნებში; ქალაქ მინსკში ერთი პარტნიორი ორგანიზაცია კრეატიული ბიზნესის განვითარების მიმართულებით და სამი საერთაშორისო დონის პარტნიორი ორგანიზაცია პოლონეთში; რამოდენიმე ადგილობრივი ენერგო კომპანიასთან თანამშრომლობით ახალი პროექტები; ტრადიციული რეწვის განვითარების მიმართულებით დაინტერესებული ამერიკელი და ევროპელი პარტნიორები, რომელთანაც დაიგეგმება და განხორციელდება ახალი პროექტები; „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-9 საერთაშორისო ფორუმის“ შედეგად მოხდა თბილისის ცნობადობის ამაღლება და გამოვლინდა ახალი საერთაშორისო დონის პარტნიორები, რომელთან თანამშრომლობით ჩატარდება 2017 წლის „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-10 საერთაშორისო ფორუმი“.

04 07 მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა დაფინანსებულია 265.1 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 275.4 ათასი ლარის 96%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

04 07 01 ტრენინგები სამართლებრივ სფეროში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: იურიდიული საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 58.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 51.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 89%-ია.

დასახული საბოლოო შედეგები: სამართლებრივი პროცესების გაცილებით ეფექტური და ხარისხიანი განხორციელება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში მოეწყო გასვლითი ტრენინგები სამართლებრივ სფეროში (საჯარო ინფორმაციის გაცემა, საჯარო სამსახურის შესახებ კანონმდებლობა), თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების შესაბამის სფეროში დასაქმებული პერსონალისათვის.

04 07 02 შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 65.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მერიის სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების გამართული და ეფექტური ფუნქციონირება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, 2016 წლის 12 იანვარის N04.07.02/40/11 ხელშეკრულების საფუძველზე, განხორციელდა სამშენებლო, სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ღირებულების დადგენა, მშენებლობის პროექტის (გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის) ნაწილის ექსპერტიზა (გეოლოგია, კონსტრუქცია და სხვ.), ა/ბეტონის ნიმუშის ექსტრაცია (შემადგენლობის დადგენა), ა/ბეტონის ნიმუშის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების განსაზღვრა და სხვა სახის ექსპერტიზა.

04 07 03 სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მომსახურება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 2.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: სახელმწიფო შესყიდვებისათვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მაქსიმალური სიზუსტე და ობიექტურობა; თბილისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობა და საბიუჯეტო ასიგნებების დაგეგმვის ეფექტიანობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მერიის სტრუქტურული ერთეულებისათვის (ადმინისტრაცია და საქალაქო სამსახურები), სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით შესასყიდი საქონლის, მომსახურების და სამუშაოს სავარაუდო ღირებულების დადგენის ხარჯები, მათ შორის: 10 000 ლარიდან -100 000 ლარამდე ღირებულების 1 ობიექტზე; 100 000 ლარიდან - 500 000 ლარამდე ღირებულების 4 ობიექტზე; 500 000 ლარს ზემოთ ღირებულების 2 ობიექტზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: შესყიდვის ობიექტების სავარაუდო ღირებულებასა და სახელშეკრულებო ღირებულებას შორის სხვაობის მინიმიზაცია; სავარაუდო ღირებულების საბაზრო ფასებთან შესაბამისობა.

04 07 04 სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის სფეროში ტრენინგების ჩატარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 50.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 47.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 94%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების უფრო ეფექტური და კვალიფიციური განხორციელება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში მოეწყო გასვლითი ტრენინგები სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის სფეროში, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული და

ტერიტორიული ერთეულების, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში შემავალი სსიპ-ის, ააიპ-ების და შპს-ების შესაბამის სფეროში მომსახურე პერსონალისათვის. გაწეულია სასტუმროს მომსახურების ხარჯები.

04 07 05 საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საფინანსო საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 100.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 98.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებულ სსიპ-ებში და ა(ა)იპ-ებში ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების და ბალანსის წარმოების სრულყოფის, კანონმდებლობასთან შესაბამისობის და ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: 2016 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ აუდიტორულ შემოწმებას დაექვემდებარა სულ 86 ორგანიზაცია, მათ შორის 7 საჯარო სამართლის იურიდიული პირი და 79 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს შორის სახელოვნებო სკოლა იყო 33, სპორტული ორგანიზაცია 9, თეატრები 4, მუზეუმები 9 და სხვა. შერჩეული დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიის მიერ მერიის დაქვემდებარებული ა(ა)იპ-ებისა და სსიპ-ების მიერ წარმოებული ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგებისა და წლიური ბალანსების აუდიტის შედეგად შედგენილ აუდიტორულ დასკვნებში ასახულია აუდიტის შედეგები, გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები და განსახორციელებელი ღონისძიებები, ხოლო აუდიტის მიერ დამოწმებული ა(ა)იპ-ებისა და სსიპ-ების 2015 წლის წლიური ბალანსები წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას დასამატკიცებლად.

04 08 თბილისი - ტურისტულად მიმზიდველი ქალაქი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 53.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 52.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ქალაქის ტურისტული შესაძლებლობათა რეალიზაცია, ტურისტული მიმზიდველობის გაზრდა და მარკეტინგული იმიჯის შექმნა; თბილისის პოპულარიზაცია, როგორც ზოგადად ტურისტულად, მ.შ. ინკლუზიური ტურიზმის განვითარებისათვის მიმზიდველ ადგილად; ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება, თბილისის, როგორც ბრენდის წარმოსაჩენად, ასევე, მისი პოზიციონირებისათვის მსოფლიოს ქალაქებს შორის.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში თბილისის მერიამ ორგანიზება გაუწია პოლონეთის რესპუბლიკის ქალაქ კრაკოვში ჩასატარებელ „ევროპის ადგილობრივი თვითმმართველობის II კონგრესს“. ასევე, გაწეულ იქნა მერიის თანამშრომლების პოლონეთის რესპუბლიკაში მივლინების ხარჯი. ქ. თბილისის მერიის ორგანიზებით ჩატარდა საქმიანი ტურიზმის, შესაძლებლობებისა და შეხვედრების მე-5 საერთაშორისო გამოფენა; ლადო გუდიაშვილის ფონდთან თანამშრომლობის ფარგლებში ქ.თბილისის მერია მონაწილეობს ლ. გუდიაშვილის 120-ე საიუბილეო წელთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებებში; ქ.თბილისის მერიის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს უკრაინაში VIII საერთაშორისო ტურისტულ ფორუმში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაღრმავდა საერთაშორისო მიმართულებით ევროპის თვითმმართველობებთან, დაძმობილებულ ქალაქებთან, სამოქალაქო სექტორთან და ბიზნესთან თანამშრომლობა; გამოიფინა და პოპულარიზაცია გაეწია თბილისის დაძმობილებული ქალაქების ტრადიციული რეწვის ოსტატების და ტურიზმის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციების მიერ წარმოებულ პროდუქციასა და მომსახურებას; განხორციელდა თბილისის ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაცია საერთაშორისო ასპარეზზე.

04 09 ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 534.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 433.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გრძელდება თბილისის შესახებ საერთაშორისო გამოცემა „Georgia Finance"-ში ინფორმაცია განთავსების მომსახურების დღგ-ს გადახდა. ჩატარდა უძრავი ქონების ბაზრის კვლევა; დასრულებულია თბილისის ზღვის შემოგარენის განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: შემოთავაზებული ბიზნეს იდეების ოდენობა; დეტალური ინფორმაცია შემდგომი საინვესტიციო პროექტების შესაქმნელად.

04 10 ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ ტექნოლოგიური განვითარების ფონდი; ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 374.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 325.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 87%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თბილისის თვითმართველობის მიერ ქალაქის მაცხოვრებლებისთვის მიწოდებულ მუნიციპალურ სერვისებსა და პროდუქტებში ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება; ქალაქის მასშტაბით ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციების ხელშეწობა და განვითარება: მ.შ. სხვადასხვა სფეროში ინოვაციური პროექტების მომზადება და განხორციელება; ქალაქისთვის SMART CITY კონცეფციის ხელშეწყობა; ენერგოეფექტური და მდგრად ენერგეტიკასთან დაკავშირებული პროექტების ხელშეწყობა და განხორციელება. კვლევების ჩატარდება და საპილოტე პროექტების განხორციელება, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი იქნება ქალაქისთვის მასშტაბური და მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში პროექტის „ბიზნეს-

ინკუბატორი“ ფარგლებში შესყიდულია სამუშო მარაგ-მასალები, პროქტის „ტრენინგები თვითმმართველობის მოხელეებისთვის და ქვეუწყებების წარმომადგენელთათვის“ - ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი "ლიდერობასა და გუნდის მართვაში" თბილისის მუნიციპალიტეტის ხუთი გამგეობის 20 თანამშრომელს, ხოლო საკრებულოს 27 წარმომადგენელს მოდულში "პროექტების ინიცირება და მართვა", პროექტის „ქალაქის ფორუმი“ ფარგლებში შესყიდულია ბეჭდვითი მომსახურება, პროექტის „მწვანე ქუჩა“ ფარგლებში განხორციელდა პროექტის ექსპერტიზა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ. ასევე, განხორციელდა აბაშიძის ქ.N4-ში მდებარე N95 მუნიციპალური საბავშვო ბაღის შენობის ენერგოეფექტურობის ხელშეწყობის პროექტის ფარლებში ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის IT ინფრასტუქტურის მოწყობისათვის შესყიდულ იქნა საგარანტიო მომსახურება და სხვა. გარდა ამისა, ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა „საუნივერსიტეტო ტექნოლოგიური კლასტერის“ პროექტთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა; ჩატარდა მწვანე და ენერგოეფექტური მშენებლობის მიმართულებით კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები; შეძენილ იქნა Smart city-ს მეთოდოლოგია; გაწეულ იქნა ქ.თბილისის „Global Cities Registry TM”-ში რეგისტრაციის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: დაინტერესებული მხარეების ჩართვა კლასტერის შექმნის პროცესში; კლასტერის შექმნა; მემორანდუმების გაფორმება საერთაშორისო ინსტიტუტებთან და უნივერსიტეტებთან; დაინტერესებული პირებისთის ცნობიერების ამაღლება ენერგოეფექტური ტექნოლოგიების მიმართულებით; პოპულარიზაცია გაეწია საქართველოში არსებულ კომპანიებს, რომლებიც აწარმოებენ ენერგოეფექტურ პროდუქციას; გადამზადდა 30 სამშენებლო და დეველოპერული კომპანიის წარმომადგენლები და თბილისის მერიის სხვადასხვა საქალაქო სამსახურის თანამშრომლები მწვანე და ენერგოეფექტური მშენებლობის მიმართულებით; თბილისისთვის ISO 37120 მინიჭება.

04 12 დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური

2016 წლის გეგმა 1,899.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: დედაქალაქის მდგრადი განვითარება და მოსახლეობის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოთი უზრუნველოფა, გრძელვადიანი ქალაქმშენებლობითი სტრატეგიის განსაზღვრა და ტერიტორიების სამშენებლო განვითარების მართვის ქმედითი ინსტრუმენტის შექმნა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის და გენერალური გეგმის პროექტის პირველი და მეორე ეტაპის სამუშაოების შესყიდვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: დედაქალაქის სამრეწველო და პოლიტიკური ცენტრის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება. ისტორიულ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება, რეკრეაციული საპარკო ზონების შენარჩუნება.

04 13 თბილისის მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრი


2016 წლის გეგმა 300.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 298.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

დასახული საბოლოო შედეგები: ცენტრის ლიკვიდაციის პროცესის დასრულება


საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული საბოლოო შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ცენტრის საოფისე და ადმინისტრაციული ხარჯებისათვის. მიმდინარეობს ცენტრის ლიკვიდაციის დასრულების პროცესი.

- **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება**


ათასი ლარი



ათასი ლარი



05 01 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 29,339.5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 29,595.9 ათასი ლარის 99%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:



05 01 08 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 1,878.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოწესრიგებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ინფრასტრუქტურა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: 110 საცხოვრებელი კორპუსის სახურავის (ბრტყელი, ქანობიანი) რეაბილიტაცია, რომლის ფართობმა შეადგინა 45682.9კვ.მ; სადარბაზოს მეტალის კარის შეცვლა 11 მისამართზე; 11 სადარბაზოს სარემონტო სამუშაოები; წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია ჩატარდა 29 ობიექტზე. 72 მისამართზე ჩაუტარდა რეაბილიტაცია ლიფტს; 27 ობიექტზე განხორციელდა კორპუსის შიდა წყალკანალიზაციის ქსელის რეაბილიტაცია; 30 მისამართზე განხორციელდა სადარბაზოს კიბეების აღდგენა-რეაბილიტაცია; 6 კორპუსში დამონტაჟდა სადარბაზოს სენსორული განათებები; განხორციელდა ტერიტორიის გამიჯვნის მომსახურების შესყიდვა ერთ მისამართზე; სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაციის სამუშაოები განხორციელდა - 15 საცხოვრებელ კორპუსზე; ხარჯი

გაიწია საპროექტო და ექსპერტიზის მომსახურების შეძენაზე - 1 მისამართი და სადარბაზოს შესასვლელი გაღების ვიდეო/აუდიო სისტემის მონტაჟზე, ხარჯი გაიწია მიშენების კონსტრუქციების მდგრადობის განსაზღვრაზე და არაუმეტეს სამსართულიანი შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალურ გამაგრებზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სამუშაოები ჩატარდა 316 მისამართზე.

05 01 09 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 3,078.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,072.9ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩართვა მოქალაქეების ყოფითი პრობლემების გაუმჯობესებაში.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: 29 ობიექტზე 75 სადარბაზოს წყალსაწრეტი მილის შეკეთება-მონტაჟის სამუშაოები; 71 ობიექტზე შესრულდა 39096.98 კვ.მ ფართის ბრტყელი სახურავის შეკეთების სამუშაოები; 20 ობიექტზე შესრულდა 12156.91 კვ.მ ფართის ქანობიანი სახურავის შეკეთების სამუშაოები; 39 ობიექტზე 84 სადარბაზოს შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის შეკეთების სამუშაოები; 3 ობიექტზე 6 სადარბაზოს ჩაუტარდა კიბის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები; ერთ ობიექტზე შესრულდა იტალიური ეზოს კაპიტალური გამაგრების სამუშაოები; 19 ობიექტზე შესრულდა 32 სადარბაზოს შიდა სარემონტო (თაღების რეაბილიტაცია) სამუშაოები; 31 ობიექტზე შესრულდა 31 ლიფტის შეკეთების სამუშაოები; 6 ობიექტზე შესრულდა (14 ერთეული) მეტალის კარის მონტაჟის სამუშაოები; 2 მისამართზე შესრულდა მიშენების კონსტრუქციების მდგრადობისა და სეისმომედეგობის განსაზღვრის სამუშაოები; 24 ობიექტზე შესრულდა 44 სადარბაზოს სართულშორის

ნაპრალების რეაბილიტაციის სამუშაოები; 1 ობიექტზე დამონტაჟდა 2 სადარბაზოს სენსორული განათება; 5 ობიექტზე განხორციელდა კაპიტალური გამაგრების პროექტის შედგენის სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სამუშაოები ჩატარდა 249 მისამართზე.

05 01 10 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 3,450.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,445.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სამოქალაქო საზოგადოების და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩართვა ქალაქისათვის აქტუალური პრობლემების მოგვარების საქმეში; საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში შიდა წყალ–კანალიზაციის ქსელების შეცვლა – შეკეთება შესრულდა 35 მისამართზე; მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სადარბაზოს რემონტი შესრულდა 37 მისამართზე; ქანობიანი სახურავის შეცვლა – შეკეთება 54 მისამართზე; ბრტყელი სახურავის შეცვლა – შეკეთება 49 მისამართზე; სადარბაზოს კარების, ეზოს საერთო სარგებლობის ჭიშკრის აღდგენა შეკეთება შესრულდა 31 მისამართზე; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კაპიტალური გამაგრება შესრულდა 11 მისამართზე; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოს შესასვლელის გაღების აუდიო/ვიდეო სისიტემის ე.წ. დამაფონის მონტაჟი შესრულდა 3 მისამართზე; მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სახურავის წყალსაწრეტი მილების შეცვლა შესრულდა 44 მისამართზე; მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სართულშუა ნაპრალების მიმდინარე შეკეთება შესრულდა 22 მისამართზე; მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტების მიმდინარე შკეთების სამუშაოები შესრულდა 62 მისამართზე; მრავალბინიან საცხოვრებელ

სახლებში ხის, ქვის და ლითონის კიბეების აღდგენა შესრულდა 13 მისამართზე; მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სადარბაზოების სენსორული განათება შესრულდა 11 მისამართზე; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კაპიტალური გამაგრების არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტების მომზადება 17 მისამართზე; მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში საერთო სარგებლობის აივნების აღდგენა-შეკეთება 2 მისამართზე და საუკეთესო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გამოსავლენი კონკურსისათვის 160 ცალი პლანშეტური კომპიუტერის ტაბლეტის შესყიდვა; საუკეთესო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გამოსავლენი კონკურსის ორგანიზება (3 ღონისძიება); საუკეთესო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის 4 ცალი ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის შესყიდვა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის 1 მისამართზე დამონტაჟდა პანდუსი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სამუშაოები ჩატარდა 347 მისამართზე.

05 01 11 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩოღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩოღურეთის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 3,359.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,357.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აქტივობის ზრდა და მათი მოთხოვნების შესაბამისად თანადაფინანსების პრინციპით მრავალბინიანი კორპუსების გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შეკეთდა 24890კვ.მ ბრტყელი/ქანობიანი სახურავი 94 მისამართზე; ლიფტის შეკეთება 3 მისამართზე, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება 42 მისამართზე; საცხოვრებელი სახლების სახურავების წყალსაწრეტი მილების აღდგენა 8 მისამართზე; ეზოს საერთო სარგებლობის ჭიშკრის აღდგენა და სადარბაზოს კარების დამზადება-მონტაჟი 32 მისამართზე;

სადარბაზოების შიდა რემონტი 49 მისამართზე; საერთო სარგებლობის კიბეების აღდგენა 21 მისამართზე; საცხოვრებელი კორპუსების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები 31 მისამართზე; საერთო სარგებლობის აივნების აღდგენა 9 მისამართზე, შშმპ-სათვის პანდუსების მოწყობა 1 მისამართზე. ასევე, გაწეულია საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სამუშაოები ჩატარდა 196 მისამართზე; შეკეთდა 24890 კვ.მ ბრტყელი და ქანობიანი სახურავი.

05 01 12 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 2,537.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,534.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%.

დასახული შუალედური შედეგები: საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩართვა მოქალაქეების ყოფითი პრობლემების გაუმჯობესებაში.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შეკეთდა 15100/15552 კვ.მ ბრტყელი/ქანობიანი სახურავი 60 მისამართზე; ლიფტის შეკეთება 76 მისამართზე; შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება 83 მისამართზე; საცხოვრებელი სახლების სახურავების წყალსაწრეტი მილების აღდგენა 26 მისამართზე; ეზოს საერთო სარგებლობის ჭიშკრის აღდგენა 23 მისამართზე; სადარბაზოების შიდა რემონტი 41 მისამართზე; საერთო სარგებლობის კიბეების აღდგენა 18 მისამართზე; სადარბაზოების სენსორული განათების სამუშაოები 10 მისამართზე; შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრება 3 მისამართზე; პანელოვან შნობებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია 9 მისამართზე; ,,დომოფონის'' მონტაჟი 1 მისამართზე. გარდა ამისა, დაფინანსებულია საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისა და ექსპერტიზის მომსახურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სამუშაოები ჩატარდა 214 მისამართზე; შეკეთდა 30652 კვ.მ ბრტყელი და ქანობიანი სახურავი.

05 01 13 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 4,227.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,184.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება, მათი აქტიური ჩართულობა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობის საქმეში, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის ბრტყელი და ქანობიანი სახურავების შეკეთება 66 მისამართზე 34828კვ.მ, ლიფტის შეკეთება 81 მისამართზე; შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება 67 მისამართზე; სახურავის წყალსაწრეტი მილების შეკეთება 11 მისამართზე, საერთო სარგებლობის კიბეების აღდგენა 18 მისამართზე, სადარბაზოს კარების დამზადება-მონტაჟი 20 მისამართზე, სადარბაზოების შიდა რემონტი 68 მისამართზე, სადარბაზოების სენსორული სანათების მონტაჟი 6 მისამართზე, სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია 29 მისამართზე, ,,დომოფონის'' მონტაჟი 5 მისამართზე; 4 მისამართზე შენობის გამაგრების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ხარჯები.

ამასთან, დაფინანსებულია საპილოტე პროექტის ,,მართე შენი ქალაქი''-ს ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები - 543.0 ათასი ლარით. მათ შორის ხარჯები მიმართულია: 34 შტატგარეშე მოსამსახურის შრომის ანაზღაურებაზე - 154.0 ათასი ლარი, 1 ცალი პრინტერის და 30 ცალი პლანშეტის შეძენაზე - 14.2 ათასი ლარი, ტრეინინგების მონაწილეებისთვის ლანჩით მომსახურების შესყიდვაზე - 0.6 ათასი ლარი, საკანცელარიო საქონლის შესყიდვაზე - 0,5 ათასი ლარი, 4 ცალი ნოუთბუქის შეძენაზე - 4,5 ათასი ლარი, მაისურების და კეპების შეყიდვაზე - 2,5

ათასი ლარი, ბეჭვდითი მომსახუების შესყიდვაზე - 5.0 ათასი ლარი, ფიჭურ კავშირგაბმულობაზე 3,1 ათასი ლარი, საკომუნიკაციო სტრატეგიის დოკუმენტის შექმნის მომსახურების შესყიდვაზე - 4.0 ათასი ლარი. ინტერნეტდომენის მომსახურების შესყიდვაზე - 0.1 ლარი, კონფერენციის ჩატარებაზე - 2.7 ლარი, ბმა-ს ასოციაციის რეგისტრაციაზე - 0.1 ლარი, ვიდეორგოლების და ვებ-გვერდის დამზადების მომსახურების შესყიდვაზე - 42.0 ლარი, ბმა-ს შემოსავლების გენერირების პროექტების დაფინანსებაზე - 309.7 ლარი, აქედან: ბმა „ერთობა“-სთვის (დ.დ. ვეფხისტყაოსნის ქ.16) სპორტული მოედნის და მასთან არსებული ავტო სადგომის (პარკინგი) მოწყობის შესრულებულ სამუშაოებზე - 126.9 ლარი, ავანსად - 35.6 ლარი, ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზისთვის - 1.7 ლარი. ამავე მისამართზე სპორტული მოედნის ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოებისთვის ავანსად გადაირიცხა 70.0 ლარი. ბმა „სამფურცელა“-სთვის სარეკლამო ბანერის დამზადებისა და კორპუსის ფასადზე მონტაჟის სამუშაოებისთვის ავანსად გადაირიცხა 28.0 ლარი. ბმა „ძველი გოლიათი“-სთვის სარეკლამო მონიტორის შეძენის და დამონტაჟების შესრულებული სამუშაოებისთვის - 47.5 ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სამუშაოები ჩატარდა 371 მისამართზე.

05 01 14 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 3,103.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,101.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სამოქალაქო საზოგადოების და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ჩართულობა ქალაქისათვის აქტუალური პრობლემების მოგვარების საქმეში. ამხანაგობების მაცხოვრებლების საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა

ღონისძიებები. მათ შორის: 60 მისამართზე ქანობიანი და ბრტყელი სახურავის შეკეთების სამუშაოები, ლიფტის შეკეთების სამუშაოები 51 მისამართზე, 42 ობიექტზე შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის სამუშაოები, სახურავის წყალსაწრეტი მილების შეკეთება 31 მისამართზე, საერთო სარგებლობის ჭიშკრის აღდგენა ან/და სადარბაზოს კარებების დამზადება-მონტაჟი 15 მისამართზე, სართულშორის ნაპრალების რეაბილიტაციის სამუშაოები 22 მისამართზე, სადარბაზოების შიდა სარემონტო სამუშაოები 34 ობიექტზე, საერთო სარგებლობის ხის, ქვისა და ლითონის კიბეების აღდგენის სამუშაოები 7 მისამართზე; სენსორული განათების მონტაჟი 11 ობიექტზე, შენობის კაპიტალური გამაგრების სამუშაოები 17 ობიექტზე, შენობის გამაგრების არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის მომზადებისა და პროექტის ექსპერტიზის სამუშაოები 14 ობიექტზე, ე.წ (თბილისურ ეზოებში) საერთო სარგებლობის აივნების აღდგენა 2 ობიექტზე, ამხანაგობის კუთვნილი მიმდებარე ტერიტორიის დაფიქსირების სამუშაოები (წითელ ზოლებში მოქცევა).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სამუშაოები ჩატარდა 296 მისამართზე, მათ შორის 120 ობიექტზე.

05 01 15 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 2,687.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: სამოქალაქო საზოგადოების და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ჩართულობა ქალაქისათვის აქტუალური პრობლემების მოგვარების საქმეში. ამხანაგობების მაცხოვრებლების საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: მათ შორის: 81 მისამართზე სახურავის შეკეთების სამუშაოები, 46 მისამართზე შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის სამუშაოები, 55 მისამართზე განხორციელდა წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია, 18

მისამართზე საერთო სარგებლობის ჭიშკრისა და სადარბაზოს კარებების აღდგენის სამუშაოები, 15 მისამართზე სადარბაზოების შიდა რემონტი, 52 მისამართზე სართულშორისი ნაპრალების რეაბილიტაცია განხორციელდა, 19 მისამართზე დამონტაჟდა სენსორები, 3 მისამართზე განხორციელდა შენობის კაპიტალური გამაგრების პროექტის მომზადებისა და ამ პროექტის ექსპერტიზის სამუშაოები, 44 მისამართზე ლიფტის შეკეთების სამუშაოები, 8 მისამართზე წითელ ხაზებში დაფიქსირების სამუშოები, 1 მისამართზე შშმ პირთათვის მოეწყო პანდუსი, განხორციელდა შენობის კაპიტალური გამაგრება 1 მისამართზე, საერთო სარგებლობის ხის, ქვის და ლითონის კიბეების შეკეთების სამუშაოები 7 მისამართზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სამუშაოები ჩატარდა 349 მისამართზე, მათ შორის 84 ობიექტზე.

05 01 16 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 1,965.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,792.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 91%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება, ამხანაგობების მიერ და მერიის თანამონაწილეობით (თანადაფინანსებით) საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის 6472/5256 კვ.მ ბრტყელი და ქანობიანი სახურავების შეკეთება 5/12 მისამართზე, ლიფტის შეკეთება 18 მისამართზე; შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება 12 მისამართზე, სახურავის წყალსაწრეტი მილების შეკეთება 7 მისამართზე, ეზოს საერთო სარგებლობის ხის, ქვისა და ლითონის კიბეების აღდგენა 10 მისამართზე, ეზოს საერთო სარგებლობის ჭიშკრის აღდგენა ან/და სადარბაზოს კარების დამზადება-მონტაჟი 2 მისამართზე; პანელოვან კორპუსებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია 5 მისამართზე,

სადარბაზოების შიდა რემონტი 11 მისამართზე, შენობის კაპიტალური გამაგრება 11 მისამართზე. ასევე დაფინანსებულია საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისა და ექსპერტიზის მომსახურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სამუშაოები ჩატარდა 214 მისამართზე; შეკეთდა 30652 კვ.მ ბრტყელი და ქანობიანი სახურავი.

05 01 17 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 3,308.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,285.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.3%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება, მოსახლეობაში პასუხისმგებლობის ამაღლება საკუთრების გაფრთხილების კუთხით, ამხანაგობების გააქტიურება საკუთარი და მერიის თანამონაწილეობით საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობის უზრუნველსაყოფად.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: **ბრტყელი და ქანობიანი სახურავის შეკეთების სამუშაოები** შესრულდა შემდეგ მისამართებზე: ყიფიანის ჩიხი N3, კოსტავას II გას. N8, პ. იაშვილის ქ. N11, ოქროყანა, ''ა'' ზონა, კოტეჯი N47, ვ. სარაჯიშვილის ქ. N56, დ. ბაქრაძის ქ. N13, ღამბაშიძის ქ. N3, ცხემის ჩიხი N4, ვეძინის ქ. N15, ცხემის შეს. N11/5, კოტე მესხის N11, არაგვის ქ.N5, მთაწმინდის შეს.N4, ტარიელის ქ.N2, ყიფიანის ქ.N28, კოტე მესხის მე-3 შეს.N5, ტაბახმელა კორპ.N6, ათონელის ქ.N29, კოჯორი, ს.ორბელიანის ქ.N2, კოჯორი, სკოლის ქ.N9, მელიქიშვილის ქ. N29, ვ. აბაშიძის ქ. N11 ,ლერმონტოვის ქ. N11, გოგებაშვილის მე-2 შეს. N20, ი. ნიკოლაძის ქ. N2/4, ზანდუკელის ქ. N25, დ. ბაქრაძის ქ. N13, ათონელის ქ.N23, დ. ბაქრაძის ქ. N11, ა. ქუთათელაძის შეს. N11, ტარიელის ქ. N15, ზანდუკელის ქ.N10, სულხანიშვილის მე-2 ჩიხი N8 ,ლ. ასათიანის ქ. N60, დ. ბაქრაძის ქ. N10, ძმ. კაკაბაძეების ქ.N15, მიხაი ზიჩის ქ. N14, დ. ბაქრაძის ქ. N16, ი. გურგულიას ქ.N1, დ. ბაქრაძის ქ. N12,გალის ქ.

N15,კ ოჯორი კიკეთი (დიდების N9), ოქროყანა, ''ა'' ზონა, კორპ. N46, ჭოველიძის N53, სანაპიროს ქ.N6 (ბრტყელი სახურავი), სოლ.ზალდასტანიშვილების მე-3 შეს. N3, ი.მაჩაბლის ქ.N4ა, თაბუკაშვილის ქ. 19, სავანელის ქ. N8, ამაღლების ქ.N15, ტატიშვილის (ყაზბეგის) ქ.N6, ვანო სარაჯიშვილის მე-3 ჩიხი N5, ხოშტარიას ქ.N34, კოსტავას ქ. N8, აპ. ქუთათელაძის ქ.N4 (თაბუკაშვილის ქ.N31/4), ხოშტარიას ქ.N8, ლერმონტოვის ქ.N11, ლორთქიფანიძის ქ.N11 (ყოფ.ლერმონტოვის ქ.N25/ იაშვილის ქ.N17), ლ. ასათიანის ქ.N34, პეტრიაშვილის ქ.N6, თაბუკაშვილის ქ.N45, კოსტავას ქ.N58, ამაღლების ქ.N4, ოქროყანა, ''გ'' ზონა კოტეჯი 104, ძმ. კაკაბაძეების ქ.N3/2, ტაბახმელა, სახლი N4 კორპ. N3, ქ.თბილისი, ი.მაჩაბლის ქ.N4ა, ვ.სარაჯიშვილის ქ.N53, კ.კეკელიძის ქ.N16, ჭანტურიას ქ.6/2, მთაწმინდის ქ.N4, ტაბახმელა, ორბელიანის ქ.N8, კორპ.19, ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ. N38, ალ. ჭავჭავაძის ქ.N21, შ. დადიანის ქ. N9, ძმ. კაკაბაძეების ქ. N3, ლეონიძის ქ.N18, დ. ბაქრაძის ქ.N8, სულხან-საბას ქ. N3, კ.კეკელიძის ქ. N18 (ბრტყელი), კ. მაყაშვილის ქ. N16, ლარსის ქ. N2, კოსტავას ქ. N58, ამაღლების ქ.N36-34/2, გ. რჩეულიშვილის ქ. N32, გ. რჩეულიშვილის ქ. კორპ. N1 (ბრტყელი), კ. მაყაშვილის ქ. N13, ძმ. კაკაბაძეები N13, ვ. კოტეტიშვილის ქ.N14, ოქროყანა ზონა „გ“ აგარაკი N92, ვ. კოტეტიშვილის ქ.N16, ტარიელის ქ.N3, არაგვის ქ N 2, კოჯრის ქ. N 3, კოჯორი, იუნკერების ქ.N2, კორპ. N1, ამაღლების ქ.N26, კოჯრის ქ.N11/4, ძმ. ზუბალაშვილების ქ.N30/7, ლ. ასათიანის ქ.N64, ძმ. კაკაბაძეების ქ.N20, ზალდასტანიშვილის ქ.N6, თერგის ქ.N14, ძმ. კაკაბაძეების ქ.N25, კოჯორი, სააგარაკო კოტეჯი 16, კოჯორი, იუნკერების 2, კორპ 19, კოჯორი, იუნკერების 2, კორპ 11, ოძელაშვილის (არსენას) ქ.N29, კოჯრის ქ.N3, ბარნოვის ქ.N67, ზალდასტანიშვილის შეს. N14, ყიფიანის ქ.N17, სარაჯიშვილის მე-2 ჩიხი N7, მაჭავარიანის (არაგვის) N2; ლიფტები შეკეთდა შემდეგ მისამართებზე: ქ.თბილისი, რჩეულიშვილის ქ.II კორპუსი, II სადარბაზო, ბარათაშვილის ქ. N6/10 მე-2 სადარბაზო, კეკელიძის ქ. 28/30, ყაზბეგის ქ. N19 ,რჩეულიშვილის ქ. II კორპუსი, I სადარბაზო, შანიძის ქ.N21, ი.ნიკოლაძის ქ.N7 I სადარბაზო, ბარნოვის ქ.N67 II სადარბაზო, კოსტავას ქ. N45, კოსტავას ქ. N46/50, ნ. ბარათაშვილის ქ. N6/10 სად 4, ნ. ბარათაშვილის ქ.N6/10 V სადარბაზო, თავისუფლების მოედანი N4 I სადარბაზო, თავისუფლების მოედანი N4 II სადარბაზო ,კოსტავას I შეს. N11,

ბარნოვის მე-2 ჩიხი N4/ ბარნოვის 53 I ლიფტი, ბარნოვის მე-2 ჩიხი N4/ ბარნოვის 53 II ლიფტი, გუდაურის ქ.N8/10 (ყოფ. სვანიძის 10), კეკელიძის ქ.N62/64, ნ.ბარათაშვილის ქ.N6/10 3 სად, კოსტავას ქ.N2 1-ლი სადარბაზო, ტატიშვილის (ყოფ. ყაზბეგი) ქ. N19; წყალკანალიზაციის შეკეთების სამუშაოები ჩატარდა: შინდისის ქ. N2, ჭონქაძის ქ. N8,ძმ. კაკაბაძეების ქ.N15, გ. ლეონიძის ქ.N8, ეკ. გაბაშვილის ქ.N6, ძმ. ზუბალაშვილების ქ.N31, მაყაშვილის ქ. N6/ბარნოვის ქ. N17, ძმ. ზუბალაშვილების ქ.N43, პ. იაშვილის ქ. N15, ამაღლების ქ. N 15, ა.შანიძის ქ.N18, გ. რჩეულიშვილის ქ.N1, ვ. ანჯაფარიძის ქ.N12,კოჯრის ქ.N6, ა.შანიძის ქ.N18, ი. ნიკოლაძის ქ. N5ა, ვ.ბერიძის ქ.N6ა, ი. გურგულიას ქ.N1, ტატიშვილის (ყაზბეგის) ჩიხი 4, ძმ. კაკაბაძეების ქ.N7, მაყაშვილის ქ.N28, მაჩაბლის N7, თ. ჭოველიძის ქ.N20, გაბაშვილის ქ.N6, ძმ. კაკაბაძეების ქ.N24; სახურავის წყალსაწრეტი მილები შეკეთდა: ყიფიანის ჩიხი N3, რუსთაველის ქ.N36, კოტე მესხის მე-3 შეს.N5, ტაბახმელა კორპ.N6, ყიფიანის ქ.N29/3, კოჯორი, სოფ კიკეთი დიდების ქ.N3, ათონელის ქ.N23, ზანდუკელის ქ.N13, დ. ბაქრაძის ქ.N13, ზანდუკელის ქ.N11, გ.ათონელის ქ.N29, სულხანიშვილის მე-2 ჩიხი N8, ამაღლების ქ.N7, გოგებაშვილის მე-3 შეს. N20, ძმ. კაკაბაძეების ქ.N15, დ. ბაქრაძის ქ. N16 , ზანდუკელის ქ.N13, გ.ჭანტურიას ქ. N6/2, მთაწმინდის შესახვევი 4,გალის ქ. N15, ოქროყანა, ''ა'' ზონა, კოტეჯი N47, ოქროყანა, ''ა'' ზონა, კორპ. N46, ქ. თბილისი, კოტე მესხის ქ. N11, ჭოველიძის N53, ი.მაჩაბლის ქ.N4ა, ვანო სარაჯიშვილის მე-3 ჩიხი N5, ხოშტარიას ქ. N34, კოსტავას ქ.N8, ხოშტარიას ქ.N8, ლორთქიფანიძის ქ.N11 (ყოფ.ლერმონტოვის ქ.N25/ იაშვილის ქ.N17), სულხან-საბას ქ.N1/5, ლ. ასათიანის ქ.N34, ე. ტატიშვილის (ყოფ. ყაზბეგის) ქ.N6,თაბუკაშვილის ქ.N45, კოსტავას ქ.N58, დ. ბაქრაძის ქ. N11, ალ. ჭავჭავაძის ქ. N5, ამაღლების ქ. N4,ოქროყანა, ''გ'' ზონა კოტეჯი 104, გურგულიას ქ.N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N2 კეკელიძის ქ.N2, ძმ. კაკაბაძეების ქ.N3/2, ი. ნიკოლაძის ქ.N2/4, დ. ბაქრაძის ქ.N15, მიხაი ზიჩის ქ.N14, ტაბახმელა, ორბელიანის ქ.N8, კორპ.19, ალ. ჭავჭავაძის ქ.N21, ამაღლების (დავითაშვილი) ქ.N7, ს. ჭიაურელის ქ.N14, შ. დადიანის ქ.N9, ძმ. კაკაბაძეების ქ.N3 ,ი. გოგებაშვილის ქ. N43, ა. შანიძის ქ. N 21, დ. ყიფიანის ქ. N 9, კ. მაყაშვილის ქ.N13,დ. ბაქრაძის ქ.N8, ლარსის ქ. N 2, ტაბახმელა, სახლი N4 კორპ. N3, ა.ყაზბეგის ქ N17, ი.მაჩა ბლის ქ. N4ა, ოქროყანა "ა" ზონა კოტეჯი N 35, კოჯორი,

იუნკერების ქ.N2 კორპ. N1, ქ. თბილისი, ამაღლების ქ.N 26, ძმ. ზუბალაშვილების ქ.N 30/7, ძმ. კაკაბაძეების ქ. N20, ზალდასტანიშვილის ქ.N6, ძმ. კაკაბაძეების ქ. N25, კოჯორი, სააგარაკო კოტეჯი 16, კოჯორი, იუნკერების 2, კორპ 19, კოჯორი, იუნკერების 2, კორპ 11, ოძელაშვილის (არსენას) ქ. N29, კოჯრის ქ. N3, კეკელიძის ქ.N10, ზანდუკელის ქ.N10, ყიფიანის ქ.N17, სარაჯიშვილის მე-2 ჩიხი N7, მაჭავარიანის (არაგვის) N2; ეზოს საერთო სარგებლობის ჭიშკრის აღდგენა ან/და სადარბაზოს კარების დამზადება და მონტაჟი: კოსტავას მე-2 შეს. N5 ა, კოსტავას ქ.N22 სადარბაზოს მე-2 კარები, კოსტავას ქ.N22 სადარბაზოს 1-ლი კარები, სარაჯიშვილის ქ.N16, ხოშტარიას ქ.N36, ტატიშვილის ქ. N19 VI სადარბაზო, ძმ.ზუბალაშვილების ქ. N49 I სადარბაზო, ი.მაჩაბლის ქ. N4ა, ზანდუკელის ქ. N1, გალის ქ.N1 უკანა კარები, გალის ქ.N1 წინა კარები, ტატიშვილის ქ. N19 სად. N5 (ქუჩის მხარე), ტატიშვილის ქ. N19 სად. N5 (ეზოს მხარე), ალ. ჭავჭავაძის შეს. N3, არსენას ქ.N38, გ.ათონელის ქ.N31, ი.მაჩაბლის ქ.N4ა, ტაბახმელა, გრ.ორბელიანის ქ.N8 (კორპ.N19) კარები 1, ტაბახმელა, გრ.ორბელიანის ქ.N8 (კორპ.N19) კარები 2, ტაბახმელა კორპ. N7, ტაბახმელა კორპ. N11, ქ.თბილისი, დ. ჭონქაძის ქ. N14ა (წინა კარი), თარხნიშვილის ქ. N23, ტაბახმელა კორპუსი N 9, თარხნიშვილის ქ.N23; პანელოვან შენობებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია: რჩეულიშვილის ქ. კორპუსი N1, რჩეულიშვილის ქ. კორპ. N2, ტაბახმელა კორპ. N6, ტაბახმელა, სახლი N4 კორპ. N3; სადარბაზოს შიდა, ასევე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში არსებული თაღების სარემონტო სამუშაოები: ბარნოვის ქ.N69, გუდაურის ქ.N10, ზუბალაშვილების ქ.N49, ლარსის შესახვევი N5, რუსთაველის ქ. N36 თაღი, რუსთაველის ქ. N36 სად, რჩეულიშვილის ქ. N32ა I სადარბაზო, რჩეულიშვილის ქ. N32ა II სადარბაზო, ტაბახმელა კორპ.N13 (ყოფ.N16) II სადარბაზო, ტაბახმელა კორპ.N13 (ყოფ.N16) I სადარბაზო, ტაბახმელა, კორპ. N19 I და II სადარბაზო, ტაბახმელა, კორპ. N17 II სადარბაზო, ტაბახმელა, კორპ. N17 I სადარბაზო, ყიფიანის ქ.N29/3 თაღი, ყიფიანის ქ.N29/3 სად, არაგვის ქ. N7 თაღი, არაგვის ქ. N7 სადარბაზო, ბარნოვის ქ. N43/38, ბარნოვის ქ. N44, კოსტავას I შეს. N11 მე-2 სად, კოსტავას I შეს. N5 (კოსტავას ჩიხი N2), რევაზ ლაღიძის ქ.N6, რუსთაველის ქ.N36, სარაჯიშვილის ქ. N32 თაღი, ტაბახმელა, კორპ. N17 (14) I სადარბაზო, ტაბახმელა, კორპ. N17 (14) II


სადარბაზო, ქ.თბილისი - ხოშტარიას ქ.N36, ხოშტარიას ქ. N36 (თაღი), გერგეთის შეს. N3, ქიქოძის ქ. N3(თაღი), არსენას ქ.N28, N30 არსენას ქ. N30 (თაღი), თარხნიშვილის ქ. N23 I სადარბაზო, თარხნიშვილის ქ.N23 II სადარბაზო, თარხნიშვილის ქ.N23 თაღი, მაჩაბლის ქ.N7 I სადარბაზო, მაჩაბლის ქ.N7 II სადარბაზო, ტაბახმელა, კორპ. N13, სახლი 69 I სადარბაზო, ტაბახმელა, კორპ. N13, სახლი N69 II სადარბაზო, ლ.ქიაჩელის N28, მ.ლერმონტოვის ქ. N11ა, თაბუკაშვილის ქ.19, ი. ჭავჭავაძის გამზ. N2/2 კეკელიძის ქ. N2 I სადარბაზო, ი. ჭავჭავაძის გამზ. N2/2 კეკელიძის ქ.N2 V სადარბაზო, ი. ჭავჭავაძის გამზ. N2/2 კეკელიძის ქ. N2 II სადარბაზო, ი. ჭავჭავაძის გამზ. N2/2 კეკელიძის ქ.N2 III სადარბაზო, ი. ჭავჭავაძის გამზ. N2/2 კეკელიძის ქ.N2 IV სადარბაზო, ი.ნიკოლაძის ქ.N2/4 II სადარბაზო, რუსთაველის გამზ. N38 სადარბაზო, რუსთაველის გამზ.N38 თაღი, ვანო სარაჯიშვილის მე-3 ჩიხი N5, ვანო სარაჯიშვილის მე-3 ჩიხი N6, ვანო სარაჯიშვილის მე-3 ჩიხი N5 , ხოშტარიას ქ.N8, ტაბახმელა, კორპ. N12, ტაბახმელა, კორპ. N12, ქ.თბილისი, თაბუკაშვილის ქ. N45, აპ. ქუთათელაძის ქ.N4 (თაბუკაშვილის ქ.N31/4), ლერმონტოვის ქ. N11ა, ლერმონტოვის ქ.N11ა, ი.ნიკოლაძის ქ.N2/4 I სადარბაზო, არსენას ქ.N38 (თაღი), მთაწმინდის ქ.N4 (თაღი), ტაბახმელა, სახლი N4 კორპ. N3, არსენას ქ.N38, მთაწმინდის ქ.N4, ა.ყაზბეგის ქ.N17, ტაბახმელა კორპ. N7, ტაბახმელა კორპ. N11, ვაშლოვანის ქ. N3 (მიმინოშვილის მხრიდან), სულხან-საბას ქ.N3 (II სადარბაზო), სულხან-საბას ქ.N3 (I სადარბაზო), ა. ერისთავ-ხოშტარიას ქ.N38, ტაბახმელა კორპუსი N9 (I და II სადარბაზო), ს. ზალდასტანიშვილის ქ.N6, ა.ხორავას ქ. N4/14, ვ. თარხნიშვილის ქ.N14, პეტრიაშვილის ქ.N3/5, კეკელიძის ქ.N18; საერთო სარგებლობის ხის, ქვისა და ლითონის კიბეების აღდგენა: ყიფიანის ქ.N10, ბესიკის ქ.N19, თ. ჭოველიძის ქ.N53, ხოშტარიას ქ.N34, ბროსეს ქ.N2, ნიაღვრის ქ.N11; სადარბაზოში მოძრაობის სენსორული სანათების დამონტაჟება: ზანდუკელის ქ. N13, დ. ყიფიანის ქ.N13, გ. ტაბიძის ქ.N12, თარხნიშვილის ქ.N23; გამაგრების სამუშაოები ჩატარდა შემდეგ მისამართებზე: ჭოველიძის ქ.N3, მელიქიშვილის ქ.N6-6ა, გრიბოედოვის ქ. N28, გ. ათონელის ქ.N10, ჭონქაძის ქ.N14 ა, ვეძინის ქ.N20, ყიფიანის ქ.N9, დ. ყიფიანის შეს. ჩიხი N3, ვეძინის ქ.N20, ალ.ჭავჭავაძის მე-2 ჩიხი N4ბ შენობა, შ. მილორავას ქ. N2, ტარიელის ქ.N3, ალ. ჭავჭავაძის I ჩიხი სახლი N1,

მიხაი ზიჩის ქ. N8, გოგჩის ქ. N11, ა. ქუთათელაძის ქ.N5; აივნები შეკეთდა შემდეგ მისამართებზე: რჩეულიშვილის ქ.N32, მაყაშვილის ქ.N6/ბარნოვის ქ.N17, ხოშტარიას ქ.N34, ამაღლების ქ.N4; გამაგრების სამუშაოების საპროექტო და ექსპერტიზის დოკუმენტაცია გაკეთდა შემდეგ მისამართებზე: ყიფიანის ჩიხი N3, ლორთქიფანიძის ქ.N11, პ.იაშვილის ქ.N7, ვუკოლ ბერიძის ქ.N11/4, ყიფიანის ქ.N9, ა. ქუთათელაძის შეს. N5, ძმ. ზუბალაშვილების ქ.N52, მელიქიშვილის N6-6ა, დ. ყიფიანის ქ.N21, კოტე მესხის შეს.N8, თუმანიშვილის ქ. N4 (ყოფილი ანანური), გ. ორბელიანის ქ.N38, ფხოვის ქ.N3, ს.ჩიტაძის ქ.N9 / ნიაღვრის ქ. N4ა, ალ. ჭავჭავაძის 2 ჩიხი N5/19.


მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სამუშაოები ჩატარდა 473 მისამართზე.

- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**


ათასი ლარი



ათასი ლარი



	საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მეტროთი და საბაგიროთი უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურება	კომუნალური სუბსიდირება	სამედიცინო, სხვა სოციალური საჭიროებების და სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები	სხვა დანარჩენი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	სასწრაფო სამედიცინო დახმარება	უფასო სასადილოებით მომსახურება
2014 წლის ფაქტი	61 710,4	45 130,1	24 964,9	20 892,0	21 724,8	9 698,4
2015 წლის ფაქტი	64 234,8	46 993,6	34 344,3	25 068,8	26 807,8	13 820,4
2016 წლის ფაქტი	64 376,3	25 624,8	40 414,4	34 633,5	28 945,5	14 509,3



06 01 ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსებულია 40,705.5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 41,232.0 ათასი ლარის 98.7%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:


06 01 01 სასწრაფო სამედიცინო დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 29,380.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 28,945.5 ათასი ლარი,

გეგმიური მაჩვენებლის 98.5% და 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 2,137.7 ათასი ლარით მეტია. რაც ძირითადად გამოწვეულია საშტატო რიცხოვნობისა და სამედიცინო მასალების ფასების ზრდით. გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 96.7%, ხოლო „არაფინანსური აქტივების კლების“ – 1.6% და „ვალდებულების კლების“ შესრულებამ - 0.2%.

(ათასი ლარი)



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ცენტრის ფუნქციონირების ხარჯები, მათ შორის: გაცემული იქნა შრომის ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო, პრემიები, დანამატი), შეძენილ იქნა ცენტრის ფუნქციონირებისათვს აუცილებელი მედიკამენტები და სამედიცინო სახარჯი მასალები, გაწეულია ტრანსპორტის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის და კომუნალური ხარჯი.

ცენტრმა განაახლა სამედიცინო აღჭურვილობა (დეფიბრილატორები, კარდიოგრაფები, თენზიომეტრები, გლუკომეტრის აპარატები, სამედიცინო ჩანთები და სხვადასხვა სამედიცინო დანიშნულების საგნები). განახლდა დამონტაჟებული ვიდეორეგისტატორები, შეძენილ იქნა რადიოსადგურის კომპონენტები, რომლებიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას 112-ის ოპერატორებსა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადებს შორის, სრულად განახლდა სამედიცინო პერსონალის როგორც ზამთრის, ისე ზაფხულის უნიფორმა.

სხვადასხვა ტრენინგ პროგრამებით გადამზადდა სამედიცინო პერსონალი (ACLS (სიცოცხლის გადარჩენის დახვეწილი კარდიოვასკულარულ მეთოდები) პროგრამა: 245 თანამშრომელი; BLS-ის (სიცოცხლის გადარჩენის ბაზისური მეთოდები) პროგრამა – 80 თანამშრომელი, ტრავმული პაციენტის მართვა პრეჰოსპიტალურ ეტაპზე: 740 თანამშრომელი);

სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრმა დაიწყო სოციალური კამპანია „მე გზას ვუთმობ სასწრაფოს“, რომლის ფარგლებში დამზადდა და ტელევიზიებში განთავსდა სოციალური ვიდეორგოლები, დაიბეჭდა სხვადასხვა ზომის სტიკერები, რომელიც განთავსდა როგორც საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, ისე პირად ავტომობილებზე. აქციას შეურთდნენ როგორც სამთავრობო სტრუქტურები, ისე კერძო კომპანიები და ფიზიკური პირები.

გაიხსნა ახალი, რიგით მე-14 რაიონული სამსახური, რომელიც ვარკეთილი-3-ის მეოთხე მიკრორაიონისა და თბილისის ზღვასთან მდებარე ჰუალინგის ცენტრს შორის მიმდებარე ტერიტორიაზეა განთავსებული;

დაპროექტდა და გამოცხადდა ტენდერი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის 10 რაიონული სამსახურის შენობასთან მისასვლელი სპეციალური პანდუსების მოწყობაზე.

საკუთარი სახსრებიდან წარმომადგენლობითი ხარჯებისათვის მიმართულ იქნა 1 240.5 ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ეფექტური ფუნქციონირება 24/7 (24 საათი, კვირაში 7 დღე); პაციენტისთვის დროული, ადეკვატური და მაღალკვალიფიციური სასწრაფო სამედიცინო მომსახურების მიწოდება; პრეჰოსპიტალურ ეტაპზე გადაუდებელი მართვისას გართულებებისა და ლეტალური გამოსავლის შემცირება; 2016 წლეს გამოძახებების რაოდენობამ შეადგინა 660 052, წინა წელთან შედარებით 37092-ით მეტი (2015 წლის მონაცემები - 622 960). ჰოსპიტალიზირებულია 167 400 პაციენტი.

06 01 02 დაავადებათა სკრინინგი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებისა საქალაქო სამსახური;

2016 წლის გეგმა 1,200.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,148.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 96%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დაავადებათა ადრეული გამოვლენის საშუალებით ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, პროსტატისა და კოლორექტული კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირება; C ჰეპატიტის დიაგნოსტიკაზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა და დაავადების ადრეული დიაგნოსტიკა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კიბოს ადრეული გამოვლენის მიზნით, თბილისში რეგისტრირებული პირების შემდეგი სახის სკრინინგული გამოკვლევები: ძუძუს კიბოს სკრინინგი 40-70 წლის ასაკის ქალებში; საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი 25-60 წლის ასაკის ქალებში; პროსტატის კიბოს სკრინინგი 50-70 წლის ასაკის მამაკაცებში; კოლორექტალური კიბოს სკრინინგი 50-70 წლის ორივე სქესისათვის; C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრა სწრაფი/მარტივი ტესტირების მეთოდით; სკოლიოზის სკრინინგი 10-18 წლის ასაკის ჩათვლით პირებში; ბრტყელტერფიანობის სკრინინგი 4-15 წლის ასაკის ჩათვლით ბავშვებში.

ცხრილი N1. პროგრამის ფარგლებში 2016 წელს ჩატარებული კვლევების ჯამური რაოდენობა

მომსახურების (კვლევის) დასახელება	წარმოდგენილი შემთხვევების რაოდენობა	მ.შ. ქვეკონტრაქტორები	ანაზღაურებული შემთხვევების რაოდენობა	მ.შ. ქვეკონტრაქტორები
ძუძუს კიბოს სკრინინგი, მამოგრაფია	20634	3465	20521	2326
საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი, Pap–ტესტირება	18470	4473	18427	3099
პროსტატის კიბოს სკრინინგი	5320	1087	5200	563
კოლორექტალური კიბოს სკრინინგი, FOBT-ტესტი	3362	205	3311	196
კოლონოსკოპიური სკრინინგი	195	200	192	104
C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრა სწრაფი/მარტივი ტესტირების მეთოდით	19153	0	17499	0
სქოლიოზის სკრინინგი	103	0	103	0
ბრტყელტერფიანობის სკრინინგი	434	0	434	0
სქოლიოზისა და ბრტყელტერფიანობის სკრინინგი	581	0	581	0

შენიშვნა: *ცხრილში შესულია 2015 წლის 19-31 დეკემბრის მონაცემებიც, ვინაიდან აღნიშნულ პერიოდში, კომპონენტების ფარგლებში ჩატარებული მომსახურებები ანაზღაურდა 2016 წლის ბიუჯეტიდან*

ცხრილი N2. ანაზღაურებული შემთხვევების ჯამური რაოდენობა თვეების მიხედვით

მომსახურების (კვლევის) დასახელება		19-31 დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ძუძუს კიბოს სკრინინგი		319	955	2059	1916	1787	1707	1909	2066	1269	1737	1784	1863	1150
	მ.შ. ქვეკონტრაქტორი	0	135	358	395	277	316	332	329	184	263	228	306	120
საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი		283	799	1898	1715	1604	1685	1875	1881	1149	1555	1492	1605	886
	მ.შ. ქვეკონტრაქტორი	0	109	478	435	442	495	543	423	174	351	333	328	165
პროსტატის კიბოს სკრინინგი		133	283	564	536	409	433	478	437	275	377	396	561	318
	მ.შ. ქვეკონტრაქტორი	0	20	112	74	75	81	85	76	40	50	154	74	25
კოლორექტალური კიბოს სკრინინგი		41	53	128	111	266	137	403	368	230	385	474	479	236
	მ.შ. ქვეკონტრაქტორი	0	14	27	21	19	13	44	43	15	27	39	57	26
კოლონოსკოპიური სკრინინგი		0	9	7	8	14	11	19	19	23	15	21	16	30
	მ.შ. ქვეკონტრაქტორი	0	9	7	8	14	11	19	19	17	15	15	16	30
C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულებსი განსაზღვრა სწრაფი/მარტივი ტესტირებით		454	1088	1664	1676	1587	1521	1712	1779	1224	1815	143	1851	985
	მ.შ. ქვეკონტრაქტორი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
სქოლიოზის სკრინინგი									0	12	23	27	29	12
ბრტყელტერფიანობის სკრინინგი									3	39	67	81	188	56
სქოლიოზისა და ბრტყელტერფიანობის სკრინინგი									4	69	127	143	196	42

შენიშვნა: *ცხრილში შესულია 2015 წლის 19-31 დეკემბრის მონაცემებიც, ვინაიდან აღნიშნულ პერიოდში კომპონენტის ფარგლებში ჩატარებული მომსახურებები ანაზღაურდა 2016 წლის ბიუჯეტიდან*

მიღწეული შუალედური შედეგები: მოსახლეობის ჩართულობა (მოცვა დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამაში კიბოს ლოკალიზაციის მიხედვით.

შეფასების ინდიკატორები: სკრინინგში მონაწილეობა მიიღო 39328 ბენეფიციარმა. მათ შორის: ძუძუს კიბოს სკრინინგი, მამოგრაფია 20202 ბენეფიციარი; საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი, Pap–ტესტირება 18144 ბენეფიარი; პროსტატის კიბოს სკრინინგი 5068 ბენეფიციარი; კოლორექტალური კიბოს სკრინინგი, FOBT-ტესტი 3321 ბენეფიციარი.

06 01 03 გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებისა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ "ქ.თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრი"

2016 წლის გეგმა 450.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 439.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 98%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დაავადებათა გავრცელების შემცირება, მართვადი ინფექციების გავრცელების შეზღუდვა, ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ხარჯები. ასევე, ეპიდემიოლოგიურ კონტროლთან დაკავშირებული სხვადასხვა ღონისძიებები: გადამდებ დაავადებათა (მ.შ. ინფექციური და პარაზიტული) აქტიური და პასიური ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, ხოლო აღმოცენების შემთხვევაში მათი დროული გამოვლენა, იდენტიფიკაცია, ეპიდემიოლოგიური შესწავლა; ინფექციების გავრცელების შეზღუდევის ღონისძიებების განხორციელება; დაავადებულთან კონტაქტში მყოფი რისკის ჯგუფის კონტიგენტის გამოცლენა და მათი პრევენციულ მკურნალობაში, შესაბამისი ლაბორატორიული ტესტირება, საჭიროების შემთხვევაში დეზინფექცია - დეზინსექცია; იმუნიზაციის განხორციელების ხელშეწყობა; სამედიცინო საგანმანათლებრო საქმიანობა, გადამდებ დაავადებათა შესახებ საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზის შექმნა, დაავადებათა მოკლე და გრძელვადიანი პროგნოზირება და შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ორგანოებისათვის, რეკომენდაციების მიცემა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთათვის დედაქალაქის მაშტაბით.

გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის მიერ აქტიური და პასიური ეპიდზედამხედველობის შედეგად საანგარიშო პერიოდში აქტიური/პასიური ეპიდზედამხედველობის ფარგლებში აღირიცხა ცხრილში მითითებული ნოზოლოგიები:

ნოზოლოგიის დასახელება	შემთხვევათა რაოდენობა	ნოზოლოგიის დასახელება	შემთხვევათა რაოდენობა
მწვავედუნედამბლამწვავეპოლიომიელიტი/ გიენ-ბარეს სინდრომი	**5**	ლეიშმანიოზი	17
წითელა	7	ექინოკოკოზი	61
წითურა	7	ფასციოლოზი	9
ყივანახველა	33	სავ.ინფ.წარ.დიარეა	3455
ყბაყურა	16	სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა	1834
ტუბერკულოზი	719	სოკოთი მოშხამვა	1
ბაქტ.მენინგიტი	52	სიფილისი	302
ტუბ.მენინგიტი	23	გონორეა	107
მენინგიტი გამოწვეული hemophilus influenza B	0	ცოფის რისკის მქონე ექსპოზიცია	12 920

ვირ.მენინგიტი	4	საშარდე გზების ნოზოკომიური ინფექცია	8
მენინგოკოკცემია	2	ნოზოკომიური პნევმონია	42
N. meningitides-ით გამოწვეული მენინგიტი	1	ნოზოკომიური ბაქტერიემია, სეფსისი	4
streptococcus pneumonae –თ გამოწვეული მენინგიტი	1	ქირურგიული ჩარევის მიდამოს ინფექცია	33
streptococcus pneumonae –თ გამოწვეული ინფქცია	3	15-49 წ.ქალთა სიკვდ.	152
ენტეროჰემორაგიული ეშერიხიოზი	1	0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილი	68
სალმონელოზი	32	მწვავე ვირუსული ჰეპატიტი B	34
შიგელოზი	319	ჰეპატიტი C	904
ბოტულიზმი	4	ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი B	250
ჯილეხი	2	სხვა ვირუსული ჰეპატიტები	47
ბრუცელოზი	13	ყირიმ–კონგოს ჰემორაგიული ცხელება	1
აივ –შიდსზე ტესტირებული	31 226	ჰანტავირუსით გამოწვეული ინფექცია	1
მ. შ. აივ– შიდსზე ტესტირებული ორსულები	4200	ღაიმის დაავადება	39
ჩუტყვავილა	2005	Q ცხელება	1
ქუნთრუშა	643	დენგეს ცხელება	1
ლეპტოსპიროზი	9	ამებიაზი	2

სულ 2016 წლის იანვრის, თებერვლის და მარტის თვეებში რეგისტრირებულია გრიპის 50549 შემთხვევა, მ.შ. ამბულატორიული-48150 ჰოსპიტალური-2399, ხოლო 2016 წლის აპრილიდან 15 მაისის ჩათვლით რეგისტრირებულია გრიპის 18 480 შემთხვევა, მ.შ. ამბულატორიული-17 534, ჰოსპიტალური-946 (15 მაისიდან გრიპზე ეპიდზედამხედველობა შეწყდა გრიპის სეზონის დახურვასთან დაკავშირებით). 2016 წლის 1 ოქტომბრიდან დარეგისტრირდა გრიპისა და გრიპისმსგავსი დაავადებების შემთხვები, შესაბამისად: 2677 და 58 215.

იანვარ-თებერვლის თვეებში განხორციელდა ვაქცინების მიღება, შენახვა და გაცემა იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე დაწესებულებებში, ასევე იანვარი-დეკემბრის თვეებში განხორციელდა ცხოველთა მიერ დაზარალებული მოსახლეობის ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები. არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის მიზნით საგანმანათლებლო სამუშაოები ქ.თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის მთაწმინდა-კრწანისის, ვაკე-საბურთალოს, დიდუბე-ჩუღურეთის, დიდგორის და ისანი-სამგორის, გლდანი-ნაძალადევის რაიონული ჯგუფების ეპიდემილოგების მიერ ქ. თბილისის №50, №137, №212 და №118 საჯარო სკოლებში, №171, №170 ბაგა-ბაღში ჩატარდა ლექცია საუბრები თემებზე, თამბაქოს მავნეობა, თავის ტვინის ტრავმების პრევენცია, ტანადობის დარღვევა და სქოლიოზი. ქ.

თბილისის №199 კომაროვის სახ.საჯარო სკოლაში, №144, №4, №76, 172 ბაგა-ბაღში, №21 პოლიკლინიკაში, წყნეთის ამბულატორიაში და შ.პ.ს დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრ „ცხუმში“, შპს სამკ.პროფცენტრში „პირველი“, №42 ბაგა-ბაღში, №26 პოლიკლინიკაში, და წყნეთის №114 ბაგა-ბაღში და სანოტარო ბიუროში, ჩატარდა ლექცია საუბრები თემებზე, ზემო სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადებები, მიოპია, ალერგიული დაავადებები, ბრონქული ასთმა, თვალისა და მისი დანამატების დაავადებები, ყელყურ-ცხვირის დაავადებები და მათი პროფილაქტიკა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და შესაბამისი უნარჩვევების ჩამოყალიბება, ალცჰაიმერისა და შაკიკის დაავადებები, კოჯრის საექიმო ამბულატორიაში და კერძო სამშენებლო კომპანია „ვინჩი დეველოპმენტში“ ჩატარდა ლექცია საუბრები თემაზე გულის იშემიური დაავადებები, სტენოკარდია და პრევენციული ღონისძიებები. ხოლო №98 ბაგა-ბაღში, №23 ჰოლდინგში და შ.პ.ს „ნეოგენში“ თემაზე ალერგია და მიეცათ ზოგადი ინფორმაცია ნივთიერებათ ცვლის დარღვევით განვითარებულ დაავადებებზე. დეკემბრის თვეში აგრეთვე განხორციელდა ე.წ. მგბ+ ავადმყოფებთან ეპიდანამნეზის აკრების შემდეგ კონტაქტში მყოფი პირების გამვლენა და მათი მიმართვა შესაბამის ფტიზიატრიულ სამსახურში, ტუბერკულიოზით დაავადებულთა ყოფილ პატიმრებზე ეპიდგამოკვლევა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ინფექციურ დაავადებათა აქტიური და პასიური ზედამხედველობა; აღმოცენებული ინფექციების დროული გამოვლენა, იდენტიფიკაცია, ეპიდემიოლოგიური შესწავლა; იმუნიზაციის მოცვის მაღალი მაჩვენებელი.

06 01 04 ორთოპედიული დაავადებათა სკრინინგი და აღდგენითი თერაპია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებისა საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 338.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 330.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 98%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ორთოპედიული დაავადებების პრევენცია და მათი გართულებით გამოწვეული დაავადებების შემცირება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თბილისში რეგისტრირებული 4-დან 15 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეებისათვის შემდეგი ღონისძიებები: დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) სკოლიოზის (M41) ჯგუფისა და ბრტყელტერფიანობის სკრინინგი; სკრინინგით გამოვლენილი დაავადებების აღდგენითი თერაპია.

სკრინინგის კომპონენტის ფარგლებში მომსახურება ფინანსდება წელიწადში ერთხელ, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით მაგრამ არაუმეტეს 5 ლარის ოდენობისა, მოსარგებლის მხრიდან თანაგადახდის გარეშე.

ცხრილი N1. სკრინინგის კომპონენტის ფარგლებში ჩატარებული და ანაზღაურებული კვლევების ჯამური რაოდენობა

თვე	ბენეფიციართა რაოდენობა	ანაზღაურებულ ბენეფიციართა რაოდენობა	ანაზღაურებული თანხა
იანვარი	176	158	790
თებერვალი	2004	1811	9055
მარტი	4489	4209	21045
აპრილი	5897	5160	25800
მაისი	4952	4492	**22460**
ივნისი	1842	1579	**7895**
ივლისი	917	756	**3780**
სულ:	**20277**	**18165**	**90825**

აღდგენითი თერაპიის კომპონენტის ფარგლებში მოსარგებლისათვის მომსახურება ფინანსდება წელიწადში ერთხელ, ფაქტობრივი ხარჯების მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს დიაგნოსტიკური ჯგუფისათვის გათვალისწინებული ოდენობებისა/ღირებულებისა. ამასთან: მოსარგებლისათვის, რომელიც რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს, მომსახურება ფინანსდება სრულად, ხოლო ყველა სხვა მოსარგებლისათვის 70%-ით.

ცხრილი N2. აღდგენითი თერაპიის კომპონენტის ფარგლებში ჩატარებული და ანაზღაურებული კვლევების ჯამური რაოდენობა

თვე	შემთვევათა რაოდენობა	ანაზღაურებულ შემთხვევათა რაოდენობა	ანაზღაურებული თანხა
თებერვალი	2	2	91

მარტი	77	77	10532,6
აპრილი	440	440	45978,95
მაისი	603	601	51955,25
ივნისი	700	694	69545,15
ივლისი	2	2	168
სექტემბერი	71	71	12444
ოქტომბერი	102	100	18772
ნოემბერი	173	170	29542
სულ:	**2170**	**2157**	**239028,95**

06 02 16 12 დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 329.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: დანგრეული და ავარიული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა თანადგომა, დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 87 ოჯახს.

06 02 16 13 დანგრეული მაცხოვრებელთა კომპენსაცია ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 800.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: დანგრეული და ავარიული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა თანადგომა, დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 247 ოჯახს.

06 02 16 14 დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 736.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: დანგრეული და ავარიული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა თანადგომა, დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 257 ოჯახს.

06 02 16 15 დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 537.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 533.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 99%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დანგრეული და ავარიული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა თანადგომა, დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 190 ოჯახს.

06 02 16 16 დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 585.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 583.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: დანგრეული და ავარიული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა თანადგომა, დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 189 ოჯახს.

06 02 17 ომის ვეტერანების დახმარება დაფინანსებულია 64.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 67.8 ათასი ლარის 95%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

06 02 17 07 ომის ვეტერანების დახმარება გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 7.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასება და მორალური მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით, რაიონში მცხოვრები მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის შეძენილი იქნა 29 სასაჩუქრე პაკეტი (ალკოჰოლური სასმელი, ტკბილეული და სხვა).

06 02 17 08 ომის ვეტერანების დახმარება ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 1.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასება და მორალური მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით, რაიონში მცხოვრები მე-2 მსოფლიო ომის 39 ვეტერანებისათვის შეძენილი იქნა სასაჩუქრე პაკეტი.

06 02 17 09 ომის ვეტერანების დახმარება დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 4.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით

დასახული შუალედური შედეგები: ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასება და მორალური მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით, რაიონში მცხოვრები მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის გაიმართა საზეიმო ღონისძიება და შეძენილი იქნა 34 სასაჩუქრე ნობათი.

06 02 17 10 ომის ვეტერანების დახმარება ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 7.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 7.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასება და მორალური მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ 100 ვეტერანს დაურიგდა სასაჩუქრე ნობათი.

06 02 17 11 ომის ვეტერანების დახმარება ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 6.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 6.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასება და მორალური მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით ვაკის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები 95 ვეტერანის სასაჩუქრე ამანათების და ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით 50 ვეტერანის სასაჩუქრე ამანათების შესყიდვა.

06 02 17 12 ომის ვეტერანების დახმარება საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 9.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასება და მორალური მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 65 ვეტერანისთვის სააღდგომოდ: წითელი ღვინის, კვერცხის, პასკის კამფეტების შესყიდვა და 9 მაისთან დაკავშირებით სასაჩუქრე კალათების შესყიდვა. ასევე, 26 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით ვეტერანთა კავშირის 40 წევრისათვის ვახშმით გამასპინძლების მომსახურების შესყიდვა, 59 ვეტერანისთვის საახალწლო საჩუქრების შესყიდვა.

06 02 17 13 ომის ვეტერანების დახმარება ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 7.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100 %-ით.

დასახული შუალედური შედეგები: ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასება და მორალური მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით 31 ომის ვეტერანს და შობა-ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით 26 ომის ვეტერანს გაეწია ფინანსური დახმარება.

06 02 17 15 ომის ვეტერანების დახმარება კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 8.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 8.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.3%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასება და მორალური მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით ომის 10 ვეტერანს გაეწია ფულადი დახმარება, 24 ომის ვეტერანს დაუფინანსდა მკურნალობისა და მედიკამენტების ხარჯები.

06 02 17 16 ომის ვეტერანების დახმარება მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა


2016 წლის გეგმა 15.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 12.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 81%-ია.


დასახული შუალედური შედეგები: ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასება და მორალური მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით, რაიონში მცხოვრები მე-2 მსოფლიო ომის 32 ვეტერანებისათვის გაწეული იქნა მატერიალური დახმარება.

06 02 18 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში დაფინანსებულია 23,848.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 23,848.2 ათასი ლარის 100%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

(ათასი ლარი)





06 02 18 07 სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 2,683.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის დახმარება გაეწია მოქალქეებს, მათ შორის: სამედიცინო მომსახურეობა დაუფინანსდა 2528 მოქალაქეს; მედიკამენტოზური მკურნალობა დაუფინანსდა 10149 მოქალაქეს. 291 გარდაცვლილის ოჯახს გაეწია დაკრძალვის მომსახურეობა, 14 ოჯახს გაეწია დახმარება სამშენებლო მასალებით; 70 ოჯახს დაუმონტაჟდა გაზის გამათბობელი, შეშა შეძენილი იქნა 889 ოჯახისთვის; ფულადი დახმარება გაეწია 740 მოქალაქეს და სააღდგომოდ სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის შეძენილი იქნა 4100 სასაჩუქრე პაკეტი. სასადილოს ბენეფიციარებისათვის საახალწლოდ შეძენილ იქნა 4500 სასაჩუქრე პაკეტი(სხვადასხვა საკვები პროდუქტები).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 23300 ბენეფიციარს.

06 02 18 08 სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 2,683.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის დახმარება გაეწია მოქალქეებს, მათ შორის: მათ შორის: 1898 ბენეფიციარმა ჩაიტარა მკურნალობის (გამოკვლევა, ოპერაცია და სხვა) კურსი სხვადასხვა კლინიკებში; ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია - 871 ბენეფიციარს; მედიკამენტების შეძენა 5512 ბენეფიციარს; სამშენებლო მასალებით დახმარება - 144 მოქალაქეს; შ.პ.ს. „ჰერმესი“-ს მიერ გაწეული სარიტუალო მომსახურება სოციალურად დაუცველი 190 გარდაცვლილი ბენეფიციარის ოჯახის მიმართ; სოციალურად დაუცველი 150 გარდაცვლილისათვის სასახლის შეძენა; სააღდგომოდ სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის სასადილოს ბენეფიციარებისათვის შეძენილი იქნა 8000 სასაჩუქრე

პაკეტი. რაიონში მცხოვრებ 8000 უმწეო მოქალაქეს და სასადილოს ბენეფიციარს გადაეცა სააღდგომო ნობათი. 1067 ოჯახისათვის გათბობის მიზნით შესყიდულია 1600 კუბ.მ საწვავი ხის მასალა (შეშა).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 25415 ბენეფიციარს.

06 02 18 09 სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებები დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 2,417.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის დახმარება გაეწია მოქალქეებს, მათ შორის: მედიკამენტები შეძენილია 7635 მოქალაქისთვის; 312 მოქალაქეს დაუფინანსდა მკურნალობის ღირებულება; სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდა 367 მოქალაქეს; ოპერაციები 539 მოქალაქეს; უმწეო და გაჭირვებულ მგომარეობაში მყოფი ოჯახების გარდაცვლილი წევრის დაკრძალვის ხარჯების დაფარვა (170 გარდაცვლილი); 1142 მოქალაქეს გაეწია ფინანსური დახმარება; 3400 მოქალაქეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით გადაეცათ სააღდგომო ნობათი; საახალწლო ნობათი გადაეცა 2300 მოქალაქეს; სამი მოქალაქისთვის შეძენილი იქნა სამედიცინო საშუალებები და ერთი მოქალაქისთვი ბუნებრივი აირის მრიცხველი; 146 ოჯახისათვის გათბობის მიზნით შესყიდულია 600 კუბ.მ საწვავი ხის მასალა (შეშა).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 16015 ბენეფიციარს.

06 02 18 10 სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 2,515.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის დახმარება გაეწია მოქალქეებს, მათ შორის: სხვადასხვა სირთულის ოპერაციაზე, მშობიაროზაზე, სამედიცინო მომსახურეობაზე და გამოკვლევაზე 1581 მოქალაქეს, მედიკამენტების შეძენაზე 7090 მოქალაქეს, დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაზე 195 ოჯახს, სათბობი შეშის მიწოდებაზე 500 მოქალაქეს, ხოლო სამშენებლო მასალების შეძენაზე 983 მოქალაქეს, ერთჯერადი ფინანსური დახმარებაზე 2315 მოქალაქეს. ასევე, დაფინანსებულია აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით 3800 უმწეო მოქალაქისთვის სასაჩუქრე ამანათების შესყიდვა, 1 ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სოციალურად დაუცველი ოჯახების 450 ბავშვისათვის გასართობი ღონისძიებების (მუშტაიდის კულტურისა და დასვენების პარკი) - საბავშვო ატრაქციონების მომსახურების შესყიდვა და საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით საახალწლო ამანათების შესყიდვა 3950 მოქალაქეზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 18864 ბენეფიციარს.

06 02 18 11 სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებები ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 2,523.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის დახმარება გაეწია მოქალქეებს, მათ შორის: სამედიცინო მომსახურებაზე

(ოპერაციები, მკურნალობა) 1371 მოქალაქეს, მედიკამენტების შეძენაზე 6641 მოქალაქეს, კომუნალური დავალიანების დაფარვაზე 48 მოქალაქეს, ერთჯერადი ფინანსური დახმარება 763 მოქალაქეს, სამშენებლო მასალების შეძენაზე 344 მოქალაქეს, დაკრძალვის სარიტუალო 96 ოჯახს, 8 მარტის ღონისძიებასთან დაკავშირებით ვეტერანი და დამსახურებული ქალბატონებისათვის საოჯახო ტექნიკის შესყიდვა 11 ოჯახს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით 1605 უმწეო მოქალაქისთვის სასაჩუქრე ამანათების შესყიდვა და ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით 1540 უფასო სასადილოს ბენეფიციარებისათვის სასაჩუქრე ამანათების შესყიდვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 12423 ბენეფიციარს.

06 02 18 12 სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 2,212.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის დახმარება გაეწია მოქალქეებს, მათ შორის: სამედიცინო მომსახურებებზე (ოპერაციები, მკურნალობა) 1112 მოქალაქეს, მედიკამენტების შეძენაზე 7622 მოქალაქეს, ერთჯერად მატერიალურ დახმარებაზე 1656 მოქალაქეს, დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაზე 122 მოქალაქეს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით 735 უმწეო მოქალაქისთვის სასაჩუქრე ამანათების შესყიდვა, შეშის შესყიდვაზე 210 მოქალაქეს, საახალწლო საჩუქრების შეძენაზე 1995 მოქალაქეს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 13452 ბენეფიციარს.

06 02 18 13 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 1,520.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის დახმარება გაეწია მოქალქეებს, მათ შორის: სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურება გაეწია 1 335 ბენეფიციარს, 3 381 ბენეფიციარმა მიიღო მედიკამენტებით მომსახურება, 226 ოჯახს გაეწია ჰერმესის მომსახურება, სამშენებლო მასალით დახმარება გაეწია 54 ოჯახს, 2 234 ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება, სააღდგომოდ 4 856 ბენეფიციარზე და საახალწლოდ 4 948 ბენეფიციარზე გაცემულ იქნა სასაჩუქრე პაკეტები, შეშით უზრუნველყოფილია 400 მოქალაქე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 17434 ბენეფიციარს.

06 02 18 14 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 2,337.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის დახმარება გაეწია მოქალქეებს, მათ შორის: სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურება გაეწია 1 368 ბენეფიციარს, 3944 ბენეფიციარმა მიიღო მედიკამენტებით

მომსახურება, 297 ოჯახს გაეწია ჰერმესის მომსახურება, სამშენებლო მასალით დახმარება გაეწია 71 ოჯახს, 51 მოქალაქეს დაუფინანსდა კომუნალური გადასახადები, 4 102 ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება, სააღდგომოდ 5200 ბენეფიციარზე და საახალწლოდ 5550 ბენეფიციარზე გაცემულ იქნა სასაჩუქრე პაკეტები, შეშით უზრუნველყოფილია 750 მოქალაქე, სხვადასხვა პროდუქტების შესაძენად ბავშვებისათვის დახმარება გაეწია 12 ოჯახს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 21343 ბენეფიციარს.

06 02 18 15 სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებები კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 2,199.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის დახმარება გაეწია მოქალქეებს, მათ შორის: სხვადასხვა სირთულის ოპერაციაზე, მშობიარობაზე და სამედიცინო გამოკვლევაზე 1375 მოქალაქეს, მედიკამენტების შეძენაზე 4564 მოქალაქეს, დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაზე 119 ოჯახს, ერთჯერადი ფინანსური დახმარება 2474 მოქალაქეს, სათამაშოები დაურიგდათ 16 ინვალიდ ბავშვს, ბავშვთა დღესთან დაკავშირებით 34 ბავშვს საჩუქრად დაურიგდათ საბავშვო ლიტერატურა, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან და შობის დღესასწაულთან დაკავშირებით 6060 უმწეო მოქალაქისთვის სასაჩუქრე ამანათების შესყიდვა. ასევე, 440 ოჯახის შეშით მომარაგების მიზნით დაფინანსებულია ტრანსპორტის მომსახურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 15082 ბენეფიციარს.

06 02 18 16 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 2,756.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის დახმარება გაეწია მოქალქეებს, მათ შორის: სამედიცინო მომსახურებით დახმარება გაეწია 1252 მოქალაქეს; მედიკამენტებით დახმარება გაეწია 7521 მოქალაქეს; დაფინანსდა რაიონში რეგისტრირებულ უმწეო და გაჭირვებულ მგომარეობაში მყოფი 106 ოჯახის გარდაცვლილი წევრის დაკრძალვის ხარჯები. 11 ოჯახს გაეწია კომუნალური დავალიანების დასაფარავად დახმარება, რაიონში მცხოვრებ 2818 უმწეო მოქალაქეს და სასადილოს ბენეფიციარს გადაეცა სააღდგომო ნობათი; ახალი წლის მოსვლასთან დაკავშირებით 2925 ბენეფიციარს გადაეცა საშობაო ნობათი; სტიქიის შედეგად დაზიანებული ქონების კომპენსაციის მიზნით 7 ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება; თანხა გამოეყო სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის 1610 ოჯახს; 114 ოჯახისათვის გათბობის მიზნით შესყიდულია საწვავი ხის მასალა (შეშა).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება - დახმარება გაეწია 16364 ბენეფიციარს.

06 02 20 წყალმომარგების სიტემის მოწესრიგება რაიონებში დაფინანსებულია 379.5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 400.0 ათასი ლარის 95%) შემდეგ ქვეპროგრამაზე:

06 02 20 03 წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 115.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 99.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 86%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა წყალმომარაგების ქსელის მოწყობა (წყაროთუბნის დასახლება გლდანის მე-III-ე მ/რ მიმდებარე ტერიტორია).

06 02 20 03 წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 284.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 279.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.3%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია 37 ოჯახის ახალ აბონენტად მიერთების ხარჯები (თითოეულის საფასური 0.5 ათასი ლარის ოდენობით) - 18.5 ათასი ლარი, ამხანაგობა „ზემო უბანი“-ს წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოებზე - 259.7 ათასი ლარი, შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზაზე - 1.6 ათასი ლარი.

06 02 21 მიუსაფართა თავშესაფრის მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ "თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი"

2016 წლის გეგმა 1,090.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,060.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.3%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მიუსაფარი პირის თავშესაფრით დაკმაყოფილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მემორანდუმით გათვალისწინებული ხარჯები ა(ა)იპ „წმინდა მამა გაბრიელის სახელობის მიუსაფარ მოხუცთა პალიატიური ჰოსპისი“ - სთან 64.2 ათასი ლარის

ოდენობით. ამასთან, გაწეულია ა(ა)იპ ლილოს მიუსაფართა თავშესაფარის ფუნქციონირების ხელშეწყობის ხარჯები 996,3 ათასი ლარის ოდენობით. (მათ შორის: თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, შტატგარეშე თანამშრომლის ანაზღაურება, კომუნალური ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, საკანცელარიო საქონელის, მცირეფასიანი ინვენტარის შეძენის და სხვადასხვა ხარჯები).

06 02 22 სოციალურად დაუცველი 18 წლამდე მკვეთრად და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 740.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 739.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მატერიალური პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სოციალურად დაუცველი 0-150 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე 18 წლამდე ასაკის შშმ პირისათვის, ოჯახის უფლებამოსილი პირის სახელზე ორ ეტაპად განხორციელდა ფულადი დახმარების გაცემა, თითოეულ ეტაპზე 400 ლარის ოდენობით. (მაისი - 926 შშმ ბავშვი, დეკემბერი - 923 შშმ ბავშვი).

06 02 23 ,,ვორლდ ვიჟენის“ სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება“

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 75.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ბავშვთა მიტოვების რისკის შემცირება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ,,ვოლდ ვიჭენ საქართველო“-ს აუნაზღაურდა შესრულებული სამუშაოს ღირებულება (იანვრიდან-ივლისის ჩათვლით გადაირიცხა 7 x 6 520 ლარი, ხოლო აგვისტოს თვეში 4 070 ლარი), რომლის შესაბამისად 31.12.2015 წელს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში №107-ე ბაღის ტერიტორიაზე არსებულ დღის ცენტრში ყოველთვიურად ხორციელდებოდა 25 სოციალურად დაუცველ ბავშვზე ზრუნვა.

06 02 24 სოციალურად დაუცელი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 660.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 660.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (ოჯახის სარეიტინგო ქულა 150 000 და ნაკლები) რეგისტრირებულ უსინათლო პირებს, თითოეულს 300 ლარის ოდენობით. (მაისი - 769 უსინათლო პირი, აგვისტო - 754 უსინათლო პირი, დეკემბერი - 677 უსინათლო პირი).

06 02 25 სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 545.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 543.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება; დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (ოჯახის სარეიტინგო ქულა 100 000 და ნაკლები) რეგისტრირებულ 1 087 ოჯახს, რომელთაც შეეძინათ ახალშობილი.

06 02 26 შინმოვლის თანადაფინანსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 279.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 277.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.3%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თბილისში შინმოვლის პაციენტების ცხოვრები ხარისხის გაუმჯობესება, მათი დამოუკიდებლობის და დაკარგული უნარ–ჩვევების შენარჩუნება–აღდგენა; ფსიქო–სოციალური დახმარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში პარტნიორი ორგანიზაციების („საქართველოს კარიტასი“, „სოციალური პარტნიორობა“, „დიაკვნის ევანგელურ ლუთერული საზოგადოება“) მიერ ხორციელდებოდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული თბილისში მცხოვრები ოჯახებისათვის მარტოხელა, საწოლსმიჯაჭვული პირების დახმარება-შინმოვლა.

06 02 28 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური


2016 წლის გეგმა 291.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 279.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: შშმ პირებში კულტური აქტივობების გაზრდა; შშმ პირებში ამაღლებული განათლების დონე; შშმ პირთა გაზრდილი მოტივაცია; შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაცია.


საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები. ასევე, გაწეულია: 18 წლის ასაკის ზემოთ ქალაქ თბილისში მცხოვრები შშმ პირებისათვის, რომლებიც სარგებლობენ დღის ცენტრების (10 დღის ცენტრი) მომსახურებით, მომსახურების 25% დაფინანსება; შშმ პირთა სერვისის პროვაიდერ (დღის ცენტრი) 10 ორგანიზაციასთან, მათ შორის: ა(ა)იპ თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი, ა(ა)იპ კავშირი ია, ა(ა)იპ ასოციაცია ანიკა, ა(ა)იპ ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება; ა(ა)იპ კავშირი ადამიანები განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ, ა(ა)იპ მშობელთა ხიდი, ა(ა)იპ აისი, ა(ა)იპ საქართველოს ყრუთა კავშირი, ა(ა)იპ სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვების დახმარების ასოციაცია, ა(ა)იპ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობისა ასოციაციასთან გაფორმდა მემორანდუმი; გაწეულია უსინათლოთა გამცილებლების მომსახურების (საქართველოს უსინათლოთა კავშირი), შშმ პირთათვის სხვადასხვა საჭიროებების, შშმ ბავშვების თვითმომსახურების უნარების გამომუშავების და ინკლუზიური განათლების პოპულარიზაციის (მზის შვილები), შშმ პირთა მშობლების ადვოკატირების და ოკუპაციური თერაპიის სწავლებით უზრუნველყოფის (ა(ა)იპ „ბაიჯ-ნაბიჯ“), პარასპორტსმენთა მხარდასაჭერად საქველმოქმედო ღონისძიების (ა(ა)იპ „საქართველოს პარაოლიმპიური ფონდი“), ჟესტური ენის გადამზადების (საქართველოს ყრუთა კავშირი) და სხვა ხარჯები.

❖ განათლება


ათასი ლარი



ათასი ლარი



	სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება	ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკები ს განვითარების ხელშეწყობა	მოსწავლე ახალგაზრდობი ს ეროვნული სასახლე	ზოგადი განათლების სისტემის ხელშეწყობა	უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება
2014 წლის ფაქტი	73 976,5	3 115,2	0,0	1 519,5	0,0
2015 წლის ფაქტი	84 527,6	2 811,5	1 320,3	2 824,4	1 797,8
2016 წლის ფაქტი	96 789,4	2 848,4	2 361,7	4 144,5	2 089,0



07 01 სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება დაფინანსებულია 96,789.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 96,848.0 ათასი ლარის 99.9%-ი). მათ შორის:

07 01 02 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო

2016 წლის გეგმა 84,589.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 84,527.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული და უსაფრთხო სააღმზრდელო გარემო, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა, ბაგა-ბაღებში რეგისტრირებულ აღსაზრდელთა ჭარბი რაოდენობის განტვირთვა, ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და დასაქმების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ვაუჩერული დაფინანსების სახით, გაწეულია 166 ბაგა–ბაღის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, ბავშვთა კვების ხარჯები, კომუნალური ხარჯები, ინვენტარის შეძენის და სხვა აუცილებელი ხარჯები. ასევე დაფინანსებულია ა(ა)იპ ,,თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს" ფუნქციონირების ხარჯები (თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, ოფისის ხარჯები, ტრანსპორტის ხარჯები, მივლინება და

სხვა) და შემდეგი ღონისძიებები: 2016 წელს ბაღის მომსახურება გაეწია ა(ა)იპ ქ.თბილისის 166 საბავშვო ბაგა-ბაღში 59000-მდე აღსაზრდელს, რისთვისაც საბავშვო ბაგა-ბაღები ვაუჩერით დაფინანსდა 85,468.4 ათასი ლარით, მათ შორის საკუთარი სახსრებიდან -199.7 ათასი ლარით. 2016 წელს 40-მდე საზაფხულო ბარი ფუნქციონირებდა, სადაც 14000-მა აღსაზრდელმა მიიღო მომსახურება.

2014 წელს დაიწყო და 2016 წელს დამთავრდა VIII ლეგიონის დასახლებაში ონაშვილის ქუჩაზე ახალი ბაღის მშენებლობა ანაზღაურებულია ბაღის მშენებლობის მეორე ეტაპი - 1,030.7 ათასი ლარი; მიტინგის ქუჩაზე ახალი ბაღის მშენებლობის მეორე ეტაპი - 513.5 ათასი ლარი და ასევე, აღნიშნული საბავშვო ბაგა-ბაღის ეზოს და ღობის მოწყობის სამუშაოები - 510.6 ათასი ლარი; ვაშლიჯვარი ზონა 2-ში, მშენებარე ბაღის მშენებლობის თანხის პირველი ეტაპი 950.0 ათასი ლარი; ჩიტაიას ქუჩაზე, მშენებარე ბაღის მშენებლობის თანხის პირველი ეტაპი 900.0 ათსი ლარი; ურეკის ქუჩაზე ახალი ბაღის მშენებლობის პირველი ეტაპი 400.0 ათასი ლარი; სოფელ ფონიჭალაში, მშენებარე ბაღის მშენებლობის თანხის პირველი ეტაპი 484.9 ათასი ლარი; პეკინის ქუჩა-N23-ში ახალი ბაღის რეკონსტრუქცია კაპიტალური რემონტის ავანსი 400.0 ათასი ლარი, ასევე, სოფელ დიღომში მშენებარე ბაღის ავანსი 300.0 ათასი ლარი; სოფელ წინუბანში ახალი საბავშვო ბაგა-ბაღისთვის საჭირო შენობის რეკონსტრუქცია/კაპიტალური რემონტის ავანსი 177.0 ათასი ლარი.

შეძენილ იქნა ურეკის ქუჩაზე, ჩიტაიას ქუჩაზე, ჭიჭინაძის ქუჩაზე, სოფელ ფონიჭალაში, ვაშლიჯვარი ზონა N2 მდებარე მიწის ნაკვეთებზე, სოფელ დიღომში და წყნეთში, გუთნის ქუჩაზე, პალიასტომის ქუჩაზე, პეკინის 23-ში, გლდანის მე-3 მიკრორაიონში, დიდი დიღმის მესამე და მეოთხე მიკრორაიონებში, ზუგდიდი ქუჩაზე, მრევლიშვილის ქუჩაზე, მუხიანის პირველ მიკრორაიონში, ნავთლუღის ქუჩაზე, ნუცუბიძის მეოთხე მიკრორაიონში, ჭიაურელის ქუჩა N 18--ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე ასაშენებელი საბავშო ბაგა-ბაღის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და ანაზღაურებულ იქნა 648.4 ათასი ლარის ოდენობით.

კაპიტალური სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა ქ.თბილისის N121 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობას და ანაზღაურდა -249.9 ათასი ლარის ოდენობით; გამაგრებითი, სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩაუტარდა N143 საბავშვო ბაგა-

ბაღებს რაც ანაზღაურებულია 164.3 ათასი ლარის ოდენობით; გამაგრებითი, საემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩაუტარდა N196 საბავშვო ბაგა-ბაღებს რაც ანაზღაურებულია 453.0 ათასი ლარის ოდენობით.

სხვადასხვა სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა N54, N112, N115, N121, N197, პირველ ლოგოპედიურს, N14, N162, ზაჰესის,N 28, N109, N156, N114, N13, N50,N123, N185, N152, N170,N 144 კოჯორის,N61 N92, N191, N151, N117, N107 საბავშვო ბაგა-ბაღებს, რაც ანაზღაურდა 990.4 ათასი ლარის ოდენობით.

გამოიცვალა დაზიანებული და მოეწყო ახალი ღობეები N21, N107, N16, N18, N36, N45, N50, N71, N100, N109, N126, N163, N167, N182, N196, N201 საბავშვო ბაგა-ბაღებში, საერთო თანხით 557.8 ათასი ლარის ოდენობით.

35 საბავშვო ბაგა-ბაღში მოეწყო სპორტულ-გასართობი მოედნები და ანაზღაურებულ იქნა 522.1 ათასი ლარის ოდენობით.

შეძენილ იქნა და 30 საბავშვო ბაგა-ბაღს გადაეცა სამზარეულო ტექნიკა, სხვადასხვა სახის ინვენტარი და ჭურჭელი, მთლიანი ღირებულებით 493.5 ათასი ლარი.

ანაზღაურებული იქნა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომელთა საკადრო რეზერვის შექმნის მიზნით, ჩატარებული ტესტირების ხარჯები - 63.2 ათასი ლარის ოდენობით. ასევე, მიმდინარეობს და ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: საბავშვო ბაგა-ბაღში მოეწყო 35 სპორტულ-გასართობი მოედანი; შეძენილია 19 მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი საბავშო ბაგა-ბაღის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია; 30 საბავშვო ბაგა-ბაღს გადაეცა სამზარეულო ტექნიკა, სხვადასხვა სახის ინვენტარი და ჭურჭელი; ღობეების მოწყობა და სხვადასხვა სარემონტო სამუშაოები 44 ბაგა-ბაღში, აღდგა 4 დახურული ბაგა-ბაღი.

07 02 ზოგადი განათლების სისტემის ხელშეწყობა დაფინანსებულია 4,144.5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 4,314.0 ათასი ლარის 96%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

07 02 01 ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 168.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 167.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოზარდებში შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავება, სხვადასხვა საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტები/ ინიციატივები; სკოლებში დემოკრატიული გარემოს შექმნა; სახვადასხვა კონკუსებსა და ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეების წახალისება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: სკოლების სამეურვეო საბჭოების მომართვის საფუძველზე მეცამეტე კლასის სწავლის საფასური დაუფინანსდა 5 მოსწავლეს; ჩატარდა პროექტის, „ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების წახალისება“ შემაჯამებელი ღონისძიება, სადაც პროექტში გამარჯვებულები თბილისის მერის მოადგილემ და საკრებულოს თავმჯდომარემ სიგელებით დააჯილდოვეს და ახალი კონკურსის გამოცხადება დაანონსეს; ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების ხელშეწყობის ფარგლებში გამოცხადდა კონკურსის ორი ეტაპი საჯარო სკოლებისათვის, შემოვიდა 156 პროექტი და გამოვლინდა 62 გამარჯვებული; 2016 წლის 11-12 ნოემბერს განხორციელდა სასკოლო კლუბების ფორუმი რომელშიც მონაწილოება მიიღო 80-მა სკოლამ, საერთაშორისო და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა; დაფინანსდა ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა მეათე საერთაშორისო ოლიმპიადა; განხორციელდა მედიაკავშირ ეტალონის პროექტი „ინტელექტ ჩემპიონატი ეტალონი“; ა(ა)იპ შემოქმედთა ასოციაციის „რევერანსი“ პროექტი ზღაპრების ფესტივალი „მზიანი საქართველო“; ილ. ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქ.თბილისის N42 საჯარო სკოლის პროექტი „საქართველოს მოსწავლეების მონაწილეობა ახალგაზრდა ნატურალისტთა მე-4 საერთაშორისო ტურნირზე“; ა(ა)იპ „ისტორიის

მასწავლებელთა საქართველოს ასოციაცია“ პროექტი „ნორჩ ისტორიკოსთა ზაფხულის ბანაკი“; ახალგაზრდა შემოქმედთა სამეცნიერო ცენტრის „პროგრესი“ პროექტი „ახალგაზრდა ფიზიკოსთა საერთაშორისო ტურნირი“; ა(ა)იპ „ჰელფინგ ჰენდის“ პროექტი „სკოლის მოსწავლეებში კრიტიკული, ანალიტიკური და კრეატიული უნარ-ჩვევების განვითარება სასკოლო ოლიმპიადის გზით“.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: პროექტებში ჩართული 20 000-ზე მეტი პირდაპირი და ირიბი ბენეფიციარი; საზოგადოების მოთხოვნებსა და საჭიროებებზე მორგებული აქტივობები; დაფინანსებული 68 პროექტი; სრული ზოგადი განათლების მიღების მიზნით დაფინანსებული 5 მოსწავლე; საერთაშორისო ტურნირში მონაწილე 10 მოსწავლე; ოლიმპიადებში მონაწილე 300 ბენეფიციარი; სასკოლო კლუბების ფორუმში მონაწილე 80 სკოლა და 5 ორგანიზაცია.

07 02 03 საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო

2016 წლის გეგმა 2,815.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,704.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 96%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი და მაღალმხატვრული პროდუქცია

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ ,,სერვისების განვითარების სააგენტოს“ ფუნქციონირების ხარჯები, კერძოდ ადმინისტრაციის ხელფასი, ოფისის ხარჯი, ტრანსპორტის ხარჯები და სხვა. გარდა ამისა, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო 17 პროექტის განხორციელება, საიდანაც დასრულდა 16 პროექტი, 1 პროექტი არის დასრულების პროცესში. დიზაინერების მიერ დამუშავდა მერიის სხავდასხვა სამსახურების და საქვეუწყებო ორგანოების ბლანკები, ბანერები ლოგოები ვებგვერდების ვიზუალი, სულ ჯამში 340 დავალება, ფოტოგრაფების და ჟურნალისტების მიერ გადაღებული და გაშუქებულ იქნა თბილისის მერიის ყველა აქტივობა და თბილისის მერის ყველა

მივლინება საზღვარგარეთ. ტრენერების მიერ ხდება პროგრამებით გათვალისწინებული ტრენინგების ჩატარება (სულ 3 სატრენინგო პროგრამა). ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტების მიერ გამოკვლეული და გასწორებული იქნა მერიის კომპიუტერულ ქსელში წარმოქმნილი პრობლემები. ამასთან პერმანენტულად ხდება თბილისის მერიის ყველა ვებ გვერდის ტექნიკური მხარდაჭერა. განხორციელებულია ბიზნეს ინკუბატორის (ფაბლაბის) მიერ სხვადასხვა აქტივობები, შესრულებულია პროგრამა „მეიქ ათონი“ და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: განხორციელდა 16 პროექტი, 340 დავალება, 3 სატრენინგო პროგრამა, ერთი პროგრამა ბიზნეს ინკუბატორი (ფაბლაბი).

07 02 04 საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მერიის ადმინისტრაცია

2016 წლის გეგმა 950.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 893.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 94%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: საზოგადოების ინფორმირებულობა და პროცესებში მათი ჩართულობის უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სარეკლამო მომსახურება - 782,7 ათასი ლარის ოდენობით. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონული გამგეობების დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების შესახებ ვიდეო-რგოლების განთავსება განხორციელდა: საქართველოს ტელევიზიის სხვადასხვა არხების საშუალებით, ვიდეოპორტალ MYVIDEO.GE-ზე; 2016 წლის თბილისობის ფარგლებში „თბილისზე მზრუნველის“ პროექტით გათვალისწინებული სიუჟეტური ხასიათის ვიდეო რგოლისა და პროექტის შესახებ საინფორმაციო ვიდეო რგოლის დამზადება; თბილისის სხვადასხვა მისამართზე სარეკლამო კონსტრუქციებზე საინფორმაციო ბანერების განთავსება. სხვადასხვა ტიპის მწებავი ფირი (სტიკერი) და ბადე ფირი (ბადე სტიკერი) განთავსება; სოციალურ ქსელში მერიის საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაციის გავრცელება; თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონული გამგეობების დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების პირდაპირი სატელევიზიო ტრანსლირება, მასთან დაკავშირებული ყველა ტექნიკური საშუალებების, ტელე-ოპერატორებისა და რეჟისორების მომსახურებით; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ანგარიშთან დაკავშირებით საპრეზენტაციო ალბომების და მოსაწვევების შესყიდვა, საინფორმაციო ფილმის გადაღება-დამზადების მომსახურება; 2017 წლის შობა-ახალი წლის დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებით, დაგეგმილი საახალწლო ღონისძიებების შესახებ 5 სიუჟეტური ვიდეორგოლის, საახალწლო გალა კონცერტისა და ძირითადი ღონისძიებების შესახებ საინფორმაციო, საახალწლო პრომო 1 ვიდეორგოლის გადაღება-დამზადების მომსახურება;

პოლიგრაფიული მომსახურება - 110,7 ათასი ლარის ოდენობით. დაიბეჭდა სხვადასხვა სახის ცნობარები, საინფორმაციო ბროშურები და ბუკლეტები; სამართალდარღვევათა ოქმები, საჯარიმო ქვითრები, შემოწმების აქტი-მითითებისა და შემოწმების აქტის ფორმები; სავიზიტო ბარათები და ნაბეჭდი კონვერტები; საქაღალდეები, ბლანკები და სიგელები; სხვადასხვა ტიპის ბანერები; მწებავი ფირები (სტიკერი); ბეიჯები; 2016 წლის თბილისობის დღესასწაულის ფარგლებში მოხდა სხვადასხვა დასახელების აქსესუარების შესყიდვა.

07 02 07 ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 380.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: შშმ მოსწავლეებისათვის გაიზრდება ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა და მათი საზოგადოებაში ჩართულობის ხარისხი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 24 თებერვლის N08.27.174 განკარგულების საფუძველზე, ადაპტირებული ტრანსპორტის შესყიდვის მიზნით,

საფინანსო საქალაქო სამსახურს მიემართა შესაბამისი წერილით, რომლის საფუძველზეც პარაცენტრს გადაერიცხა თანხა 380.0 ათასი ლარის ოდენობით; განხორციელდა 4 ადაპტირებული ტრანსპორტის შეძენა, რომელიც უახლოეს პერიოდში მოემსახურება თბილისის საჯარო სკოლებს.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები: შეძენილი 4 მიკროავტობუსი, რომელიც მოემსახურება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 24 მოსწავლეს.

07 03 ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 2,848.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,909.6 ათასი ლარის 98%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

07 03 01 თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური; სსიპ თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა

2016 წლის გეგმა 2,137.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,121.9 ათასი ლარით. რაც გეგმის 99.3%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა; მოსახლეობისათვის განახლებული სერვისების შეთავაზებით მკითხველთა დაინტერესების ზრდა; ბიბლიოთეკების სერვისით დაინტერესებულ პირთათვის სამუშაო პროცედურების გაადვილება; საბიბლიოთეკო ინტეგრირებული ელექტრონული პროგრამის დანერგვა; თმბ-ს ფილიალები ჩაერთვებიან ერთიან საბიბლიოთეკო ქსელში; წიგნადი ფონდისა და მკითხველთა ერთიანი ელექტრონულ მონაცემთა ბაზა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ხარჯები (შრომის ანაზღაურება, ოფისის ხარჯები, ტრანსპორტი, სოციალური უზრუნველყოფის, რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენის და სხვა ხარჯები). დღეისათვის ფუნქციონირებს თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის 35 ფილიალი თბილისის სხვადასხვა უბანში და შემოერთებული ტერიტორიების 2 ბიბლიოთეკა - სულ 37 ფილიალი, რომელშიც

2015 წელს გაწევრიანდა 42 967 ადამიანი, 2016 წელს 41 332 ადამიანი. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სხვადასხვა შემეცნებითი და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება, მათ შორის: ლიტერატურულმა სალონმა ''საგულისონმა'' საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის თეატრთან („მოდი-ნახე“) ერთად საახალწლო ზეიმი მოუწყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს, ლიტერატურულმა სალონმა ''საგულისონმა'' საქართველოს ქალთა საბჭოსთან ერთად ჩაატარა აკადემიკოს მზექალა შანიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის მირზა გელოვანის სახელობის ფილიალში, ნასაგურის ბავშვთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის არასამთავრობო ორგანიზაციასთან არსებულ საბავშვო თოჯინების თეატრთან ერთად, ჩატარდა სპექტაკლი საახალწლო ზღაპარი ''ოჩოპინტრეს ოინები''; ლიტერატურული სალონმა ,,საგულისონმა“ საქართველოს ქალთა საბჭოსთან ერთად ჩაატარა ერთობლივი პროექტი - „მრავალეროვანი თბილისი“-ს ფარგლებში ჩატარდა თბილისში მცხოვრებ ლატვიელთა საღამო, ბიბლიოთეკაში საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება დაიწყო ,,აღმოაჩინე შენი ბიბლიოთეკა“, რომელიც თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ყოველწლიური პროექტია; გამოფენა - „საქართველოს დამფუძნებელი კრება: პოლიტიკური ბრძოლის ქრონიკა 1921-1978”, შეხვედრა გიორგი ზანგურთან, „იპოვე შენი თავი ბიბლიოთეკაში“, რომელიც თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ყოველწლიური პროექტია; ლიტერატურულმა სალონმა ''საგულისონმა'' მოაწყო იზა ვეფხვაძის ორი ახალი წიგნის - „სულიკო ციმაკურიძე - ანსამბლი „ოდილა“ და „ფარცხნალი - კორიფეთა სამკვიდრო“ პრეზენტაცია, თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის მირზა გელოვანის სახელობის ფილიალში, თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის თამარ ტალიაშვილის ინიციატივითა და ორგანიზებით გაიმართა მსოფლიო პოეზიის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები; პოეზიის საერთაშორის დღეს, ღონისძიებით შეუერთდა თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის №53 ფილიალი; ლიტერატურულმა სალონმა ,,საგულისონი'' საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის დარბაზში ჩაატარა რეზო თაბუკაშვილის გარდაცვალებიდან 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო,

თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის მირზა გელოვანის სახელობის ფილიალში, ჩატარდა ინტელექტუალური ვიქტორინა-თამაში ,,ყველაზე სხარტი, ნიჭიერი და მოაზროვნე'', პროექტში მონაწილეობენ ქ. თბილისის ყველა საჯარო სკოლის მე- 9, მე-10, მე-11 კლასის მოსწავლეები; ბიბლიოთეკის კვირეულის ფარგლებში თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიტერატურულმა სალონმა „საგულისონი'' გამართა ელენე ახვლედიანის საღამო ,,ელენე ახვლედიანი დღეს'', რომელიც ეძღვნებოდა მხატვრის იუბილეს; მიმდინარეობს პროექტი ,,მშვიდი ლიტერატურა" პროექტის ფარგლებში იმართება შეხვედრები მწერლებთან, ხელოვანებთან და ცნობილ ადამიანებთან; თბილისის მთავარმა ბიბლიოთეკამ უმასპინძლა ლაშა ბუღაძის საჯარო ლექციას, თემაზე „აკრძალული წიგნების მეტამორფოზა"; თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში გაიმართა ლევან ღამბაშიძის საჯარო ლექცია, თემაზე „ განათლება-საქართველო; თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიტერატურულმა სალონმა „საგულისონი" მოაწყო შეხვედრა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ფოლკლორისტის, ეთნოგრაფის, საქართველოს სისტემური ტოპონიმიკური კვლევის პიონერის იური სიხარულიძის დაბადებიდან 90 წლისთავთან დაკავშირებით; თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში გაიმართა გამომცემლობა - ,,წიგნები ბათუმში''-ს ორი ახალი წიგნის პრეზენტაცია: ჯეინ ოსტინი -,,ემა" და სერგეი დოვლატოვი - „ჩემოდანი", „უცხოელი ქალი"; თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიტერატურულმა სალონმა „საგულისონი" სასკოლო ასაკის ბავშვებს და მათ მშობლებს მოუწყო საბავშვო სპექტაკლი - „წერილები მედიკოს"; თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიტერატურულმა სალონმა „საგულისონი" გამართა მხატვრული სიტყვის დიდოსტატის, პოეტისა და პედაგოგის ელდინო საღარაძის საღამო, სახელწოდებით „ლოდნი დაწუნებულნი" საღამო ელენე ახვლედიანის სახ. ბავშვთა სურათების გალერეაში ჩატარდა; გაიმართა „ვეფხისტყაოსანი" - ს ხელით გადაწერის პროექტი „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა"; ვაჟა კაკაბაძის ორი წიგნის პრეზენტაცია ,,ზღაპრის ფილოსოფია" და ,,ზღაპრის ფილოსოფია 2 ", შედგა ფსიქოკონსულტირებისა და ფსიქოკორექციის სახლი "დენდრონი" - ს ახალი სასწავლო კურსის პრეზენტაცია, დაიწყო ბავშვთა საგანმანათლებლო - შემეცნებითი

პროექტი „ვიკითხოთ ერთად", პროექტის მიზანია ბავშვებში ლიტერატურის სიყვარულის გაღვივება, ბიბლიოთეკის ცნობადობის გაზრდა და ბიბლიოთეკით სარგებლობის უნარ - ჩვევების გამომუშავება; მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში მოეწყო შეხვედრა კომპოზიტორებთან, ვაჟა აზარაშვილთან და რუსუდან (მაცაცო) სებისკვერაძესთან; სპექტაკლი „ამ მეგობრობით შევცვლით სამყაროს“ და ამავე სახელწოდების ქართულ-ივრითულენოვანი წიგნის პრეზენტაცია; გულნარა სტურუას ახალი წიგნის პრეზენტაცია - „ვინ არის ადამიანი“; მწერალ ბესარიონ სოლოღაშვილის ტრილოგიის „ესე ტაძარი“ პრეზენტაცია; პროექტი „პატარა მკითხველთა კლუბი“, რომელიც განკუთვნილია 1,2,3 კლასის და ბაღის მოსწავლეებისათვის და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სერვისებით მოსარგებლე 41 332 პირი; ჩატარდა 33 შემეცნებითი და კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიება.

07 03 02 თბილისის მედიათეკების გაერთიანების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თბილისის მედიათეკების გაერთიანება

2016 წლის გეგმა 772.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 726.6 ათასი ლარით. რაც გეგმის 94%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა; მოსახლეობისათვის განახლებული სერვისების შეთავაზებით მკითხველთა დაინტერესების ზრდა; ბიბლიოთეკების სერვისით დაინტერესებულ პირთათვის სამუშაო პროცედურების გაადვილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თბილისის მედიათეკების გაერთიანების ფუნქციონირების ხარჯები (შრომის ანაზღაურება, ოფისის ხარჯები, ტრანსპორტი, სოციალური უზრუნველყოფის, რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენის და სხვა ხარჯები). დღეისათვის ფუნქციონირებს მედიათეკის ვაკის და ვარკეთილის ფილიალი, რომელშიც 2015 წელს გაწევრიანდა 2 569 ადამიანი, 2016 წლის საანგარიშო პერიოდში 3 247

ადამიანი. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სხვადასხვა შემეცნებითი და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება, მათ შორის: საბავშვო-შემოქმედებითი დღე თემაზე „ვინი პუხი - ჩემი საყვარელი წიგნის გმირი“; პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის ფარგლებში, მე-9 კლასელთათვის გაფართოებული შეხვედრა ახალგაზრდა იურისტებთან; მარი ბროსეს დაბადების დღე და მისი სახელობის სახელობის სკოლა-ლიცეუმის საწყისი და საბაზო საფეხურის მოსწავლეების სტუმრობა, ჩარლზ დიკენსის დღე ,,ვკითხულობთ და ვხატავთ ერთად“, გიორგი კეკელიძის წიგნის ,,ორი თავგადასავალი" პრეზენტაცია, ბაგა-ბაღი „ჩიორას“ აღსაზრდელების სტუმრობა, ბაგა-ბაღი „ნაბიჯ-ნაბიჯ“ პატარების სტუმრობა, ჟიულ ვერნის დღე მედიათეკაში „ვკითხულობთ და ვხატავთ ერთად“, სიყვარულის დღე - საჯარო სკოლების: № 106; №105; №152; №98 მოწაფეების შემოქმედებით-ლიტერატურული საღამო; №163-ე ბაგა-ბაღის პატარების სტუმრობა, წიგნის ხელოვნების ცენტრის, გოეთეს ცენტრის და მედიათეკის ერთობლივი პროექტი - „motto-ს“ წიგნების თარო პრეზენტაცია; №182-ე საჯარო სკოლის მეორე და მესამე კლასის მოსწავლეების სტუმრობა, № 176-ე ბაგა-ბაღის დამამთავრებელი ჯგუფის პატარების სტუმრობა, წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე, მონო სპექტაკლი ,,მიუნჰაუზენი“- ს ჩვენება, სკოლები: „ანი-zet”, „ბაქსვუდი“, 54-ე საჯარო სკოლა, ბაგა-ბაღები: „ჩიორა“, ნაბიჯ-ნაბიჯ“ პატარა მკითხველების თანამონაწილეობით; ირაკლი ჩარკვიანის წიგნის „ავტოპორტრეტი“ წარდგინება, პროექტის „კინო-ჩვენებები“ პირველი დღე ხელოვნებათმცოდნე ლიკა ციხისელის ხელმძღვანელობით, „გამომცემლობა წიგნები ბათუმში“ დაბადების დღე მედიათეკაში, ახალი წიგნების პრეზენტაცია, გამოფენა - გაყიდვა; ხელოვან ქალთა კვირეულის გახსნა, ქეთევან მატაბელის და მისი შვილის მარიამ გუგუშვილის ნამუშევრების გამოფენა; მწერალი ქალბატონების შეხვედრა საზოგადოებასთან: ქეთევან ნათელაძე, თეა თაბაგარი, ია სულაბერიძე, ქეთი შენგელია; საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თანათავმჯდომარის - მწერალი მაყვალა გონაშვილის შეხვედრა და მის მიერ დაწერილი ზღაპრების კითხვა მედიათეკის პატარა წევრებისათვის, კითხვის საათი და ხატვის გაკვეთილი პატარებისათვის თემაზე: „დედა“, ფილმის „იავნანამ რა

ჰქნა“? ჩვენება მულტიმედიურ დარბაზში; სამხატვრო აკადემიის ახალგაზრდა ქალბატონების: მხატვრების, დიზაინერების, გრაფიკოსებისა და ფერმწერების გამოფენა; „ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების ეროვნული გალერეის“ პედაგოგების ხელმძღვანელობით მასტერ კლასი მედიათეკისა და გალერეის პატარა წევრებისათვის თემაზე „დედა, სამხატვრო აკადემიის ახალგაზრდა ვაჟების საჩუქარი - პორტრეტები ქალბატონებისათვის, გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ხელმძღვანელის და მთარგმნელის გვანცა ჯობავას ლექცია - სემინარი თემაზე - „ანა პოლიტკოვსკაია - ბეჭდვითი სიტყვა, როგორც იარაღი"; ბავშვების მიერ დახატული ნამუშევრების გამოფენა და კონცერტი მედიათეკის წევრების ჩართულობით, ხელოვან ქალთა კვირეულის დახურვის ცერემონიალი, მონაწილე და მოწვეული სტუმრების მიღება - დაჯილდოება; ვაკის გამგეობის საზოგადოებრივი საბჭოს შეხვედრა, პოეტ მიმოზა ცანავას მონოსპექტაკლი „ჭირვეულ მარტებს შემოვრჩი მარტო“, ხელოვნებათმცოდნე ლიკა ციხისელის ხელმძღვანელობით ფილმის "ოსტატი" ჩვენება, კავშირი „ჩვენი ბავშვები“-ს მიერ ორგანიზებული ფოტოხელოვანების მიერ გადაღებული ფოტოგამოფენა თემაზე „ჩემი მეგობარი“, დაუნის სინდრომის მქონე პირთა საერთაშორისო დღე "მეგობრები ქრომოსომებს არ ითვლიან", მშობელთა ხიდის „პარაორკესტრი“ შშმპ პირების სტუმრობა; სკოლის მოსწავლეებისათვის გაფართოებული შეხვედრა თეატრმცოდნე ქეთევან იოსელიანთან და მხატვარ თეკლე ხახუბიასთან, კერძო სკოლის „ბაქსვუდი“ მეორე და მეშვიდე კლასის სტუმრობა, ბავშვთა წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მაკა ლდოკონენის შეხვედრა პატარა მკითხველთან. თემა: ლევან ბოლქვაძის ,,ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავი"; ბავშვთა წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საკვირაო სკოლის ,,თავისუფალი ცოდნის სახლი"- ორგანიზებით, პატარების შეხვედრა მწერალ დათო ტურაშვილთან; ბავშვთა წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით შეხვედრა ზვიად კვარაცხელიასთან. თემა: შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსანი“; მიმდინარე პროექტი - გამომცემლობის ერთი დღე მედიათეკაში. გამომცემლობების ინტელექტი/არტანუჯის წიგნების გამოფენა-გაყიდვა; ახალგაზრდა მხატვრის ნათია ყარაულაშვილის პირველი პერსონალური

გამოფენა, ბავშვთა წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით შეხვედრა და ვორქშოპი დიზაინერ თეონა ჭანიშვილთან. თემა: გიორგი ლეონიძე - ,,ნატვრის ხე“ თანამედროვე; მირიან თავართქილაძის ახალი წიგნის ,,ფუფუნების კომედია“ პრეზენტაცია, დათო ტურაშვილის ლექცია „9 აპრილი - საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 25 წელი“, მუხრან მაჭავარიანის 87-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სხოვნის საღამოს და სახლ-მუზეუმის გახსნის პრეზენტაცია, კერძო სკოლა „ანი-zet” - ის ღია გაკვეთილი მედიათეკაში, გამომცემლობა Publishing.ge ორგანიზებით, ახალი წიგნის ,,აკადემიური წერის საფუძვლები“ პრეზენტაცია, ისანი-სამგორის რაიონის სკოლებისთვის დაგეგმილი პროექტის ,,ერთად წავიკითხოთ და განვიხილოთ წლის 4 საუკეთესო წიგნი“ პრეზენტაცია, ახალი წიგნის „ისმაილი“ პრეზენტაცია, ვაკე-საბურთალოსა რაიონის სკოლებისათვის დაგეგმილი პროექტის „ერთად წავიკითხოთ და განვიხილოთ წლის 4 საუკეთესო წიგნი“პრეზენტაცია , საავტორო უფლებების დღე - „პოეზიის ღამე“ - წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული, 182-ე სკოლის მოსწავლის დიანა მეზვრიშვილის წიგნის ,,დეტექტივობანა“ პრეზენტაცია, მინი-სპექტაკლი - ,,მაცხოვრის აღდგომა“ პატარა მკითხველებისა და მათი მშობლების მონაწილეობით, 182-ე საჯარო სკოლის მე-2 კლასის მოსწავლეების მონაწილეობით პროექტი ,,ერთად ვიკითხოთ წიგნები“, სამგორის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა თემაზე ,,ჩემი საყვარელი წიგნის გმირი“, ბავშვთა საერთაშორისო დაცვის დღესთან დაკავშირებით მოწყობილი საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა, ნინო ყურაშვილის პერსონალური გამოფენა, გამოფენა სტიქიის თემაზე, გამომცემლობა არტანუჯი, წიგნის პრეზენტაცია; ტრადიციული რეწვის სახელოსნოს გამოფენა, ლექტორ ირინა ბრეგვაძის შეხვედრა მაგისტრანტებთან, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, წიგნის პრეზენტაცია: ,,მიდი დააყენე დარაჯი“; გიორგი მათიაშვილის წიგნის „SOS! ტრეფიკინგი...“ პრეზენტაცია; პროექტები “ერთად ვიკითხოთ წიგნები" და „ვარკეთილის განვითარების ახალი ხედვა’’, წიგნის კითხვა მსახიობებთან ერთად, პროექტი „მედიათეკელის’’ გახსნითი ღონისძიება, ნორვეგიული ზღაპარი „მშობლიური სახლის ლურსმანი’’, კინგსი ინგლისური ენის

მოსამზადებელი ტესტების სახელმძღვანელოს პრეზენტაცია, სახვის მასტერკლასი, პოლონელ არქიტექტორებთან შეხვედრა, გურამ პეტრიაშვილის ზღაპარი ,,უცნაური მხატვარი'', მითი ,,12 ოლიმპოელი'', ასტრიდ ლინდგრენის წიგნების კითხვა, ბასა ჯანიკაშვილის პიესების კრებულის ''გაბრაზებული ჩიტი'' პრეზენტაცია, პროექტ ''ლამაზი ქალაქის'' ფარგლებში გერმანელი ექსპერტის ორგანიზებით საგანმანათლებლო თამაშები, ,,დონ კიხოტე ხელოვნებაში'', გამოფენა თემაზე ,,ჩემი საყვარელი ლიტერატურული გმირი'', პროექტის ''ჩვენ და პატარა მკითხველები'' პრეზენტაცია, ხელოვნებათმცოდნეობა, ხატვის მასტერკლასი, ,,ნაპოლეონი"-ის შექმნის ისტორია, „მამა მუმინის მემოარები'', ,,თბილისის სოლიდაროზის ქსელი'' საჯარო ლექცია, ,,გაიგე და დაიცავი შენი შრომითი უფლებები, თბილისის მუზეუმების გაერთიანების პრეზენტაცია, ინტელექტუალური თამაში-სასკოლო შეჯიბრი „დებატები'', ,,მაკნატუნა'', ,,საქველმოქმედო ფონდი ანი ბავშვებისთვის'' პრეზენტაცია, პროექტი ,,მედიათეკელის'' დასკვნითი ღონისძიება და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სერვისებით მოსარგებლე 3 247 პირი; ჩატარდა 100-მდე შემეცნებითი და კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიება.

07 04 პროფესიული და ზრდასრულთა განათლების განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 64.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: პროფესიული და ზრდასრულთა განათლების საშუალებით დედაქალაქის მაცხოვრებლები შეძლებენ შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და ღირსეულ დასაქმებას. წახალისდება საგანმანათლებლო ინიციატივები და პროექტები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის პროექტი „ახალგაზრდა მეცნიერთა პროფესიული განვითარების

პროგრამა“; ა(ა)იპ კონსულტაციისა და ტრენინგების ცენტრის (CTC-ის) პროექტი „არაფორმალური განათლების მხარდაჭერის ინიციატივა“, რომლის მიზანი იყო თბილისში მოქმედი არაფორმალური განათლების მიმწოდებელი ორგანიზაციების სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერების ხელშეწყობა; ა(ა)იპ „საგანმანათლებლო ინიციატივების ქართული ასოციაციის“ პროექტი „თბილისში ახალგაზრდა ტრენერების მომზადება და ზრდასრულთა განათლების ტრენერების პორტალი ამოქმედება“, რომლის მიზანია ტრენინგ სერვისების მომხმარებელთა და მიმწოდებელთა გარემოს გაუმჯობესება დედაქალაქში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: დაფინანსებული 4 პროექტი; პროგრამაში/პროექტებში ჩართული 250-მდე პირდაპირი და 500-მდე ირიბი ბენეფიციარი.

07 05 უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება დაფინანსებულია 2,089.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,122.0 ათასი ლარის 98.4%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

07 05 01 უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 276.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: სხვადასხვა საგანმანათლებლო კონკურსები და ტურნირები, მოეწყობა საზაფხულო და ზამთრის სკოლები, გაიზრდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა ჩართულობა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ოთხი პროექტი, რომელთა მიზანი იყო სტუდენტებისთვის პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობა და ახალგაზრდებს შორის კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესება. ეს პროექტებია: ა(ა)იპ სამოქალაქო ინიციატივა საზოგადოების ჯანმრთელობისთვის“ - სტუდენტთა პროფესიული ასოციაციების ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობა; ივ. თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება - სამეცნიერო უნარ-ჩვევები განვითარება სტუდენტებსა

და ახალგაზრდებში; უფლებების ლიგა - კონსტიტუციის ახალგაზრდა მკვლევართა ზამთრის სკოლა; ა(ა)იპ „სტუ სტუდენტური კოალიცია“ - პროფესიული საინიციატივო ჯგუფების მხარდაჭერა და შემდგომი განვითარება;პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ა(ა)იპ „სამოქალაქო ინიციატივა საზოგადოების ჯანმრთელობისთვის“ პროექტი „ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის გენერალური ასამბლეა თბილისი 2016“; ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის პროექტი “საზაფხულო სკოლა ინტელექტუალური საკუთრების სამართალში“; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტი „ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა საზაფხულო სკოლა ინტერდისციპლინურ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში“; ა(ა)იპ „ახალგაზრდობა მსოფლიოსთვის“ პროექტი „ინოვაციური სოციალური მეწარმეობის სკოლა 2016“; კრეატიული განვითარების ცენტრის პროექტი „Мიტოსტ ფესტივალი -ინტეგრაცია და ურბანული განვითარება“; ინტელექტ კლუბ „რა? სად? როდის? პროექტი „თბილისის პირველი ღია თასი ინტელექტუალურ თამაშში რა? სად? როდის?“, გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში გამოცხადდა კონკურსის ახალი ეტაპი ზამთრის სკოლების განხორციელებაზე, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდა 7 პროექტი: ა(ა)იპ "კავშირი ადამიანი კანონი თავისუფლება" - პროექტი „თბილისის ახალგაზრდული თვითმმართველობა“; ა(ა)იპ „ახალგაზრდები მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის“ - პროექტი „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა“; ა(ა)იპ „სტუ სტუდენტური კოალიცია“ - პროექტი „სტუს ტელე-ლაბორატორია მომავალი ჟურნალისტების სამსახურში“; ა(ა)იპ „საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტი“ - პროექტი „სამართლის ზამთრის სკოლა სტუდენტებისათვის“; ა(ა)იპ „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“ -პროექტი „მომავალ საჯარო მოხელეთა სკოლა“; ა(ა)იპ „საქართველოს სასწავლო ტურიზმის ორგანიზაცია“ - პროექტი „მწვანე თბილისი”; ა(ა)იპ „ახალგაზრდები საზოგადოებრივი განვითარებისთვის“- პროექტი „ზამთრის სკოლა- მუნიციპალური სამართალი“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 24 თებერვლის N08.28.175 განკარგულებით, „წარმატებული სტუდენტების წახალისების“ პროგრამის ფარგლებში, დამტკიცდა „წარმატებული სტუდენტების წახალისების“

ახალი წესი, რომლის საფუძველზეც განხორციელდა წარჩინებული და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების ფინანსური წახალისება. შეიქმნა წარჩინებული სტუდენტების ბაზა და სტიპენდია 450 ლარის ოდენობით გადაერიცხათ სახელმწიფო ავტორიზებული უნივერსიტეტის 142 წაჩინებულ სტუდენტს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: დაფინანსებული 17 საგანმანათლებლო პროექტი; 142 წარმატებული სტუდენტი, რომელთაც გადაერიცხათ სტიპენდია; ზამთრისა და ზაფხულის სკოლების კონკურსის ფარგლებში გამარჯვებული 12 პროექტი;ზამთრისა და ზაფხულის სკოლებში მონაწილე 1400-მდე ბენეფიციარი; პროექტებში ჩართული 1800-მდე ბენეფიციარი.

07 05 02 იურიდიული კლინიკა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ სამართლებრივი დახმარებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მუნიციპალური ცენტრი

2016 წლის გეგმა 446.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 435.9 ათასი ლარით. რაც გეგმის 97.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცემათ სტაჟირება გაიარონ იურიდიულ კლინიკაში და აიმაღლონ კვალიფიკაცია. ასევე, მიზნობრივ ჯგუფებს ექნებათ შესაბამისი იურიდიული კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდის მანძილზე დაფინანსდა ა(ა)იპ „სამართლებრივი დახმარებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მუნიციპალური ცენტრის" შესანახი ხარჯები, კერძოდ ადმინისტრაციის ხელფასი, პრემია, ოფისის ხარჯი, ტრანსპორტის ხარჯები და სხვა.

პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები - რაიონულ ოფისებს დაემატა სამი ახალი ოფისი. ოფისებში დასაქმებული იყო 10 ტრენერ–ადვოკატი; გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ორ ახალ

უნივერსიტეტთან, კერძოდ, თბილისის ჰუმანიტარულ უნივერსიტეტთან და თბილისის სასწავლო უნივერსიტეტთან. ამჟამად ორგანიზაცია თანამშრომლობს ექვს უნივერსიტეტთან და იგეგმება დამატებით ოთხ უნივერსიტეტთან მემორანდუმის გაფორმება.

უმაღლესი სასწავლებლებიდან პრაქტიკა გაიარა ორასმა სტუდენტმა, მათ შორის იყო 44 მოხალისე პრაქტიკანტი; 26 მოხალისე სტაჟიორი; 6 პასიური მოხალისე პრაქტიკანტი, 86 მაგისტრი პრაქტიკანტი; 2 მაგისტრი სტაჟიორი და 36 კრედიტიანი ბაკალავრი.

სამართლებრივი დახმარება გაეწია 14159 ფიზიკურ პირს, მათ შორის, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ 2087 პირს, 3027 პენსიონერს, 789 იძულებით ადგილნაცვალს და შშმ პირს.

2015 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამართლებრივი დახმარების მიზნით მომმართვიანობამ შეადგინა 9900, შესაბამისად 2016 წლის მომმართველთა საერთო რაოდენობა გაზრდილია 4 259-ით (ზრდა +43%). თემატიკების მიხედვით გაწეულია შემდეგი სამართლებრივი დახმარება: ზეპირი კონსულტაცია - 9537; წერილობითი კონსულტაცია - 1755; სამართლებრივი დოკუმენტის შექმნა - 2867; დაწყებული სასამართლო და ადმინისტრაციული წარმოებებიდან (სულ 1861 საქმე), წარმატებით დასრულდა 723 და მიმდინარეა 875 საქმე. აღნიშნულ საქმეებზე განხორციელდა 156 წარმომადგენლობა.

2015 საანგარიშო წლის განმავლობაში წარმატებით დასრულებული საქმეების რაოდენობა იყო 379, შესაბამისად, 2016 წელს წარმატებული საქმეების რაოდენობა 344-ით (91%-ით) არის გაზრდილი; ტრენერ-ადვოკატების მიერ ჩატარდა შემდეგი ტრენინგები: „მარტივ ადმინისტრაციულ წარმოებასა და საჯარო ინფორმაციის შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საორგანიზაციო სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების ცენტრისთვის; „სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების ძირითადი საკითხების შესახებ“ უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის; თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარდა ტრენინგები თემაზე „სამშენებლო სამართალი“ და „ფსიქიატრია

და საზოგადოება“. შეიქმნა ახალი ტრუქტურული ერთეული - ანალიტიკური ჯგუფი.

2016 წლის სექტემბრის თვეში ამოქმედდა „ჩემი ადვოკატის“ ცხელი ხაზი. სექტემბრის თვიდან წლის ბოლომდე ცხელი ხაზის ზარების მიხედვით მომმართველთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 851 ზარი, იურიდიული დახმარება გაეწია 700 მომმართველს.

07 05 03 სოციალურად დაუცველი სტუდენტების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 1,399.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,376.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის უმაღლესი განათლება და შესაბამისად შრომის ბაზარზე წარმატება/ღირსეული დასაქმება გახდება გაცილებით ხელმისაწვდომი; გაუმჯობესდება სოციალურად დაუცველი სტუდენტების განათლების ხარისხი და გაიზრდება შრომის ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის დონე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებით შემოსული 2 500-მდე განცხადება, გაკეთდა დასაფინანსებელი სტუდენტების მონაცემთა ბაზა და პროგრამის ფარგლებში დაკმაყოფილდა 2100-მდე განცხადება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: 2100-მდე დაფინანსებული სოციალურად დაუცველი სტუდენტი; გაიზარდა სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები.

07 06 მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე

2016 წლის გეგმა 2,400.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,361.7 ათასი ლარით. რაც გეგმის 98.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მოზარდთა ინტელექტუალური, შემოქმედებითი სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა და ამაღლება.


საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ ,,მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ ფუნქციონირების ხარჯები, კერძოდ ადმინისტრაციის ხელფასი, ოფისის ხარჯი, ტარანსპორტის ხარჯები და სხვა. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში ჩატარდა სხვადასხვა კულტურულ, შემეცნებითი და საგანმანათლებლო ღონისძიებები, მათ შორის: საახალწლო ნაძვის ხის ზეიმი; სახელმწიფო დროშის საზეიმო აღმართვა; საშობაო ალილო; „დაიმახსოვრეთ ეს სახელები“; „იდიომები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში“; „ემოციისა და გონების სიმბოლური გამოხატულება „ვეფხისტყაოსანში“; „ვეცნობით ირანს“; ახალი წიგნების მიმოხილვა; ელდარ შენგელაიას მასტერკლასი “პიონერფილმში“; „ფიზიკის კაბინეტის ღვაწლმოსილი პედაგოგების გახსენება”; მთარგმნელთა საქალაქო კონკურსი; STEM-ის ვებინარი ამერიკული კუთხეში; ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია; თეატრალური ვორქშოფი პროექტ ”ქოროს”ფარგლებში; ჟურნალ "Online თაობის" პრეზენტაცია; მათემატიკური ფესტივალი; ტიგრან პეტროსიანის მემორიალი; მახვილგონიერთა და მხიარულთა ასპარეზობა; მევიოლინეთა ანსამბლ „სიმის" კონცერტი დუშეთში; „დედამიწის საათი" სასახლეში; წყლის დაცვის საერთაშორისო დღე; სასახლის კაბინეტების პრეზენტაცია-ანგარიში; შეხვედრა მწერალ დოდო ხიმშიაშვილ-ვადაჭკორიასთან; საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებულების სტუმრობა; საბავშვო წიგნის კვირეული; ბერძნული მითები; თოჯინების თეატრის სპექტაკლი; პრეზენტაცია დაცული ტერიტორიების შესახებ; ტრენინგი თემაზე: „php პროგრამული ენის შესწავლა“; ლიტერატურული კომპოზიცია„გაყვითლდა მდელო, გაყვითლდა მოლი“; პროექტ „კინოქალაქ „სინემას“ საზეიმო საღამო; გასართობი დილა "პირველკლასელთა ზარის ზეიმი"; ტრენინგი არაფორმალური განათლების სფეროში; ქართული საბავშვო წიგნის დღე;

,,ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმებისეული სიბრძნე“; კონკურსი „ვინ უკეთ იცნობს დედაქალაქს“; თბილისისადმი მიძღვნილი გამოფენა; "მე თბილისელი ვარ"; ანსამბლ "სი-მის" კონცერტი; ექსკურსია ალგეთის ეროვნულ პარკში; თოჯინების თეატრის სპექტაკლი; ჯანსუღ ჩარკვიანის საიუბილეო საღამო ; იმიტირებული არჩევნები „ამერიკულ კუთხეში“; „ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს"; „საქართველოს ევროატლანტიკური მომავალი“; არაფორმალური განათლების ორგანიზაციების ფორუმი სასახლეში ; „მეწარმეობა და „შემოქმედებითობა“; „ფინკა“ ბანკი საჩუქარი სასახლის მოსწავლეებს; შოთა რუსთაველი და წმინდა მიწა; „ქართული დიასპორა – დღევანდელობა და გამოწვევები“; „მარტო წვიმას აქვს სახელი ცხრა“...; ექსკურსია დმანისის პალეონტოლოგიურ მუზეუმში; ახალგაზრდა ფოლკლორისტთა მე-18 შეკრება;,,ცეროდენა კალმოსნების“ შემოქმედებითი საათი; გიორგობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ტრადიციული ღონისძიება; „მწერლის ენაზე დაკვირვება“; შეხვედრა მედიის წარმომადგენლებთან; კონფერენცია ,,ვეფხისტყაოსანმა“ გაგვაერთიანა“; „მარათონი სწრაფ ბეჭდვაში“; ტრენინგ-კურსი „php პროგრამული ენა“; აზერბაიჯანის მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი სასახლეში; შეხვედრა მხატვრებთან; ტრენინგი დაწყებითი განათლების პროექტის შესახებ; ლექცია „ვეფხისტყაოსანზე“; კომპოზიტორის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო; მობილური აპლიკაციების პრეზენტაცია; ავსტრიის ელჩი სტუდია „პიონერფილმში“; პრეზენტაცია იაპონიაზე; მემორანდუმის გაფორმება; წიგნის „ქეთევან ანანიაშვილის სამყაროში“ პრეზენტაცია; ტრენინგი „გუნდურობა, დროის მართვა“; ფილმის პრემიერა; სოციალური აქტივობა „აფლატინის“ ფარგლებში; მეცენატთა კლუბის პრეზენტაცია; მედიატრენინგი „ჟურნალისტიკის ზოგადი კურსი“; საახალწლო საღამო; მსოფლიოს საახალწლო ტრადიციები; ფოტოგამოფენა; კინოს დღე - ახალი წლის ზეიმი.


მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ღონისძიებებში ჩართული 20 000-ზე მეტი ბენეფიციარი; ჩატარებული 578 ღონისძიება/ მასტერკლასი/ვორკშოფი/შეხვედრა; მოწვეული სტუმრების რაოდენობა; 100-ზე მეტი პარტნიორი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაცია.


❖ კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

ათასი ლარი



ათასი ლარი





08 01 თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 2,065.7 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,074.9 ათასი ლარის 99.6%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 01 01 ს.ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი

2016 წლის გეგმა 560.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: საზოგადოების ფართო ნაწილის დაახლოება თეატრთან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები; სპექტაკლი „მაკნატუნა" გორის გიორგი ერისთავის სახელობის თეატრში, მსახიობ ვაჟა ციცილოშვილის 60 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სპექტაკლი „იმერული რეკვიემი“, თანამედროვე ქართველი მეზღაპრის გურამ პეტრიაშვილის გმირები სცენაზე გაცოცხლდნენ სპექტაკლით „ჩემი ქალაქის ზღაპრები“ (პრემიერა), ასტრიდ ლინდგრენის „პეპი გრძელიწინდა“ (მიუზიკლი) და ჯეიმს მეთიუ ბარის „პიტერ პენის თავგადასავალი“ ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში, მიხეილ ბულგაკოვის „მოლიერი - ფარისეველთა კაბალა“

(პრემიერა), ძმები გრიმების ზღაპრის მიხედვით წარმოდგენილ იქნა თოჯინური სპექტაკლი „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ (პრემიერა), დაუნის სინდრომის მქონე პირთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სპექტაკლი „რაპუნცელი“, თეატრის ინიციატივით უპრეცედენტო ახალგაზრდულ - შემოქმედებითი პროექტი განხორციელდა, რომლის ფარგლებში თბილისის საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებმა, წარმოადგინეს ესსე თემაზე - სოციალური ქსელებისა და ინტერნეტის ზეგავლენა მოზარდ თაობაზე. გამოვლინდა ხუთი საუკეთესო ავტორი. მათი ესსეები გასცენიურდა ახმეტელის თეატრის მიერ; გაიმართა საიუბილეო სპექტაკლი „ორი ვოდევილი სიყვარულზე“, წარმოდგენილ იქნა „სტუმარ-მასპინძელი“-ს სრულიად ახლებური ინტერპრეტაცია, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს თეატრის ახალგაზრდული კლუბის წევრები სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს ესტუმრნენ, თეატრი წარსდგა გორის კომედიის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, სანდრო ახმეტელის სოფელ ანაგაში თეატრმა წარმოდგენა გამართა, თეატრი შავი ზღვის უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ ორგანიზებული პროექტის „international business game” ერთ-ერთი სპონსორი იყო, თეატრის მიერ წარმოდგენილ იქნა: ოზურგეთში - სპექტაკლი „ღმერთო, რისთვის?“, შატილში - ღია ცის ქვეშ „სტუმარ - მასპინძელი“, ბათუმში - პიესა „ჩემი მეგობარი ჰაშიში“, აზერბაიჯანის ქალაქ შეკში - სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი“; შედგა სეზონის პირველი პრემიერა სპექტაკლით „დაბრუნებამდე...“, რომელიც საოკუპაციო ხაზთან მოკლულ გიგა ოთხოზორიას ხსოვნას მიეძღვნა; გაიმართა სპექტაკლები კარლო კოლოდი „პინოკიოს თავგადასავალი“, მიგელ დე სერვანტეს საავედრა „დონ კიხოტ ლამანჩელი“, ბრანდონ ტომასი „ჩარლის დეიდა“; თოჯინური სპექტაკლი „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ განახლებულ აღმაშენებლის გამზირზე და თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით რიყეზე იქნა წარმოდგენილი, თეატრში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოფენა „ერთად მოვუაროთ ხელნაწერებს“ გაიხსნა, შატილში, ბათუმში და აზერბაიჯანის ქალაქ შეკში წარმოდგენილ იქნა სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი", სიღნაღის თეატრში სპექტაკლი „ღმერთო რისთვის?“.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: 8 სექტაკლის პრემიერა; მიმდინარე სპექტაკლების რაოდენობა 231. მაყურებელთა რაოდენობა 25 568.

08 01 02 პანტომიმის სახელმწიფო თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ პანტომიმის სახელმწიფო თეატრი

2016 წლის გეგმა 357.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 354.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.3%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: პანტომიმის ხელოვნებისადმი საზოგადოების ინტერესის ზრდა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები; საანგარიშო პერიოდში გაიმართა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: თეატრმა მონაწილეობა მიიღო ღონისძიებაში „საახალწლო ქალაქი“, მამა პეტრეს წიგნის „დავ(იწყება)"-ს პრეზენტაცია, პოეზიის საღამო თეატრალიზებული გაფორმებით; საქართველოს სახელმწიფო ოპერის თეატრის გახსნა, თეატრალიზებული წარმოდგენა; შეხვედრა ქალთა №5 სასჯელაღსრულების დაწესებულების პატიმრებთან, მარკო სტოიანოვიჩის მასტერ კლასი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის, სმენის დარღვევის მქონე ახალგაზრდებისათვის და ქალთა №5 სასჯელაღსრულების დაწესებულების პატიმრებისათვის; სერბი რეჟისორი მარკო სტოიანოვიჩის სპექტაკლი „გიჟი ოლიმპიელები“ (პრემიერა), სპექტაკლი „მომღერალი ხელები“, წარმოდგენა ღია ცის ქვეშ ონკოლოგიურად დაავადებული ბავშვის დასახმარებლად, საქართველოში პირველად აღინიშნა მსოფლიო მიმების დღე საქართველოს ოთხ (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი) ქალაქში, საზეიმო მსვლელობით, ფლეშმობითა და პერფორმანსებით; ლექცია ქალთა №5 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მასტერ კლასი №12 საჯარო სკოლაში, 9 აპრილისადმი მიძღვნილი საღამო „ვედრება“, მასტერკლასი სკოლა ლიცეუმ „მწიგნობარი“-ში, ეროვნული სამოსის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, „ამირან შალიკაშვილის სახელობის პანტომიმის

ფესტივალი 2016, საქველმოქმედო საღამო „ბერი ანდრეას ფონდი“-ში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ცოცხალი ქანდაკებები“, საქველმოქმედო საღამო სიმსივნით დაავადებული ბავშვებისათვის, ეკატერინე ტოგონიძის წიგნის პრეზენტაცია, მიმების წარმოდგენა; ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, 13 ივნისის ტრაგედიისადმი მიძღვნილი აქცია, მიმების წარმოდგენა; ეუთოს საპარლამენტო ანსამბლეის 25-ე ყოველწლიური სესიის ფარგლებში პერფორმანსი მიმები, ცოცხალი ქანდაკებები; ეთნოგრაფიულ მუზეუმში „სტუმარ-მასპინძელი“, „ქუჩის თეატრის დღეები“ ქალაქ ბათუმში, პანტომიმის საერთაშორისო ფესტივალი სომხეთის ქალაქ წახკაზორში, ღონისძიება „ჰიტ ბათუმი“, გაიმართა სპექტაკლი „ვეფხისტყაოსანი“ და „მაყურებელი შენ ხარ“, მცხეთაში, ვაკის პარკში და პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკაში წარმოდგენილ იქნა სპექტაკლი „მიმები“.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: შედგა 4 სპექტაკლის პრემიერა, წარმოდგენილ იქნა 72 სპექტაკლი და მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 2 084.

08 01 03 თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური; სსიპ თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი

2016 წლის გეგმა 700.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 697.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 100%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, დედაქალქს მნიშვნელოვან კულტურულ, ეკონომიურ და სოციალურ უპირატესობას შესძენს; თბილისს შეუძლია მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრი გახდეს, მოიზიდოს ადამიანები და შექმნას ის შემოქმედებითი კაპიტალი, რომლის ღირებულება განუსაზღვრელია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია საერთაშორისო ფესტივალის ჩატარების ხარჯები და განხორციელდა სხვადასხვა

ღონისძიებები, მათ შორის: ფესტივალის განაცხადი დაიგზავნა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების თეატრებში და ფესტივალებზე. ასევე განაცხადი დაიდო ევროპის ფესტივალების გაერთიანების EFA-ს ვებ გვერდზე და ფეისბუქზე, მონაწილეობაზე განაცხადები შემოვიდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან; გამოცხადდა ქართული სპექტაკლების პროგრამა Georgian Show-Case და Georgian Show-Case EXPO 2016; დადგინდა საერთაშორისო პროგრამის, პროგრამა "New"-ს და „ქართული პროგრამის" სპექტაკლები, განისაზღვრა ფესტივალის პარტნიორები, ხელშეკრულებები დაიდო მონაწილე დასებთან, დაიჯავშნა სასტუმროები და თეატრები დასებისათვის, განახლდა ფესტივალის ვებ-გვერდი, შეიქმნა ფესტივალის კლუბი; გარდა ამისა, ჩატარდა მასტერკლასები, ვორქშოფები თემაზე, თუ როგორ დავგეგმოთ საერთაშორისო პროექტები, ვიმუშაოთ საერთაშორისო პარტნიორებთან და მოვიპოვოთ წარმატება; საერთაშორისო ფესტივალი მიმდინარეობდა 24 სექტემბრიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ინდოეთის, პოლონეთის, ნორვეგიის, უკრაინის, რუსეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, იაპონიის და სომხეთის დასებმა; საერთაშორისო პროგრამა ჩატარდა 24 სექტემბერი - 5 ოქტომბერი (13 სპექტაკლი) პროგრამა "New" 3 ოქტომბერი (1 სპექტაკლი) და ქართული პროგრამა 4 – 8 ოქტომბერი (23 სპექტაკლი).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: 10 სპექტაკლის პრემიერა, სარეპერტუარო სპექტაკლების რაოდენობა 47, მაყურებელთა რაოდენობა 9 000; გაყიდული ბილეთები რაიოდენობა 3 900.

08 01 04 თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 42.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 38.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 92%-ია.

დასახული საბოლოო შედეგები: თეატრალური ხელოვნების განვითრების ხელშემწყობი გარემოს შექმნა; თბილისის საერთაშორისო კულტურული და ტურისტული სტატუსის გაძლიერება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული საბოლოო შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა

„შალიკაშვილის სახელობის პანტომიმის საერთაშორისო ფესტივალი“ , პროექტი „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინო სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების გასტროლი ფინეთში“ და ირანელი რეჟისორის სპექტაკლის „დღეები ბარანის (წვიმის) გარეშე“ დადგმის ინიციატივის ხელშეწყობა, „გიორგი ალექსიძის სახელობის კამერული დასი - თბილისის თანამედროვე ბალეტის“ გასტროლი სპექტაკლი „დოვინ-დოვენ-დოვლის“ ჩასატარებლად.

08 01 05 თეატრი „გლობუსი“

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თეატრი „გლობუსი“

2016 წლის გეგმა 210.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: ინოვაციური საორგანიზაციო ფორმების დამკვიდრება; თანამედროვე ქართველ დრამატურგთა პროპაგანდა; მობილური თეატრის მხატვრული და ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება; საერთაშორისო და ადგილობრივ ფესტივალებში მონაწილეობა; ეროვნული კულტურის პროპაგანდა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები; გაიმართა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: აღინიშნა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის 75 წლის იუბილე, პრემიერა სპექტაკლისა „პარტახი“, „მეფე კვდება“; „სკამი“, „შეშლილის წერილები“, თეატრში ჩატარდა კრიტიკოსთა ფორუმი, თეატრმა მონაწილეობა მიიღო ქალაქ გორში გამართულ „კომედიის ფესტივალი“-ში, ახალი შენობის გახსნასთან დაკავშირებულ ცერემონიაზე წარმოდგენილ იქნა სპექტაკლი „სკამი“, გაიმართა ირანელი რეჟისორის ვორქშოფი, შედგა პრემიერები „ჩეხოვის ღიმილი“, „თვინიერი“, „დღეები ბარანის (წვიმის) გარეშე“; სტუდენეტებს და ომის ვეტერანებს გადაეცათ უფასო ბილეთები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: 5 სექტაკლის პრემიერა, მიმდინარე სპექტაკლების რაოდენობა 75, მაყურებელთა რაოდენობა 600.

08 01 07 ინკლუზიური თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 4.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული საბოლოო შედეგები: ინკლუზიური თეატრალური დასის შემეცნებითი და შემოქმედებითი აქტივობების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული საბოლოო შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ ახალგაზრდობა სოციალური თანასწორობისათვის“ მიერ წარმოდგენილი სპექტაკლი „ბოშები“, რომლიც გაიმართა პარკში „მზიური“ ღია ცის ქვეშ და მასში ახალგაზრდა მსახიობებთან ერთად მონაწილეობდნენ შშმ პირები.

08 01 08 სამეფო უბნის თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ სამეფო უბნის თეატრი

2016 წლის გეგმა 200.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: თეატრალური ხელოვნების გავითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა; შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან; სახელოვნებო სფეროში მართვის თანამედროვე მეთოდების, მეცნიერებაზე დაფუძნებული ინოვაციური მიდგომების დაფუძნება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები, გაიმართა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: პრემიერები სპექტაკლებისა „დიდი შესვენება“, „ოლიმპიური თამაშები“, „მეორე ნახევარი“; ერთკვირიან უორქშოფს გეტებორგის აკადემიის სტუდენტებისთვის „გეტებორგის თეატრისა და მუსიკის აკადემიის“(შვედეთი), „საქართველოს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის“, „სამეფო უბნის თეატრისა“ და თანამედროვე თეატრალური ხელოვნების განვითარების ცენტრის - თემურ ჩხეიძის სახელოსნო - თანამშრომლობის ფარგლებში რეჟისორი დათა თავაძე, დრამატურგ დავით გაბუნიასთან ერთად გაუძღვა; ჩატარდა ელდარ შენგელაიას მასტერკლასი, გაიმართა მიხეილ თუმანიშვილის ფონდის ყოველწლიური კონკურსი „ქართული

პიესა - 2015“, რეჟისორმა დათა თავაძემ ჩაატარა ვორქშოპი კინო და აკადემიის სტუდენტებისათვის, გაიმართა „ჩანიშნე მუსიკა რუკაზე“ და ნინო ბაშარაულის კონცერტები; ბათუმსა და ზუგდიდში დაიდგა სლავომირ მროჟეკის სპექტაკლი „კაროლი“, მესხეთის (ახალციხის) პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში განხორციელდა პიესის „დიდი შესვენება“ წარმოდგენა, გაიმართა პრემიერა სპექტაკლებისა „დასასრულის შემდეგ“ და „პრომეთე“, პირველმა საჯარო სკოლამ წარმოადგინა სპექატაკლი „ცაში ასროლილი ქუდები“, თეატრმა მონაწილეობა მიიღო ქალაქ შერბურში გამართულ საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსში, ჩატარდა სერგო ზაქარიაძის ხსოვნის საღამო, გამართა პრემიერა სპექტაკლისა „ობლები“.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: 7 სექტაკლის პრემიერა, მიმდინარე სპექტაკლების რაოდენობა 87, მაყურებელთა რაოდენობა 14 554.

08 02 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ ხელოვნების სკოლები, თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, ა(ა)იპ სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯი;

2016 წლის გეგმა 2,114.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,072.5 ათასი ლარით. რაც გეგმის 98%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სახელოვნებო განათლების არამოთხოვნადი სპეციალობების შენარჩუნება; მოსწავლეთა კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლება; საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებსა და სხვა ფორუმებში მიღწეული წარმატებები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა არამოთხოვნად სპეციალობებზე (№20 და №19 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – საორკესტრო ინსტრუმენტების სპეციალობით, №28 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – ქართული ხალხური საგუნდე ხელოვნების განყოფილებაზე, ჰ.გონაშვილის №29 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – თანამედროვე და ტრადიციული მიმდინარეობების

განხრით) და ალიოზ მიზანდარის სახელობის №1 ხელოვნების სკოლის ბაზაზე („ბიჭუნათა კაპელა“) მოსწავლეთა უფასო სწავლება (იანვარში - 728 მოსწავლე, თებერვალში 742 მოსწავლე, მარტში - 744 მოსწავლე, აპრილი - 745 მოსწავლე, მაისი - 740 მოსწავლე, ივნისი - 738 მოსწავლე, სექტემბერი - 737 მოსწავლე, ოქტომბერი - 741 მოსწავლე, ნოემბერი - 737 მოსწავლე, დეკემბერი - 741 მოსწავლე); ხელოვნების სკოლებში (24 სკოლა, 342 მოსწავლე) იძულებით გადაადგილებული მოსწავლეების (სამაჩაბლო, აფხაზეთი) უფასო სწავლება; გრძელდება ხელოვნების სკოლების (33 სკოლა, 660 მოსწავლე) და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის (9 ფილიალი, 130 მოსწავლე) დაფინანსება სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად; ამასთან, გაწეულია ხელოვნების სკოლების და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მიერ მოხმარებული კომუნალური გადასახადების დაფარვა და კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის №7 ხელოვნების სკოლის შენობის იჯარა; ასევე, გაწეულია დარბაზის იჯარის ხარჯები ხელოვნების სკოლების და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიერ ჩატარებული კონცერტების, სპექტაკლების და გამოფენების ხელშესაწყობად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარდა 27 საანგარიშო და საიუბილე შემოქმედებითი კონცერტი, 11 სპექტაკლი და 2 გამოფენა.

08 03 ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია დაფინანსებულია 1,000.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,023.8 ათასი ლარის 98%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 03 01 ი.ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 126.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 126.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დასახული საბოლოო შედეგები: ილია ჭავჭავაძის ცხოვრება მოღვაწეობის ამსახველი მასალების უზრუნველყოფა, ექსპონირება, სამუზეუმო ფონდების სისტემატიზაცია და დაცვა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული საბოლოო შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მუზეუმის

ფუნქციონირების ხარჯები. ამასთან, მუზეუმში ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: მუზეუმისა და მოსწავლე - ახალგაზრდობის სასახლის მხატვრული კითხვის ჯგუფის ერთობლივი ღონისძიება „თებერვალი დადგაო ხეში წყალი ჩადგაო", მუზეუმი შეუერთდა „წიგნის კითხვის საერთაშორისო დღისადმი" მიძღვნილ ღონისძიებებს, ნებისმიერი სტუმრისთვის ხელმისაწვდომი იყო მუზეუმის ბიბლიოთეკასა და ფონდში დაცული მასალები; მუზეუმში გაიმართა პროექტ „სამი სავარძელი"-ს პირველი საღამო, სადაც წარმოდგენილ იყვნენ მწერლობის, მუსიკის და მხატვრობის წარმომადგენლები; დედა ენის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „მამული, ენა, სარწმუნოება“ და „ენა ბურჯია ერისა“; მუზეუმისა და 52-ე საჯარო სკოლის ერთობლივი გაკვეთილი „თაქარიძეობა-საზოგადოების პრობლემა“, წიგნის „ფაღავები“ პრეზენტაცია, კონფერენცია „მაისიდან მაისამდე“, წარმოდგენილ იქნა ექსპოზიციები: „ილია ჭავჭავაძე და საფრანგეთი“, „ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი“, „„ილია ჭავჭავაძე 21-ე საუკუნის ადამიანი“; მხატვრების სალომე და მარიამ ზარანდიების გამოფენა, მუზეუმის და 37-ე საჯარო სკოლის საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ილია საქართველოს დამოუკიდებლობის სათავეებთან“, ქეთი ქშუტიშვილის ნამუშევრების გამოფენა, მუზეუმის და კერძო სკოლა „ივერონის“ ერთობლივი ღონისძიება „მამულო საყვარელო“, ამერიკის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მოძრავი ექსპოზიცია „XIX საკუნის ქართველი საზოგადო მოღვაწეები და ამერიკა“, ილიას გაზეთი „ივერია“ - ს სახელობის პრემიის ლაურეატთა დაჯილდოვება, ბასტილიის აღების დღისადმი მიძღვნილი მოძრავი ექსპოზიცია „ილია და საფრანგეთი“ და სხვა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარებულ იქნა 23 სხვადასხვა ღონისძიება; მუზეუმის ვიზიტორთა რაოდენობა - 2 024.

08 03 02 ზ.ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 49.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული საბოლოო შედეგები: დიდი ქართველი კომპოზიტორის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ექსპოზიციების შექმნა, ჩატარებული ღონისძიების ვიდეო და ფოტო არქივი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული საბოლოო შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები. ამასთან, მუზეუმში ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შეხვედრა მუსიკოლოგ გულბათ ტორაძესთან, ზაქარია ფალიაშვილის პრემიის ლაურეატ ანტონ წულუკიძის დაბადებიდან 90 წლისადმი მიძღვნილი ერთობლივი ღონისძიება თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიის თანამონაწილეობით, შეხვედრა - კონცერტი ლატვიის ქალაქ გულბენეს ისტორიის და ხელოვნების მუზეუმის დირექტორთან, მოეწყო ექსკურსიები №8, №37, №51, №53 საჯარო სკოლების და სკოლა ლიცეუმი „სხივი“-სათვის; ჟურნალ „მუსიკა“-ში გამოქვეყნებულია სტატია ზაქარია ფალიაშვილის ოპერა “აბესალომ და ეთერი“-ს კლავირის ახალი გამოცემის და „აბესალომ და ეთერი“-ს ახალი დადგმის შესახებ, მხატვარ რეზო ადამიას გამოფენა, კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებული შეხვედრა-კონცერტი, მუსიკისა და ხელოვნების აკადემია „ფორტისიმო“-ს კონცერტი, მოეწყო ექსკურსიები სხვა სკოლებისათვის, გაიმართა კონფერენცია კონსერვატორიაში თემაზე „მუზეუმური საწყისის გააზრების საკითხისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში“, გამოქვეყნდა პუბლიკაცია ზაქარია ფალიაშვილი და ქართველი მხატვრები, სტატია - ჟურნალი „მუსიკა“ და სხვა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარებულ იქნა 16 სხვადასხვა ღონისძიება; მუზეუმის ვიზიტორთა რაოდენობა - 1 475.

08 03 03 ნ.ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 47.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 47.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ით.

დასახული საბოლოო შედეგები: მუზეუმებში მიმდინარე მოვლენებით ვიზიტორთა დაინტერესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული საბოლოო შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები. ამასთან, მუზეუმში ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: ნ.ბარათაშვილის სახელობის კავშირის, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის და თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ეგიდით გურამ საღარაძის სახ. კონკურსი „მხატვრული კითხვის დიდოსტატები“; შუქურა დალაქიშვილი - მძინარაშვილის წიგნის „მე, პენკა, ერიკა და ამერიკა“ პრეზენტაცია; საჯარო ბიბლიოთეკის ბაზაზე შექმნილი ფესტივალი ART სკოლა, სპექტაკლი - „მივდივარ, რათა დავრჩე“; ახალგაზრდა პოეტის ნინო სამხარაძის სადებიუტო პოეზიის საღამო „ჩამკიდე ხელი”, №50 საჯარო სკოლის სპექტაკლი „რა მოხდა სკოლაში”, მაია კახიძის პოეზიის საღამო, სკოლა „21-ე საუკუნე” ღია გაკვეთილი, მაკა კვერენჩხილაძის წიგნის „ლეპტოპიადა”-ს პრეზენტაცია, ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი 2” - ის შეხვედრა კომპოზიტორ რუსუდან სებისკვერაძესთან, პოეტ ნინო მოდრეკილაძის პოზიის საღამო, ნიკოლოზ ადამის კლასიკური მუსიკის საღამო, ანსამბლ „შავლეგო“-ს სიმღერების ჩაწერა, მერაბ კოსტავას სახელობის მე-8 ხელოვნების კოლის კონცერტი, პოეტ თამარ ნასრაშვილის კრებულის „და იყო სიტყვა“ პრეზენტაცია, სკოლის მოწაფეების ღონისძიება „მინდა რომ მზე ვიყო“, „ჩვენ გვიყვარს ტატო“, გაიმართა სხვადასხვა ხელოვნების სკოლების კონცერტები და სხვა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარებულ იქნა 34 სხვადასხვა ღონისძიება; მუზეუმის ვიზიტორთა რაოდენობა - 2 646.

08 03 04 მ.ჯავახიშვილის მემორიალური ბინა-მუზეუმი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 31.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 31.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

დასახული საბოლოო შედეგები: მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება მოღვაწეობის ამსახველი მასალების უზრუნველყოფა, ექსპონირება, სამუზეუმო ფონდების სისტემატიზაცია და დაცვა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული საბოლოო შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები. ამასთან, მუზეუმში ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: ღონისძიება ,,ჩემი ცხოვრებაც გახევდა და მეც გავხევდი“, ,,ჯაყო 1924“, ღონისძიება ,,ის სალოცავი ჩვენია“, ახალი ექსპოზიციის „მიხეილი და მისი მეგობრები“-ს გახსნა, ღონისძიება „მიხეილის ბავშვობა“ და მიხეილის სტუმრობა საგურამოში ილიაობაზე“, ექსპოზიცია „ჩვენი დროის ათი მცნება“, წაკითხულ იქნა ლექცია „თეთრი საყელო“ და სხვა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარებულ იქნა 11 სხვადასხვა ღონისძიება; ვიზიტორთა რაოდენობა - 944.

08 03 05 გ.ტაბიძის მემორიალური ბინა-მუზეუმი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 49.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული საბოლოო შედეგები: შემოქმედებითი საღამოები, შეხვედრები ლიტერატურის გამოჩენილ ადამიანებთან; დიდი ქართველი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ექსპოზიციების შექმნა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული საბოლოო შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები. ამასთან, მუზეუმში ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: ვახტანგ ჯავახაძის შეხვედრა წმინდა ბარბარეს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის მოსწავლეებთან თემაზე ,,რუსთაველი და გალაკტიონი’’, კომპოზიცია ,,ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ”, თბილისის №51 საჯარო სკოლის მოსწავლეთა კომპოზიცია ,,უსიყვარულოდ‘‘, ელა გოჩიაშვილის შეხვედრა თბილისის კერძო სკოლა ,,მთიები“-ის’ მოსწავლეებთან, კომპოზიცია ,,ჩვენ გვიყვარს გალაკტიონი’’, ლია სტურუას შეხვედრა ტექნიკური უნივერსიტეტის I კურსის სტუდენტებთან, კომპოზიცია ,,შეხვედრა გაზაფხულთან‘‘, გალაქტიონის გარდაცვალებიდან 57 წლისთვისადმი მიძღვნილი კომპოზიცია ,,სამშობლო უმთავრესია‘‘, 51-ე საჯარო სკოლის კომპოზიცია „გალაქტიონი“, წმინდა ბარბარეს

სახელობის სკოლის მოსწავლეების კომპოზიცია „ჩვენ გვიყვარს გალაქტიონი“, მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება და სხვა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარებულ იქნა 26 სხვადასხვა ღონისძიება; მუზეუმის ვიზიტორთა რაოდენობა - 1 495.

08 03 06 ვ.ჭაბუკიანის მემორიალური ბინა-მუზეუმი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 37.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 35.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 95%-ია.

დასახული საბოლოო შედეგები: მუზეუმების პოპულარიზაციის ზრდა – ექსპოზიციები, გამოფენები, გამოცემული კატალოგები, გზამკვლევები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული საბოლოო შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები. ამასთან, მუზეუმში ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: საქართველოს პედაგოგ ქორეოგრაფთა ასოციაციის თანამონაწილეობით ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადებიდან 106 წლისადმი მიძღვნილი კომპოზიცია ,,ვ.ჭაბუკიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ“, საბალეტო პარტიები ვ.ჭაბუკიანის სახ.თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელის, შ.რუსთაველის თეატრისა და კინოს სახ. უნივერსიტეტის საბალეტო სკოლისა და ,,New school ballet-dance“ - ის მოცეკვავეების მიერ; ვ. ჭაბუკიანისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, ნაჩვენები იქნა ვიდეო ფირები ვ.ჭაბუკიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ქ.თბილისის N 24 საჯარო სკოლის და ასოციაცია ,,მცოდნელი“-ის თანამონაწილებით გაიმართა ვ.ჭაბუკიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება, მუზეუმში მოსწავლეებისათვის ჩატარდა ექსკურსია, მოსწავლეებმა წარმოადგინეს მუსიკალური კომპოზიციები, ნაჩვენები იქნა ვიდეო ფირები ვ.ჭაბუკიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, გაიმართა ვახტანგ ჭაბუკიანის ხსოვნის საღამო, მუსიკალური კომპოზიცია „ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი“, პოეტ მაია მახარაშვილის პოეზიის საღამო, აღინიშნა მუზეუმების საერთაშორისო დღე, პოეტ ლინდა მასხულიას წიგნის პრეზენტაცია და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარებულ იქნა 11 სხვადასხვა ღონისძიება; მუზეუმის ვიზიტორთა რაოდენობა - 1 084.

08 03 07 მ.კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 43.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 43.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.4%-ია.

დასახული საბოლოო შედეგები: მოსწავლე ახალგაზრდობის ზოგადი განათლების დონის ამაღლება; სამუზეუმო ფონდების მოწესრიგება და დაცვა; შეხვედრებისა და ღონისძიებების ვიდეო და ფოტო მასალის არქივის შექმნა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული საბოლოო შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები. ამასთან, მუზეუმში ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: ირაკლი კოსტავას ხსოვნის საღამო, მუზეუმის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება, შეხვედრა მერაბ კოსტავას სახელობის პრემიის ლაურეატ პოეტ და მოქანდაკე მერაბ მეტრეველთან, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლის იუბილე, დოკუმენტური ფილმის „ზვიად გამსახურდიას-გზა თავისუფლებისკენ“ ჩვენება, ექსპოზიცია „საქმე №4612“ საზეიმო გახსნა და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარებულ იქნა 9 სხვადასხვა ღონისძიება; მუზეუმის ვიზიტორთა რაოდენობა - 3 060.

08 03 08 ს.წერეთლის მემორიალური ბინა-მუზეუმი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 23.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული საბოლოო შედეგები: სოსო წერეთლის ფეწერული ტილოების დათვალიერება; სამუზეუმო ფონდების სისტემატიზაცია და დაცვა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული საბოლოო შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები. ამასთან, მუზეუმში ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: სოსო წერეთლის დაბადების 58 წლისთავთან

დაკავშირებით „ევროპის სახლში“ მოეწყო მისი ნამუშევრების გამოფენა, გამოფენილ იქნა 24 ფერწერული ტილო და 14 გრაფიკული ნამუშევარი; მუზეუმში აქტიურად მიმდინარეობს ფონდების სისტემატიზაცია და ინვენტარიზაცია, მოეწყო სოსო წერეთლის 15 ნამუშევრის გამოფენა ბარათშვილის მუზეუმში, 193-ე სკოლის მოსწავლეებმა მოაწყვეს „უბის წიგნაკში ჩანაწერები“-ს მხატვრული კითხვა და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარებულ იქნა 6 სხვადასხვა ღონისძიება; მუზეუმის ვიზიტორთა რაოდენობა - 68.

08 03 09 ქ.თბილისის თოჯინების მუზეუმი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 32.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული საბოლოო შედეგები: სხადასხვა ასაკობრივ სეგმენტზე გათვლილი, ადგილობრივი და უცხოელი დამთვალიერებლისათვის, თანამედროვე სტანდარტების სამუზეუმო მომსახურეობის შეთავაზება; მოსწავლე ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ორგანიზება და ზოგად ხელოვნების განხრით განათლების დონის ამაღლება; დარგის პოპულარიზაცია და განვითარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული საბოლოო შედეგები: მუზეუმის მუშაობა დროებით შეჩერებულია (მიმდინარეობს შენობის საკითხების მოგვარება), გაწეულია ხელფასის და კომუნალური ხარჯები, მოეწყო ქართველი თანამედროვე მეთოჯინეების გამოფენა და გაიმართა მასტერკლასები არტოს ბაღსა და მუზეუმის მიმდებარედ სტუდიის შენობაში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარებულ იქნა 2 სხვადასხვა ღონისძიება.

08 03 10 ე.ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ ე. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა

2016 წლის გეგმა 147.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 144.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ბავშვთა, მოზარდთა და ზოგადად საზოგადოების აქტივობა გალერეის მიერ მოწყობილ გამოფენებში, აქციებში, შეხვედრებში, კონკურსებში; ბავშვთა ზოგადი განათლების მიზნით, საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ღირსშესანიშნავი დღეებისა და მოვლენების აღნიშვნა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები. სომხურ - ქართული პროექტის „შუშანიკის წამება“ ბავშვთა ნახატებში წიგნის „ქართლის დედოფალი შუშანიკში“ პრეზენტაცია, ირანელი და ქართველი ბავშვების ნახატების გამოფენა, სომხეთში, ქ.ერევანში მხიტარ სუბსტაცის საგანმანათლებლო ცენტრში გაიხსნა ქართველ და სომეხ მხატვარ - შემოქმედთა ნამუშევრების გამოფენა; დედის დღესთან დაკავშირებით ბავშვთა ნახატების გამოფენა, დედა ენის დღისადმი მიძღვნილი „ქართული ენა და ანბანი“, არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაბიჯ-ნაბიჯ”-ის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდების ღონისძიება, საერთაშორისო გამოფენა პარიზში „დამიხატე მშვიდობა“, გალერეის ბავშვების და თბილისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა, „სააღდგომო გამოფენა“, მე-7 ხელოვნების სკოლის მოსწავლეთა კონცერტი, ქ.ბელგრადში საკონკურსოდ გაიგზავნა ნახატები, სოციალურად დაუცველი ბავშვების ნამუშევრების გამოფენა, ნორჩ შემოქმედთა ფესტივალი „იპოვე ვარსკვლავი“, სტუდია არტ-ვოიაჟს მოსწავლეთა გამოფენა „მითები და ზღაპრები“, ნამუშევრების მიღება საერთაშორისო კონკურსისათვის „მეგობრობის მაგია“, გამოფენა - ფესტივალი „შემოდგომის ნახატები“ და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარებულ იქნა 41 სხვადასხვა ღონისძიება; ვიზიტორთა რაოდენობა - 4 195.

08 03 11 მუზეუმების პოპულარიზაცია და მათი განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 53.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 51.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 96%-ია.

დასახული საბოლოო შედეგები: მუზეუმების ჩართვა ქვეყნის ერთიან კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული საბოლოო შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის პროექტი „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის 25 წლის იუბილეს აღნიშვნა“, ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმის პროექტი „მუზეუმების გაზაფხული“, GIPA - ს პროექტი „ჩვენ არ ვცხოვრობთ ერთი სიცოცხლით“ და ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანების პროექტი „მუზეუმი სიახლეებისათვის“.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები: მუზეუმების პოპულარობის ზრდა

08 03 12 მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ "მუზეუმების გაერთიანება"

2016 წლის გეგმა 382.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 366.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 96%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მუზეუმების ჩართვა ქვეყნის ერთიან კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები. ამასთან, მუზეუმში ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: ილია ჭავჭავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ზაქარია ფალიაშვილის დაბადების დღისადმი მიძღვნილი საღამო - კონცერტი, „ქართული მუსიკის საღამო“, პარიზის ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლი „მარანი“-ს ღონისძიება, მოეწყო ექსკურსიები, ფილმის ჩვენება სკოლის მოსწავლეთათვის მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების გაცნობის მიზნით, ბავშვთა თეატრი „მეორე სახლი“- ს მიერ წარმოდგენილ იქნა ლიტერატურული კომპოზიცია გალაქტიონის ლექსების მიხედვით, კომპოზიცია „ოლია და გალაქტიონი“, გალაქტიონის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ჩატარდა

პერფორმანსი „ქვის სტუმარი“, ჩატარდა კ.გამსახურდიას ლექცია „საქართველოს უახლესი ისტორია“, გაიმართა ანტონ წულუკიძისადმი მიძღვნილი საღამო, კონცერტი პრეზენტაცია და სხვა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის აგვისტოში დასრულდა მუზეუმების რეორგანიზაციის პროცესი და 9 მუზეუმის რეორგანიზაციის შედეგად დაფუძნდა ახალი მუზეუმი მუზეუმების გაერთიანება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ჩატარებულ იქნა 40 სხვადასხვა ღონისძიება; ვიზიტორთა რაოდენობა - 994.

08 04 ხელოვნების და კულტურის ობიექტების განვითარება დაფინანსებულია 1,208.8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,234.6 ათასი ლარის 98%-ი) შემდეგი ქვეპროგრამებზე:

08 04 01 საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდი”

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი"

2016 წლის გეგმა 453.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი" თავისი საქმიანობით მასებში ზრდის მაღალხარისხიანი და ინტელექტუალური მუსიკისადმი ინტერესს, თანამშრომლობს ნიჭიერ ქართველ კომპოზიტორებთან და ახალგაზრდა მომღერლებთან, მყარდება ცოცხალი საშემსრულებლო (ინსტრუმენტული და ვოკალური შესრულება) მუსიკის პოპულარობა მასებში.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაცემულ იქნა თანამშრომელთა ხელფასები, გაწეულია ოფისის ხარჯები, პარტიტურების შეძენის და სხვა ხარჯები. ამასთან, ორკესტრმა მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ღონისძიებებში, მათ შორის: საახალწლო კონცერტი, თბილისის მეტროპოლიტენის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, ქუთაისქალაქობის დღესასწაული „გვირილობა“, ივანე ჯავახიშვილის, ტექნიკურ, შავი ზღვის, თავართქილაძის და ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტებში გამართული ღონისძიებები, ბორჯომში იუსტიციის სახლის გახსნა, „ოქროს ფრთა“-ს დაჯილდოების ცერემონიალი, „შატო მუხრანი“-ს საიუბილეო კონცერტი, სავაჭრო

ცენტრი „სითი მოლი“ - ს გახსნა, ქალაქ გორის დღესასწაული, „თბილისობა 2016“ - ს ფარგლებში გამართული ღონისძიება, საერთაშორისო კომპანია “WELCOME TO GEORGIA”-ს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში მონაწილეობა, საახალწლო კონცეპტი დედა ენის ბაღში და განახლებულ აღმაშენებლის გამზირზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ,,ბიგ-ბენდი” მონაწილეობა მიიღო 24 ღონისძიებაში.

08 04 02 ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ ქალაქ თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე

201 წლის გეგმა 328.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოსწავლე - ახალგაზრდობის დაინტერესება ქართული ფოლკლორით, მოზარდი თაობის მაღალ ინტელექტუალური პიროვნების და ღირსეული მოქალაქის ჩამოყალიბება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაცემულ იქნა თანამშრომელთა ხელფასები, გაწეულ იქნა ოფისის და სხვა ხარჯები. ამასთან, სასახლეში ფუნქციონირებდა 45 წრე, სადაც გაერთიანებულია 510 მოსწავლე და ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: რადიოს საზოგადოებრივ არხზე საშობაო გადაცემის მომზადება და ჩაწერა, სამების საკათედრო ტაძარში საშობაო ლიტურგიაში მონაწილეობა, კონცერტი „საშობაო შეხვედრები თბილისში“, საშობაო კონცერტი „შოუ თაიმი“, სპექტაკლები „მეისრე ფეოდორის ისტორია“ და „ქორწინება“ გოგოლის ნაწარმოების მიხედვით, სპექტაკლ „ჰელადოსი“-ს ჩვენება აკადემიური თეატრის სცენაზე, ქ.სანქტ-პეტერბურგში მოზარდთა საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე და ფესტივალ „ერთსულოვნება“-ში მონაწილეობა, სპექტაკლი „ჰელადოსი“, მსოფლიო მოქანდაკეთა სიმპოზიუმზე კონცერტში მონაწილეობა, ქართულ-აფხაზური ფოლკლორის საღამო „არა ძმაო! - აფხაზი ვარ“, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, ბავშვთა და მოზარდთა ფოლკლორული ფესტივალი „ნიკოზი-2015“, ემიგრანტ მწერლის ნანა ჩხაიძეს წიგნის პრეზენტაცია, პოეზიის საღამო ნოდარ დუმბაძის ლექსების

მიხედვით, მოზარდთა საერთაშორისო თეატრალური პროექტი „თეატრი-ურთიერთობების პერსპექტივა“, ქალაქ პოკატელოში ანსამბლ „მართვე“-ს მონაწილეობა საერთაშორისო ფესტივალში, ანსამბლ „ერქვანის“ მონაწილეობა ქორეოგრაფ ა.თათარაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოში და კონკურს ფესტივალ „ფიესტალონია-ჯორჯიაში“, ფრიდონ სულაბერიძისადმი მიძღვნილი კონცერტი, პოეზიის საღამო, საშობაო კონცერტი და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის მიერ ჩატარდა 29 ღონისძიება.

08 04 03 ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონი

2016 წლის გეგმა 137.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 128.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 93%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თბილისის პანთეონების როგორც საქართველოს უახლოესი ისტორიის ძეგლის წარმოჩინება; გამოჩენილ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საფლავების მოვლა - პატრონობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა პანთეონების (მთაწმინდა, დიდუბე და „ხოჯევანქი“) მოვლა-პატრონობის ხარჯები, გაწეულია თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, კომუნალური და სხვა ხარჯები.

08 04 04 კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 314.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 298.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 95%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: კულტურის დაწესებულებების მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა

ღონისძიებები, მათ შორის: ქ. თბილისის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის სამგორის ფილიალისათვის სარემონტო (კარ-ფანჯრები) და გაზიფიცირების, სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის შენობაში ადაპტირებული სივრცის მოწყობის, თოჯინების მუზეუმის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის პროექტის მომზადების, ხელოვნების სკოლების ინსტრუმენტების და ივენტარის გადატანის, თოჯინების მუზეუმის ელექტრომომარაგების და წყლის სიტემის მოწყობის, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში შშმ პირებისათვის ადაპტირებული ლიფტის დასამონტაჟებლად ელექტრომომარეგის სისტემის მოწყობის სამუშაოები. ქ.თბილისის მერიის მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის სახელობის N6 ხელოვნების სკოლაში სარემონტო სამუშაოების ჩატარება; დავით თორაძის სახელობის N22 ხელოვნების სკოლაში სარემონტო სამუშაოების ჩატარება, ალოიზ მიზანდარის სახელობის N1 ხელოვნების სკოლაში ცენტრალური გათბობის სისტემის რეაბილიტაცია, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის N2 ხელოვნების სკოლაში ცენტრალური გათბობის სისტემის შეკეთება, ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის N19 ხელოვნების სკოლისთვის აპარატურის და ინსტრუმენტების შეძენა, შოთა შანიძის სახელობის N20 ხელოვნების სკოლისთვის ინსტრუმენტების შეძენა, კულტურის ობიექტებში სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობა (10 ობიექტი).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: კულტურის ობიექტების ფუნქციონირების ხელშემწყობის გარემოს შექმნა; თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი კულტურის დაწესებულებები.

08 05 კულტურის ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი

2016 წლის გეგმა 5,888.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 5,757.6 ათასი ლარით. რაც გეგმის 98%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: საზოგადოების ფართო ნაწილის ჩართულობა ფესტივალებში, კონკურსებში, სადღესასწაულო ღონისძიებებში; ღვაწლმოსილი ადამიანების დაფასება; ნიჭიერი შემოქმედების წარმოჩენა,

შემოქმედებითი პროცესის ინტენსივობა; საინტერესო და მრავალფეროვან ღონისძიებებზე სხვადასხავ სფეროს წარმომადგენელი ხელოვანების ჩართულობა და მონაწილეობა; განვითარებული და გაღრმავებული კულტურული ურთიერთობები დაძმობილებულ ქალაქებთან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა კულტურის სამსახურის მიერ 26 მაისს - დამოუკიდებლობის დღის, თბილისობის და ახალი წლის აღსანიშნავად განხორციელებული ღონისძიებები - 1,824.9 ათასი ლარით და თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მიერ განხორციელებული და სრულად/ნაწილობრივ დაფინანსებული სხვადასხვა პროექტები (3,932. ათასი ლარი), მათ შორის:

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მიერ განხორციელებული და სრულად/ნაწილობრივ დაფინანსებული სხვადასხვა პროექტები, მათ შორის:

სახელმწიფო, სახალხო და რელიგიური ღონისძიებების ფარგლებში: საახალწლო ღონისძიებები თბილისის ზოოპარკში, პროექტი „ვაჩუქოთ ახალი წელი ერთმანეთს" სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის, საახალწლო ინტერნეტ-ფოტოკონკურსი „ახალი წელი თბილისში", თბილისის მეტროპოლიტენის 50 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო, საქველმოქმედო საღამო საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მეომრების ოჯახების დასახმარებლად, დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება სოციალურად დაუცველი მარტოხელა დედებისათვის, 8 მარტისადმი მიძღვნილი ღონისძიება ქალთა კოლონიაში, ორენოვანი კრებულის „ქართველი პოეტი ქალები" პრეზენტაცია, 9 აპრილის ტრაგედიის 27 წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიება, დედის დღესთან დაკავშირებული საქველმოქმედო კონცერტი, ანსამბლ „შვიდკაცა“-ს ახალი ალბომის პრეზენტაცია, მუსიკალური ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი თეატრალიზებული ღონისძიება, „Georgian Brass”-ის კონცერტი და „მზის ფესტივალი“; „VOLCAN feat G.rubalcaba”-ს კონცერტი, შშმ პირთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, თამარ გვერდწითელის საერთაშორისო ფონდის „მუსიკა

საზღვრებს გარეშე“ საქველმოქმედო კონცერტის ორგანიზება, ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების დღისადმი მიძვნილი ღონისძიება „დღე, როცა ვერ მოჰკლეს ილია“; 11 სექტემბრის ტერაქტიდან 15 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება „9/11 - თვისულების ხე“, ბავშვთა სოლიდარული სიმისვნესთან ბრძოლი საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ფესტივალი „live fest“, ალმანახის „ამბავი თბილისზე“ გამოცემა, სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის საახალწლო ღონისძეიბა, საახალწლო პრემიერა „ერთდ ვაქციოთ ზღაპარი რეალობად“, საბალეტო სპექტაკლის „შობის ღამე“ წარმოდგენა, საახალწლო „იუმორინა 2017“.

საერთაშორისო და გაცვლითი კულტურული ღონისძიებების ფარგლებში: ლატვიის დედაქალაქ რიგაში, ეთნო ჯაზ ბენდ „ირიაო“-ს კონცერტი; საქართველოსა და ირლანდიის დიპლომატიური ურთიერთობების 20 წლისადმი მიძღვნილი ირლანდიელი ჯეკ ლუკმანის ბენდის და ქართული ჯგუფი ..ნიუტონი“ - ს კონცერტი, პრაღაში ფოლკლორული ანსამბლის „იბერი“ კონცერტი, მსახიობ მაქსიმ ავერინის საღამო „ყველაფერი სიყვარულით იწყება“, ზაარბრუკენში მსახიობ ქალთა გუნდის „ბენეფისი“ შემოქმედებითი ვიზიტი და ჯგუფ „ნიუტონი“ -ს კონცერტის ორგანიზება, საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის „საჩუქარი“ ევროპული ფესტივალების ასოციაციაში გაწევრიანების ხელშეწყობა, ქართველი ხელოვანის მარიამ ქებურიას მონაწილეობა უკრაინის დამოუკიდებლობის და ქალაქ ხარკოვის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, იაპონური ტრადიციული თეატრის „ნო“ დასის წარმოდგენა, ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია „შავფაროსნები“ - ს მონაწილეობა ქალაქ ლუბლიანას საერთაშორისო ფესტივალში, თბილისის საერთაშორისო სცენოგრაფიის ბიენალეს ორგანიზება, წიგნის „თბილისი - ზაარბრუკენი 40“ ბეჭდვა, იზმირის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი, ხელნაკეთი თოჯინების გამოფენა.

თეატრალური ხელოვნების განვითარების და თავისუფალი თეატრალური პროექტების ხელშეწყობის ფარგლებში: წიგნის „თვისუფალი თეატრალური პროექტები“ ბეჭდვა, სპექტაკლი „13 თიბათვისა“, პროექტი „შემთხვევით არ მოვსულვარ თქვენთან...", ქორეოგრაფიული წარმოდგენა „შექსპირი სიყვარულზე“, სპექტაკლები: „გოგონა ციდა ყვავილების ქვეყნიდან“, „მაუგლი“, „დაგვიანებული ჩაი“, „მრისხანება“, „ჩიტები“, „ცეტები“, „სარჩობელაზედ“, „ირინეს ბედნიერება“, „ჩარლის დეიდა“, „სხვების ცხოვრება“, „მოთამაშეები“, „ზურმუხტის ქალაქის

ჯადოქარი“, „მოხუცი მელომანები“, „მიზერერე“, „8 სეანსი“, „ინი და იენი“, „ნერე ვნახოტ რა იქნება“, „დასასრულის შემდეგ“, „დაბრუნებამდე“, „არ გვიხდიან?!არ“, „წითელქუდა“, „ქარიშხალი“, „ვთამაშობთ ჯინს“, „დარისპანის გასაჭირი“, კვაჭი კვაჭანტირაძე“, „ნანილი“, „წმინდა ანტუანის სასწაული“, „ევოლუცია“, „პატარა უფლისწული“, „პეპი გრძელი წინდა“, „ადამიანთა სიყვარული“, „ეკლიფსი“.

ფესტივალების, კონკურსების და საიუბილეო ღონისძიებების ხელშეწყობის ფარგლებში: თემურ ყვითელაშვილის 55 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტი, „ქართული თეატრის დღე"- სთან დაკავშირებით, პროექტის - „წლის საიუკეთესო თეატრალური ქმნილება" ფარგლებში სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულების გამოვლენის და ერთჯერადი ფულადი ჯილდოს გადაცემის ხელშეწყობა; მოცარტის სახელობის საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი, ახალგაზრდა მწერალთა ლიტერატურული კონკურსი „მერანი", ოსიპ მანდელშტამის 125 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-დოკუმენტური კომპოზიცია „სიზმრად ვხედავ მთაგორიან თბილისს", კავკასიის მუსიკალური დაჯილდოვება „ფენიქსი“, პიანისტთა თბილისის VI საერთაშორისო კონკურსის ჩასატარებლად, 2016 წლის მოსამზადებელი ეტაპების საჭირო ხარჯების თანადაფინანსება; ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის III საერთაშორისო ქორეოგრაფიული ფესტივალი, ქართველ სიმბოლისტ პოეტთა და პროზაიკოსთა შემოქმედებითი გაერთიანების „ცისფერყანწელების" 100 წლისთავთან დაკავშირებით, საიუბილეო ალბომის გამოცემა და პრეზენტაცის მოსამზადებელი ეტაპი; ფოტოკვირეული „ქოლგა თბილისი ფოტო 2016“, ელგუჯა ბურდულისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, ფესტივალი „თბილისი 2016 - თანამედროვე მუსიკის საღამოები“, ბავშვთა და მოზარდთა ფოლკლორული ცეკვების ფესტივალი „ფოლკლორიადა 2016“, საგუნდო მუსიკის VI საერთაშორისო ფესტივალი, გამოფენა-კონკურსი „ოქროს პალიტრა“, ცეკვის საერთაშორისო ფესტივალი, ნუგზარ ერგემლიძის და მზია ხეთაგურის საიუბილეო საღამოები, პროექტი „სიცილის და პოზიტივის კარნავალი“, „ახალი ღვინის ფესტივალი 2016“, თბილისის მე-18 საერთაშორისო ფესტივალი, „Kavkazz jazz ფესტივალი 2016“, საბავშვო ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს პეპელა 2016“, თანამედროვე მუსიკის და ხელოვნების ფესტივალი, ლიტერატურული კონკურსი „მცირე პროზა“, ქორეოგრაფიის და ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი „მშვიდობის

ჩირაღდნები“, მხატვარ ნ.მეძმარიაშვილის საიუბილეო გამოფენა, სპექტაკლი „კონკია“, საერთაშორისო ფესტივალის „შემოდგომის თბილისი“ მოსამზადებელი ეტაპი, ფესტივალი „არტგენი“, ინოვაციური პოპკულტურის დაჯილდოვების ცერემონიალი „ელექტრონავტი 2015“, კომპოზიტორ ნოდარ ნიკოლაიშვილის საავტორო საღამო „თბილისური ავტოგრაფი - 50 წელი სცენაზე“, მომღერალ ნანული აბესაძის საიუბილეო საღამო, ჯგუფის „33ა“ ალბომის გამოცემა, კინოფესტივალი „ჯიფონი საქართველო 2016“, მუსიკოს ბაჩი ქიტიაშვილის სახელობის როკ ფესტივალი, შოთა რუსთაველის 850 წლისადმი მიძღვნილი პროექტი „ქვიშით ამღერებული პოეზია“, მუსიკისა და ხელოვნების კონკურს - ფესტივალი „სტარტი“, ჯემალ და გია ბაღაშვილების საუბილეო კონცერტი, თბილისის მე-19 საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალი, ბავშვთა და მოზარდთა ფესტივალი „მაჩაბელა“, რევაზ ინანიშვილის 90 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, საერთაშორისო კინოფესტივალი „წმინდა ანდრეას ჯვარი“ და „პრომეთე“, ჩასაბერ საკრავთა ფესტივალი, თამარ ჭოხონელიძის საიუბილეო საღამო.

საგამომცემლო საქმიანობის და კულტურულ - საგანმანათლებლო პროექტების ხელშეწყობის ფარგლებში: კრებულის „ქართველი პოეტი ქალები" გამოცემა, „სახელოვნებო დიპლომატია - ქართული გალერეა ხელოვნების საერთაშორისო სივრცეში" კატალოგის გამოსაცემად მომზადება, ლერი ალიმონაკის წიგნის „დრო და დრამები“ მე-2 ნაწილის გამოცემა, საგამომცემლო პროექტები: დავით ალექსიძის წიგნი-კატალოგი, ე.წეროძის წიგნი ალბომი „გამორჩეული ხელოვანი“, გამოცემა „ქართული ალმანახი“, წიგნი საქართველოს მეფეების გალერეა, ვეფხისტყაოსანი რუსულ ენაზე, „კომპოზიტორ იოსებ კეჭაყმაძის - ცხოვრება და შემოქმედება“ და „კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის - ცხოვრება და შემოქმედება“ ბროშურები, წიგნების: „ქსნის ერისთავების საქართველო“, „ჩემი რუსთაველის თეატრი - ჯემალ ღაღანიძე - ესა ვარ, რაცა ვარ!..“, „მოედანზე არიან ბორჯღალოსნები“, „ჯოვანი სკუდიერი 200“, „თბილისის ქანდაკება - პოეზია ქვაში“, „ჟამი მეექვსე“, „თამაშის ხელოვნება“ და „იმედით ძლეული“ გამოცემა; ჟურნალ „ცისკარი“ - ს საგანგებო ნომერი, კატალოგი „ივანე ასკურავა100“, წიგნი - ალბომი „ჟანი მეძმარიაშვილის შემოქმედება“ და „სლავა მეტრეველი“, წიგნის „ჟამი მეექვსე“ გამოცემა, ბადრი ვადაჭკორიას წიგნი „ეს თბილისია“, საგამომცემლო პროექტები:

„ვაჟა ფშაველა მარადიული ღირებულებები“, „უცნობი სერგო ქობულაძე“, „მოსე თოიძე“, „გურამ ცერცვაძე“, „სერგო ფარაჯანოვი“, და სხვა.

თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაციისა და შემოქმედებითი პროექტების ხელშეწყობის ფარგლებში: საქველმოქმედო კონცერტი „მსოფლიო ვარსკვლავები ბავშვების გადასარჩენად", მხატვარ ირაკლი ავალიშვილის ნამუშევრების გამოფენა, გამოფენა „აბრეშუმის შარფები", სასაჩუქრე კატალოგის „თბილისური საჩუქარი" პრეზენტაცია, მარიამ ზალდასტანიშვილის ნამუშევრევის პერსონალური გამოფენა, „წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღე", მსოფლიოში ცნობილი ავსტრიელი ნეოკლასიკური პოპის შემსრულებლის „Soap&Skin“ - ის ცოცხალი კონცერტი, საქველმოქმედო კონცერტი „ერთად სიცოცხლისათვის", პროექტი „სიცოცხლის ფორმები“-ს მეორე ნაწილი, ცნობილი ქართველი ტენორის ირაკლი კახიძის და საფრანგეთიდან მოწვეული სოპრანოს კრისტელ დი მარკოს სოლო კონცერტი, გამოფენა „ხელოვნება და ტექნოლოგია - იმედის გზა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის", მანანა მენაბდის ფოტო-გამოფენა „ილუზიები“, „თბილისის მოდის კვირეული“, ლილიკო ნემსაძის და გულიკო ჭანტურიას შემოქმედებითი საღამოები, პროექტი „სიმღერის და იუმორის საღამოები“, გამოფენა „სიტყვის მუზეუმი“, პროექტი „ქალი და ხელოვნება ეკონომიკის განვითარებისათვის“, გამოფენა „ქანდაკების არსი ტანამედროვე სამყაროში“, მევიოლინე ვლადიმერ სპივაკოკის და მომღერალ ნინო ბაშარულის კონცერტები, ფოტო გამოფენა „კალეიდოსკოპი 2“, ჯგუფი „მძიმე ჯვარი“-ს კონცერტი, დავით გველესიანის სოლო კონცერტი, შემოქმედებითი პროექტი „თბილისური წალკოტი“, სამეფო ნაციონალური ბალეტის კონცერტი, ეკოლოგიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი გამოფენა „მწვანე“, პროექტი „დაიცავი ჩემი უფლებები“, ფოტოგამოფენა „დიპლომატის თვალით დანახული საქართველო“, დავით ალექსიძის ნამუშევრების გამოფენა „გრძნობების ტრანსფორმაცია“, მომღერალ გია ჭირაქაძის შემოქმედებითი საღამო, კოტე მახარაძისადმი მიძღვნილი პროექტი, საქველმოქმედო კონცერტი „ერთად გავადგათ პირველი ნაბიჯი“ და „ექიმები ექიმებისთვის“, მხატვარ ირაკლი ბუგიანიძის გამოფენა, თბილისის მოდის კვირეული, საქველმოქმედო კონცერტები ჯაბა ბოჯგუას და ზვიად ბერიაშვილის დასახმარებლად, ანსამბლ „ოროველას“ კონცერტი.

ქართული დიზაინის პოპულარიზაციისა და ხელშეწყობის ფარგლებში: პროექტის „თბილისი - აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის შემოქმედებითი ცენტრი“ ფარგლებში ახალგაზრდა დიზაინერთა პრეზენტაციის მოწყობა, პროექტი „ELITE MODEL LOOK GEORGIA 2016“ და საერთაშორისო პრინტ ფესტივალი „LIFESTYLE“, პროექტის „დიზაინი საქართველოდან - თბილისი აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის შემოქმედებითი ცენტრი“ ფარგლებში სემინარის და კონფერენციის განხორციელება, პროექტი „მას მოდა 2016“, ნინო რამიშვილის კოსტიუმების ჩვენება და გამოფენის მოწყობა, ხელნაკეთი ნივთების საახალწლო გამოფენა-გაყიდვა.

გარდა ამისა, გაწეულია კულტურული ღონისძიებების ცენტრის ფარგლებში: თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, კავშირგაბმულობის, ავტოტექმომსახურები, საწვავის შეძენის და სხვა ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: სახელმწიფო სახალხო, რელიგიური დღესასწაულები - 29 ღონისძიება; საერთაშორისო და გაცვლითი კულტურული პროგრამები - 18 ღონისძიება; თეატრალური ხელოვნების განვთარების და თავისუფალი თეატრალური პროექტების ხელშეწყობა - 45 ღონისძიება; ფესტივალების კონკურსების და საიუბილეო ღონისძიებების ხელშეწყობა - 72 ღონისძიება; თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროექტების ხელშეწყობა - 60 ღონისძიება; საგანმანათლებლო საქმიანობის და კულტურულ საგანმანათლებლო პროექტების ხელშეწყობა - 49 ღონისძიება.

08 06 სპორტის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 11,931.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 12,809.6 ათასი ლარის 93%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 06 01 სპორტული ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 2,237.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,231.2 ათასი ლარით. რაც გეგმის 99.7%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: ქვეყნის ნაკრები გუნდები შეივსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით; სპორტის სხვადასხვა სახეობებში ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული ასპარეზობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თბილისის 33 სპორტული ფედერაცია, საქართველოს 20 ეროვნული ფედერაცია, ასევე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული სპორტული ორგანიზაციები.

საანგარიშო პერიოდში სპორტული ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო სპორტის სხვადასხვა სახეობაში თბილისის პირველობები და ჩემპიონატები, სასწავლო–საწვრთნო შეკრებები, ქ.თბილისის ნაკრებმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში, კერძოდ: ჩატარდა თბილისის პირველობები და ჩემპიონატები მძლეოსნობაში, მშვილდოსნობაში, უშუში, კალათბურთში, ჭადრაკში 7, 8, 10, 12, 14, 16 წლამდელთა შორის, ხუთჭიდში და ტრიატლონში, სამბოში, ბოდიბილდინგსა და ფიტნესში, ძალოსნობაში, ქართულ ჭიდაობაში, ნარდში, მაგიდის ჩოგბურთში, ტანვარჯიშის სახეობებში, კრივში, ალტიმატ ფრისბიში, ჩოგბურთში, საცხენოსნო სპორტში, ცურვაში, პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში, აფროსნობაში, სინქრონულ ცურვაში, ტაეკვონდოში, შაშში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, ბეისბოლსა და სოფტბოლში, ფეხბურთში, ქალთა ავტოსპორტში, მინი გოლფში.

საერთაშორისო ტურნირებში ქ. თბილისის ნაკრებმა გუნდებმა მიიღეს მონაწილეობა კარატეში, ტანვარჯიშის სახეობებში, უშუში, ნარდში, ფარიკაობაში, ძიუდოში, ჩერლიდინგში, სამბოში, თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, ბადმინტონში, კალათბურთში, ჩოგბურთში, მინი წყალბურთში, ნიჩბოსნობაში, მშვილდოსნობაში, საპლიაჟო ფრენბურთში, თავისუფალ ჭიდაობაში, მაგიდის ჩოგბურთში, ტაეკვონდოში. საქართველოს ჩემპიონატებში და პირველობებში ქ. თბილისის ნაკრებმა გუნდებმა მიიღეს მონაწილეობა კრივში, მშვილდოსნობაში, ფრენბურთში, ქართულ ჭიდაობაში, ძალოსნობაში, ინდორ ჰოკეიში,

მეკლდეურობაში, ტანვარჯიშის სახეობებში, კანოე-კაიაკში, ნიჩბოსნობაში, ბოდიბილდინგსა და ფიტნესში, ფარიკაობაში, სამბოში. თბილისის და მერიის თასი გაიმართა: ჩოგბურთში, ფარიკაობაში, წყალბურთში, ფუტსალში, ფრენბურთში, ფეხბურთში, ბიატლსა და ტრიატლში, ტანვარჯიშის სახეობებში, ჩერლიდინგში და ჭადრაკში. თბილისის ნაკრები გუნდებისთვის სასწავლო-საწვრთნო შეკრებები მოეწყო: ჯომარდობაში, პანკრატიონში, მშვილდოსნობაში, ბეისბოლსა და სოფტბოლში, კრივში, ტანვარჯიშში, ფეხბურთში, ძიუდოში.

მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობა მიიღეს პანკრატიონის და გრეპლინგის, ათლეტიზმის, ძიუდოს, მხატვრული ტანვარჯიშის, ჭიდაობის, ჭადრაკის და სამბოს ნაკრები გუნდის წევრებმა. ევროპის ჩემპიონატებში მონაწილეობა მიიღეს ძიუდოს, პანკრატიონის, მძლეოსნობის, ბ/რ ჭიდაობის, კარატეს და სამჭიდისა და წოლჭიმის ნაკრები გუნდის წევრებმა.

ქალთა სპორტის განვითარების მიმართულებით გაიმართა: არასპორტსმენ ქალთა მარათონი, ქალთა სპორტის კვირეული, "ქალთა გაზაფხულის თამაშები 2016“.

შშმ პირთა ჩართულობით სპორტული ღონისძიებები გაიმართა: ბოულინგში, პარაპლანში და ჯომარდობაში. არაოლიმპიური სახეობების ფორუმზე მონაწილეობა მიიღო საქართველოს პანკრატიონის, გრეპლინგის და ბელტ რესლინგის ეროვნული ფედერაციის 3 კაციანმა დელეგაციამ. გაიმართა გრან-პრი ძიუდოში, საქველმოქმედო რბენა "Wings for Life-Wold run“, დაფინანსდა ქ. თბილისის ამერიკული ფეხბურთის ფედერაციის გუნდისთვის სპორტული აღჭურვილობა, მოეწყო 2015 წლის სპორტული მოვლენების შემაჯამებელი გამოფენა "სპორტფოტო 2015", ნონა გაფრინდაშვილის 75 წლის იუბილესთან დაკავშირებული გაიმართა ღონისძიებები ჭადრაკში, ასევე საიუბილეო წელთან დაკავშირებით ჭადრაკის სასახლეს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, გაიმართა "XXI კავკასიის თასი 2016" სპორტულ ცეკვებში, პროექტის "მერიასთან ერთად", ფარგლებში 150 ბენეფიციარისთვის უსასყიდლოდ მიმდინარეობდა ფეხბურთის საწვრთნელი პროცესი, მოჭიდავეთა კლუბ "დიღომი"-სთვის შეძენილ იქნა საჭირო ინვენტარი, ტანმოვარჯიშეებმა მონაწილეობა მიიღეს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო

დღისადმი მიძღვნილ სპორტულ ღონისძიებებში, გაიმართა მერიის თასის და ელიტ-ლიგის გამარჯვებული გუნდების დაჯილდოვების საზეიმო ცერემონიალი, სპორტული ტანვარჯიშის დარბაზში სპორტსმენების დაზღვევის მიზნით სავარჯიშო ორმოების ამოსავსებად შეძენილ იქნა დაჭრილი პარალონი, გაიმართა "ტროფი ექსპედიცია რაჭა 2016", საერთაშორისო კლასის მწვრთნელის მიერ მწვრთნელების და ახალგაზრდა სპორტსმენების მასტერკლასი წყალბურთში, იგორ დმიტრიევის ფეხბურთის მწვრთნელის "ცე" კატეგორიის ლიცენზიის მისაღებად დაფინანსდა "ასოციაცია ჩვენი სახლი-საქართველო", ზურაბ მამულაშვილი-ამპუტანტ ფეხბურთელთა შორის უხუცესი (74 წლის) მსოფლიო რეკორდსმენობის კანდიდატისთვის შეიქმნა ფერადი პლაკატი, აგრეთვე მომზადდა საგაზეთო, საჟურნალო პუბლიკაციები და სატელევიზიო გადაცემები, გაიმართა კალათბურთის სამოყვარულო ლიგა, ქ. თბილისის სპორტული მარკეტინგისა და ტურიზმის საერთაშორისო კონფერენცია, გაიმართა საინფორმაციო და სპორტული ჟურნალისტების ჩართულობით საახალწლო ტურნირი, პროექტ „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა“ ფარგლებში წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების შემაჯამებელი ღონისძიება, საახალწლო დღეების აღსანიშნავად დედაენის ბაღში სახალისო, სანახაობრივი და სპორტული შოუ-პროგრამა „ექსტრიმ შოუ საახალწლოდ“, - საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ყოველწლიური გალა დაჯილდოვების საზეიმო საღამო. ა(ა)იპ-ების ხელშეწყობისთვის და ლიკვიდაციის დასრულების მიზნით დაფინანსდა ა(ა)იპ სპორტული ცენტრი „ლილო“,ა(ა)იპ „ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი“, წყალბურთელთა გუნდი „თბილისი“, ა(ა)იპ "მიხეილ კეკელიძის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა კალათბურთის სასახლე“, ა(ა)იპ "ოლიმპიური მზადების კომპლექსური სპორტული ცენტრი", ა(ა)იპ "მ. კეკელიძის სახელობის კალათბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრი“.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: თბილისის ღია პირველობები, ტურნირები და ჩემპიონატები - 57, გაიმართა თბილისის და მერიის თასი - 8, მოეწყო - 9 სასწავლო-საწვრთნო შეკრება, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში მონაწილეობა მიიღეს ნაკრებმა გუნდებმა - 17, ქალთა სპორტის

განვითარების მიმართულებით ჩატარდა - 3 ღონისძიება, შშმ პირთა ჩართულობით გაიმართა - 6 სპორტული ღონისძიება, თბილისის ნაკრებმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ჩემპიონატებში და პირველობებში - 28 და საერთაშორისო ტურნირებში - 48, თბილისის ნაკრები გუნდების აღჭურვა - 3, დაფინანსდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები - 17.

08 06 02 მწრთვნელთა მხარდაჭერა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 2,896.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,893.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული ბავშვთა ჯგუფებთან მომუშავე მწვრთნელ–მასწავლებლები; ნიჭიერ სპორტსმენთა გამოვლენა და მსოფლიო დონის სპორტსმენთა აღზრდა, რაც საერთაშორისო მაშტაბით სახელს გაუთქვამს საქართველოს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური მხარდაჭერა გაეწია სპორტულ დაწესებულებებში მომუშავე სპორტის სხვადასხვა სახეობის 406 მწვრთნელ - მასწავლებელს.

08 06 03 სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური.

2016 წლის გეგმა 431.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 430.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია

დასახული შუალედური შედეგები: სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები, მოზარდები და ზრდასრული ადამიანები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში თბილისის 10 რაიონის 24 სკვერში, დასრულდა გარე–გამოყენების სავარჯიშო მოწყობილობების

დამონტაჟება, რაც მოსახლეობას საშუალებას მისცემს დაკავდეს ჯანსაღი ცხოვრების წესით, დღის ნებისმიერ მონაკვეთში.

08 06 04 სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური; სსიპ ტექნოლოგიური განვითარების ფონდი

2016 წლის გეგმა 5,926.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 5,061.0 ათასი ლარით. რაც გეგმის 85%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: საერთაშორისო სტანდარტების სპორტული ინფრასტრუქტურა; სპორტულ ცენტრებში მომსახურების გაუმჯობესებული სერვისები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში შემუშავდა რაგბის სპორტული კომპლექსის სამშენებლო პროექტი, რომელსაც ჩაუტარდა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ექპერტიზა. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ახალი რაგბის სპორტული მოედნის მშენებლობა, მუხიანის IV მ/რ-ის მიმდებარედ, რომლის დამთავრებაც განსაზღვრულია 2017 წელს, დაგეგმილი სარაგბო ღონისძიების დაწყებამდე. 2016 წელს დასრულდა ძირითადი სამშენებლო სამუშაოები, ხოლო 2017 წელს დაგეგმილია სტადიონის კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება. ასევე, გაწეულია ა(ა)იპ სპორტულ ცენტრ „ლილოს“ სტრუქტურული ერთეულის ვაზისუბნის მე-4 მიკრო-რაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული რაგბის სტადიონის საპროექტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე დაფინანსდა ა(ა)იპ გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის სტრუქტურული ერთეულები: ნაძალადევის სპორტული კომპლექსის პროექტი და რეაბილიტაციის საავანსო ღირებულება, ასევე კულა-გლდანელის სახელობის ჭიდაობის დარბაზის სამშენებლო სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაიზარდა საერთაშორისო სტანდარტების და თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი სპორტული ობიექტებისა და სპორტული ობიექტით მოსარგებლე პირთა რაოდენობა.

08 06 05 წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 368.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 367.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები; წახალისებული ახალგაზრდა, პერსპექტიული სპორტსმენები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სპორტის სხვადასხვა სახეობის 18 წლამდე ასაკის 250 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი.

08 06 06 პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი

2016 წლის გეგმა 950.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 948.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: არანაკლებ 7 სპორტულ სახეობაში საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესი; სხვადასხვა პარასპორტულ საერთაშორისო-სარეიტინგო შეჯიბრებებში ქართველი პარასპორტსმენების მონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ "თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი"ს ფუნქციონირების ხარჯები: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, არაფინანსური აქტივები.

ცენტრში ინტენსიურად მიმდინარეობდა საწვრთნელ–სარეაბილიტაციო პროცესი, საერთო ჯამში, საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესში ჩართულია 150-ე პარასპორტსმენი და 37 მწვრთნელ-მასწავლებელი. ცენტრში ვითარდება 14 პარასპორტული სახეობა, ესენია: ამპუტანტთა ფეხბურთი, უსინათლოთა ფეხბურთი, ეტლით მოსარგებლეთა ფარიკაობა, პარამკლავჭიდი, პარამშვილდოსნობა, ეტლით მოსარგებლეთა ჩოგბურთი, პარამაგიდის ჩოგბურთი, ბოჩა, ეტლით მოსარგებლეთა კალათბურთი, მჯდომარე ფრენბურთი, პარაძიუდო, წოლჭიმი (სპინალური დაზიანების მქონე პირთა ძალოსნობა), აუტისტური სპექტრის მქონე მოზარდების კალათბურთი, აუტისტური სპექტრის მქონე მოზარდების ფეხბურთი, ასევე ცენტრში ტარდება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: 150-მდე პარასპორტსმენი ჩაერთო რესოციალიზაციის პროცესში.

08 07 ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის სალიკვიდაციო ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტი

2016 წლის გეგმა 554.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 441.8 ათასი ლარით. რაც გეგმის 80%-ია.

დასახული საბოლოო შედეგები: ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის ლიკვიდაციის დასრულება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული საბოლოო შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფარულია ა(ა)იპ "ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის" 2015 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშაოების კრედიტორული დავალიანება. ასევე, გაწეულია კომიტეტის სალიკვიდაციო კომისიის შრომის ანაზღაურების ხარჯები და სხვა.

08 08 ახალგაზრდული ღონისძიებები დაფინანსებულია 1,462.7 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,520.0 ათასი ლარის 96%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 08 01 ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 675.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 648.6 ათასი ლარით. რაც გეგმის 96%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თბილისში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცის შექმნა. ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება და მხარდაჭერა; გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების თანამონაწილეობა; სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული პუნქტების შესრულება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: დაფინანსდა ა(ა)იპ ,,თბილისის მოხალისეთა გაერთიანების“ პროექტი მოხალისეობრივი ინსტიტუტის გაძლიერება; განხორციელდა ახალგაზრდული ცენტრის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზის თანხის გადარიცხვა; ა(ა)იპ ,,ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის” ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, მოხდა თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება და გასულ წელს საოფისე ავეჯის, საოფისე ტექნიკის, საკანცელარიო საქონლის, ბუღალტრული პროგრამის შესაძენად აღებული ვალდებულებების დაფარვა და განხორციელდა ცენტრის სარემონტო - სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა;

საანგარიშო პერიოდში, დაფინანსდა ა(ა)იპ ,,მხიარულთა და საზრიანთა კლუბის“ პროექტები ,,თბილისის ღია ჩემპიონატი 2016 წლის მხიარულთა და საზრიანთა გუნდებს შორის“, ,,საქართველოს მხიარულთა და საზრიანთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა მხიარულთა და საზრიანთა გუნდების საერთაშორისო მუსიკის ფესტივალზე“; ,,მხიარულთა და საზრიანთა თბილისის 2016 წლის ღია

ჩემპიონატი II ეტაპი“ და „საქართველოს მხიარულთა და საზრიანთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა მხიარულთა და საზრინათა კლუბების 28-ე საერთაშორისო ფესტივალზე“. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დაფინანსდა ა(ა)იპ „საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის“ პროექტი „ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე“ და ა(ა)იპ "საქართველოს მხიარული სტარტების ეროვნული ფედერაციის" პროექტი „მხიარული სტარტები, გასართობი თამაშები ბავშვებისა და მოზარდებისთვის“, რომლის ფარგლებშიც 01 ივნისს მოეწყო სხვადასხვა საინტერესო, სახალისო და ბავშვებისათვის მიმზიდველი აქტივობები. ახალგაზრდა შემოქმედ მუსიკოსთა გამოვლენისა და თვითრეალიზაციის მაქსიმალურად ხელშეწყობის მიზნით, დაფინანსდა ახალგაზრდული ოგანიზაცია ა(ა)იპ „ქუჩის მუსიკის“ პროექტი „ქუჩის მუსიკის დღე 2016“. „მომავლის ბანაკისთვის“ განხორციელდა მაისურების, კეპების, საწვიმარი ლაბადების, სპორტული ინვენტარის, მედლებისა და თასების შეძენა და უზრუნველყოფილ იქნა ბანაკის ბენეფიციართა ტრანსპორტირება თბილისი-შაორი-თბილისის მიმართულებით. ერთიანი ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელდა 2016 წლის ბოლომდე გასაწევი სატრანსპორტო მომსახურეობის შესყიდვა, რითაც ძალიან ბევრი პროექტის განხორციელებას შეეწყო ხელი. დაფინანსდა ა(ა)იპ „ქრიეითივ ჯორჯიას“ პროექტი „დიზაინი საქართველოდან-თბილისი აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის შემოქმედებითი ცენტრი“, რომელიც ახალგაზრდა დიზაინერების ხელშეწყობის მიზნით ტრენინგ კურსების ორგანიზებას გულისხმობდა; ახალგაზრდებზე ორიენტირებული, დამოუკიდებელი, აპოლიტიკური საერთაშორისო ონლაინ პლატფორმის შექმნისა და განვითარების მიზნით დაფინანსდა ა(ა)იპ „თავისუფალი ასოციაციის“ პროექტი „Microwav.fm”. სამართლებლივი და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით დაფინანსდა ა(ა)იპ-ის „კავშირი ადამიანი კანონი თავისუფლება“ პროექტი „საზაფხულო სკოლა(ახალგაზრდები ადგილობრივი თვითმმართველობისთვის)“ და ა(ა)იპ „ქალთა თანადგომა მშვიდობისათვის“ პროექტი „საზაფხულო სკოლა ახალგაზრდების სამოქალაქო განათლებისა და ჩართულობისათვის; დაფინანსდა ა(ა)იპ-ის „სამოქალაქო ინიციატივა - საზოგადოების ჯანმრთელობისათვის“

პროექტი „თბილისის სტუდენტური ოლიმპიადა 2016 - დაძლიე დამოკიდებულება“, რომლის ფარგლებშიც მასობრივ სპორტულ აქტივობებში ჩაერთო 2600-მდე ახალგაზრდა. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის“ პროექტი „ლეგენდების კვალდაკვალ“; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „საქართველოს ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაციის“ პროექტი „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა-თბილისი 2016“, რომელშიც ჩაერთო 200-მდე საჯარო და კერძო სკოლის 2 400 მოსწავლე; დაფინანსდა ა(ა)იპ „საქართველოს გულის ფონდი +“-ის პროექტი „ახალგაზრდული სამეცნიერო, სპორტული და კულტურული ღონისძიებათა კომპლექსი მსოფლიო გულის დღის ფარგლებში.“ 2016 წლის თბილისობის დღესასწაულზე დაფინანსდა ა(ა)იპ „თბილისის ქართული ჭიდაობის ფედერაცია“, (ა)იპ „ქ.თბილისის მეკლდეურობის ფედერაციის“ პროექტი „თბილისობა 2016-ზე რიყის პარკში სამოყვარულო სპორტული ცოცვის ორგანიზება“, ა(ა)იპ „ქ.თბილისის მშვილდოსნობის ფედერაციის“ პროექტი, ა(ა)იპ „საქართველოს ბუშტების ფეხბურთის ფედერაციის“ პროექტი „ბუშტების ფეხბურთის ტურნირი თბილისობის დღესასწაულზე“; ა(ა)იპ „თბილისის ნარდის ასოციაციის“ პროექტი რომელიც გულისხმობს თბილისობა 2016-ის ფარგლებში 300-მდე ბანაფიციარისთვის ნარდის ტურნირის ორგანიზებას; მოხდა „ქ. თბილისის ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაცია 2012“-ის პროექტის დაფინანსება; ა(ა)იპ „თბილისის ჭადრაკის ფედერაციამ“ ორგანიზება გაუწია საჭადრაკო ღონისძიებას; დაფინანსდა ა(ა)იპ „სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის“ პროექტი თბილისობის ფარგლებში პეინთბოლის ჩემპიონატის ჩატარება ახალგაზრდებსა და მოზარდებში; საქალაქო სამსახურის ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით გუდაურში, სასტუმრო „მარკო პოლოში“ გაიმართა კონფერენცია თემაზე „თანამშრომლობის განვითარება ადგილობრივ თვითმმართველობასა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის განათლებისა და ახალგაზრდობის სფეროში.“ სამსახურის თანადაფინანსებით განხორციელდა თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროექტი „Music

Collaboration Project“, რომელიც წარმოადგენს სიმფონიური ჟანრისა და ელექტრონული მუსიკის სინთეზს. ასევე, დაფინანსდა ა(ა)იპ „მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა ასოციაციის“ პროექტი „თბილისი მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა საერთაშორისო ფესტივალი ნიღაბი 2016“.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: პროექტებში ჩართული 30 000-მდე პირდაპირი ბენეფიციარი; ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებში ჩართული 20000-მდე ახალგაზრდა; დაფინანსებული 30-მდე პროექტი. მომავლის ბანაკში ჩართული 1000-მდე აქტიური ახალგაზრდა. კონფერენციაში მონაწილე 60-მდე ორგანიზაცია; მხიარულთა და საზრიანთა გუნდებს შორის გამართულ ჩემპიონატებში ჩართული 800-მდე პირდაპირი და 5000-მდე არაპირდაპირი ბენეფიციარი.

08 08 02 თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება

2016 წლის გეგმა 845.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 814.1 ათასი ლარით. რაც გეგმის 96%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: თბილისში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცის შექმნა. ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება და მხარდაჭერა; გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „თბილისის ევროპული ახალგაზრდული ცენტრის“ ფუნქციონირების ხარჯები, კერძოდ: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, სხვა ხარჯები, არაფინანსური აქტივები. გარდა ამისა, ცენტრის მიერ განხორციელდა შემდეგი პროექტები: ევროინტეგრაციის სასწავლო პროგრამა/„EU - სტრუქტურებისა და ინსტიტუციების მოდელირებები”, რომელიც გულისხმობდა ევროპული ინტეგრაციისა და ევროპული სტრუქტურების მუშაობის შესახებ

სტუდენტებისთვის ტრენინგების ჩატარებას; „თბილისი - ევროპის ახალგაზრდული დედაქალაქი 2020“; „ახალგაზრდული ცენტრის ინტეგრაცია ევროპულ სივრცეში და აკრედიტაცია“; „ახალგაზრდების როლის გაზრდა აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში“ და სხვა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 15 ივნისის N23.11.501 განკარგულების საფუძველზე დასრულდა ა(ა)იპ ,,თბილისის ევროპული ახალგაზრდული ცენტრისა და ა(ა)იპ ,,ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის“ შერწყმა/გაერთიანების პროცესი და დაფუძნდა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ,,თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება“.

საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანებამ“ დაგეგმა და განახორციელა ორი მასშტაბური საზაფხულო ბანაკი: შაორში - „მომავლის ბანაკი“ და დაბა ბაკურიანში - „მოხალისეთა გადამზადების სკოლა“; საანგარიშო პერიოდში დასრულდა, ასევე, ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობა. ცენტრი დღის განმავლობაში შეძლებს მოემსახუროს 90 ბენეფიციარს. ახალგაზრდებს შეუძლიათ ჩაერთონ სხვადასხვა აქტივობებში: IT-ის შემსწავლელი კურსები, ინგლისური ენა, ჭადრაკი, ხელოვნება, ხატვა, მუსიკა, სპორტული წრეები, ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით და ა.შ. ყოველივე ზემოთ აღნიშნული სერვისი, ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული ახალგაზრდისთვის. ცენტრმა სხვადასხვა მიმართულების ფარგლებში დაგეგმა და განახორციელა ღონისძიებები: კერძოდ, გამწვანების აქცია - 5 ნოემბერს, ცენტრის ორგანიზებით 250-მა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა მახათას მთაზე - გამწვანების აქციაში. კონფერენცია: „ადგილობრივი თვითმმართველობის როლი მოხალისეობის განვითარების საქმეში - კონფერენციას ესწრებოდნენ, სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები, არასამთავრობო ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები და ახალგაზრდები; მიუსაფარი ახალგაზრდების და ბავშვები მონახულება და ღონისძიება; „შაორის ბანაკის“ მოხალისეებისა და ახალგაზრდებისთვის წვეულება; არაფორმალური განათლების მიმართულების ფარგლებში, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები სამიზნე ჯგუფებთან - ახალგაზრდების

წინაშე არსებული გამოწვევებისა და საჭიროებების განხილვის მიზნით. ამ პროექტის ფარგლებში მიეწოდათ ინფორმაცია OGP (Open Government Partnership)-ის შესახებ. ამ მიმართულების ფარგლებში ჩატარდა, ასევე სასკოლო კლუბების ფორუმი. 17-19 დეკემბერს, განხორციელდა სპორტული ფედერაციების ფორუმი, რომლის მიზანია დედაქალაქის მასშტაბით ერთობილივი სამოქმედო გეგმის შემუშავება, ამ სფეროში არსებული გამოწვევების, საჭიროებების განხილვა და ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა; სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: საერთაშორისო ახალგაზრდული ფესტივალი MIDOST 2016, „ახალგაზრდები მსოფლიოსათვის“ მიერ ორგანიზებული და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიმართულებით; ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ასოციაციის“ მიერ დაგეგმილი და ევროპის საბჭოს ახალგაზრდული ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი „შექმენი ახალგაზრდებთან ერთად“, საერთაშორისო ორგანიზაცია „WORLD VISION GEORGIA”-ს მიერ ორგანიზებული პროექტი, რაც ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობას ისახავს მიზნად. ცენტრის მიერ ჩატარდა - სტუდენტური ფორუმი 2016 - თელავში. ზამთრის სკოლა 2016 - მოხალისეთა გადამზადება თემატიკის მიხედვით - მონაწილეობა მიიღო 250-მდე ახალგაზრდამ; ეთნიკური უმცირესობები: პროექტი „მეგობრობის სახლი“ - ამ მიმართულების ფარგლებში განხორციელდა: რუსული დიასპორის წარმომადგენლებთან ერთად პუშკინისადმი მიძღვნილი საღამო; კულტურული პროგრამის ფარგლებში, “მეგობრობის სახლმა” ბოშათა თემის ღონისძიებას უმასპინძლა. ბოშათა თემის წარმომადგენლებმა სპეციალურად ამ დღისთვის შექმნილი მუსიკალურ-შემეცნებითი პროგრამა და ფოტოგამოფენა წარმოადგინეს; რუსთაველის დღისადმი მიძღვნილი საღამო; ტრეინინგი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელ ქალბატონთათვის თემაზე - „ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელ ქალთა ჩართულობა თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში“.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: 950-მდე ბენეფიციარი, რომლებიც მონაწილეობდნენ განხორციელებულ პროექტებში;

საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებები და მემორანდუმი; მოხალისეობრივი მიმართულების ფარგლებში შექმნილი ონლაინ პორტალი და 700-მდე ახალგაზრდა, რომელიც გადამზადდა მოხალისეობრივი საქმიანობის მიმართულებით, ასევე, ის ირიბი ბენეფიციარები, რომლებიც ისარგებლებენ ჩვენ მიერ შექმნილი ონლაინ რესურსებით; ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ფარგლებში ჩართული 200 პირდაპირი და 1000-მდე არაპირდაპირი ბენეფიციარი.

08 09 კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური

2016 წლის გეგმა 527.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 487.5 ათასი ლარით. რაც გეგმის 92.4%-ია.

დასახული შუალედური შედეგები: კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებით შექმნილი თბილისის განვითარების ერთიანი სტრატეგია; კულტურის სფეროს მდგრადობის მიღწევა; კულტურული მემკვიდრეობის ადგილებში ტურისტების რაოდენობის ზრდა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები: პროექტი „ლადო გუდიაშვილი 120“, ფესტივალი „წიგნი და მუსიკა“, „ქართული მხატვრობის და ღირსშესანიშნაობის პოპულარიზაცია საქართველოში და ქვეყნის გარეთ“, „ევროპაში ქართული მხატვრობის პოპულარიზაციის ხელშეწყობა - PAVILION GEORGIA”, „ქართული ტაძარ - მონასტრების აღმშენებლობის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და საადგილმამულო ბანკის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი“ - ს არქეოლოგიური კვლევა „შაჰტახტი“ - ს (დედა ციხე) ტერიტორიაზე, ა(ა)იპ არტარეა TV.2.0-ის მიერ განხორციელდა პროექტის „თბილისური ეზო“ თანადაფინანსება, შ.პ.ს „საბავშვო ღონისძიებათა ჯგუფი“-ს მიერ განხორციელდა პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში, ქუჩის მუსიკოსების წარმოდგენების, დრამერების ჯგუფის მსვლელობა, „ბიგ-ბენდი“-ს კონცერტის, „მუნჯი კინო“-ს დაფინანსება; შ.პ.ს „რეკ-დ“-ს მიერ განხორციელდა პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში, თანამედროვე,

ელექტრონული და კლასიკური მუსიკით გაფორმების, ფოტო-გამოფენის, ინსტალაცია „ხვალ“-ის დამონტაჟების, თანამედროვე ქართული სამზარეულოს, პოპულარული ახალი ღვინის ბრენდების და საბავშვო აქტივობების მოწყობის დაფინანსება; შ.პ.ს „ფართი ჰაუსი“-ის მიერ განხორციელდა რიყის პარკის ტერიტორიაზე „კულინარიის ფესტივალის“ ჩატარების ორგანიზების მოწყობის მომსახურება, ა(ა)იპ „ქალთა ხელოვნების საერთაშორისო ასოციაცია“-ის მიერ განხორციელდა პროექტის „ქალის როლი ქვეყნის განვითარებისათვის“ დაფინანსება, ა(ა)იპ გიორგი ალექსიძის სახელობის კამერული დასი-თბილისის თანამედროვე ბალეტი“-ს მიერ განხორციელდა პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში, გიორგი ალექსიძის სახელობის კამერული დასის მუსიკალური გაფორმებით მარიამ ალექსიძის ქორეოგრაფიული წარმოდგენის „... ala duduki ”-ის გამართვის მომსახურება; ა(ა)იპ ,,განათლებისა და განვითარების საზოგადოება‘‘-მ განახორციელა პროექტი „დავშაქროთ ცოცხალი დედამიწა’’, ა(ა)იპ ‘‘არტ-ისტი‘‘-მა განახორციელა პროექტი „საახალწლო ღონისძიების” მოწყობა, ა(ა)იპ “ნინო სურგულაძის ფონდი ნატვრის ხე“-მ განახორციელა პროექტი „საახალწლო საქველმოქმედო გალა კონცერტი-ნინო სურგულაძე და მეგობრები”.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: შეიქმნა 6 პერსპექტიული ტურისტული ობიექტი, გაიზარდა ინტერესი კულტურის სფეროს მიმართ და პროცესში ჩაერთო ახალგაზრდა სტუდენტ-პრაქტიკანტი არქეოლოგები.

08 11 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში

დაფინანსებულია 1,032.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,033.3 ათასი ლარის 99.9%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 11 01 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გაგეობა

2016 წლის გეგმა 106.6 ათასი ლარი დაფინანსებულია 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობის ჩართვა კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში; ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების დანერგვა და ახალგაზრდობის შემეცნებითი ცნობიერების ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია: რაიონის სკოლების მოსწავლეთა კარატის ტურნირის ორგანიზების მომსახურეობა; რაიონის სკოლების წარჩინებულ მოსწავლეთა გასვლითი ტრენინგი, საჯარო გამოსვლებსა და პრეზენტაციულ უნარებში და ეფექტიან კომუნიკაციაში; კულტურულ სპორტული ღონისძიება (ბოულინგის ტურნირი) სოციალურად დაუცველი ოჯახების მოზარდებისთვის; დედის დღესთან დაკავშირებით, გლდანის რაიონში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისთვის კულტურული ღონისძიება; ს. ახმეტელის თეატრში; რაიონში არსებული სკოლების მოსწავლეებს შორის საჭადრაკო ტურნირის ორგანიზება; შეძენილია საპრიზო თასები და ხარჯი გაიწია სასაჩუქრე თასების გრავირებაზე; ხარჯი გაიწია საბავშვო ფესტივალ „ცეროდენა“-ს ორგანიზებაზე, გლდანის რაიონში მინიფეხბურთის ტურნირის ორგანიზებაზე; პირველ ივნისს ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით გამართული ღონისძიების დასაფინანსებლად და გლდანის რაიონის სკოლების წარმატებული მასწავლებლებისთვის წიგნების შეძენაზე. 17-18 სექტემბერს ქუჩის კალათბურთის ტურნირის ჩატარებაზე; 26-27 სექტემბერს გლდანის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები სტუდენტებისთვის გასვლითი ტრენინგის (საგანმამათლებლო თემებზე) მოეწყობაზე. 15-16 ოქტომბერს თბილისობის დღესასწაულის აღსანიშნავი საბავშვო-გასართობ ღონისძიებაზე; 24-25 დეკემბერს სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ოჯახების პატარებისთვის ახმეტელის სახელობის აკადემიურ თეატრში საბავშვო სპექტაკლების ჩვენებასა და საჩუქრების გადაცემაზე.

08 11 02 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გაგეობა

2016 წლის გეგმა 100.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობის ჩართვა კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში; ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების დანერგვა და ახალგაზრდობის შემეცნებითი ცნობიერების ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ხარჯები გაიწია რაიონში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებისათვის (250 ბავშვი) ორგანიზებულ სპორტულ-გასართობ ღონისძიებაზე (კარტინგი, მაგიდის ჩოგბურთი, ბილიარდი); ფრენბურთის ორდღიანი ტურნირის ორგანიზებაზე (220 ბავშვი); საგანმანათლებლო ღონისძიება რა? სად? როდის? ორგანიზებაზე; დედაენის დღის ორგანიზებაზე (650 პედაგოგი); რაიონში რეგისტრირებულ კლუბებს შორის კარატეს ტურნირის ორგანიზებაზე (300 სპორტსმენი); კალათბურთის ორდღიანი ტურნირის ,,თბილისის ზღვის თასი“-ს ორგანიზებაზე; ფეხბურთის რაიონული ტურნირის - „თბილისის ზღვის თასი“-ს ორგანიზებაზე (150 სპორტსმენი); ნაძალადევის რაიონის პირველობა ნარდში - ჩემპიონატის ორგანიზებაზე (100 მოყვარული); სპორტული ღონისძიებების ორგანიზება (საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაცია) რაიონში კარატეს ჩემპიონატი (500 სპორტსმენი); კულტურული ღონისძიებების ორგანიზება (ლალი გელაშვილი) პენსიონერთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებაზე (150 პენსიონერი); „თბილისობა 2016“-თან დაკავშირებით ნაძალადევის რაიონის ტერიტორიაზე კულტურული ღონისძიებების ორგანიზებაზე (1000 დამსწრე); კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიების „ნათელი სამყაროს“ ორგანიზებაზე (250 შშმ ბავშვი); საახალწლო ღონისძიების ორგანიზებაზე (18 საბავშვო ბაღი, 3 ბავშვთა სახლი, მოხუცებულთა პანსიონატი); მოზარდებისათვის მხიარულთა და საზრიანთა კლუბის საახალწლო (გასართობი) კონცერტზე დასწრების ორგანიზებაზე (220 მოსწავლე).

08 11 03 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 150.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობის ჩართვა კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში; ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების დანერგვა და ახალგაზრდობის შემეცნებითი ცნობიერების ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა დიდუბის რაიონში საგანმანათლებლო ღონისძიება რა? სად? როდის? და ბელიაშვილისა და რობაქიძის ქუჩაზე სარეკლამო კომპანია „მოხატე უსაფრთხოება“ და კულტურული ღონისძიება (საცირკო გასართობი სანახაობის მოწყობა და დედის დღისადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიება); რაიონული ტურნირის ორგანიზება (შაში, დომინო და ნარდი); მინი ფეხბურთის ორგანიზება; ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება; სიმღერის კონკურსი ,,შენ გიმღერი“-ს ღონისძიების დაფინანსება; ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიება; 21 სექტემბერს ჩატარდა ღონისძიება ,,დიდუბობა“ და ჩემპიონატი მინი ფეხბურთში ,,დიდუბის თასი 2016“; საერთაშორისო სიმღერისა და ცეკვის ,,მშვიდობის ჩირაღდნები“ კონკურსში მონაწილეობისათვის დაფინანსდა ანსამბლები ,,ფესვები“ და ,,უნისონი’’. საახალწლო კულტურული ღონისძიებები 2017-ის ორგანიზება; ქორეოგრაფიული ანსამბლი „ფესვები“-ს წევრების დასაჯილდოვება „ვეფხისტყაოსნის“ (32 ცალი) წიგნის შესყიდვა.

08 11 04 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩოღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩოღურეთის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 97.8 ათასი ლარი დაფინანსებულია 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობის ჩართვა კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში; ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების დანერგვა და ახალგაზრდობის შემეცნებითი ცნობიერების ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სპორტული ღონისძიებები მარათონი „ჩემი გაზაფხული“, რაიონის სკოლებს შორის ჩატარებული ტურნირი ფრენბურთში, რაიონში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის მინი ტურნირი ფეხბურთში, შეჯიბრი პნევმატური იარაღიდან სროლაში, მოეწყო ტურნირები ქუჩის კალათბურთში და ნარდში. ბავშვთა საერთაშორისო დღის 1 ივნისის და სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებით გაიმართა

სანახაობითი ღონისძიებები, მხარდაჭერა გამოვუცხადეთ რაიონში კიევის ქუჩაზე კიევის დღეების აღნიშვნას (უკრაინის სახელმწიფო დროშის დამზადება). ასევე, დაფინანსდა დედის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით და მრავალშვილიანი დედებისათვის კულტურულ-გასართობი ღონისძიებების ორგანიზების მომსახურების ხარჯები და საჯარო სკოლის მასწავლებლებისათვის და წარმატებული მოსწავლეებისათვის კულტურული ღონისძიებების მოწყობის ხარჯები.

08 11 05 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გაგეობა

2016 წლის გეგმა 100.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობის ჩართვა კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში; ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების დანერგვა და ახალგაზრდობის შემეცნებითი ცნობიერების ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 3 მარტს დედის დღისადმი, 1 ივნისს ბავშვთა დღისადმი და წყნეთობის დღესასწაულთან დაკავშირებით მიძღვნილი ღონისძიებები. ასევე, დაფინანსებულია შერეულ ორთაბრძოლაში „ვაკის თასი 2016“ ღია ჩემპიონატის, ფრენბურთის, ჩოგბურთის, გრეხეთბოლის, ქუჩის კალათბურთის, საფეხბურთო, ნარდში და დარტსში ტურნირის ორგანიზების მომსახურება, თბილისობის ღონისძიების, სპორტული ფესტივალის და საახალწლო ღონისძიების ჩატარების ორგანიზების მომსახურება.

08 11 06 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გაგეობა

2016 წლის გეგმა 100.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობის ჩართვა კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში; ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების დანერგვა და ახალგაზრდობის შემეცნებითი ცნობიერების ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა საჯარო სკოლებს შორის ბეთანიაში მოწყობილი სათხილამურო ტურნირის ორგანიზება, ცურვაში შეჯიბრის ორგანიზება, დიდგორობის ღონისძიების ორგანიზება, ჯომარდობის ორგანიზება, მარათონის ორგანიზება, მინი ფეხბურთში და კალათბურში შეჯიბრის ორგანიზება, ნარდში და დარტსში ჩემპიონატის მოწყობა, შემეცნებითი პროექტის „შეცვალე დამოკიდებულება სკოლაში“ ორგანიზება, ფოლკლორის ფესტივალის ორგანიზება, ქართული ცეკვის ორგანიზება, ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ახალგაზრდა მწერალთა კონკურსის ორგანიზება. ასევე, დაფინანსებულია ღონისძიება „ქართული თეატრის დღე“, სკვერის მოწყობის პროექტზე ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის გამართულ კონკურსში გამარჯვებულებისთვის გადასაცემი სასაჩუქრე ვაუჩერების შესყიდვა; ფრენბურთის ტურნირის მონაწილეებისთვის გადასაცემი სასაჩურე ვაუჩერების შესყიდვა; საბურთალოს რაიონის პენსიონერთა კავშირის ქალბატონებისთვის 8 მარტთან დაკავშირებით ფურშეტით მომსახურების შესყიდვა; ნოვრუზ ბაირამობის დღესასწაულთან დაკავშირებით სასაჩუქრე კალათის შესყიდვა, ლეო ანთაძის შემოქმედებით საღამოზე, სოხუმის დაცემის დღისადმი მიძღვნილ საღამოზე, საახალწლო კონცერტებზე ბილეთების შესყიდვა, „თბილისობა 2016“-ისა და საახალწლო კონცერტის ორგანიზება.

08 11 07 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გაგეობა

2016 წლის გეგმა 100.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობის ჩართვა კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში; ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების დანერგვა და ახალგაზრდობის შემეცნებითი ცნობიერების ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სპორტული ღონისძიებისათვის შემენილ იქნა სპორტული საქონელი, სოციალურად დაუცველი

ოჯახებისათვის (200 ბავშვი) ჩატარდა სპორტულ - გასართობი ღონისძიება, გაიმართა სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახის დედებისათვის, დედის დღის აღსანიშნავი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება; ჩატარდა ფრენბურთის და მინი-ფეხბურთის ტურნირები, სტუდენტური თვითმმართველობის წევრებისათვის ჩატარდა ტრენინგი, გაიმართა რაგბის ფესტივალი, ომის ვეტერანებისათვის მოეწყო მე-2 მსოფლიო ომში გამარჯვების 71 წლისთავის აღსანიშნავი კულტურული ღონისძიება, სოციალურად დაუცველი ოჯახების 371 ბავშვისათვის შეძენილ იქნა ბილეთები სპექტაკლ „მაუგლიზე“ დასასწრებად, საქართველოს სახალხო არტისტის ლეო ანთაძის სასცენო მოღვაწეობის 60 წელთან დაკავშირებით გამართულ საიუბილეო შემოქმედებით შეხვედრა-კონცერტზე დასასწრებად შეძენილი იქნა 100 ბილეთი, საფეხბურთო კლუბისათვის „ვაზისუბანი“ შეძენილ იქნა სპორტული მაისურები, ჩატარდა ნარდის, ქართული ჭიდაობის და ქუჩის კალათბურთის ტურნირები; გაიმართა 2015-2016 სასწავლო წლის კურსდამთავრებულებთან (მედალოსნებთან) შეხვედრის აღსანიშნავი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება, გაიმართა კულტურულ-გასართობი ღონისძიება „თბილისობა 2016“, შშმ პირების უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი და საახალწლო-გასართობი ღონისძიება; სკოლის მოსწავლეებისათვის მოეწყო კინოჩვენება.

08 11 08 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გაგეობა

2016 წლის გეგმა 100.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობის ჩართვა კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში; ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების დანერგვა და ახალგაზრდობის შემეცნებითი ცნობიერების ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაიმართა დედის დღისადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიება, რაიონის სკოლებს შორის მოეწყო ინტელექტუალური ღონისძიება „დებატები“ და „რა, სად, როდის“,

გაიმართა „სამგორის ჩემპიონატი“ ფრენბურთში, გურამ გულადიშვილის სახელობის ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, შ. ბაგაურის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, მოსწავლეთა სახლებს შორის ჩემპიონატი კარატეში, მინიფეხბურთის ტურნირი „სამგორის რაიონის თასი“, გაიმართა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიება, ანასამბლმა „გელათი“ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ფესტივალში „მშვიდობის ჩირაღდნები“, ჩატარდა ქუჩის კალათბურთის, ფეხბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის და შაშის ტურნირები; გაიმართა ლეო ანთაძის საიუბილეო საღამო, დაფინანსდა თბილისობის და ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებული ღონისძიებები.

08 11 09 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 63.9 ათასი ლარი დაფინანსებულია 99.5%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობის ჩართვა კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში; ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების დანერგვა და ახალგაზრდობის შემეცნებითი ცნობიერების ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საჯარო სკოლების გოგონათა და ვაჟთა გუნდებს შორის ფრენბურთის ორდღიანი ტურნირი და 3 მარტის - დედის დღესთან დაკავშირებით რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები უსინათლო დედებისათვის გასართობი ღონისძიება. ასევე დაფინანსებულია მინიფეხბურთის 7 დღიანი ტურნირის ორგანიზება, რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვებისათვის ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გასართობი საცირკო სანახაობის მოწყობა, 300 არაგვის ობელისკის და კრწანისის ბაღსი კრწანისობის დღესასწაულთან დაკავშირებული კულტურულ-გასართობი ღონისძიების მოწყობა, ზემო და ქვემო ფონიჭალაში და ორთაჭალაში საახალწლო ღონისძიებები.

08 11 10 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2016 წლის გეგმა 100.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 99.7%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: მოსახლეობის ჩართვა კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში; ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების დანერგვა და ახალგაზრდობის შემეცნებითი ცნობიერების ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე მოყვარულ სპორტსმენთა ორდღიანი ჩოგბურთის ტურნირის ორგანიზება; ორდღიანი მინი საკალათბურთო ტურნირის ორგანიზება; საფეხბურთო ტურნირის ორგანიზება; ორდღიანი ფრენბურთის ტურნირის ორგანიზება 14-18 წლის მოზარდებისთვის; ქართული ჭიდაობის ტურნირის ორგანიზება; მწერალ მედეა თიკანაძის შემოქმედებითი საღამოს ორგანიზება; დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება; სახელმწიფო-აკადემიური ანსამბლ „რუსთავი“-ს სოლისტ დავით გველესიანის სოლო კონცერტის ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზება; ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული კულტურულ-გასართობი ღონისძიების ორგანიზება და მთაწმინდის რაიონში მცხოვრები ბავშვებისთვის საცირკო-სანახაობრივი წარმოდგენის ორგანიზება; რაიონის მაცხოვრებლებისათვის საესტრადო-იუმორისტული სანახაობრივი წარმოდგენის ორგანიზება; რუსთაველის გამზირის, ივ. მაჩაბლის, გ. ლეონიძის, პ. ინგოროყვასა და ალ. გრიბოედოვის ქუჩების ისტორიულ-დოკუმენტური მიმოხილვისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება; რაიონის მოსახლეობისათვის ხელოვნების ფესტივალის ორგანიზება; წინასაახალწლო ღონისძიების ორგანიზება; კალათბურთის ტურნირის ორგანიზება.

08 12 თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გიორგი ალექსიძის სახელობის კამერული დასი -თბილისის თანამედროვე ბალეტი“

2016 წლის გეგმა 200.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დასახული შუალედური შედეგები: თანამედროვე ცეკვის საგანმანათლებლო და ექსპერიმენტულi სივრცე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაცემულ იქნა თანამშრომელთა ხელფასები, შეძენილ იქნა სხვადასხვა სამეურნეო საქონელი და მცირეფასიანი ინვენტარი, გადახდილია საიჯარო ქირა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: შეიქმნა 3 სპექტაკლი და გამართა 4 სპექტაკლი.

08 13 ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის საქალაქო სამსახური


2016 წლის გეგმა 44.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 44.5 ათასი ლარით. რაც გეგმის 99.7%-ია.


დასახული შუალედური შედეგები: ინკლუზიური შემეცნებითი და შემოქმედებითი აქტივობების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „ქალთა თანადგომა“-ს პროექტის „მზე და ზღვა“ განხორციელების ხელშეწყობა, (ესპანეთში ყრუთა ქორეოგრაფიული ანსამბლის „ლილე“ გასტროლის თადანაფინანსება), ა(ა)იპ „ხელოვნების ცენტრი ფოლიანტი“ - ს პროექტი „ვხედავ და ვქმნი თითებით“, ა(ა)იპ „ახალგაზრდული მედია - კავშირი“ - ს პროექტი „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა“, ა(ა)იპ „კულტურისა და მენეჯმენტის ლაბორატორია“ პროექტის „ვიზუალური ხელოვნების ინკლუზიური კურსი სმენის დარღვევის მქონე პირთა ჩართულობით“.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაიზარდა შშმ პირების ჩართულობა კულტურის სფეროში, საზოგადოების მიმღებლობა და ცნობიერების ამაღლება განსხვავებული შესაძლებლობების მიმართ.

❖ საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება






09 02 ცხოველთა მონიტორინგი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 3,700.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 3,698.5 ათასი

ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100%-ია და 2015 წლის შესრულების მაჩვენებელზე 546.3 ათასი ლარით მეტია, რაც გამოწვეულია საშტატო რიცხოვნობის ზრდით. გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 92%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის – 8%.

(ათასი ლარი)




საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია: შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატი), შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურების, რეკლამის ხარჯი, აუდიტორული მომსახურების, კავშირგაბმულობის ხარჯები, საფოსტო მომსახურეობის, კომუნალური ხარჯები (ელქტროენერგია, წყალი, ბუნებრივი აირი, კანალიზაცია და ასინილიზაცია), სპეციალური დანიშნულების იარაღების რემონტის, საწვავის შეძენის, ავტომანქანების ტექნიკური მომსახურეობის, ცხოველების მოვლა შენახვის, დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების ხარჯი, დასუფთავების მოსაკრებელის ხარჯები, სატრანსპორტო საშუალებების და პერსონალის დაზღვევის ხარჯები, არასაცხოვრებელი შენობების ხარჯები (საპროექტო, გეოდეზიური და ტოპოგრაფიული მომსახურების, მშენებლობის ნებართვის აღება ცხოველთა თავშესაფრში საკარანტინო ვოლიერების აშენებისათვის, ადმინისტრაციულ შენობაში დამატებითი გაზიფიცირების საპროექტო და სამონტაჟო სამუშაოები და ელექტროენერგიის მრიცხველის მონტაჟის ხარჯი ახალ ქსელზე მიერთებისთვის ეკიპაჟის დისლოკაციის შენობაში), სატრანსპორტო

საშუალებების (ცხოველების თავშესაფარში გადასაყვანი სატრანსპორტო საშუალება) შეძენის, ცხოველებისთვის მედიკამენტებისა და სამედიცინო ტექნიკის, ტელევიზორების, კომპიუტერების, კონდენციონერის, საკანცელარიო და სამეურნეო საქონელის, მცირეფასიანი ტექნიკისა, ინვენტარის და რბილი ინვენტარის, ცხოველების საიდენტიფიკაციო ჩიპების, ბანერის და ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის ციმციმების, სამედიცინო აპარატურისა და ხელსაწყოების შეძენის ხარჯები (ულტრაბგერითი აპარატი) და სხვა.

მიღწეული შედეგების შეფასების ინდიკატორები: საშიში და აგრესიული ცხოველებისგან მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის ხარისხის ამაღლება; დაჭერილია და თავშესაფარში გადაყვანილია 7948 ცხოველი, სტერილიზაცია-კასტრაციის ოპერაცია ჩაუტარდა 3724 ცხოველს, გაჩუქდა, მიეკედლა და ბინადრობის პირველად არეალში დაბრუნდა 3861 ცხოველი, ოპერატიული დამჯარიმებელი ჯგუფების მიერ გამოწერილი იქნა 662 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის რეაგირების ოქმი (ჯარიმა).

❖ **ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები**



10 01 ქ.თბილისის საკრებულოსათვის საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 14,052.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა

დაფინანსებამ - 13,952.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.3%-ია, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო – 4,356.2 ათასი ლარი, პრემია – 1,446.3 ათასი ლარი, დანამატი - 1,557.6 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება – 5,701.9 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა – 74.1 ათასი ლარი, სხვა ხარჯები – 727.9 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივები – 82.5 ათასი ლარი, ვალდებულებების კლება - 6.3 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის, საქალაქო სამსახურების და რაიონული გამგეობებისათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 51,820.8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 51,185.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 98.8%-ია. მათ შორის: თანამდებობრივი სარგო - 27,110.5 ათასი ლარი, პრემია - 6,673.3 ათასი ლარი, დანამატი - 3,592.5 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება – 11,670.2 ათასი ლარი, გრანტები - 2.3 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა - 480.9 ათასი ლარი, სხვა ხარჯები – 316.4 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივები - 1,230.8 ათასი ლარი, ვალდებულებები - 109.0 ათასი ლარი. ამასთან, წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდის ხარჯები ცალკეული სამსახურებისა და რაიონული გამგეობების მიხედვით, მათ შორის:

მერიის ადმინისტრაცია (10 02) დაფინანსებულია 13,657.0 ათასი ლარით; საფინანსო საქალაქო სამსახური (10 03) – 1,255.6 ათასი ლარით, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური (10 04) – 793.1 ათასი ლარით, მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური (10 06) – 730.1 ათასი ლარით, ზედამხედველობის საქალაქო სამსახური (10 07) – 2,785.8 ათასი ლარით, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური (10 08) – 1,089.3 ათასი ლარით, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური (10 09) – 911.3 ათასი ლარით, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური (10 10) – 1,597.2 ათასი ლარით, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური (10 11) – 772.5 ათასი ლარით, იურიდიული საქალაქო სამსახური (10 12) – 947.7 ათასი ლარით, უსაფრთხოების საქალაქო სამსახური (10 13) – 5,948.2 ათასი ლარით, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური (10 37) – 829.2 ათასი ლარი, კულტურის საქალაქო სამსახური (10 38) – 613.8 ათასი ლარი, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური (10 39) – 638.5 ათასი ლარი.

10 27 გლდანის რაიონის გამგეობა – 1,987.7 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,015.0 ათასი ლარის 98.6%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალური ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, მცირეფასიანი ინვენტარის შეძენა-მონტაჟი, შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოვლა-დასუფთავება, კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა, კავშირგაბმულობა, საფოსტო მომსახურების ხარჯები და სხვა), წარმომადგენლობით ხარჯებზე, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა - შენახვის ხარჯებზე, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე (საარქივო მომსახურება, ტენდერების გამოცხადების მომსახურება, 112 მომსახურების ღირებულება და სხვა), დამქირავებლის მიერ გაწეულ სოციალურ დახმარებაზე (ბიულეტინის ანაზღაურება, დეკრეტული შვებულება), სხვა ხარჯებზე (დასუფთავების მოსაკრებელი) არაფინანსურ აქტივებზე, ვალდებულებების კლებაზე.

10 28 ნაძალადევის რაიონის გამგეობა – 2,042.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,057.4 ათასი ლარის 99.3%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალური ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, მცირეფასიანი ინვენტარის შეძენა-მონტაჟი, საკანცელარიო, შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოვლა-დასუფთავება, კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა, კავშირგაბმულობა, საფოსტო მომსახურების ხარჯები და სხვა), ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვაზე, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე (საარქივო მომსახურება, ტენდერების გამოცხადების მომსახურება, 112 მომსახურების ღირებულება და სხვა), დამქირავებლის მიერ გაწეულ სოციალურ დახმარებაზე (ბიულეტინის ანაზღაურება, დეკრეტული შვებულება), სხვა ხარჯებზე (დასუფთავების მოსაკრებელი), არაფინანსურ აქტივებზე (ელექტრომექანიკური შლაგბაუმის შეძენა-მონტაჟზე, გამგეობის ადმინისტრაციული შენობისთვის ალუმინის ფანჯრის კონსტრუქციის შესყიდვა და მონტაჟი, კომპიუტერის კომპლექტის შეძენა).

10 29 დიდუბის რაიონის გამგეობა – 1,731.7 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,748.4 ათასი ლარის 99%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალური ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, საფოსტო მომსახურება, შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოვლა-დასუფთავება, კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა, მცირეფასიანი ინვენტარის შეძენა-მონტაჟი, საკანცელარიო საქონელის შეძენა), წარმომადგენლობით ხარჯებზე, ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯებზე, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე (საარქივო მომსახურება, ტენდერების გამოცხადების მომსახურება, 112-ის მომსახურების ღირებულება და სხვა), დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალურ დახმარებაზე (ბიულეტინის ანაზღაურება, დეკრეტული შვებულება), სხვა ხარჯებზე (დასუფთავების მოსაკრებელი), არაფინანსურ აქტივებზე (სეიფებისა და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერის შეძენა).

10 30 ჩუღურეთის რაიონის გამგეობა – 1,557.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,562.4 ათასი ლარის 99.7%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია: საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე; ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალურ ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, საფოსტო ხარჯები, საკანცელარიო საქონელის შეძენა, ადმინისტრაციული შენობების დაგვა - დასუფთავება, მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა, გამგეობისათვის საჭირო სპეციალური ბლანკებისა და ფორმების ბეჭდვითი მომსახურება, მცირეფასიანი საოფისე ინვენტარის შეძენა, კომუნიკაციების და ტექნიკის შეკეთება და სხვა), წარმომადგენლობითი ხარჯებზე; ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯებზე, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებზე (საარქივო მომსახურება, ტენდერების გამოცხადების მომსახურება, განახლებადი საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფა, ახალი ამბების საინფორმაციო მომსახურება, აუდიტორიული მომსახურება, სარეკლამო მომსახურება, „112 ოპერატორის“ მომსახურება), დამქირავებლის მიერ გაწეული

სოციალური დახმარებაზე (ბიულეტინის ანაზღაურება), სხვა ხარჯებზე (დასუფთავების მოსაკრებელი, სააღსრულებლო ხარჯები), არაფინანსურ აქტივებზე, ვალდებულებების კლებაზე.

10 31 ვაკის რაიონის გამგეობა – 1,978.1 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,987.1 ათასი ლარის 99.5%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალურ ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, საფოსტო მომსახურება, გამგეობის შენობების მოვლა-დასუფთავება, საკანცელარიო და სამეურნეო საქონლის შეძენა, საფოსტო მომსახურება, კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა, პრინტერების შეკეთება, მიმდინარე რემონტი, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის და ინვენტარის შეძენა); რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებულ ხარჯებზე, წარმომადგენლობით ხარჯებზე, ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯებზე, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯებზე (არქივის მომსახურება და ახალი ამბების სააგენტო მომსახურება, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მომსახურება, 112-ის მომსახურება და სხვა); დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარებაზე (ბიულეტინის ანაზღაურება, დეკრეტული შვებულება), სხვა ხარჯებზე (დასუფთავების მოსაკრებელი), არაფინანსურ ქტივებზე, ვალდებულებების კლებაზე.

10 32 საბურთალოს რაიონის გამგეობა – 1,754.3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,755.3 ათასი ლარის 99.9%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალურ ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, მცირეფასიანი ავეჯისა და ტექნიკის შეძენა, საფოსტო მომსახურება, კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა, კომპიუტერული ტექნიკის შეკეთების მომსახურება), წარმომადგენლობით ხარჯებზე, ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯებზე, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯებზე (სარეკლამო-საინფორმაციო პაკეტით მომსახურება, სატენდერო განცხადებების გამოქვეყნება, არქივის მომსახურება და სხვა), დამქირავებლის მიერ გაწეულ სოციალური

დახმარებაზე (ბიულეტინის ანაზღაურება, დეკრეტული შვებულება), სხვა ხარჯებზე (დასუფთავების მოსაკრებელი, სააღსრულებლო ხარჯები და სხვა), არაფინანსურ აქტივებზე, ვალდებულებების კლებაზე.

10 33 ისნის რაიონის გამგეობა – 1,909.4 ათასი ლარი (გეგმიური მაჩვენებლის 1,909.4 ათასი ლარის 100%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალურ ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, საკანცელარიო საქონლის და მცირეფასიანი ინვენტარის შეძენა, კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა, სატიტულო ბლანკების და სამხედრო სააღრიცხვო ბარათების ხარჯები, საფოსტო-საკურიერო მომსახურება), ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯებზე, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე (სატენდერო განცხადებების გამოქვეყნება, დაცვის მომსახურება, საინფორმაციო მომსახურება, საარქივო მასალების შენახვა და სხვა), დამქირავებლის მიერ გაწეულ სოციალურ დახმარებაზე (ბიულეტინის ანაზღაურება, დეკრეტული შვებულება), სხვა ხარჯებზე (დასუფთავების მოსაკრებელი), ვალდებულების კლებაზე.

10 34 სამგორის რაიონის გამგეობა – 2,134.5 ათასი ლარი (გეგმიური მაჩვენებლის 2,135.6 ათასი ლარის 99.9%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალურ ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, საფოსტო მომსახურება, კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა, მცირე ფასიანი ინვენტარის შეძენა-მონტაჟი და სხვა), ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯებზე, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე მომსახურებაზე (სატენდერო განცხადებების და დოკუმენტაციის გამოქვეყნება, შენობების დაცვა, საარქივო მასალების შენახვა, ექსპეტიზის ხარჯები და სხვა), დამქირავებლის მიერ გაწეულ სოციალურ დახმარებაზე (ბიულეტინის ანაზღაურება, დეკრეტული შვებულება), სხვა ხარჯებზე (დასუფთავების მოსაკრებელი), არაფინანსურ აქტივებზე, ვალდებულებების კლებაზე.


10 35 კრწანისის რაიონის გამგეობა – 1,483.5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,500.3 ათასი ლარის 98.8%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები

მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალური ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, საფოსტო ხარჯები, საკანცელარიო საქონელი შეძენა, კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის შეძენა, ადმინისტრაციული შენობების დასუფთავება და მიმდინარე რემონტი, კარტრიჯების შეკეთება, მცირეფასიანი ტექნიკის და ინვენტარის შეძენა), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე (მათ შორის: ადმინისტრაციული შენობის იჯარა, საარქივო მომსახურება, ადმინისტრაციული შენობის დაცვის ხარჯი, 112-ის მომსახურება და სხვა), დამქირავებლის მიერ გაწეულ სოციალური დახმარებაზე (ბიულეტინის ანაზღაურება, დეკრეტული შვებულება), სხვა ხარჯებზე (დასუფთავების მოსაკრებელი), არაფინანსური აქტივებზე, ვალდებულებების კლებაზე.

10 36 მთაწმინდის რაიონის გამგეობა – 2,037.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,044.5 ათასი ლარის 99.6%-ი). საანგარიშო პერიოდში ხარჯები მიმართულია: შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე, ოფისის ხარჯებზე (მათ შორის: კომუნალური ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, საფოსტო მომსახურება, ოთახების დაგვა-დასუფთავება, საკანცელარიო საქონელის შეძენა, კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა, კომპიუტერების პერიფერიული მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება, კომპიუტერის უწყვეტი კვების წყაროს, კომპაქტ დისკების და ფლეშმეხსიერების შესყიდვა, კონდიციონერების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება, გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში სხვადასხვა დაზიანებების შეკეთება, კომპიუტერული აქსესუარების შეძენა და სხვა), ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯებზე, სხვა დანარჩენ საქონელზე და მომსახურებაზე (სატენდერო განცხადებების და დოკუმენტაციის გამოქვეყნება, ექსპერტიზის და შემოწმების ხარჯები და სხვა), დამქირავებლის მიერ გაწეულ სოციალურ დახმარებაზე (ბიულეტინის ანაზღაურება, დეკრეტული შვებულება), არაფინანსურ აქტივებზე, ვალდებულებების კლებაზე.

10.20 სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 3,100.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 3,064.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.9% და 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 376.4 ათასი ლარით მეტია, (რაც გამოწვეულია თანამშრომელთა საშტატო რიცხოვნობის ზრდიდან). სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 97.8%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდამ“ – 1.1%.

(ათასი ლარი)



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია: თანამშრომელთა შრომის ანაზრაურების ხარჯები (თანამდებობრივი სარგო, პრემია), შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება, ოფისის ხარჯები (საკანცელარიო საქონელი, კატრიჯები, საოფისე ინვენტარი, ოფისის მცირეფასიანი ავეჯი), ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯი (საწვავი, ავტოტექმომსახურება, ავტომანქანების რეცხვა, სათადარიგო ნაწილების (საბურავები) შეძენა), სხვა ხარჯები (ავტომანქანების დაზღვევა), ძირითადი აქტივები (პრინტერების შეძენა, კომპიუტერების შეძენა, რბილი ავეჯის შეძენა).


გარდა ამისა, საკუთარი სახსრებიდან (დაჩქარებული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი) 1,391.8 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 1,379.8 ათასი ლარი მათ შორის დაფინანსებულია: შრომის ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატი), შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება, მივლინება,

ოფისის ხარჯები - საკანცელარიო საქონელი, მობილური კავშირგაბმულობა, ციფრული ტელევიზია, ბეჭდვითი მომსახურება (ბლანკები, საინფორმაციო ბუკლეტები, სავიზიტო ბარათები კითხვარები), საბუღალტრო პროგრამის განახლება, დომენიური სახელის განახლება, ბეიჯების შეძენა, კატრიჯების შეძენა, დატუმბვა, შტამპების დამზადება, ოფისისათვის საჭირო საგნების და მასალების შეძენა, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა, მცირეფასიანი კომპიუტერული ტექნიკა, კომპიუტერული ტექნიკის შეკეთება, საფოსტო მომსახურების ხარჯი, ოფისის მიმდინარე რემონტის ხარჯი, ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი, ავტოტექმომსახურება, ევაკუატორის მომსახურება, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება: ტრენინგის ხარჯი, ტრენინგის მონაწილეების სასტუმროთი უზრუნველყოფა, ვერეს ხეობის ჩარჩო გეგმის დამუშავება, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა (სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიის კვლევა), ტენდერების მოსაკრებელი, 112-ის მომსახურება, ექსპერტიზის ხარჯი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი, თანამშრომლებისათვის უნიფორმის (შიფონის შარფების) შეძენა, სამსახურის ლოგოთი ნაჭრის ჩანთების დამზადება, წარმომადგენლობით ხარჯი, სხვა ხარჯები: დღგ, სასამართლო ბაჟი და სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული გადასახადი, დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება, არაფინანსური აქტივები: კონდიციონერების შეძენა, კომპიუტერის შეძენა, კომპიუტერული ქსელის შეძენა მონტაჟით, პროექტორის შეძენა.

2016 წელს სულ შემოსულია 49 520 განაცხადი. აქედან, თანხმობით გასულია 24 725 განაცხადი. მათ შორის: მშენებლობის ნებართვა გაცემულია 5491 განაცხადზე, ქალაქმშენებლობითი პარამეტრების მომატებაზე (K1 და K2) გაცემულია თანხმობა 410 ობიექტზე.

10.21 სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 1,557.9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 1,409.6 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებლის 90.48% და 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 60.3 ათასი ლარით მეტია. სააგენტოსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 90.47%, ხოლო „ვალდებულებების კლებამ“ – 0.01%.

(ათასი ლარი)




საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია: შრომის ანაზღაურება, შტატგარეშეთა მოსამსახურეთა ანაზღაურება, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის ხარჯები, ოფისის ხარჯები, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები და სხვა.

გარდა ამისა, საკუთარი სახსრებიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა - 1,057.9 ათასი ლარი, მათ შორის დაფინანსებულია დღგ-ს და მოგების გადასახადი, სახელფასო დანამატი, საკანცელარიო საქონელი და სხვა საოფისე ხარჯი, კავშირგაბმულობისა და საფოსტო მომსახურების ხარჯი, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკა, კარტრიჯების შეძენა-დამუხტვის ხარჯი, აუდიტისა და ექსპერტიზის ხარჯი, მოსაკრებლების ხარჯი (სახელმწიფო ბაჟი და სხვა), ტრანსპორტის დაზღვევის ხარჯი, ქონების დარეგისტრირების ხარჯი, რეკლამისა და სხვა ხარჯი, ძირითადი საშუალებებიდან: საოფისე ავეჯის შესყიდვა, მსუბუქი ავტომობილი, საოფისე ტექნიკა.

10 40 სსიპ - ტექნოლოგიური განვითარების ფონდისათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 874.3 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 841.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.2% და 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1,667.1 ათასი ლარით ნაკლებია (რაც გამოწვეულია იმით, რომ მიმდინარეობს ფონდის ლიკვიდაციის დასრულების პროცესი). ფონდისათვის

გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 88.4%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდა“ 7.8%.

(ათასი ლარი)



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია: თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატი), შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება, ოფისის ხარჯები, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები, საოფისე ინვენტარის და კომპიუტერული ტექნიკის შეძენის ხარჯები და სხვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობების, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის და გადასახდელები პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით წარმოდგენილია დანართი N1-4

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი
გაიოზ თალაკვაძე